

ეკონომისტი EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
International Scientific-Analytical Journal

3

2025

ტომი – VOLUME

XXI

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

ეკონომისტი

EKONOMISTI

2025

3

ტომი-VOLUME

XXI

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of
Economics
International Reviewed Scientific-Analytical Journal**



ERIH
EUROPEAN REFERENCE INDEX FOR THE
HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES

გამოდის 2009 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2016 წლიდან – კვარტალში ერთხელ

**Published since January 2009 once in two months,
Since 2016 - Quarterly**

-

*რედაქციის მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა 2;
ტელ.: 599 970103.*

**Address: Tbilisi, 0186, University Street 2 ,
tel. 599 970103.**

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (მთავარი რედაქტორი), იური ანანიაშვილი, გივი ბედიანაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, პაატა კოლუაშვილი (ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი (აკადემიკოსი), ვლადიმერ პაპავა (აკადემიკოსი), უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სულაბერიძე, მირიან ტუხაშვილი, თეიმურაზ შენგელია, მურმან ცარციძე, ნოდარ ჭითანავა (ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი (აკადემიკოსი).

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები

ჯეფრი საქსი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს სპეციალური მრჩეველი), ფრენკ არაუჰო (პროფესორი, კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლი, კალიფორნიის უნივერსიტეტი დევისი), ლარისა ბელინსკაია (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), სიმონე გუერჩინი (პროფესორი, ფლორენციის უნივერსიტეტი), ბარნი ერედია (პროფესორი, კალიფორნია, აშშ), ვოლფგანგ ვენგი (პროფესორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილეტი (პროფესორი, კლერმონტის უნივერსიტეტი), ელდარ ისმაილოვი (პროფესორი, ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), გინდრა კასნაუსკიენე (პროფესორი, ვილნიუსის უნივერსიტეტი), სტივენ კოენი (კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი), ვლადიმერ მენშიკოვი (პროფესორი, დაუგავილის უნივერსიტეტი, ლატვია), სლავომირ პარტიკი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), გალინა სავინა (პროფესორი, ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პროფესორი, პეპერდაინის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (პროფესორი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი), ადამ ნიუმენ ტიორნერი (პროფესორი, ლესტერის უნივერსიტეტი, ლესტერი, დიდი ბრიტანეთი)

მთავარი რედაქტორის თანაშემწე – ეკონომიკის დოქტორი **მამუკა ხუსკივაძე**

პასუხისმგებელი მდივანი – ეკონომიკის დოქტორი **თეა ლაზარაშვილი**

SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Doctors of economics, Professors:

Ramaz Abesadze (**Editor-in-chief**), Yuri Ananiashvili, Givi Bedianashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava (academician of the Academy of Agricultural Science), Revaz Gogokhia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti (academician), Revaz Kakulia, Eter Kharashvili, Paata Koghuashvili (academician of the Academy of Agricultural Science), Murman Kvaratskhelia, Temur Kandelaki, Elguja Mekvabishvili, Vladimir Papava (academician), Solomon Pavliashvili (academician), Ushangi Samadashvili, Teimuraz Shengelia, Avtandil Silagadze (academician), Avtandil Sulaberidze, Murman Tsartsidze, Mirian Tukhashvili.

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Jeffrey D. Sachs (Professor at Columbia University, UN Special Adviser), Frank P. Araujo (Professor, University California at Berkeley, University California at Davis), Larisa Belinskaia (Professor, Vilnius University), Steven Cohen (Professor, Columbia University), Barney Eredia (Professor, President at Educational Consortium Institute at Aptos), Ruslan Grinberg (Corresponding member of RAS), Simone Guercini (Professor, University of Florence), Eldar Ismailov (Professor, Baku Institute of Social Management and Political Science), Gindra Kasnauskiene (Professor, Vilnius University), Vladimir Menshikov (Professor, Daugavpils University, Latvia), Slavomir Partycki (Professor, The John Paul II Catholic University of Lublin), Galina Savina (Professor, Kharkiv Technical University), Darrol J. Stanley (Professor, University of Pepperdine), Oleksiy Stupnitsky (Professor, Taras Shevchenko National University of Kyiv), Adam Newman Turner (Professor of Management at Leicester University), Wolfgang Weng (Professor, Technical University of Berlin), Thomas D. Willett (Professor, Claremont Graduate University).

Assistant Editor-in-chief – Doctors of economics **Mamuka Khuskivadze**

Executive Secretary – Doctors of economics **Tea Iazarashvili**

НАУЧНО-РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ

Доктора экономических наук, Профессора:

Рамаз Абесадзе (**главный редактор**), Юрий Ананиашвили, Гиви Бедианашвили, Теймураз Беридзе, Георгий Берилава, Вахтанг Бурдули, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия, Михаил Джибути (академик), Реваз Какулия, Темур Канделаки, Мурман Кварацхелия, Паата Когуашвили (академик Академии сельскохозяйственных наук), Элгуджа Меквабидзе, Владимир Папава (академик), Соломон Павлиашвили (академик), Ушанги Самадашвили, Теймураз Шенгелия, Автандил Силагадзе (академик), Автандил Сулаберидзе, Мириан Тухашвили, Мурман Царцидзе, Этер Хараишвили, Нодар Читанава (академик Академии сельскохозяйственных наук).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ НАУЧНО-РЕДАКЦИОННОГО СОВЕТА

Джеффри Д. Сакс (профессор, Колумбийский университет, Специальный советник ООН), Франк П. Арауджо (профессор, Калифорнийский университет в Беркли, Калифорнийский университет в Дэвисе), Лариса Белинская (профессор, Вильнюсский университет), Стивен Коэн (профессор, Колумбийский университет, Нью-Йорк, США), Барни Эредиа (профессор, Калифорния, США), Руслан Гринберг (Член-корреспондент РАН), Симоне Гуерчини (профессор, Университета Флоренции), Эльдар Исмаилов (профессор, Бакинский институт социального управления и политологии), Гиндра Каснаускене (профессор, Вильнюсский университет), Владимир Меньшиков (Профессор, Даугавпилсский университет, Латвия), Славомир Партицкий (профессор, Люблинский католический университет Иоанна Павла II), Галина Савина (профессор, Харьковский технический университет), Даррол Дж. Стэнли (профессор, Университет Пеппердайна), Алексей Юступницкий (профессор, Киевский национальный университет имени Тараса Шевченко), Адам Ньюман Тернер (профессор, Лестерский университет), Вольфганг Венг (профессор, Технический университет Берлина), Томас Д. Виллетт (профессор, Университет Клермонта).

Помощник главного редактора - доктор экономики Мамука Хускивадзе

Ответственный секретарь - доктор экономики Теа Лазарашвили

ს ა რ ჩ ე ბ ა - C O N T E N T S

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი - 120 9

რეგიონული ეკონომიკა – REGIONAL ECONOMY

Vakhtang Burduli - The state of formation of the innovative economy in Georgia's regions and the existing economic difficulties 17

ვახტანგ ბურდული – რეგიონებში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მდგომარეობა და არსებული ეკონომიკური სურთულებები (რეზიუმე) 31

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი – კამათი თანამედროვე მონეტარული თეორიის ძირითადი დებულებების შესახებ 33

Malkhaz Chikobava, Nazira Kakulia, Tea Lazarashvili – Debate on the Basic Principles of Modern Monetary Theory (Expanded Summary) 42

ნაზირა კაკულია, ნოდარ კილაძე – ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე 46

Nazira Kakulia, Nodar Kiladze – The Impact of Artificial Intelligence and Machine Learning on Monetary Policy (Expanded Summary) 55

გიგი ელიზბარაშვილი – პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდიდან „ჰიპოთეზურ“ ეკონომიკურ ზრდამდე 57

Gigi Elizbarashvili – The Economy of Post-Communist Georgia: From Actual Economic Growth to “Hypothetical” Economic Growth (Expanded Summary) 61

ღარბობრივი ეკონომიკა – SECTORAL ECONOMY

ზურაბ გარაყანიძე – „ზანგეზურის დერეფნის“ როლი საქართველოს სატრანსპორტო - კომუნიკაციურ უსაფრთხოებაში 63

Zurab Garakanidze – The role of the “Zangezur Corridor” in Georgia's transport and communication security (Expanded Summary) 81

რუსუდან პაპასკირი – საქართველოში სამშენებლო კომპანიების რეგულირების სახელმწიფო მექანიზმის შეფასება 83

Rusudan Papaskiri – Assessment of the State Mechanism for Regulating Construction Companies in Georgia (Expanded Summary) 89

ეკონომიკური თეორია – ECONOMIC THEORY

გიორგი კეპულაძე, თამილა არნანია-კეპულაძე – იაპონური კეინსიანელობა და მისი ევოლუციის თავისებურებანი 91

Giorgi Kepuladze, Tamila Arnania-Kepuladze – Japanese Keynesianism and the

Peculiarities of Its Evolution (Expanded Summary)	99
---	----

მენეჯმენტი – MANAGEMENT

<i>თენგიზ ვერულავა, ლაშა ხურტიძე</i> – გაყიდვების მენეჯმენტის სტრატეგიული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიაში	101
<i>Tengiz Verulava, Lasha Khurtsidze</i> – Strategic challenges and development prospects of sales management in the Georgian insurance industry (Expanded Summary)	120

ბანათლების ეკონომიკა – EDUCATION ECONOMY

<i>Мирзабекова Ж.С.</i> – Оценка влияния сферы образования на экономическое развитие страны	122
<i>Mirzabeyova J.S.</i> – Assessing the Impact of the Education Sector on the Economic Development of the Country	129
<i>მირზაბეკოვა ჯ.ს.</i> – განათლების სფეროს გავლენის შეფასება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე (რეზიუმე)	131

ინვესტიციები – INVESTMENTS

<i>Гюльшен Заид кызы Юзбашиева</i> – Влияние инвестиционной деятельности на результаты хозяйственной деятельности	132
<i>Yuzbashiyeva Gulshen Zaid Qizi</i> – The Impact of Investment Activity on the Results of Economic Activity (Expanded Summary)	140
<i>გულშენ ზაიდ გიზი იუზბაშიევა</i> – საინვესტიციო საქმიანობის გავლენა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (რეზიუმე)	141

დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ნაშრომები PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

<i>Tural Kishizada</i> – Strategic Decision-Making and SME Development under Monetary Policy Shocks: Evidence from Azerbaijan	144
<i>თურალ ყიშიზადა</i> – სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მონეტარული პოლიტიკის შოკების დროს: აზერბაიჯანის გამოცდილება (რეზიუმე)	152
<i>Zviad Gabroshvili</i> – Modeling the Construction of Benchmark Bonds for Public Debt Models	153
<i>ზვიად გაბროშვილი</i> – ბენჩმარკ ობლიგაციების აგების მოდელირება სახელმწიფო ვალის მოდელისთვის (რეზიუმე)	158
<i>ნიკოლოზ ჯავახიშვილი</i> – განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედარებითი ანალიზი	160
<i>Nikoloz Javakhishvili</i> – Developed and Developing Economies in the Age of Arti-	

cial Intelligence: A Comparative Analysis of Economic Transformation (Expanded Summary)	169
ნინო სუმბაძე – სოციალური პარტნიორობის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში	171
Nino Sumbadze – The Economic Policy of Social Partnership in Georgia (Expanded Summary)	177
პაპუნა გიქორაშვილი – COVID-19-ის გავლენა საქართველოს ღვინის ინდუსტრიის კაპიტალის სტრუქტურაზე: ფინანსური მდგრადობის ანალიზი 2019-2023 წლებში	179
Papuna Gikorashvili – The Impact of the COVID-19 Pandemic on the Capital Structure of the Georgian Wine Industry: A Financial Stability Analysis, 2019–2023 (Expanded Summary)	186
სალომე ლიპარტელიანი – სადაზღვევო ინდუსტრიის ტრანსფორმაცია საქართველოში: რეგულაციები და პერსპექტივები	188
Salome Liparteliani – Insurance Industry Transformation in Georgia: Regulations and Prospects (Expanded Summary)	195
შმაგი ბუცხრიკიძე – მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია: გამოწვევები და მოსალოდნელი ცვლილებები ტექნოლოგიებში	197
Shmagi Butskhrikidze – The Fourth Industrial Revolution and Expected Changes in the Labor Market and Technologies (Expanded Summary)	207

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი - 120



1905-1987

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა¹

დიდი და შინაარსით აღსავსეა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ განვლილი გზა. ქართული საზოგადოებრიობა, საქართველოს ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოება, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორ-მასწავლებლები, მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

აკადემიკოსი პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 15 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი).

მამა – ბესარიონ ნიკოლოზის ძე გუგუშვილი სოფლის მამასახლისი გახლდათ. მამინ ეს თანამდებობა არჩევითი იყო და სოფლის მოსახლეობა წლების განმავლობაში სწორედ მას ენდობოდა.

დედა – მარიამ გიტოს ასული კიზირია დიასახლისი იყო. სწორედ მან შეასწავლა შვილებს სკოლაში შესვლამდე წერა-კითხვა. ასევე ხშირად უკითხავდა იგი მათ სხვადასხვა ნაწარმოებს, განსაკუთრებით, ლექსებს, რომელთა შორის, უმეტესობა ხალხური იყო. მას ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი ალბომი, სადაც ძლიერ სუფთა ხელით იყო ჩაწერილი ლექსები, რომელთაც ბავშვებს უმღეროდა კიდეც. ბატონი პაატა 11 წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა და ოჯახის მთელი სიმძიმე მამამ სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად იტვირთა.

კოდორის ერთკლასიანი და აბაშის ორკლასიანი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ბატონი პაატა სწავლას აგრძელებს აბაშის ოთხკლასიან, ფოთის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლებში და ფოთის გიმნაზიაში. შემდეგ საშუალო განათლების კურსს გადის ქუთაისში (აღსანიშნავია, რომ ერთ წელიწადში ორი კლასის საგნებს აბარებს) და შედის ტექნიკუმში, რომელსაც 1922 წელს ამთავრებს.

1923 წელს ბატონი პაატა ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ, ეკონომიკური გაჭირვების გამო, სამსახურში დადიოდა, ამიტომაც იგი გადადის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელზეც ლექციები სადამოს საათებში იკითხებოდა. იგი ლექციებს ისმენდა აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიის დარგებში, მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რომელთაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

მეცნიერისათვის დამახასიათებელი ნიჭიერება, ნებისყოფა, პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის უნარი მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. იგი, 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკვევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე. 1929 წელს შესრულებული მისი პირველი ნაშრომის – „ქართული წიგნი 1629-1929 წწ., რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას მიემდვნა, წინასიტყვაობაში პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს: „...ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის გადმოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველია, ყურადღების ღირ-

¹ სტატიის მომზადებისას გამოყენებულია მასალები წიგნებიდან: პაატა გუგუშვილი 100” (რედაქტორი: ლეო ჩიქავა, შემდგენელი: იზოლდა აბაშიძე, თბილისი, 2005) და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დღიურები და მოგონებები” (რედაქტორი რ. აბესაძე, 2015).

სია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში”.

ეკონომიკურ მეცნიერებას საქართველოში საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ წყაროებში მოცემულია საინტერესო მოსაზრებები ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკურმა კვლევებმა მეცნიერული ხასიათი ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაშრომებში მიიღო. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წილად ხვდა სწორედ მათი მოწაფე ყოფილიყო, მაგრამ არც იგი დარჩენია მის დიდ მასწავლებლებს ვალში. სწორედ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

განსაკუთრებულია ასევე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში პირველი ეკონომიკური სამეცნიერო კერის – ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 32 წლის განმავლობაში. რასაკვირველია, ბატონი პაატა ისედაც არ დააკლებდა ძალისხმევას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დიდ საქმეს, მაგრამ ინსტიტუტის დაარსებამ და მის ხელმძღვანელად, წლების განმავლობაში, უნარიანი, დიდი პოტენციალის მქონე პიროვნების ყოფნამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას დიდი იმპულსი მისცა და პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და სხვ. პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი. მან, სათანადო არგუმენტების მოტანის საფუძველზე, საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში დასავლეთ ევროპის რენესანსისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების ანალოგიური პროცესები აღმოაჩინა. მიწათსარგებლობის საბჭოთამდელი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების კვლევისას ის მიდის დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, წყლით რაციონალური სარგებლობის საფუძველზე, სოფლები ამერებს ქმნიდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, თავისებურ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა სოფლის თემიდან ქალაქურ ხელოსანთა ამქრული კორპორაციისაკენ. კვლევის ასეთი გზით მან ქართული სოფელი და მისი სამიწათმოქმედო კულტურა სამართლიანად დააყენა კაცობრიობის უძველესი ცივილიზებული ქვეყნების სოფლების გვერდით. აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში ჟურნალ „მაკრო მიკრო ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით „მეოცე საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსი და პირველი პრემია მიენიჭა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“; „ქართული ჟურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პ. გუგუშვილს, გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის, პროფესორების - ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ ნათაძისა და მ. პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე (*Honoris Causa*) ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს, პაატა გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, 35 წლის ასაკში, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ – მაღალი შეფასება მისცეს უაღრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა. მათ მამიებლის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასეს როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი საერთოდ მეცნიერებაში. აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა საჯარო პაექრობაზე განაცხადა: „დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ავტორს დაბეჭდილი წყაროების გარდა დიდძალი ახალი და აქამდის უცნობი საარქივო მასალა მოუპოვებია... ამიტომაც მის მიერ მიღებული დასკვნებიც ფრიად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დამაჯერებელია. წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიისათვის დიდი შენამენია“. ეს ეკონომიკის სპეციალობით საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ, სტუდენტებისათვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. ამ მხრივ დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება. 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ქვეყნდება მის მიერ მომზადებული: „სახალხო მეურნეობის ისტორია 10 ნაკვეთად; „ტექნიკის ისტორია“ 5 ნაკვეთად და 2 წიგნად; ნაშრომი „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“ და ქრესტომათია – „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ – 3 ტომად. გარდა ამისა, ეკონომიკურ დისციპლინებში მის მიერ ან მისი რედაქციით რუსულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო.

1957 წელს გამოიცა მონოგრაფიების შემოკლებული რუსული თარგმანი – «Развитие промышленности в Грузии и закавказье в XIX- XX вв.» ამ ნაშრომის ფართო რეზონანსსა და დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მასზე დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, სომხურ, ჩეხურ, უნგრულ, გერმანულ, ინგლისურ და ამერიკულ პრესაში. აკადემიკოსი ნ. დრუჟინინი ამ ნაშრომის მაღალ მეცნიერულ შეფასებასთან ერთად სვამს საკითხს პაატა გუგუშვილის სხვა მონოგრაფიების რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე.

მნიშვნელოვანი ძვრები, რაც 70-იანი წლების შემდეგ განხორციელდა საქართველოში დემოგრაფიის კვლევის დარგში, ბატონი პ. გუგუშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით ახსნა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები – „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959წწ.)“, „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ და სხვ. ამ თემას მიუძღვნა მან ორი ტომი „სოციოლოგიური ეტიუდების“ სახელწოდებით.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, გომელის, ოდესის სახელმწიფო არქივებში მის მიერ გამოვლენილი იქნა ახალი მასალები, რაც გამოქვეყნდა თემატიკურად შექმნილი სქელტანიანი ტომების სახით. საარქივო წყაროების ამ კრებულს ერთვის ანალოგიური მასალების ვარიანტები, ვრცელი არქეოგოგრაფიული მიმოხილვები, სადაც მოცემულია გამოქვეყნებული დოკუმენტების კრიტიკული შეფასება, ეპოქის დამახასიათებელი გამოკვლევები, აგრეთვე საგნობრივი, გეოგრაფიული და პერსონალური რეგისტრები. ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პ. გუგუშვილმა განახორციელა, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილის რედაქტორობით და თანაავტორობით 1946-1972 წლებში გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებულ „ეკონომიკის“ 7 ტომი.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებში, აგრეთვე სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. მისი მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

აკადემიკოს პ. გუგუშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი იმუშავა ამ მიმართულებით. მან ამ მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება შეძლო დიდი განსწავლულობის, ფართო ერუდიციის, მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნის, მრავალი უცხო ენის სტრუქტურაში ღრმად გარკვევისა და რაც მთავარია, ტერმინების შინაარსში წვდომისა და ქართული შესატყვისების ზუსტად ასახვის მისეული უნარით. ამ პრობლემებზე მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო მუშაობა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“ (1928, 6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ. ოცი წლის შემდეგ – 1947 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

მის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას სხვადასხვა დროს რეცენზირებით, ბიბლიოგრაფიებით, ესეებით და სხვა ფორმებით დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიტიანოვი (რუსეთი), ნ. დრუჟინინი (რუსეთი), ნ. ცაგოლოვი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), პ. მასლოვი (რუსეთი), პ. პოდკოლზინი (რუსეთი), ბ. ურლანისი (რუსეთი), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ზ. ურბანოვა (ჩეხეთი), ა. სუმბათ-

ზადე (აზერბაიჯანი), ტ. აზატიანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიევქტოვი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, მ. კახეთელიძე, ნ. იაშვილი, ი. კაჭარავა, ივ. ბალანჩივაძე, ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ვ. ზახტაძე, ა. იოსელიანი, გ. ჭანუყვაძე, ბ. ხასია, დ. ქორიძე, გრ. თოდუა, რ. გოგობია.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის ისეთ ცნობილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: პეტრე შარია, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი დანელია, ვიქტორ ჩხიკვაძე, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, რაფიელ დვალი, სერგი დურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ართაშეს არაქელიანი და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდია პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოყოფს მის მიერ კვლევის ობიექტის მიგნებისა და შერჩევის საოცარ უნარს. როგორც იგი აღნიშნავდა, პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების თემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეული პროცესებიდან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებულიო.

გიორგი ლეონიძე წერდა მინდა ისიც აღვნიშნო, რომ პაატა გუგუშვილი არის არა მხოლოდ საქვეყნოდ გამოჩენილი ეკონომისტი და სოციოლოგი, იგი ამასთანავე არის ქართული მწერლობის და ხელოვნების დიდი მოყვარული და დამფასებელი, საერთოდ ძველი და თანამედროვე ქართული კულტურის საფუძვლიანი მცოდნე და პროპაგანდისტი და არა მხოლოდ ჩვენს, არამედ უცხოეთის ქვეყნებში და ამ მხრივაც მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მშობლიური ცივილიზაციის წინაშეო.

ბატონი პაატა 1960 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ეკონომიკის ინსტიტუტში ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ბატონ პაატას წესად ჰქონდა შემოდებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექსპედიციების მოწყობა. მას მოვლილი ჰქონდა ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული და უნიკალურ ინფორმაციას ფლობდა თითოეულის შესახებ. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მისი ხელმძღვანელობით მოპოვებული და გაანალიზებული ექსპედიციის (ფშავ-ხევსურეთის, მთა-თუშეთის, საინგილოს, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სხვ.) მასალები.

პაატა გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც მოაწყო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვასთან დაკავშირებით. აქ მან თავის გამოსვლაში, როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ, სახელმძღვანელოს ტექსტის სრულყოფისათვის გააკეთა რიგი შენიშვნები და წარადგინა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები (ფორმულირებათა სახით), რაც სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა.

1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლო-

გიის პრობლემათა განყოფილების გამგე და მისი ინიციატივით შეიქმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

3. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალის „ეკონომისტის“ რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან 15 წლის განმავლობაში მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი.

აკად. 3. გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს: 1930-1962 წლებში – სახალხო მეურნეობის ისტორიასა და ტექნიკის ისტორიაში, 1942-1966 წლებში – პოლიტიკურ ეკონომიაში. 1967 წლიდან მიჰყავდა ლექციების კურსი სოციოლოგიაში.

3. გუგუშვილის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, როგორც წლების განმავლობაში (1948-1974) ეკონომიკის ინსტიტუტთან შექმნილი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესა და მეცნიერსა და პედაგოგს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა 120-ზე მეტი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი პაატა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო სსრკ საგეგმო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების ბიუროს, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის, უცხოეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის (მოსკოვი), საბჭოთა სამეცნიერო ეკონომიკურ დაწესებულებათა ასოციაციის (მოსკოვი) პრეზიდიუმის, მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის, ასევე სხვა ადგილობრივი, საკავშირო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

ბატონი პაატა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას ადამიანური თვისებები - ობიექტურობა და პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა, კეთილშობილება და ერთგულება და სხვ. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე მისი შეუპოვრობა მოწინააღმდეგისადმი, იგი იყო თითქმის უკომპრომისო პოლემიკაში, რის საშუალებასაც მას აძლევდა სამართლიანობის გრძნობა, დიდი ერუდიცია და გონებამახვილური იუმორის უნარი.

ბატონ პაატას რთული ცხოვრება ჰქონდა: იგი ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული მძიმედ იყო ავად არაერთი დაავადებით, ახალგაზრდა ასაკში გარდიცვალა დედა (ნაწლავების ტუპერკულოზით), მეორე და (ფილტვების ტუპერკულოზით), მამა (ფილტვების ანთებით), ვაჟი პირველ ცოლთან – გიორგი (სამი თვის, დეზინტერიით), პირველი ცოლი – თამარ თოდაძე (ფილტვების ტუპერკულოზით). ბატონი პაატას გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა შვილი – გულბათ გუგუშვილი, ხოლო 5 წლის შემდეგ მეუღლე – ნინო მიქაბერიძე.

დაუნდობლად ებრძოდნენ არაკეთილსინდისიერად განწყობილი ადამიანები, რომლებმაც არაერთი ტკივილი მიაყენეს მას. მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, ყველა დაავადებისაგან განიკურნა, შთამამავლობას დაუტოვა მაღალი ღირებულების სა-

მეცნიერო ნაწარმოებები, შექმნა ქართული ოჯახი შესანიშნავ ქალბატონთან, ნინო ნიქაბაძესთან ერთად და სამშობლოს აღზუარდეს ორი მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მატარებელი შვილი – ბესარიონ გუგუშვილი და გულბათ გუგუშვილი. ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონი ბესარიონი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ბატონი პაატას სიცოცხლე მათ შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გრძელდება.

ბატონ პაატას, მიუხედავად მის წინააღმდეგ მდგომი ძლიერი ძალისა, არასოდეს მოუხრია ქედი, არასოდეს დაუწყია პირფერობა. მას ჰყავდა ერთგული მეგობრები, რომელთაც არასოდეს მიუტოვებია იგი, მათ შორის უნდა დასახელდეს აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, პროფესორები: ბექირბი ხასია, მიხეილ კახეთელიძე, რევაზ გოგოხია, ავთანდილ სულაბერიძე, ინსტიტუტის განყოფილების გამგე იზოლდა აბაშიძე და სხვ.

მაღლიერი თაობა არ ივიწყებს ბატონი პაატას ღვაწლს. ამის დადასტურებაა ის, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თაოსნობით, მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – „პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია“ გაიხსნა. მშობლიური კოლექტივიც არ ივიწყებს მის სახელს. ინსტიტუტში მოეწყო და გაიხსნა პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, უკვე მეოთხედ ღირსეულად აღინიშნება აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან საიუბილეო თარიღები, ეძღვნება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, გამოიცემა შესაბამისი კრებულები. ინსტიტუტის ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია, შეიქმნა პაატა გუგუშვილის საიუბილეო მედალი, რომელიც წელს გადაეცა აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, როგორ საქართველოში საუკეთესო სამეცნიერო შედეგების მქონე მეცნიერს და დაბადებიდან 70 წელთან დაკავშირებით. დღევანდელი დღე დასტურია იმისა, რომ მის სახელს დიდ პატივს მიაგებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. დღეს ინსტიტუტს შეუძლია უპაატაკოს მის დამაარსებელს, რომ იგი, მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისა, დაუღალავი შრომით, პროგრესული საზოგადოების, დედა უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანადგომით, არა მხოლოდ წარმატებით ინარჩუნებს და აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელთაც მისმა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი, არამედ ახალ პირობებში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყავს იგი.

ბატონ პაატას დავიწყება არ უწერია, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ემდ, პროფესორი

რეგიონული ეკონომიკა – REGIONAL ECONOMY

Vakhtang Burduli,

*Doktor of Economic Sciences, Professor, Head of Department
of Paata Gugushvili Institute of Economics
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**THE STATE OF FORMATION OF THE INNOVATIVE ECONOMY IN
GEORGIA’S REGIONS AND THE EXISTING ECONOMIC DIFFICULTIES**

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.01](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.01)

Annotation. *The article presents some elements of the classification of innovation types, as well as mechanisms for coordinating the dissemination of innovations. It also considers the main directions of innovation implementation in the modern period. Further, the state of coordination of the formation of an innovative economy by the Agency of Innovation and Technology of Georgia, as well as the state of dissemination of fundamental innovative technologies in the regions of Georgia are considered, some difficulties are identified and ways to overcome them are outlined. The regional components of the formation of Georgia's innovative economy have been systematized, and the state of their use in the regions is shown. The final section discusses the existing economic difficulties in the formation of the innovative economy and outlines possible ways to overcome them.*

Key words: *diffusion of innovations, basic, improving and pseudo-innovations, innovation cluster, technology park, startups.*

Introduction

In order to determine the state of formation of an innovative economy in the regions of Georgia, it is primarily necessary to study modern views on the classification of innovation types and to the systematization of methods, mechanisms and instruments for coordinating their dissemination, which I have done in the first section of the article. Here, the main directions of innovation implementation in the modern period are highlighted, namely: information and communication technologies (or, in a broader sense, digital economy technologies), green economy technologies (accounting for up to 40% of innovations introduced worldwide), circular economy, and technologies for the production of composite materials and products made from them. The second section examines the state of coordination of the formation of an innovative economy by the Georgian Innovation and Technology Agency (GITA). The third section examines the state of dissemination of fundamental innovative technologies in the regions of Georgia, identifies some difficulties and outlines ways to overcome them. Then, the regional components of the formation of Georgia's innovative economy are systematized and the state of their use in the regions is presented. The final section examines the existing economic difficulties in formation the innovative economy and some ways to overcome them. In particular, the factors hindering the implementation of innovative technologies (in the form of the creation of new enterprises or technological modernization of existing ones) and some ways to overcome them are considered. (It is taken into account that the overwhelming majority of both fundamental and improving innovations in Georgia, as in other medium and small countries, are imported either through the purchase of production technologies or through the organization of joint ventures with foreign partners.

Classification of types of innovations and methods of their dissemination

Classification of innovations.

In the economic literature, many variants of innovation classification can be found [Prigojin A., 1998; Goncharenko O., 2011; Types of innovations ...; Mukhamediarov A.; Classifications and types of innovations ...; Classification of Innovation ..., 2016; Topic 3. ...]. Based on their analysis and on modern views of the nature of innovation, I developed a more modern classification in [Burduli V., 2020]. Here, only some components of the classification that are relevant for this study will be presented.

Depending on their significance (or degree of impact on the economy), innovations are classified into basic (radical), improving and pseudo-innovations.

Basic (radical) innovations can be either entirely new or fundamentally improved products or services, as well as new or fundamentally improved production technologies.

Improving innovations are those that provide a significant improvement to existing technologies or products.

Pseudo-innovations (in some sources referred to as modificational innovations), which are the most common, make it possible to achieve maximum efficiency of existing technologies or products through minor improvements.

Depending on the subject and the area of application, a distinction is made between product innovations (new products, including tools and materials) and process innovations (technologies, production organization processes, management processes), that is, innovations in the form of a product and innovations in the form of an operation.

The same new technology, depending on the case, can be both a product and a process innovation. For example, the release of a new (innovative) machine by an enterprise is a product innovation, while the introduction of such a machine into the production process at another enterprise is a process innovation.

According to the criterion of prevalence (scale), innovations are classified into single and diffused ones, that is, those implemented at a single unit and those replicated and disseminated across multiple units. Most importantly, they can be used to one specific industry and spread across many industries (for example, information and communication innovations).

According to their place within the system of an enterprise, firm, or organization, innovations can be distinguished as follows: innovations at the input stage of the enterprise (changes in the selection and use of raw materials, equipment, machinery and equipment, information, etc.), innovations at the output stage of the enterprise (products, services, technologies, information, etc.), innovations in the systemic structure of the enterprise (managerial, production, technological), that is, innovations of the structure of the enterprise as a system that includes individual elements and the interrelations between them.

Methods of disseminating innovations.

Even in the case of internal (within an enterprise or organization) development of innovations (basic, improving, modifying), the conditions for their dissemination often require the purchase of patent licenses, technological documentation, etc. Financing in this case is independent, although state support is not excluded. Transnational corporations (TNCs) and other large companies independently pursue their innovation strategy, although they sometimes do not shy away from government support or attracting specialized partners (especially when implementing process innovations).

However, as is quite natural, in most medium-sized and small enterprises and organizations (except for specialized innovation-oriented enterprises), the dissemination of innovations takes place through the acquisition of basic innovations (including in the form of “turnkey contracts”) as well as improvement and modification innovations in various forms (equipment, documentation, licenses, consulting services, etc.), often with the involvement of specialists who facilitate their implementation.

Naturally, the main way of promoting innovations in production (spreading innovations in production) is borrowing (most often importing), of both basic and improvement innovations, product and process ones at each stage of their promotion (special scientific research, actual development, implementation).

Let us list the main modern mechanisms existing in developed countries for the promotion (dissemination) of innovations in production [Abesadze R., Burduli V., 2017; Abesadze R., Burduli V., 2019; Abesadze R., Burduli V., 2018].

Ensuring the state's innovation policy: a) government organizations that define the state's innovation policy, including ministries, agencies, funds, and other regulatory and financing agencies; In Georgia, following the example of developed countries, issues of innovation policy are primarily addressed by the government as a whole [Government of Georgia, 2018], the Ministry of Economy and Sustainable Development, the Ministry of Regional Development and Infrastructure [Government of Georgia, 2018], the Ministry of Agriculture. The Georgian Innovation and Technology Agency (GITA) has been established and is actively functioning [For the rapid ...], along with the Rural Development Agency. The “Produce in Georgia” Agency consolidates all state programs aimed at supporting the entrepreneurial sector and promoting the country's economic development. The program is aimed at developing micro and small businesses, forming a modern culture of entrepreneurship and creating new jobs [Turnava Natia, 2021]; b) strategy and programs of innovation policy; in this aspect, in the dissemination of innovations in developed countries, various programs co-financed by the state play a major role, for example, programs supporting the establishment of innovative startups; c) the regulatory framework for the development and promotion of innovation activities, including provisions regulating the relationship between science, business and the state; in this regard, the “Law of Georgia on Innovations” was adopted, and other laws also contain provisions regulating this activity.

Technology transfer organizations and other elements of innovation infrastructure (technology parks, business incubators, business accelerators, centers for commercialization and technology transfer, innovation laboratories, etc.) should facilitate the identification and implementation in production processes of both domestic (of which there are few in a small country) and, especially, imported new production technologies. In fact, in addition to the “technology transfer center”, other elements of the innovation infrastructure also directly or indirectly participate in the transfer. For example, the task of business accelerators is usually to support innovative startups, which can also be considered as an element of the technology transfer process.

Innovative clusters. Unlike traditional industrial clusters, innovative clusters represent a system of close interconnections not only between firms, their suppliers and clients, but also knowledge institutions, among which are large research centers and universities, innovative divisions of major corporations, innovative enterprises, etc. Through these interconnections, developed innovations spread not only within the cluster but also beyond its borders.

Innovative clusters can be at the national level and at the regional level. It is necessary to take into account that clusters, regardless of their territorial size, are formed mainly within a certain industry specialization. Even the innovative enterprises of the famous Silicon Valley mostly specialize in the field of information and communication technologies. Within a NUTS level 1 region, there may naturally be several clusters belonging to different sectors; for example, in Finland there are at least two national-level clusters. However, the majority of innovation clusters in EU countries (already numbering more than 2 thousand), which are specialized in a certain type of activity, are formed within the territorial units of a lower NUTS level (for details, see [Abesadze R., Burduli V., 2018]).

Each country is characterized by its own approach to cluster development. Despite the differences, the cluster strategy is especially evident in Denmark, the Netherlands, Belgium, Finland, France, and Italy. The Finnish and Scandinavian industries are fully clustered. The EU

countries have adopted the Scottish model, according to which the cluster center is one large enterprise, around which smaller firms are grouped. There is also the so-called "Italian model" – a more flexible and "equal" cooperation between small, medium-sized, and large businesses [Sepashvili E., 2013].

Today, there are several spontaneous clusters in Georgia that are at an embryonic stage and still far from becoming real clusters (for example, the wine production cluster, the furniture cluster, tourism infrastructure and related industries). However, if their development potential is properly used, they may play an important role in the country's future economic growth under the current conditions, in which Georgia's domestic market is very small and the country holds only a marginal position in the global market [Sepashvili E., 2013].

The main directions of implementing innovations in the modern period

If we consider from the perspective of the number of innovations (basic, incremental, and pseudo-innovations) currently spreading across many industries (according to the criterion of prevalence), then the key factor innovations of the modern technological order are: innovations spreading across different industries within the framework of Information and communication technologies (currently mainly digital technologies) - about 40% of the total number of innovations; innovations spreading across various industries within the framework of the green economy - about 40% of the total number of innovations (however, innovations within the green economy partially overlap with those considered within the circular economy and ecology); innovations in composite materials and nanotechnology spreading in certain industries; innovations spreading across all industries within the circular economy and ecology; biotechnological innovations spreading in the field of healthcare (microbiology, molecular and cellular biology, biochemistry, embryology, genetic engineering, virology, etc.).

Innovations disseminated through digital technologies

It is precisely their speed and versatility that have made Information and communication technologies so highly demanded in modern science, industry, and everyday life. Computers, smartphones, digital television electronics, etc. represent a unique phenomenon that has radically changed the lives of every person on the planet over the past decades.

The transition to new forms of work organization made possible by automated task distribution systems, enterprise management with efficient resource allocation, electronic accounting and document management, as well as systems for monitoring production, the environment and supporting managerial and technological decision-making, allows for a qualitative leap and more efficient use of the existing economic potential. This transition is already taking place through the implementation of relevant basic and improving innovations. At the same time, the volume of new innovative developments in this direction is growing throughout the world.

Modern researchers and experts identify ten main areas of development of digital technologies (in these areas, both basic and improving innovations are implemented, some of them are product-based, but mostly process-based, however, in the service sector, many of them can be interpreted as product-based innovations): 1. Artificial Intelligence and Machine Learning. 2. Blockchain and Cryptocurrencies. 3. Big Data. 4. Telemedicine. 5. Augmented and Virtual Reality (AR/VR). 6. Chatbots and Virtual Assistants. 7. Mobile Technologies and Cybersecurity. 8. Internet of Things (IoT). 9. Computer Vision. 10. Artificial Neural Networks [Chebotarev A., 2018]. In most of these areas, the corresponding innovations can spread across all sectors of the economy.

Innovations disseminated within the framework of the green economy.

All areas of development of the "green" economy require the implementation of innovations both in the form of completely new technologies (basic innovations) and improving innovations, for example, aimed at improving the energy efficiency of industrial equipment I present innovations in the green economy in detail in the article [Burduli V., 2019]. Here, "green" innovations are systematically characterized in terms of types (basic, improving) and the sectors of the economy where they are used. "Today, 40% of global innovations account for the

green economy, and 50% of them relate to energy conservation and energy efficiency, which are key factors of the green economy,” as noted in [What is this..., 2017].

In our opinion, the following key general areas of the "green" economy can be identified: 1. General ecosystem management (waste management, combating water and air pollution, land restoration and sustainable use, restoration and planting of forests); 2. Introduction of renewable energy sources; 3. Reducing the energy intensity of GDP and increasing energy efficiency (construction of buildings and housing and communal services, industry, transport, agriculture); 4. Development of electric transport; 5. Organic farming in agriculture; 6. Development of ecotourism.

Waste management. Currently, a multi-cycle (circular) economy is being formed in developed countries, the main goal of which is to involve production and consumption waste in the secondary circulation. Thus, in Finland, which according to the EPI economic efficiency index for 2016 is the greenest country in the world, only 11% of waste goes to landfill, while the rest is divided into the following categories: "waste sorting," "recycling," and "energy generation" [Experience of the Finland ..., 2017]. Naturally, these subsystems require the implementation of modern innovative technologies, which is indeed taking place in developed countries.

ეს ფრაზა შეიცავს კორექტულ მსჯელობას MMT-იდან, ოღონდ ერთი შენიშვნით: ფულადი ემისია - ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ან ვალის დაფარვის ერთ-ერთი ვარიანტია, მაგრამ არა სავალდებულო. სახელმწიფო ვალი, როგორც ნებისმიერი ვალი, შეიძლება რეფინანსირდეს თანამედროვე ფულად სისტემაში. ამასთან, სუვერენული მსესხებლისათვის განაკვეთი შეუძლებელია ძლიერ განსხვავდებოდეს იმისგან, რომლის თარგეტირება ხდება ცენტრალური ბანკის მიერ თავისი მონეტარული პოლიტიკის ფარგლებში. ჭარბი რეზერვები და ფული, რომლებიც ემისიის შედეგად წარმოიქმნება, ისეთივე ვალად იქცევა, რომლებზეც ცენტ-

რალური ბანკი და კომერციული ბანკები პროცენტებს იხდიან. ამის შემდეგ MMT-ს კრიტიკოსები აღნიშნავენ შემდეგს:

... თავად ვალუტა წარმოადგენს სარეზერვოს. სხვა სიტყვებით, სხვა ქვეყნების ეკონომიკები წარადგენენ მოთხოვნას ეროვნულ ფულზე, რაც ამსუბუქებს ფულის ჭარბი ემისიის შედეგებს. სარეზერვო ვალუტის მქონე ეკონომიკას შეუძლია აანაზღაუროს თავისი სახელმწიფო ხარჯები ბიუჯეტის დეფიციტის ემისიების დაფინანსებით.

MMT-ის კრიტიკოსები აქ იმეორებენ ცნობილ თეზისს, რომ MMT დაავადებულია „ამერიკანოცენტრიზმით“, აღწერენ რა სიტუაციას ექსკლუზიურად წამყვანი მსოფლიო ძალების, კერძოდ, შეერთებული შტატების თვალსაზრისით. მსოფლიო სარეზერვო ვალუტის გამოშვების შესაძლებლობასთან დაკავშირებული დებულების მნიშვნელობისა და უნიკალურობის მიუხედავად, ეს მხოლოდ კონკრეტული მონეტარული სისტემისათვის დამატებითი მახასიათებელია, რაც არ არის მნიშვნელოვანი დეფოლტის შეუძლებლობის შესახებ ცენტრალური არგუმენტისთვის.

სხვა ქვეყნების მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე ან სავალ ვალდებულებებზე აისახება საგადასახდელო ბალანსში, მაგრამ არ ახდენს გავლენას სუვერენული სახელმწიფოს მიერ ვალის ან ფულის გამოშვების ხერხზე - ემისიით თუ სახელმწიფო ობლიგაციების ემისიით. თანამედროვე ფულადი სისტემის მოწყობილობის თვალსაზრისით, ცენტრალური ბანკისგან ფულის ემისია ხდება ან მთავრობის ანგარიშების პირდაპირი დაკრედიტებით, ან ახალი ფულის ადრე შექმნილ სხვა ფინანსურ აქტივებზე გაცვლით. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ემისია აფართოვებს ბანკებში ჭარბ ლიკვიდურობას, რომლის აბსორბცია ხდება ცენტრალური ბანკის ლიკვიდურობის მართვის ჩვეულებრივი ოპერაციების ფარგლებში (ლიკვიდურობა არ აფართოვებს ბანკების შესაძლებლობას ეკონომიკის დაკრედიტების მხრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ მას თავისთავად არ შეუძლია შექმნას ინფლაციური ან სხვა სახის პრობლემები ეკონომიკაში). MMT-ს კრიტიკოსების აზრით, „...განვითარებად ქვეყნებში მსგავსი რამ შეუძლებელია, ვინაიდან საბიუჯეტო ხარჯების ემისიური დაფინანსება იწვევს ჰიპერინფლაციას და ეროვნული ვალუტის გაუფასურებას“.

ეს მომენტი გარკვევას მოითხოვს. სად არის ზუსტად ის ზღვარი, რომლის მიღმაც დანახარჯების საემისიო დაფინანსება იმუქრება ჰიპერინფლაციით? შესაძლოა, ეს არის GDP-ის 1%, 2%, 5%? რითი განსხვავდება „საემისიო დაფინანსება“ ცენტრალური ბანკების მიერ სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვებისგან, რასაც ახლა ვხედავთ? რა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰიპერინფლაცია საკმაოდ იშვიათი მოვლენაა უახლეს ეკონომიკურ ისტორიაში. უფრო მეტიც, ყველა შემთხვევაში, მისი ძირეული მიზეზები იყო არა საემისიო დაფინანსება, როგორც ასეთი, არამედ ყველა სახის შოკი მიწოდების მხარეზე, რომელიც უკავშირდებოდა მსოფლიო კონიუნქტურის ცვლილებას, ომების შედეგებს, სახელმწიფოების ნგრევასთან და ა.შ..

განვითარებადი ქვეყნების ფულადი სისტემები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ვალუტა მცურავი გაცვლითი კურსით, მოქმედებენ იმავე პრინციპებით, როგორც სარეზერვო ვალუტის მქონე ქვეყნები. მათთვის ბიუჯეტის დეფიციტის ეროვნულ ვალუტაში დაფინანსების ხერხსაც არ აქვს მნიშვნელობა. მაგრამ, განვითარებად ეკონომიკებს აქვთ მეტი შეზღუდვა საბიუჯეტო პოლიტიკის სარეალიზაციოდ

არაინფლაციური ხარჯების ზრდისა და ბიუჯეტის დეფიციტის თვალსაზრისით. თუმცა, ეს მართალია MMT-ის თვალსაზრისით ნებისმიერი ეკონომიკისთვის. დეფიციტის ზომას არ აქვს მნიშვნელობა ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ აქვს მნიშვნელობა რეალური რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. განვითარებად ქვეყნებში, სადაც მოსახლეობას სურს დაზოგოს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ სარეზერვო ვალუტაში, ასევე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალი, რომელიც ემსახურება როგორც იმპორტის საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასევე დაზოგვასაც.

კრიტიკოსთა შეხედულებით, *MMT-ის განმასხვავებელი თავისებურებაა უარის თქმა დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე და მთავრობის ორიენტაცია ეკონომიკაში სრული დასაქმების უზრუნველყოფაზე.*

მწელად შეიძლება ითქვას, რომ MMT უარს ამბობს ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელ მონეტარული პოლიტიკაზე. უფრო მეტიც, ადგილი აქვს პრიორიტეტების საკითხს - MMT ამტკიცებს, რომ ეკონომიკური განვითარების მთავარი მიზნები უნდა იყოს სრული დასაქმება, მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რომელსაც თან ახლავს სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი ამოცანების (მაგალითად, გარემოსდაცვითი) შესრულება. ამ სიტუაციაში ადამიანთა ყოფნა, რომლებიც არ არიან ჩართულნი შრომით საკმიაანობაში, ხელიდან გაშვებული წმინდა შესაძლებლობაა, რომელიც ამცირებს მთლიან გამოშვებას ეროვნულ ეკონომიკაში. გარდა ამისა, უმუშევართა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ შეიძლება მოახდინოს ზეწოლა შრომის ბაზარზე ხელფასის დონის შემცირებით და, შესაბამისად, შეამციროს ხელფასის წილი ეროვნული შემოსავლის პირველადი განაწილების სტრუქტურაში. პოსტკეინზიანური სკოლის ეკონომისტები რეგულარულად მიუთითებენ ამ თანაფარდობის შეცვლაზე (მოგების სასარგებლოდ), როგორც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზზე. გარდა ამისა, ბაგირის ერთგვარი გადამალვა ფისკალურ და მონეტარულ ხელისუფლებას შორის არასაჭირო სირთულეებს ქმნის სახელმწიფო მართვის საქმეში.

კრიტიკოსთა აზრით, *...გადასახადები MMT-ში საჭიროა მხოლოდ ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.*

MMT ცალსახად აღიარებს, რომ ფინანსურად სუვერენული სახელმწიფო არ საჭიროებს გადასახადებს საკუთარი დანახარჯების დასაფინანსებლად, ვინაიდან მას ტექნიკურად ყოველთვის შეუძლია დამატებით საჭირო ვალუტის ემისია და განახორციელოს დეფიციტური ხარჯები დამოუკიდებლად იმისა, თუ რა რაოდენობის გადასახადები იქნა აკრეფილი წინა პერიოდში.

თუმცა, გადასახადებს გააჩნია ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია. მათ შორის, ერთ-ერთი, რომელიც სწორადაა შენიშნული MMT-ის კრიტიკოსების მიერ, ესაა ინფლაციასთან ბრძოლა, აკი გადასახადების ამოღების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ერთ ანგარიშზე (კერძოზე) ვალუტების განადგურება მისი ხელახლა შექმნით სხვა (სახელმწიფოს) ანგარიშზე. მაგრამ მეორე, დაუსახელებელი ფუნქცია, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, არის ეკონომიკის არაინფლაციური მართვის შესაძლებლობა ხელმისაწვდომი რესურსებით, მათ შორის, შრომითი რესურსებით. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენს წერდნენ პოსტკეინზიანური სკოლის წარმომადგენლები მზარდი უთანასწორობის უარყოფით შედეგებზე, ფინანსურ სექტორში კაპიტალის კონცენტრაციაზე, სპეკულაციასა და ფინანსურ მაქინაციებზე

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში, მეორე ფუნქციის ჩამოწერა არაფრით არ შეიძლება. მოკლედ, გადასახადები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთავრობის კონტრციკლურ პოლიტიკაში (<https://medium.com/@politeconomics/современная-денежная-теория-ответ-сергею-моисееву-4c54e07a397d>).

MMT-ის კრიტიკოსები ხაზს უსვამენ სამ დებულებას. განვიხილოთ ისინი იმავე თანმიმდევრობით, როგორი თანმიმდევრობითაც გახმოვანებულია თავად კრიტიკოსების მიერ:

ჯერ ერთი, ბიუჯეტის დეფიციტის საემისიო დაფინანსება უმრავლეს შემთხვევაში მთავრდებოდა ინფლაციით. ამ მიზეზით, ეროვნული კანონმდებლობა ცენტრალური ბანკის შესახებ მათ აღჭურავს მთავრობისგან დამოუკიდებლობით, ასევე აკრძალვას აწესებს ბიუჯეტის პირდაპირ დაკრედიტებაზე და სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვაზე პირველად ბაზარზე.

MMT სწორედაც რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინფლაციას, ამტკიცებს რა, რომ სწორედ ის წარმოადგენს იმ შემზღუდველს, რომელიც განსაზღვრავს ბიუჯეტის დანახარჯებისა და დეფიციტის გაზრდის შესაძლებლობას. ანუ, ინფლაციაზე პასუხისმგებელი ხდება არა მხოლოდ დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, არამედ მთავრობაც. მაგრამ MMT არ აღიარებს პირდაპირი კავშირის არსებობას ფულის ემისიასა და ინფლაციას შორის. ინფლაციის მიზეზები განსხვავდება ეპოქისა და ქვეყნის მიხედვით: მოთხოვნის სიჭარბე იშვიათად არის მიზეზი, უფრო ხშირად ეს არის კომპანიების უზომო საბაზრო ძალაუფლება, რომლებიც ზრდის ფასებს საზოგადოების ხარჯზე მაღალი მოგების გამო. MMT მხარს უჭერს შესაძლო ინფლაციური ეფექტის შეფასებას ეკონომიკის სექტორების დეტალური ანალიზით და არა მხოლოდ მაკროსტატისტიკის ანალიზით. უნდა აღინიშნოს, რომ MMT-ის მხარდამჭერები არ გვთავაზობენ ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების უნიკალურ გზებს, რომლებიც არ გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკაში (Mitchell, 2013). უფრო მეტიც, კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ მოქმედი სისტემის პირობებშიც კი, ცენტრალურმა ბანკმა საკვებით შეიძლება შეიძინოს ობლიგაციები მეორად ბაზარზე, რასაც პრაქტიკაში ის რეგულარულადაც აკეთებს. შემთხვევა, როცა საემისიო დაფინანსება მთავრდებოდა ინფლაციით, განეკუთვნება ან სასაქონლო ფულის ეპოქას, ან ფინანსური გაგებით არასუვერენულ სახელმწიფოს. მსოფლიო ეკონომიკის ახალ, ცვალებად პირობებში, ცენტრალური ბანკი იძულებულია ებრძოდეს არა მაღალ, არამედ ძალზე დაბალ ინფლაციას.

მეორეც, სახელმწიფო ვალს გააჩნია ლიმიტები განვითარებული ეკონომიკების ქვეყნებშიც კი... შედეგად, მაღალი სახელმწიფო ვალის მქონე ეკონომიკებში ინფლაციური მოლოდინები საშუალოდ უფრო მაღალია.

საინტერესო განცხადებაა სახელმწიფო ვალის ინფლაციასთან კავშირის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება იმას, რასაც MMT-ის კრიტიკოსები ადრე რამდენიმე აზრად იწერენ: *განვითარებულმა ეკონომიკებმა დაამყარეს ისტორიული რეკორდები სახელმწიფო ვალის მშპ-ის თანაფარდობაში. 2024 წლისთვის იაპონიაში სახელმწიფო ვალი შეადგენს მშპ-ის 252%-ს, აშშ-ში - მშპ-ის 122%-ს, ევროზონასა და დიდ ბრიტანეთში - მშპ-ის 98%-ს.*

გამოდის, რომ ამ პირობებში ინფლაციური მოლოდინები და, მაშასადამე, საბოლოო ჯამში, თავად ინფლაციაც დასაშვებ ზღვარს უნდა გასცდეს? მაგრამ ბოლო მონაცემებით, იაპონიაში ინფლაცია დაახლოებით 0,5%-ია, აშშ-ში - 1,8%, ევროკავ-

შირში - 1,4%, დიდ ბრიტანეთში - 2,1%. ასე რომ, უახლოეს წლებში უნდა ველოდოთ ინფლაციურ აფეთქებას?

მესამე, სრული დასაქმების უზრუნველყოფისას სახელმწიფო არ არის ყველაზე ეფექტიანი დამსაქმებელი და ინვესტორი. სახელმწიფო სექტორი ხასიათდება შრომისა და კაპიტალის დაბალი მწარმოებლურობით. მასტიმულირებელი პოლიტიკის კერძოდან სახელმწიფო სექტორზე გადასვლა გამოიწვევს არა გამოცოცხლებას, არამედ ეკონომიკური ზრდის შენელებას.

ეს განცხადებები უპირატესად დეკლარაციულია, ვინაიდან არ არის მოცემული ეფექტურობის განსაზღვრის კონკრეტული მეთოდიკა და არ არის დასაბუთებული კომერციულ და სახელმწიფო საწარმოებს შორის პირდაპირი შედარების შესაძლებლობა. გარდა ამისა, MMT გვთავაზობს დასაქმებას სახელმწიფო სექტორში მხოლოდ როგორც ერთგვარი ბუფერი, დაზღვევა უმუშევრობის ზრდისაგან და ეკონომიკური ციკლის დადმავალი ფაზისგან. რთული პერიოდის გავლის შემდეგ, შრომითი რესურსები შეძლებს კერძო სექტორში დაბრუნებას, რომელიც დაუბრუნდება წარმოების გაფართოებას და დამატებითი მუშახელის დაქირავებას. თუნდაც რომ დავეთანხმოთ დაუსაბუთებელ ფრაზას იმაზე, რომ სახელმწიფო, თავისი ბუნებით, არაეფექტიანია, მაინც უნდა ვადიაროთ, რომ დაბალეფექტიან პოზიციასზე მომუშავე ადამიანი გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტანს ეკონომიკას, ვიდრე უმუშევარი (Nesiba, 2013).

მეოთხე, პრობლემები დროული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით: დაბეგვრა, რომლის მეშვეობითაც MMT-ის მხარდამჭერები გევმავენ ინფლაციის კონტროლს, ინერტული ხასიათისაა. საპროცენტო განაკვეთისგან განსხვავებით, მისი ოპერატიულად გაზრდა რთულია - საბიუჯეტო ნორმების გადახედვას შეიძლება წლები დასჭირდეს. პრაქტიკაში არცერთი ქვეყანა არ იყენებს გადასახადებს მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის გასაკონტროლებლად.

შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ გამოთქმულ იდეებს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ MMT-ის ავტორებს არსად და არასოდეს უთქვამთ, რომ ინფლაციის კონტროლის ერთადერთი მეთოდი საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს.

MMT-ის კრიტიკოსებს შორის მრავლადაა სხვადასხვა შეხედულების მქონე ცნობილ ეკონომისტთა ფართო სპექტრ: ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ კენეტ როგოფიდან და აშშ-ის ხაზინის ყოფილი მდივანიდან - ლოურენს სამერსიდან, ნიუ-იორკის საქალაქო უნივერსიტეტის პროფესორ პოლ კრუგმანამდე.

სამწუხაროდ, მკითხველი არ არის ინფორმირებული, რომ ბოლო დროს კრუგმანი არ იყო ძალიან წარმატებული ტექსტურ დებატებში MMT-ის გამოჩენილ მხარდამჭერ სტეფანია კელტონთან, რომელშიც მან ვერ დაადგინა რაიმე სერიოზული ხარვეზი ეკონომისტების პოზიციაში, რომლებიც ეთანხმებოდნენ მას. მანამდე მსგავსი უხერხულობით დასრულდა დებატები ეკონომისტთან, სტივენ კინთან, თანამედროვე მონეტარული სისტემების არქიტექტურის შესახებ. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ კრუგმანიც და სამერსიც თანდათან მიდიან MMT-ის მსგავს დასკვნებამდე, მაგრამ თითქოს „დამოუკიდებლად“, ამახვილებენ რა ყურადღებას მონეტარული პოლიტიკის შედარებით მცირე პოტენციალზე და ფისკალური რეგულირების გაფართოებულ შესაძლებლობებზე (<https://twitter.com/paulkrugman/status/1164604703424090112?s=21>).

მოდიოთ, შევაჯამოთ შუალედური შედეგები:

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ორთოდოქსი ეკონომისტები მიზანმიმართულად მანიპულირებენ მონაცემებით და MMT-ის მხარდამჭერებს მიაწერენ დასკვნებს, რომლებიც არანაირად არ გამომდინარეობს ამ მიმდინარეობის ძირითადი თეორიული საფუძვლებიდან.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ არსებობს ვერსიის ზოგიერთი კონფლიქტი. საქმე ისაა, რომ MMT-ის პოპულარობა დაკავშირებულია მხოლოდ მის ციტირებასთან ცნობილი პოლიტიკოსების მიერ. ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს ტენდენცია მხარდამჭერებს იძენს ინტერნეტში - სხვადასხვა ფორუმებზე, კერძო ბლოგებზე და სხვა სადისკუსიო პლატფორმებზე. რა თქმა უნდა, გავრცელების ამგვარი მოდელის გვერდით ეფექტად იქცა ენთუზიასტების გაჩენა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ თავს MMT-ის მხარდამჭერებად ასახელებენ, არ არიან პროფესიონალი ეკონომისტები, ცენტრალური ბანკის თანამშრომლები და ფინანსისტები. მოყვარულებს შეუძლიათ თავიანთ თავს მისცენ ნება განსაჯონ არაკორექტულად და მოიყვანონ გამარტივებული ილუსტრაციები.

თუმცა, პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება ნამდვილ პროფესიონალებს, მოითხოვს გასაანალიზებელი წყაროებისადმი პატივისცემით მიდგომას. ამ მხრივ, MMT-ის კონცეფციის ყველაზე სანდო, სრული ნაკრები (მათ შორის, ზოგადად მასთან დაკავშირებული პოსტკინზიანური სკოლის დებულებები) არის ახლახან გამოსული სახელმძღვანელო Macroeconomics, R. Ray, B. Mitchell, B. Watts. უფრო ხელმისაწვდომი და უფასო ვარიანტია პრაიმერი MMT-ის შესახებ, რომელიც რენდალ რეიმ შეავსო და გამოსცა ქსელში არაკომერციულ საფუძველზე. რა თქმა უნდა, ამ მასალების გაცნობაზე შეიძლება გავიდეს მნიშვნელოვანი დრო და მას მოხმარდეს დიდი შრომა, მაგრამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს არაავთენტურ თეორიასთან კამათის მნიშვნელოვანი რისკი. იგივე ეხება ეკონომიკური აზროვნების ნებისმიერ სხვა მიმართულებას, მათ შორის MMT-ს, რომელსაც სულ რამოდენიმე წლის წინათ უწოდებდნენ „მარგინალურ, უცნობ, არაგავლენიან თეორიას“.

დასკვნა

გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში მეინსტრიმული მაკროეკონომიკა სულ უფრო და უფრო ნაკლებუნარიანი ხდებოდა ესწავლებინა ჩვენთვის, თუ როგორ ფუნქციონირებს თანამედროვე მონეტარული ეკონომიკები. ნაწილობრივ, ეს განპირობებულია მათემატიკურ მოდელებზე გაზრდილი აქცენტით, რომელიც ემყარება გამარტივებულ ვარაუდებს და ადამიანის ქცევა დაჰყავს „რაციონალური აგენტის“ ქცევამდე, რომელიც მარტივი მიზნების მაქსიმიზაციას, უარეს შემთხვევაში, „სარისკო“ ეკონომიკურ გარემოში ახდენს.

ის, თუ როგორ ფუნქციონირებს თანამედროვე ეკონომიკური ინსტიტუტები, როგორიცაა ცენტრალური ბანკი და ხაზინა, ან არასწორადაა წარმოდგენილი, ან დიდწილად იგნორირებულია. გარდა იმისა, რომ თანამედროვე მეინსტრიმული თეორია „მიკროზე დაფუძნებულ“ რწმენას მიიჩნევს მაკროეკონომიკური თეორიის კარგ საფუძვლად, ის იყენებს კონსტრუქციას, როგორიცაა ერთი წარმომადგენლობითი აგენტი, რომელიც ანაცვლებს საზოგადოებას. ამან განაპირობა მტკიცებების მთელი ნაკრები, რომლებიც დაავადებულია „კომპოზიციის მცდარობით“.

ყველა ამ მახასიათებლის ერთად აღებისას, თანამედროვე მაკროეკონომიკურმა თეორიამ იმ დონეზე დააბრმავა თავისი მომხრეები, რომ მათ ვერ შეძლეს გლობალური ფინანსური კრიზისის განჭვრეტა და სამაგიეროდ, აიძულა ისინი წამოეყენებინათ ისეთი პოლიტიკა, რომელმაც დააჩქარა კრიზისის დაწყება. კრახის

შემდეგაც კი, მათ მხარი დაუჭირეს პოლიტიკას, რომელმაც შეანელა აღდგენა და გაზარდა კიდევ ერთი კრიზისის შანსები.

ამ სახელმძღვანელოში შემუშავებული MMT-ის კონცეფცია ეფუძნება მაკროეკონომიკის ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომას. როგორც ვაჩვენეთ, MMT-ის პრაქტიკოსებმა დაინახეს კრიზისის მოახლოება. მათ, რომლებმაც განჭვრიტეს კრიზისი, გაიზიარეს უფრო რეალისტური მიდგომა ადამიანის ქცევის მიმართ, რომელიც ეფუძნებოდა გიგანტების ნაშრომებს, როგორებიცაა მარქსი, ვებლენი, კეინზი და კალეკი. ადამიანები სოციალური ცხოველები არიან, რომელთა ქცევა ყალიბდება ინსტიტუტების, კლასების, ჩვეულებებისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით. მათი გადაწყვეტილებები მიიღება ნამდვილი გაურკვევლობის პირობებში, სადაც სხვადასხვა შედეგის ალბათობის რაციონალური გამოთვლა შეუძლებელია.

გარდა ამისა, ის ეკონომიკები, რომლებიც მაკროეკონომიკის ანალიზის საგანია, კაპიტალისტური ეკონომიკებია, რომლებიც ორგანიზებულნი არიან იმის ირგვლივ, რასაც შეიძლება ეწოდოს „მონეტარული წარმოება“. კერძო წარმოების მიზანი ამ ეკონომიკებში არის „ფულის შოვნა“, ანუ მოგების მიღება ფულადი მოთხოვნის ფორმით. ფული არ შეიძლება იყოს „ნეიტრალური“ ამ ეკონომიკებში, რადგან თავად წარმოების პროცესი ორიენტირებულია ფულად მოგებაზე.

როგორც სამი დიდი ეკონომისტი მარქსი, ვებლენი და კეინზი ამტკიცებდნენ, კაპიტალისტური წარმოება იწყება ფულით, რათა მეტი ფულით დასრულდეს. მომგებიანი წარმოების პერსპექტივები ყოველთვის გაურკვეველია. წარმოება, უზრალოდ, მარტო ტექნიკური საკითხი რომ ყოფილიყო, გაურკვევლობა ნაკლები იქნებოდა: „წარმოების ფაქტორების“ კომბინირება კარგად ცნობილი შაბლონების მიხედვით, რათა იწარმოოს „ვიჯეტები“, რომლებიც საბაზრო წონასწორული რეალური (შეფარდებითი) ფასებით გაიყიდება.

მაგრამ, კაპიტალისტური წარმოება გაცილებით რთულია. კაპიტალისტმა თავდაპირველად უნდა მიიღოს ფული, რათა დაიქირაოს წარმოების ფაქტორები, რაც, ალბათ, გამოიწვევს სავალო ვალდებულებების (სასესხო ხელშეკრულებების) გამოყენებას, რომლებიც მოითხოვს პროცენტებით დაფარვას. ამ ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება შემოსავლებზე, რომლებიც მიღებული იქნება მომავალში. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, როცა საუბარი ეხება საინვესტიციო გადაწყვეტილებას, რომელშიც ძვირი, გრძელვადიანი გამოყენების კაპიტალური აქტივები შეიძინება ვალის ხარჯზე, რომლის მომსახურება, შესაძლებელია მოხდეს ხუთი, ათი ან ოცი და მეტი წლის მანძილზე. საინვესტიციო ფირმას არ აქვს ბროლის ბურთი, რომელიც გამოავლენს მის შემოსავლების ნაკადს დროის ასეთ ხანგრძლივ პერიოდებში.

ამ მიზეზით, ვალი მნიშვნელოვანია. მაღალიკვიდური აქტივების ფლობა, ისევე როგორც უსაფრთხოების ზღვრებში დგომა, ასეთ პირობებში გონივრული ქცევაა. ლიკვიდური პოზიციების მიმართ პრეფერენცია გამოწვეულია სამომავლო შედეგებთან მიმართებაში გაურკვევლობის გამო, ხოლო ლიკვიდურობისადმი უპირატესობის მინიჭების ხარისხი დამოკიდებულია ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ტალღებზე საქმიანი ციკლის განმავლობაში. ბუმმა შეიძლება წარმოშვას ეიფორია და ფასების ვარდნის რისკების შემცირების სურვილი როგორც მსესხებლების, ისე კრედიტორების მხრიდან. ფინანსური სიმყიფე შეიძლება გაიზარდოს, რაც კრიზისს უფრო სავარაუდოს ხდის, მაშინაც კი, როცა მსესხებლები და კრედიტორები იზიარ-

რებენ შეხედულებას, რომ კრიზისის შესაძლებლობა სულ უფრო შორსაა. პოლიტიკის გამტარებლებმა ხელი შეუწყეს უსაფრთხოების მცდარ აღქმას, როცა გაიზიარეს „დიადი მოდერაცია“ გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, რომელიც მისი განმეორების საფრთხეა „ახალი ეკონომიკის“ შესახებ თვალმაცვური რიტორიკით.

ამ სახელმძღვანელოს მკითხველები, რომლებიც ჩაერთნენ და კრიტიკულად შეაფასეს მასალა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოტყუვდნენ. ისინი აღიარებენ, რომ საბაზრო ძალები საჭირო არაა სტაბილიზაციისათვის. სინამდვილეში, როგორც მინსკი ამტკიცებდა, საბაზრო ძალები შეიძლება დროდადრო მადესტაბილიზებელი და ფეთქებადიც კი იყოს. ამის ნაცვლად, სწორედ ბაზრებზე დაწესებულმა ინსტიტუციურმა სტრუქტურამ შეიძლება შეზღუდოს არასტაბილურობა. თუმცა, ბაზრის მონაწილეები აშკარა სტაბილურობაზე რეაგირებენ ისეთი გზებით, რომლებიც ამცირებს შეზღუდვების ეფექტურობას. ეკონომისტები და პოლიტიკის გამტარებლები სკეპტიკურად უნდა იყვნენ განწყობილი სტაბილურობის „ახალი ეპოქის“ აღზევების შესახებ მტკიცებების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

მიტჩელი უ., რეი ლ. რენდალ, უოტსი მ., (2025), მაკროეკონომიკა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2025. გვ. 757-758.

Mitchell William, (2013), Modern Monetary Theory, Macroeconomic research, teaching and advocacy, May 5, 2013. <http://bilbo.economicoutlook.net/blog/?p=23719>

Mitchell William, (2020), Modern Monetary Theory, <http://bilbo.economicoutlook.net/blog/>

Nesiba R. (2013). Do institutionalists and post-Keynesians share a common approach to Modern Monetary Theory (MMT)? European Journal of Economics and Economic Policies: Intervention, Vol. 10, No. 1, pp. 44 — 60. <https://doi.org/10.4337/ejeep.2013.01.05>

<https://twitter.com/paulkrugman/status/1164604703424090112?s=21>

Malkhaz Chikobava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Department of Macroeconomics, Associate Professor;

Nazira Kakulia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Department of Macroeconomics, Associate Professor;

Tea Lazarashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Paata Gugushvili Institute of Economics Chief Researcher,

Caucasus International University Associate Professor

DEBATE ON THE BASIC PRINCIPLES OF MODERN MONETARY THEORY

DOI:[10.52340/ekonomisti.2025.03.02](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.02)

Expanded Summary

The conceptual and analytical framework of Modern Monetary Theory (MMT) is based on the principles of functional finance and the theory of money known as Chartism. When applied to specific macroeconomic analysis, it is based on prevailing institutional practices. Typi-

cally, these methods assume constraints on the behavior of the central bank and/or the treasury imposed by political and ideological processes, which are often mistakenly interpreted as substantive (involuntary) constraints. MMT removes this ideological veil, revealing the inner workings of modern monetary economies.

This paper attempts to provide an MMT-based response to the orthodox critics of the basic assumptions of MMT. It also presents some key insights developed by MMT that will help students (and others) rethink their knowledge of the functioning of modern advanced capitalist economies. It should be emphasized that these ideas are not unique to MMT and are based on a large heterodox literature.

Our goal is to draw attention to critical opinions about modern monetary theory, which may give an inexperienced reader an incorrect, incomplete idea of the theoretical premises of MMT and the practical recommendations offered by scholars following this direction.

When discussing MMT, it is necessary to distinguish between its methodology (balance sheet analysis and the apparatus of modern monetary systems) and its ideology (recommendations to politicians about what they should do). It is difficult to disagree with MMT's description of the modern (fiat) monetary system. However, it is difficult to draw any categorical conclusions for economic policy based on it. We may agree that many MMT adherents are left-wing, but this does not mean that the theory itself is “left-wing”.

Perhaps the desire to focus on orthodox ideology prevents a certain group of academic economists from presenting the foundations and methodology of MMT in an unbiased manner. In order not to be unfounded, let us turn to the main statements: In order not to be unfounded, let us turn to the main arguments of MMT critics:

In a deflationary-recessionary environment, the popularization of MMT offers us a “scientific” justification for why central banks should buy government debt, and finance ministries should increase its issuance.

The unorthodox monetary policy measures that we have seen in recent decades indicate exactly this. But in order to move on to drawing conclusions from MMT, we need to properly understand how the modern financial system works at the operational level. It is not necessary for the central bank to buy government debt. The result of such purchases is excess reserves on bank balance sheets, shorter duration of financial assets in private sector portfolios, lower long-term interest rates, and nothing more. The same can be achieved by issuing shorter-term government debt obligations or simply not issuing them at all, but by directly crediting government accounts with the amount of the budget deficit. The primary concern is the government's desire to increase spending and allow a budget deficit, not the method of financing it.

Then, supporters of the orthodox paradigm cite the main provisions of MMT:

MMT is based on several assumptions. Its supporters assume that the government can issue government bonds and also cover them at the expense of monetary emission, as a result of which a default on the government debt is impossible. First of all, this applies to sovereign economies whose public debt is denominated in national currency...

This phrase contains the correct reasoning from MMT, but with one caveat: monetary emission is one of the options for financing budget deficits or repaying debt, but not mandatory. Public debt, like any debt, can be refinanced in a modern monetary system. At the same time, the rate for a sovereign borrower cannot differ significantly from the one targeted by the central bank within the framework of its monetary policy. Excess reserves and money that are created as a result of emission become the same debt on which the central bank and commercial banks pay interest. After that, critics of MMT note the following:

... The currency itself is a reserve. In other words, the economies of other countries create a demand for the national currency, which mitigates the consequences of excess money emission. An economy with a reserve currency can cover its government spending by financing budget deficit emissions.

Critics of MMT here repeat the well-known thesis that MMT suffers from “Americanocentrism”, describing the situation exclusively from the point of view of the leading world powers, namely the United States. Despite the importance and uniqueness of the provision regarding the possibility of issuing a world reserve currency, this is only an additional feature of a particular monetary system, which is not important for the central argument about the impossibility of default.

The demand of other countries for the national currency or debt obligations is reflected in the balance of payments, but does not affect the way in which a sovereign state issues debt or money - by issuing it or by issuing government bonds. From the point of view of the device of the modern monetary system, the issue of money by the central bank occurs either by directly crediting government accounts, or by exchanging new money for other previously created financial assets. In both cases, the issue expands excess liquidity in banks, the absorption of which occurs within the framework of the central bank's normal liquidity management operations (liquidity does not expand the ability of banks to lend to the economy, which means that it cannot in itself create inflationary or other problems in the economy). According to critics of MMT, “...something like this is impossible in developing countries, since the emission financing of budget expenditures leads to hyperinflation and depreciation of the national currency.”

This point requires clarification. Where exactly is the threshold beyond which the emission financing of expenditures threatens hyperinflation? Perhaps it is 1%, 2%, 5% of GDP? How does “emission financing” differ from the purchases of government bonds by central banks, which we are now seeing? Of course, it should be noted that hyperinflation is a rather rare phenomenon in recent economic history. Moreover, in all cases, its root causes were not emission financing as such, but all kinds of shocks on the supply side, which were associated with changes in the world economy, the consequences of wars, the collapse of states, etc.

The monetary systems of developing countries that have their own currencies with a floating exchange rate operate on the same principles as countries with reserve currencies. For them, the method of financing the budget deficit in the national currency does not matter. However, developing economies have more restrictions on the implementation of budgetary policy in terms of non-inflationary spending growth and budget deficits. However, this is true for any economy from the point of view of MMT. The size of the deficit does not matter from a financial point of view, but it matters from the point of view of the availability of real resources. In developing countries, where the population wants to save not only in national but also in reserve currencies, export potential is also important, serving both to meet import needs and to generate savings.

According to critics, the distinctive feature of MMT is the rejection of independent monetary policy and the government's orientation towards ensuring full employment in the economy.

It can hardly be said that MMT rejects the independent monetary policy of the central bank. Moreover, there is a question of priorities - MMT argues that the main goals of economic development should be full employment, sustainable economic growth, accompanied by the fulfillment of other socially important tasks (for example, environmental protection). In this situation, the presence of people who are not involved in labor activity is a net missed opportunity that reduces total output in the national economy. In addition, a significant number of unemployed people can put pressure on the labor market by reducing the level of wages and, accordingly, reduce the share of wages in the structure of the primary distribution of national income. Post-Keynesian economists regularly point to this shift in the balance (in favor of profits) as one of the most important reasons for the decline in economic growth rates in recent decades. In addition, the tightrope between fiscal and monetary power creates unnecessary difficulties in state management.

Critics argue that ...taxes in MMT are needed only to combat inflation.

MMT implicitly recognizes that a financially sovereign state does not need taxes to finance its own spending, since it can technically always issue additional currency and carry out deficit spending regardless of how much tax has been collected in the past.

However, taxes have two important functions. Among them, one that is rightly noted by critics of MMT is the fight against inflation, even though the process of collecting taxes is nothing more than the destruction of currencies on one account (private) by re-creating them on another (state) account. But the second, unnamed function, which is much more important, is the ability to manage the economy in a non-inflationary way with available resources, including labor resources. Given how much the representatives of the post-Keynesian school have written about the negative consequences of growing inequality, the concentration of capital in the financial sector, speculation and financial machinations over the past 30-40 years, the second function cannot be discounted. In short, taxes play an important role in the government's countercyclical policy.

We are far from the opinion that orthodox economists are deliberately manipulating the data and ascribing to MMT supporters conclusions that do not in any way follow from the main theoretical foundations of this trend.

We assume that there is some conflict of versions. The point is that the popularity of MMT is associated only with its citation by well-known politicians. For more than a decade, this trend has been gaining supporters on the Internet - on various forums, private blogs and other discussion platforms. Of course, a side effect of such a distribution model has been the emergence of enthusiasts who, although they call themselves MMT supporters, are not professional economists, central bankers and financiers. Amateurs can allow themselves to judge incorrectly and give simplified illustrations.

However, the responsibility that lies with real professionals requires a respectful approach to the sources being analyzed. In this regard, the most reliable, complete set of MMT concepts (including the post-Keynesian school of thought generally associated with it) is the recently published textbook *Macroeconomics*, R. Ray, B. Mitchell, B. Watts. A more accessible and free option is the *Primer on MMT*, which Randall Ray has completed and published on the Internet on a non-commercial basis. Of course, getting acquainted with this material can take considerable time and effort, but otherwise there is a significant risk of arguing with an inauthentic theory. The same applies to any other direction of economic thought, including MMT, which just a few years ago was called a “marginal, unknown, uninfluential theory.”

Key terms: central bank, government, treasury, commercial banks, budget expenditures, emission financing, inflation, orthodox and heterodox paradigms, full employment, emission financing.

ნაზირა კაკულია

თსუ მაკროეკონომიკის კათედრის

ასოცირებული პროფესორი;

ნოდარ კილაძე

ასისტენტ-პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.09](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.09)

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, PHDF-18-858, „ინფლაციური პროცესების რეგულირების პრობლემები - საქართველოს მაგალითი“.

ანოტაცია. სტატია იკვლევს მანქანური დასწავლისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენას მონეტარული პოლიტიკის განვითარებაზე მსოფლიოში, ხაზს უსვამს აღნიშნული ინსტრუმენტების მნიშვნელოვან როლს ცენტრალურ ბანკებს შორის პროგნოზირებისა და რისკის შეფასების გაუმჯობესებაში. ტრადიციული მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომლებსაც ეკონომიკური თეორია და ეკონომეტრიკული მოდელები ეყრდნობა, დღეს მანქანური დასწავლის მოდელებთან ერთად გამოიყენება, რაც ხელს უწყობს დიდი მონაცემების დამუშავების პროცესში რთული კავშირების გამოვლენას.

მანქანური დასწავლის მეთოდები ასევე ფართოდ გამოიყენება ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგში, სესხების რისკის მოდელირებასა და კრიზისების ადრეული გამოვლენის სისტემებში. ბუნებრივი ენის დამუშავება აუმჯობესებს ცენტრალური ბანკების კომუნიკაციას საზოგადოებასთან განცხადებებისა და საჯარო განცხადებების ანალიზით, რაც საშუალებას აძლევს ცენტრალურ ბანკებს უკეთ შეიწავლონ ბაზრის განწყობა და გაატარონ შედარებით ზუსტი მონეტარული პოლიტიკა.

მიუხედავად ამისა, მანქანური დასწავლისა და ხელოვნური ინტელექტის მოდელების დანერგვას თან ახლავს ბევრი გამოწვევა, მათ შორის მონაცემთა ხარისხი, მოდელების გამჭვირვალობა, ტექნიკური ინფრასტრუქტურა და კიბერუსაფრთხოება. შესაბამისად, ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია ჰიბრიდული მიდგომის გამოყენება, რომელიც იყენებს ექსპერტულ ანალიზს და ეკონომიკურ თეორიას და ხელოვნური ინტელექტის მოდელებს იყენებს დამატებით ინსტრუმენტად, რაც უზრუნველყოფს შედარებით ზუსტი და გამჭვირვალე პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, მანქანური დასწავლა, პროგნოზირება

შესავალი

მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასების სტაბილურობის რეგულირებაში, მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებაში. ტრადიციულად, ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეყრდნობოდნენ არსე-

ბულ ეკონომიკურ თეორიებს, ექსპერტულ შეფასებებს, სტატისტიკურ და ეკონომეტრიკულ მოდელებს. თუმცა, გლობალური ეკონომიკის კომპლექსურობის ზრდამ და გამოთვლითი სიმძლავრეების განვითარებამ ცენტრალურ ბანკებს ახალი ანალიტიკური ინსტრუმენტების ძიებისკენ უბიძგა. ამ კონტექსტში, მანქანური დასწავლა (ML) და ხელოვნური ინტელექტი (AI) პერსპექტიულ ინსტრუმენტებად გამოიკვეთა მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. ბოლო წლებში, მსოფლიოს ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს AI/ML ტექნიკების შესწავლა და დანერგვა საკუთარი საქმიანობის პროცესში, რაც განაპირობა ფინანსური, თუ სხვა სახის კრიზისების პერიოდში გაურკვევლობის ზრდამ და, ამავდროულად, მონაცემთა მრავალფეროვანი ნაკრებების ხელმისაწვდომობამ (Georgieva, 2023).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, გარდაქმნას ცენტრალური ბანკების ძირითადი ამოცანები, რითაც ინფლაციის პროგნოზირებასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ფინანსური მოწყვლადობის გამოვლენას, შედეგად კი გაუმჯობესდება ფასების სტაბილურობის და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის გზები (Hartmann, Maver, 2025; BIS, 2024). სტატია წარმოადგენს მანქანური დასწავლისა და ხელოვნური ინტელექტის გლობალური გავლენის მიმოხილვას მონეტარულ პოლიტიკაში, უახლესი კვლევების ინტეგრირებით. მაკროეკონომიკური პროგნოზირების, ფინანსური სტაბილურობის ანალიზისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომუნიკაციების ტექსტური ანალიზის დახმარებით, ჩვენ განვიხილავთ აქტუალურ ლიტერატურას აღნიშნული საკითხების ირგვლივ და გთავაზობთ ტრადიციული და ახალი მიდგომების შედარებას. სტატიის მიზანია შეფასდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ტექნიკები მონეტარულ პოლიტიკაში მსოფლიო მასშტაბით, შეფასდეს მათი სარგებელი და შეზღუდვები აკადემიურ კონტექსტში, სხვადასხვა ცენტრალურ ბანკებში დანერგილი პრაქტიკისა და მათი მოსაზრებების მიმოხილვის დახმარებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ადრეულმა კვლევებმა გამოკვეთა ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი ეკონომიკური პროგნოზირების ჭრილში. აღსანიშნავია ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ნეირონული ქსელები დახმარებით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროგნოზირება (Vrbka, 2016), დინამიკური სტოქასტური ზოგადი წონასწორობის (DSGE) მოდელის (Tovar, 2008) და ჰიბრიდული მოდელები აღნიშნული ორი მეთოდის ინტეგრაციით (Stempel, Zahner, 2022), რის შედეგადაც დადგინდა, რომ მანქანური დასწავლის მეთოდებს შეუძლიათ ისეთი რთული, არაწრფივი კავშირების აღქმა, რომლებიც შესაძლოა ვერ აღმოაჩინონ სტანდარტულმა მოდელებმა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წარმოადგენს ტრადიციული მოდელების გაძლიერების, და არა მათი ჩანაცვლების ინსტრუმენტს (Georgieva, 2023).

მაკროეკონომიკური პროგნოზირებისა და ნაუქასთინგის (nowcasting) მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ მანქანური დასწავლის ალგორითმებს (მაგ. Random Forests), ტრადიციულ სტატისტიკურ მოდელებთან შედარებით, უკეთესად შეუძლიათ აშშ-ს ინფლაციის პროგნოზირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელმისაწვდომია რაოდენობრივად მეტი მონაცემი (Medeiros et al., 2021). ახალი ზე-ლანდიის მაგალითზე განხორციელებული ერთ-ერთი კვლევა ასევე აღნიშნავს, რომ შესაძლებელია რეალურ დროში მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება მანქანური დასწავლის მეთოდების (მ.შ. Ensemble

modeling) გამოყენებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოყენებული იქნა რამდენიმე ალგორითმის კომბინაცია (Richardson et al., 2019).

მაკროეკონომიკური პროგნოზირების გარდა, ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური სტაბილურობისა და რისკების პროგნოზირების მიმართულებითაც. სხვადასხვა ქვეყნებში ტრადიციული და მანქანური დასწავლის მეთოდებით საბანკო და ფინანსური კრიზისების პროგნოზირების შედარებისას, კვლევის დასკვნები მიუთითებს, რომ მანქანური დასწავლის მეთოდების გამოყენება აუმჯობესებს პროგნოზების სიზუსტედ, თუმცა გასათვალისწინებელია ინტერპრეტირებისა და კალიბრაციის გამოწვევები, რაც ხაზს უსვამს მსგავსი შედეგების გამოყენებისას სიფრთხილის გამოჩენის საჭიროებას (Beutel et al., 2019). საკრედიტო რისკის შეფასების პროცესში, კვლევამ, რომელიც საკრედიტო დეფოლტის პროგნოზს აფასებდა, დამატებით წარმოაჩინა არასწორი სპეციფიკაციის, ან მოდელის ზედმეტად მორგების (overfit) რისკები. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანი ხდება ხელოვნური ინტელექტის მოდელების მდგრადობა, რათა ისინი მცდარი პროგნოზისკენ არ იყვნენ მიდრეკილი და შეცდომაში არ შეიყვანონ მათი მომხმარებლები (Robisco, Martinez, 2022).

სხვა კვლევებიც აღნიშნავენ ფინანსურ ანალიზში მანქანური დასწავლის მოდელების დანერგვის შემთხვევაში წარმოქმნილ დადებით ეფექტებს, როგორებიცაა მონაცემთა სწრაფი დამუშავება და პროგნოზების გაუმჯობესებული სიზუსტე, და რისკებს, როგორებიცაა ალგორითმული ხარვეზები, ეთიკის, მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის საკითხები და მზარდი ციფრული უთანასწორობა განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებს შორის (Boukherouaa et al., 2021).

სტატიაში ჩვენს მიერ განხილული მიმართულებით არსებული ლიტერატურა მიუთითებს, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის მოდელებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციალი მონეტარული პოლიტიკის ანალიზის გაუმჯობესების კუთხით. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მათ დანერგვას თან ახლავს გარკვეული რისკები.

ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული გამოყენება მონეტარულ პოლიტიკაში

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტში. ამ სექციაში განვიხილავთ სამ ძირითად მიმართულებას, კერძოდ, მაკროეკონომიკურ პროგნოზირებას, ფინანსურ სტაბილურობას და ბუნებრივი ენის დამუშავებას (NLP).

ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების, როგორიცაა ინფლაცია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, უმუშევრობა, და სხვა ზუსტი პროგნოზები მნიშვნელოვანია ინფორმირებული მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მისაღებად. მანქანური დასწავლის მეთოდები, რომლებიც გამოირჩევიან დიდი რაოდენობის მონაცემებში რთული კანონზომიერებების გამოვლენით, ცენტრალურ ბანკებს სთავაზობს მძლავრ ინსტრუმენტს პროგნოზების სიზუსტის და მნიშვნელოვნების გასაუმჯობესებლად. კვლევები აჩვენებს, რომ მანქანური დასწავლის მოდელებს შეუძლიათ გაითვალისწინონ პროგნოზირებადი ცვლადების უფრო ფართო სპექტრი (არატრადიციული მონაცემების ჩათვლით) და აღმოაჩინონ არაწრფივი კავშირები, რაც ხშირად ტრადიციულ მოდელებთან შედარებით ზუსტი პროგნოზირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის

კვლევამ (Liu et al., 2024), რომელმაც გამოიყენა რამდენიმე მანქანური დასწავლის ალგორითმი 2020 წლის შემდგომ, პოსტ-კოვიდ პანდემიით გამოწვეულ არასტაბილურ პერიოდში, იაპონიის საბაზო ინფლაციის პროგნოზირებისთვის, დაადგინა, რომ გარკვეული მანქანური დასწავლის მოდელები (მაგ. LASSO) გაცილებით ზუსტი შედეგების მიღების საშუალებას იძლეოდა სტანდარტულ დროითი მწკრივების მოდელებთან შედარებით და ერთიდან ექვს თვემდე პერიოდით ადრე ამცირებდა პროგნოზირების შეცდომებს. აღნიშნული გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მანქანური დასწავლის მოდელებს უკეთესად შეუძლიათ რამდენიმე დამოკიდებული ცვლადის გაანალიზება.

ზოგიერთი მოდელის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა წყაროებიდან სტრუქტურირებული (მაგ. დროით მწკრივები, ცხრილები, სტატისტიკური მონაცემები) და არასტრუქტურირებული (მაგ. ფოტოები, ტექსტი, და ა.შ.) მონაცემების ინტეგრირება. შესაბამისად, სტანდარტული რაოდენობრივი ანალიზის დახმარებით პროგნოზირებასთან ერთად, ტექსტური და სხვა არაციფრული მონაცემების დამუშავების დახმარებით შესაძლებელია თვისებრივი ანალიზის მეთოდების გამოყენებაც. ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ტექსტის ანალიზის დახმარებით, კერძოდ ახალი ამბების, სტატიებისა და სოციალური მედიის სენტიმენტების დამუშავებით შესაძლებელი ხდება ინფლაციური მოლოდინების უფრო ზუსტი პროგნოზირება (Tilly, Livan, 2022).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ იაპონიის მაგალითზე განხორციელებული სხვა კვლევის მიხედვით, მანქანური დასწავლის რთული, არაწრფივი მოდელები (მაგ., Random Forests, Gradient-Boosted Trees) ყოველთვის უპირატესი არ იყო. აღნიშნულმა მოდელებმა ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭეს ინფლაციის ბოლოდროინდელ ზრდას, რითაც ავტორეგრესიულ მოდელზე ნაკლებად ზუსტი შედეგი აჩვენეს (Liu et al., 2024). შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კომპლექსურ მოდელებს შეუძლიათ პროგნოზების გაუმჯობესება, მათი წარმატება დამოკიდებულია მოდელის კომპლექსურობის სწორად შერჩევასა და საცდელ მონაცემებში ახალი პერიოდის საკმარისი დაკვირვებების არსებობაზე.

მაკროეკონომიკური ანალიზის არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური სტაბილურობის ანალიზი და რისკების მონიტორინგი. ფინანსური სტაბილურობის მიმართულებით, მანქანური დასწავლის ალგორითმები გამოიყენება დიდი მოცულობის ფინანსური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რისკ ფაქტორების გამოსავლენად. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია არაწრფივი რისკ-ფაქტორების გათვალისწინება, რაც ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით უფრო სანდო და ზუსტი საკრედიტო რისკის მოდელირების და მსესხებელთა დეფოლტის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ბანკები ხელოვნური ინტელექტის საპროგნოზო მოდელებს იზოლირებულად არ განიხილავენ და თვლიან, რომ ადამიანის ექსპერტიზა კვლავ გადამწყვეტ როლს ასრულებს. შესაბამისად, პრაქტიკაში, ბევრი ინსტიტუტი იყენებს შერეულ მიდგომას, როდესაც მანქანური დასწავლის პროგნოზები დამხმარე ინსტრუმენტია ტრადიციულ პროგნოზებსა და ექსპერტულ შეფასებებთან ერთად. მაგალითად, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) ინფლაციის პროგნოზირებისთვის შეიმუშავა მანქანური დასწავლის არაწრფივი მოდელი, რომელიც პარალელურად მუშაობდა მის ჩვეულებრივ მოდელებთან. აღნიშნული მოდელის პროგნოზები ახლოს იყო ოფიციალურ ექს-

პერტულ პროგნოზებთან, რაც ადასტურებს, რომ იგი უკვე ითვალისწინებდა ზოგიერთ არაწრფივ კავშირს (Lenza et al., 2023).

მანქანური დასწავლა ასევე გამოიყენება ფინანსური კრიზისების ადრეული იდენტიფიცირების სისტემებში, რომლებიც ისტორიული მონაცემებიდან სწავლობენ არსებული ტენდენციების იდენტიფიცირებას პრე-კრიზისული პერიოდებისთვის. მაგალითად, ინგლისის ბანკის თანამშრომლებმა შეიმუშავეს მანქანურ დასწავლაზე დაფუძნებული საგანგაშო სისტემა დიდი ბრიტანეთის ბანკებისთვის, რომელიც იყენებს სპეციფიკური ფინანსური და მაკრო ცვლადების ფართო სპექტრს (Bholat et al., 2020). დადგინდა, რომ მანქანური დასწავლის აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფდა საფრთხისა და რისკების გამოვლენის უფრო ხანგრძლივ წინმსწერებ პერიოდებს, ვიდრე ტრადიციული ინსტრუმენტები და საზომები, რაც მონეტარული პოლიტიკის გამტარებლებს აძლევდა მნიშვნელოვან დროით უპირატესობას პრევენციული ზომების მისაღებად.

გარდა ამისა, ახალი ამბების, ან სხვა მსგავსი არასტრუქტურირებული მონაცემების ანალიზზე დაფუძნებული ინდექსები (მაგ. ფინანსური სტრესის ინდექსი), ხელს უწყობს ფინანსური რისკების იდენტიფიცირებისა და მათი შემცირების შედარებით პროაქტიულ მიდგომას. ამასთან, პარალელურად საჭიროა ქსელური ანალიზი, რომელიც სისტემურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტების და მათთან მიმართებაში წარმოქმნილი ანომალიების გამოსავლენად გამოიყენება, რის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება საგადასახადო სისტემებში დარღვევების, ან საბაზრო გარიგებებში უჩვეულო კანონზომიერებების აღმოჩენა.

როგორც ფინანსური, ასევე მაკროეკონომიკური ანალიზის განსახორციელებლად მკვლევარები და სახელმწიფო ინსტიტუტები სხვადასხვა ინსტრუმენტებს იყენებენ. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნებრივი ენის დამუშავებას და ინსტიტუციური გზავნილების ანალიზს. ბუნებრივი ენის დამუშავების განვითარებამ გამოიწვია ცენტრალური ბანკების მიერ პოლიტიკური გზავნილების ანალიზისა და მართვის ტრანსფორმაცია, ვინაიდან შესაძლებელი გახდა ოფიციალური განცხადებებიდან, ახალი ამბებიდან და სხვა მსგავსი წყაროებიდან მიღებული ტექსტური მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი. შედეგად, გაუმჯობესდა პოლიტიკური გზავნილების, ბაზრის სენტიმენტებისა და მონეტარული პოლიტიკის შოკების დროული იდენტიფიცირება.

ერთ-ერთი კვლევა ბუნებრივი ენის დამუშავებას იყენებს ფედერალური სარეზერვო სისტემის შიდა დოკუმენტაციის, მათ შორის ოქმების ანალიზისთვის, რის საფუძველზეც ქმნის პოლიტიკური შოკების ტექსტურ მონაცემებზე დამყარებულ საზომს (Aruoba, Drechsel, 2024). აღნიშნულ ინსტრუმენტს ცენტრალური ბანკები ასევე იყენებენ თავიანთი გზავნილების სიცხადისა და საზოგადოების მიერ მათი აღქმის შესაფასებლად. საკუთარი გზავნილების ანალიზის გარდა, ცენტრალური ბანკები იყენებენ რეალურ დროში მანქანურ დასწავლაზე დაფუძნებულ ახალი ამბების ანალიტიკას ეკონომიკური მოვლენების მონიტორინგისთვის, რაც თვისებრივ ინფორმაციას რაოდენობრივ მონაცემებად გარდაქმნის და ხელს უწყობს შედარებით გამჭვირვალე და მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

ცენტრალური ბანკების მიერ AI/ML-ის დანერგვის შემთხვევების შესწავლა

მსოფლიოს მასშტაბით იზრდება ცენტრალურ ბანკთა რაოდენობა, რომელთაც წამოიწყეს საპილოტე პროექტები მათ ხელთ არსებულ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტთა ნაკრებში მანქანური დასწავლის გასაერთიანებლად.

ევროპის ცენტრალური ბანკი მოწინავე პოზიციებზეა მანქანური დასწავლის დანერგვის მიმართულებით კვლევებში. ზემოთ ნახსენები არაწრფივი ინფლაციის პროგნოზირების მოდელის გარდა (Lenza et al., 2023), შეფასებულია დიდი მონაცემებისა და მანქანური დასწავლის გამოყენება სხვა სფეროებშიც. 2021 წლის სტრატეგიის მიმოხილვისას, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა აღნიშნა ინფლაციის დინამიკაში არაწრფივი კავშირების და ალბათობის განაწილების მიხედვით ნაკლებად მოსალოდნელი შედეგების დადგომის (ე.წ. Tail Risk) რისკების მნიშვნელობა, რამაც გამოიწვია ინტერესი მანქანური დასწავლის მოდელების მიმართ. ასეთი მოდელებით წერტილოვანი პროგნოზების ნაცვლად შესაძლებელი ხდება სრული პროგნოზული განაწილების გენერირება. ევროპის ცენტრალური ბანკის მკვლევრებმა ასევე გამოიყენეს მანქანური დასწავლის მოდელებზე დაფუძნებული კომპოზიტური ფინანსური სტრეს-ინდექსები, რომლებიც აერთიანებენ ახალი ამბების სენტიმენტსა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაცემებიდან გამომდინარე არასტაბილურობის საზომებს, რის საფუძველზეც შესაძლებელია საბაზრო სტრესის გაზომვა რეალურ დროში. გარდა ამისა, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა შეიმუშავა ბუნებრივი ენის დამუშავების ინსტრუმენტები შიდა კომუნიკაციების გასაანალიზებლად, რომელიც აფასებს მმართველი საბჭოს განცხადებებისა და მედიაში გაშუქებულ ტექსტს, რათა განსაზღვროს განზრახული გზავნილის ადრესატამდე მიღწევადობის დონე.

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა ბანკმა, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ასევე გადადგა ნაბიჯები ხელოვნური ინტელექტის ელემენტების ძირითადად კვლევასა და ზედამხედველობაში ინტეგრაციის საშუალებით. აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული კვლევები მოიცავს მონეტარული პოლიტიკის შოკების იდენტიფიცირებას, ფედერალური სარეზერვო სისტემის დოკუმენტაციის გაანალიზებას ბუნებრივი ენის დამუშავების მოდელების დახმარებით, მანქანური დასწავლის დახმარებით Nowcasting-ის ანგარიშების მომზადებას ნიუ-იორკის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში და სპეციფიკური ინფლაციის კომპონენტების გამოვლენას, ასევე სენტიმენტებიდან მიღებული შედეგების რიგ-ხობრივ მონაცემებში გადაყვანას (Aruoba, Drechsel, 2024). ინფლაციის პროგნოზირებისათვის შექმნილი მანქანური დასწავლის მოდელები, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, განსაკუთრებით ისეთი კომპონენტების ანალიზისთვის გამოიყენა, როგორებიცაა უძრავი ქონების ქირის, ან მეორადი ავტომობილების ფასები. მსგავსი ტიპის სექტორების ანალიზი შედარებით მარტივია ფასების მონაცემების სიუხვისა და მარტივი ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე.

დიდი ბრიტანეთის ცენტრალური ბანკი, ინგლისის ბანკი იკვლევდა მანქანურ დასწავლის მოდელებს მონეტარული პოლიტიკისთვის და მაკროპრუდენციული რეგულირებისთვის. ამის თვალსაჩინო მაგალითებია ინგლისის ბანკის მიერ შემუშავებული ხელოვნური ინტელექტის ჩარჩო კომერციული ბანკების ოპერაციისას წარმოქმნილი პრობლემების პროგნოზირებისთვის და მანქანური დასწავლის მოდელების დახმარებით ფილიპსის მრუდის არაწრფივი დინამიკის ანალიზი, როგორც ინფლაცია-უმუშევრობის კავშირის გარშემო გამართული დებატების ნაწილი

(Buckmann, Joseph, 2022). კვლევებმა დაადგინეს, რომ მანქანური დასწავლის მოდელებმა გამოავლინეს ფილიპსის მრუდის არაწრფივი ურთიერთობები, როგორცაა თეორია იმის შესახებ, რომ დაბალი ინფლაცია ნაკლებად მგრძნობიარეა უმუშევრობის მიმართ. აღნიშნულმა დასკვნებმა ხელი შეუწყო ინგლისის ბანკის დებატებს ფილიპსის მრუდის ეფექტის შესუსტების შესახებ, აჩვენა რა არაწრფივი კავშირების მნიშვნელობა. ინგლისის ბანკის აქტიურ ჩართულობას თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების პროცესში ამყარებს ის ფაქტიც, რომ მისი ინიციატივით შეიქმნა და 2025 წლის მაისიდან ფუნქციონირებს ხელოვნური ინტელექტის კონსორციუმი (Artificial Intelligence Consortium), რომელშიც უკვე გაწევრიანდნენ ისეთი კომპანიების წარმომადგენლები, როგორებიცაა Microsoft, Goldman Sachs, Visa, Bloomberg LP, HSBC, JPMorgan, Revolut და სხვა (Bank of England, 2025).

ხელოვნურ ინტელექტსა და მანქანური დასწავლის მოდელებს ასევე იყენებენ განვითარებადი ბაზრების ცენტრალური ბანკები. მაგალითად, ბრაზილიის ცენტრალური ბანკი იყენებს მანქანურ დასწავლას ინფლაციისა და მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზირების პროცესში (Araujo, Gaglianone, 2022, Garcia et al. 2017). აზიის ცენტრალური ბანკები, მაგალითად, კორეის ბანკი (BIS, 2019) და ტაილანდის ბანკი (Chaiboonsri, Wannapan, 2019) ხელოვნური ინტელექტის დახმარებით აანალიზებენ ექსპორტისა და ტურიზმის ნაკადებს.

აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის მოდელების გამოყენების შესახებ კვლევა განხორციელებული აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკსაც. კვლევის თანახმად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, ხელი შეუწყოს მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესს შედარებით ეფექტიანი შედეგების მისაღწევად. აღნიშნული მეთოდების დახმარებით შესაძლებელია მრავალ ცვლადიანი ანალიზის გამოყენება (Dundua, Gorgodze, 2022). სხვა კვლევის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია მთლიანი შიდა პროდუქტის Nowcasting-ის პროცესში, რაც მიმდინარე ეკონომიკურ აქტივობებზე შედარებით მაღალი სიზუსტით და ნაკლები დაყოვნებით დაკვირვების საშუალებას იძლევა (Mgebrishvili, 2022).

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინსტიტუტების როლი მსგავსი კვლევების იმპლემენტაციის პროცესში. ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და საერთაშორისო ანგარიშსწორებათა ბანკი (BIS) აქტიურად იკვლევენ მანქანური დასწავლის მოდელების გამოყენების გზებს და კონსულტაციებს უწევენ წევრ ცენტრალურ ბანკებს მსგავსი ინსტრუმენტების დანერგვის პროცესში.

ხელოვნური ინტელექტის და მანქანური დასწავლის მოდელების გამოყენების პროცესში წარმოქმნილი რისკები და გამოწვევები

მონეტარული პოლიტიკაში ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური დასწავლის დანერგვა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას თან ახლავს რიგი გამოწვევები. ცენტრალურმა ბანკებმა მსგავსი რისკები მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მართონ, რათა არ დაირღვეს პოლიტიკის ეფექტიანობა და ფინანსური სტაბილურობა. დასამუშავებელ მონაცემთა ხარისხი და ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რისკს წარმოადგენს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც ხშირია არასრულფასოვანი, ან ფრაგმენტული მონაცემები. სტრუქტურული ცვლილებები, ალტერნატიულ მონაცემთა

ბაზებთან შეზღუდული ხელმისაწვდომობა და მონაცემთა კონფიდენციალურობის პრობლემები ამ გამოწვევებს კიდევ უფრო ამძაფრებს. ასევე საყურადღებოა კომპლექსური მოდელების ინტერპრეტაციის სიზუსტე. მოდელების, ცვლადების, ან შედეგების არასწორი ინტერპრეტაცია ექვეყნში აყენებს გამჭვირვალობას და ამცირებს ეკონომიკური ინსტიტუტებისადმი ნდობას.

ცენტრალური ბანკები ასევე დგანან ისეთი საოპერაციო რისკების წინაშე, როგორებიცაა კიბერუსაფრთხოება, გამართული ტექნიკური ინფრასტრუქტურა, და მანქანური დასწავლის მოდელების მუდმივი ვალიდაცია. ეთიკური რისკები, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობა და სამართლიანობა, საჭიროებს მკაფიო ეთიკურ ჩარჩოებს და ინტერდისციპლინურ კონტროლს. აღსანიშნავია სხვა ტექნიკური რისკებიც, მაგალითად მოდელების ზედმეტად მორგება, ეკონომიკოსთა და ანალიტიკოსთა ნაკლებობა, ან დაბალკვალიფიციურობა, და სხვა. ეს გამოწვევები ერთმანეთთანა დაკავშირებულია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჭიროებს ინტეგრირებული მიდგომების გამოყენების საჭიროებას.

დასკვნა

მანქანური დასწავლა და ხელოვნური ინტელექტი ფუნდამენტურად ცვლის მონეტარული პოლიტიკის ანალიზს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ეკონომიკების ცენტრალური ბანკები წარმატებით იყენებენ აღნიშნულ ინსტრუმენტებს დიდი მოცულობის არასტრუქტურირებული მონაცემების დახმარებით მაკროეკონომიკური პროგნოზირების უკეთესად შესაფასებლად და ფინანსური არასტაბილურობის დროული იდენტიფიცირებისთვის. მონეტარული პოლიტიკის პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას აქვს პოტენციალი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ცენტრალური ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროულობა და სიზუსტე, განსაკუთრებით დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებისა და ისეთი რთული კანონზომიერებების გამოვლენის გზით, რომლებიც ტრადიციულმა მოდელებმა შესაძლოა ვერ გაითვალისწინონ.

ცენტრალური ბანკების მიერ მსგავსი ინსტრუმენტების ადაპტაციის აუცილებლობას ხაზს უსვამს თანამედროვე ეკონომიკაში ხელოვნური ინტელექტის მზარდი გამოყენება. ვინაიდან კერძო სექტორში არსებული კომპანიები ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების გამოყენებით ადგენენ ფასებს და იღებენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ცენტრალურმა ბანკებმა უნდა შეიმუშაონ საკუთარი ანალიტიკური ინსტრუმენტები, რათა შეძლონ შესაბამისი ცვლილებების იდენტიფიცირება და ეფექტურად უპასუხონ ეკონომიკურ დინამიკას.

თუმცა, კვლევებში დოკუმენტირებული გამოცდილება ნათლად მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტი და მანქანური დასწავლა არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ინსტრუმენტებს, არამედ დამხმარე მეთოდებს, რომლებიც საჭიროებენ გონივრულ გამოყენებას. ყველაზე წარმატებული მოდელები განიხილავენ მათ გამოყენებას ექსპერტულ ანალიზისა და ტრადიციული მოდელებთან ერთად, რაც მიუთითებს მონეტარული პოლიტიკის ჰიბრიდულ მომავალზე.

ამასთან, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მიღებული შედეგების გამჭვირვალობა აუცილებელია ცენტრალური ბანკის სანდოობის შესანარჩუნებლად. ანალიტიკურ პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიის, მათ შორის, მანქანური დასწავლის მოდელების დახმარებით მიღებული შედეგების რეგულარულ ანგარიშებში ინტეგრაციის, შესახებ ღია კომუნიკაცია ხელს შეუწყობს საზოგადოების

ნდობის ამაღლებას. გარდა ამისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გლობალური თანამშრომლობა და ცოდნის გაზიარება, რაც საშუალებას მოგვცემს მანქანური დასწავლის მოდელების გამოყენებით მიღებული სარგებელი მარტივად გავრცელდეს სამეცნიერო და არასამეცნიერო საზოგადოებაში, და ხელს შეუწყობს მცირე ქვეყნების, ან შეზღუდული რესურსების მქონე ცენტრალური ბანკების მიერ მათ უფრო მარტივ ათვისებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Araujo G. S., Gaglianone W. P. (2022). Machine Learning Methods for Inflation Forecasting in Brazil: New Contenders Versus Classical Models. Central Bank of Brazil, Working Paper Series 561.
2. Aruoba S. B., Drechsel T. (2024). Identifying Monetary Policy Shocks: A Natural Language Approach. NBER Working Paper No. 32417. Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.
3. Bank for International Settlements (BIS) (2024). Annual Economic Report 2024, Chapter III: Artificial Intelligence and the Economy – Implications for Central Banks. Basel: BIS.
4. Bank for International Settlements (BIS) (2019). The Use of Big Data Analytics and Artificial Intelligence In Central Banking. IFC Bulletin, No 50.
5. Bank of England (2025). Artificial Intelligence Consortium: List of Participants. Financial Conduct Authority, <https://www.bankofengland.co.uk/research/fintech/artificial-intelligence-consortium/ai-tor>
6. Beutel J., List S., von Schweinitz G. (2019). Does Machine Learning Help Us Predict Banking Crises? Journal of Financial Stability, 45, Article 100693.
7. Boukherouaa E. B., Shabsigh G., AlAjmi Kh., Deodoro J., Farias A., Iskender E. S., Mirestean A. T., Ravikumar R. (2021). Powering the Digital Economy: Opportunities and Risks of Artificial Intelligence in Finance. IMF Departmental Paper No. 21/024. Washington, DC: International Monetary Fund.
8. Buckmann M., Joseph A. (2022). An interpretable machine learning workflow with an application to economic forecasting. Bank of England Staff Working Paper No. 984.
9. Chaiboonsri C., Wannapan S. (2019). Big Data and Machine Learning for Economic Cycle Prediction: Application of Thailand's Economy. Springer Nature Switzerland AG.
10. Dundua M., Gorgodze O. (2022). Application of Artificial Intelligence for Monetary Policy-Making. NBG Working Papers, WP 02/2022.
11. Garcia M. G. P., Medeiros M. C., Vasconcelos G. F. R. (2017). Machine Learning Methods for Inflation Forecasting in Brazil: new contenders versus classical models. International Journal of Forecasting 33.
12. Georgieva S. (2023). Application of Artificial Intelligence and Machine Learning in the Conduct of Monetary Policy by Central Banks. Economic Studies (Bulgarian Academy of Sciences), Issue 8.
13. Hartmann P., Maver V. (2025). Implications of Artificial Intelligence for Monetary Policy – A First Conceptual Assessment. SUERF Policy Brief No. 1080.
14. Lenza M., Moutachaker I., Paredes J. (2023). Forecasting euro area inflation with machine-learning models. ECB Research Bulletin No. 112, European Central Bank.
15. Liu Y., Pan R., Xu R. (2024). Mending the Crystal Ball: Enhanced Inflation Forecasts with Machine Learning. IMF Working Paper No. 24/206. Washington, DC: International Monetary Fund.
16. Mgebrishvili M. (2022). Nowcasting with high frequency data, Google trends and machine learning. Working Paper, WP 01/2022

17. Medeiros M. C., Vasconcelos G. F., Veiga Á., Zilberman E. (2021). Forecasting Inflation in a Data-Rich Environment: The Benefits of Machine Learning Methods. *Journal of Business & Economic Statistics*, 39 (1).
18. Richardson A., van Florenstein Mulder T., Vehbi T. (2019). Nowcasting New Zealand GDP Using Machine Learning Algorithms. *IFC Bulletins* (Bank for International Settlements) No. 50.
19. Robisco A. A., Carbó Martinez J. M. (2022). Measuring the model risk-adjusted performance of machine learning algorithms in credit default prediction. *Financial Innovation*.
20. Stempel D., Zahner J. (2022). DSGE models and machine learning: An application to monetary policy in the euro area. *MAGKS Discussion Paper No. 32-2022*.
21. Tilly S., Livan G. (2022). Predicting market inflation expectations with news topics and sentiment. *SSRN Working Paper*, Elsevier.
22. Tovar C. E. (2008). DSGE models and central banks. *BIS Working Paper No. 258*. Basel: Bank for International Settlements.
23. Vrbka J. (2016). Predicting Future GDP Development by Means of Artificial Intelligence. *Littera Scripta*, 9(3).

Nazira Kakulia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Department of Macroeconomics

Associate Professor;

Nodar Kiladze

Assistant Professor, Caucasus University

THE IMPACT OF ARTIFICIAL INTELLIGENCE AND MACHINE LEARNING ON MONETARY POLICY

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.09](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.09)

Expanded Summary

This article explores the impact of machine learning (ML) and artificial intelligence (AI) on monetary policy worldwide, highlighting the increasing role of these tools in enhancing central bank efficiency and analytical capabilities. While traditional monetary policy tools are based on economic theory, expert judgment, and econometric models, ML and AI techniques are used to improve forecasting reliability, risk assessment, and policy communication.

Machine learning is efficient in macroeconomic forecasting and nowcasting by processing vast datasets and capturing non-linear relationships that evade classical models. For example, ML methods such as random forests have outperformed standard models in forecasting GDP growth and inflation, particularly in data-rich environments with volatile conditions. However, the success of ML varies with context. Overly complex models may overfit or underperform during regime shifts, underscoring the importance of careful validation and specific adjustments.

Financial stability analysis has also benefited from ML innovations. Advanced algorithms use credit risk modeling, early-warning systems, and anomaly detection for banking crises. Despite accuracy improvements over traditional methods, challenges of interpretability and calibration persist. Therefore, ML outputs serve as decision-support tools rather than independent tools for policy actions.

Natural language processing (NLP) further enriches supervisory insights by extracting real-time sentiment and risk signals from text data. Its role includes quantifying sentiments, creating

clarity, and analyzing central bank communications, such as speeches and statements. This enables central banks to measure market reception, identify policy shocks, and refine messaging strategies. However, such transparency comes with risks. NLP tools could allow external actors to interpret policy signals in real-time, adding a new dynamic to central bank communication.

Comparatively, while ML models tend to exhibit superior predictive power over traditional econometric models under certain conditions, they often lack interpretability. To balance these aspects, central banks increasingly adopt hybrid approaches that blend data-driven insights with economic models based on theory.

Central banks worldwide, including the National Bank of Georgia, the European Central Bank, Federal Reserve, and Bank of England are progressively integrating ML and AI into research and policy operations. These applications include inflation and GDP forecasting, financial stability assessments, policy communication analyses, and others. International organizations, including International Monetary Fund and Bank for International Settlements support knowledge sharing initiatives that support emerging market central banks in adopting AI tools for economic nowcasting and risk monitoring, contributing to global cooperation.

However, there are certain challenges in adopting ML/AI for monetary policy. Data quality and availability remain foundational constraints, especially in emerging markets. The interpretability and transparency of complex models are essential for maintaining policy accountability and credibility. ML implementation requires robust infrastructure, governance frameworks, skilled personnel, and protection against cybersecurity threats.

In conclusion, the integration of machine learning and artificial intelligence offers central banks new powerful tools to enhance monetary policy efficiency. These technologies enable faster, richer, and more detailed economic analysis, but require careful, hybrid approach that maintains human judgment and theoretical understanding of decision-making. Responsible adoption, with attention to transparency, robustness, ethical considerations, and global collaboration, will allow monetary authorities to harness AI/ML's full potential, fostering more resilient, adaptive, and efficient monetary policy frameworks for the 21st century.

გიგი ელიზბარაშვილი

ეკონომიკის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდიდან „ჰიპოთეზურ“ ეკონომიკურ ზრდამდე

ანოტაცია. სტატიის მიზანია საქართველოს, როგორც კომუნისტური ისტორიის მქონე და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიმავალი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი დანარჩენ პოსტკომუნისტურ და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. ანალიზისთვის კი საჭიროა ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან შედარება. თუმცა, რასაკვირველია პირდაპირ, ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდებს ვერ შევადარებთ, რადგან ყველა ქვეყნის ეკონომიკა განსხვავებული სიდიდისაა და საჭიროებს ერთ კონკრეტულ ნიშნულთან გათანაბრებას. სტატიაში კი წარმოდგენილია შესაბამისი გათვლები და შედეგები.

საკვანძო სიტყვები. მკვეთრი ზრდის ეფექტი, პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი, ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა.

შესავალი

ვინაიდან საქართველო პოსტკომუნისტური ქვეყანაა და ამასთანავე ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის, მისი და სხვა პოსტკომუნისტური თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისთვის საჭიროა ამ 40 ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთმანეთთან შედარება. თუმცა, რასაკვირველია პირდაპირ, ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდებს ვერ შევადარებთ, რადგან ყველა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე განსხვავებული სიდიდისაა და მათი ერთმანეთთან შედარებისთვის აუცილებელია აღნიშნული ეკონომიკები გავათანაბროთ რაიმე ნიშნულთან - გამოვრიცხოთ ე.წ. „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ [Mankiw 2004: 546-547; Papava 2012: 127-128; Papava 2014b: 3-13; Papava 2016: 97-103]. ამისათვის საჭიროა ავიღოთ, რომელიმე ეტალონური ქვეყანა და მას შევუსაბამოთ სხვა დანარჩენი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები. კვლევა ჩატარებულია IMF-ის, როგორც ფაქტობრივი (2001-2023 წწ.), ასევე პროგნოზირებული (2024-2029 წწ.) მონაცემების საფუძველზე [IMF, 2024]. ვინაიდან კვლევისას გამოიკვეთა ირლანდიის ეკონომიკური უპირატესობა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებით (აღნიშნულ 40 ქვეყანას შორის ირლანდიის საშუალო 2 GDP_{PPP} მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 80 866 აშშ დოლარს და ჩამორჩება მხოლოდ ლუქსემბურგის შესაბამის მაჩვენებელს, თუმცა მისი საშუალო ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა შეადგენს 4,54%-ს და ლუქსემბურგის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 1,84-ჯერ. გარდა ამისა, ნებისმიერი სხვა ქვეყნის ეტალონად აღების შემთხვევაში ირლანდიის საშუალო კორექტირებული ეკონომიკური ზრდა გამოდის ყველაზე მაღალი) იგი ავიღეთ, როგორც ეტალონური ქვეყანა და გავუთანაბროთ დანარჩენი 39 ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები. მაგალითად, საქართველოს GDP_{PPP} მოსახლეობის ერთ სულზე 2023 წელს იყო 21 131 აშშ დოლარი, ხოლო ირლანდიის - 132 219 აშშ დოლარი.

2 GDP_{PPP} - მთლიანი სამამულო პროდუქტი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით

მათი თანაფარდობით ვიღებთ ე.წ. „პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტს“ [პაპავა, 2020: 231], რომელიც გვიჩვენებს, რომ ირლანდიის ეკონომიკა 2022 წელს 6,26-ჯერ აღემატებოდა საქართველოს ეკონომიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ირლანდიისთვის 6,26-ჯერ უფრო რთული იყო საქართველოს შესატყვისი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკის 10,96%-იანი ზრდა ირლანდიის ეკონომიკის 1,75%-იანი (10,96 : 6,26) ზრდის ექვივალენტური ყოფილა და ცალსახად იმის თქმა, რომ საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ (10,96%) გადააჭარბა ირლანდიის ეკონომიკურ ზრდას (9,43%), როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს არასწორია. ამ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკური ზრდა კიარ აჭარბებს ირლანდიის ეკონომიკურ ზრდას, არამედ 5,39-ჯერ (9,43 : 1,75) ჩამორჩება კიდეც მას. საბოლოოდ „მკვეთრი ზრდის ეფექტის“ გამორიცხვის შემდეგ ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდიდან მივიღებთ კორექტირებულ ეკონომიკურ ზრდას ე.წ. „ჰიპოთეზურ ეკონომიკურ ზრდას“ [პაპავა, 2020: 228-233]. აღნიშნული მაგალითის შესაბამისად გამოვთვალებთ 2001 წლიდან 2030 წლამდე თითოეული ქვეყნის „ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა“, როგორც ცალკეული წლის მიხედვით ასევე აღნიშნული ბოლო სამი ათწლეულის საშუალო მაჩვენებლები და შევადარეთ ერთმანეთს. დეტალური ცხრილების სიდიდიდან გამომდინარე პარაგრაფში მოყვანილია საშუალო მაჩვენებლების ანალიზი (იხ. ცხრილი 1; დიაგრამა 1- დიაგრამა 2).

ცხრილი 1


ფაქტობრივი და „ჰიპოთეზური“ საშ. ეკონომიკური ზრდა (ირლანდიის - 4.54%)

№	ქვეყანა	ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა (%)	№	ქვეყანა	ჰიპოთეზური ეკონომიკური ზრდა (%)
1	ალბანია	7,00	1	ალბანია	4,09
2	არგენტინა	6,27	2	არგენტინა	2,35
3	აშშ	6,24	3	აშშ	1,75
4	აშტ	6,20	4	აშტ	1,51
5	აშტ	6,09	5	აშტ	1,51
6	აშტ	5,71	6	აშტ	1,44
7	აშტ	5,16	7	აშტ	1,40
8	აშტ	4,20	8	აშტ	1,38
9	აშტ	4,02	9	აშტ	1,37
10	აშტ	4,00	10	აშტ	1,28
11	აშტ	3,87	11	აშტ	1,27
12	აშტ	3,74	12	აშტ	1,26
13	აშტ	3,53	13	აშტ	1,16
14	აშტ	3,49	14	აშტ	1,15
15	აშტ	3,28	15	აშტ	1,08
16	აშტ	3,25	16	აშტ	1,07
17	აშტ	3,15	17	აშტ	1,07
18	აშტ	3,05	18	აშტ	1,06
19	აშტ	2,85	19	აშტ	1,06
20	აშტ	2,80	20	აშტ	1,01
21	აშტ	2,78	21	აშტ	0,96
22	აშტ	2,51	22	აშტ	0,95
23	აშტ	2,46	23	აშტ	0,87
24	აშტ	2,41	24	აშტ	0,87
25	აშტ	2,39	25	აშტ	0,86
26	აშტ	2,29	26	აშტ	0,85
27	აშტ	2,05	27	აშტ	0,85
28	აშტ	1,71	28	აშტ	0,80
29	აშტ	1,58	29	აშტ	0,78
30	აშტ	1,52	30	აშტ	0,78
31	აშტ	1,48	31	აშტ	0,66
32	აშტ	1,46	32	აშტ	0,61
33	აშტ	1,27	33	აშტ	0,56
34	აშტ	1,27	34	აშტ	0,42
35	აშტ	1,21	35	აშტ	0,31
36	აშტ	1,12	36	აშტ	0,28
37	აშტ	1,06	37	აშტ	0,25
38	აშტ	0,66	38	აშტ	0,25
39	აშტ	0,42	39	აშტ	0,19


ცხრილის პირველ სვეტში ქვეყნები დალაგებულია ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის კლების მიხედვით, ხოლო მეორე სვეტში კორექტირებული - „ჰიპოთეზური“ ეკონომიკური ზრდის კლების მიხედვით. მათ შორის აშკარად ჩანს თანმიმდევრობის ცვლილება. მაგალითად, ცხრილ 1-დან გამომდინარე საქართვე-

ლო საშუალო ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდით (5,71%) უსწრებს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს, და ჩამორჩება მხოლოდ რამდენიმე პოსტკომუნისტურ განვითარებად ქვეყანას: ტაჯიკეთს; თურქმენეთს; აზერბაიჯანს; უზბეკეთსა და სომხეთს. რაც შეეხება კორექტირებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს (0,95%), ამ კუთხით საქართველო უკვე ჩამორჩება მთელ რიგ განვითარებად, თუ განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის ეტალონურ ირლანდიას. ამასთანავე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს საქართველო კორექტირებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით 9 პოსტკომუნისტურ ქვეყანასთან ერთად (ალბანეთი, ბელარუსი, ბულგარეთი, მოლდოვა, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი) 9 ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსაც (ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ფინეთი, ხორვატია) უსწრებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიის ეტალონურ ქვეყანად აღების შემდეგ ლუქსემბურგის გარდა ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა (ზოგიერთის უმნიშვნელოდ, ზოგიერთის მნიშვნელოვნად) შემცირდა, მათ შორის, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 5,71%-დან 0,95%-მდე, ე.ი. დაახლოებით 6-ჯერ შემცირდა. ამ ცვლილებების თვალნათლივ, წარმოსაჩენად უმჯობესია ცხრილის შედეგების გამოსახვა დიაგრამების სახით, რომლებიც ილუსტრაციულად, ერთი შეხედვით, გვაჩვენებს თითოეული ქვეყნის ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდასა და კორექტირებულ - „ჰიპოთეზურ“ ეკონომიკურ ზრდას შორის ცხვლილების სიდიდეს. სწორედ ამიტომ, ქვემოთ წარმოდგენილია დიაგრამები (იხ. დიაგრამები 1 - 2).

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



დიაგრამა 1-ზე ნაჩვენებია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებლები კლებადობის მიხედვით, ხოლო დიაგრამა 2-ზე კი ამავე ქვეყნების კორექტირებული - „პიპოთეზური“ ეკონომიკური ზრდა ასევე კლებადობის მიხედვით. აქ თვალნათლივ ვხედავთ ცხრილ 1-ში მოყვანილი მონაცემების ერთმანეთისგან განსხვავებას და ილუსტრაციულადაც მყარდება ჩვენი მსჯელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ანალიზის შესახებ.

კვლევიდან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ სანამ ამა თუ იმ ქვეყნის ფაქტობრივ მაღალ ეკონომიკურ ზრდას მივიჩნევთ სხვა ქვეყნებთან შედარებით პრიორიტეტულად, მანამდე უმჯობესია გავითვალისწინოთ „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ და მისი გამორიცხვის შედეგად მიღებული ცვლილებები. ეს ყოველივე ყველაზე მეტად ეხება განვითარებად ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკური ზრდა ხშირ შემთხვევაში „თვალისმოჭრელად“ მაღალია და იქმნება იმის ილუზია თითქოს ამ უკანასკნელთა ეკონომიკური ზრდა რეალურად აღემატება უფრო დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდებს.

თითოეულ განვითარებად პოსტკომუნისტურ ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, ძალიან გრძელი და რთული გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რომ ეკონომიკური განვითარების სამომხმარებლო მოდელიდან ინოვაციურ მოდელზე გადავიდეს. ამ გზის წარმატებით გასავლელად მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ არის საკმარისი. საერთაშორისო შეთანხმებების პარალელურად აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყოს კერძო მეწარმეთა ინტერესების გასაღვივებლად და კერძო სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის ინოვაციური ტიპის წასახალისებლად (Papava, 2014a: 8).

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონისა და ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა განვითარდეს წარმოება. წარმოების განვითარების საწინდარია სხვადასხვა სექტორისა და დარგის გამოცოცხლება, რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს სამუშაოს მაძიებლებისთვის. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია წარმოების განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები, როგორც ტექნოლოგიური წინსვლისა და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების კუთხით, ისე იმ ადამიანთა კვალიფიციური მზაობა, რომლებმაც ფრთები უნდა შეასხან მაღალტექნოლოგიურ წარმოებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურული მახასიათებელი ცოდნის წარმოების ფუნქციაა (leydesdorff, 2010: 2).

ლიტერატურა

1. პაპავა ვ., 2020. *არატრადიციული ეკონომიკის: მეთოდოლოგია და მეთოდიკა*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 420 გვ.
2. IMF, 2024., World Economic Outlook database: April 2024. *International Monetary Fund*, <<https://www.imf.org/en/Publications/WEO/weo-database/2024/April/download-entire-database>>.
3. Mankiw N. G., 2004. Principles of Economics. Mason, Thomson South-Western.
4. Papava V., 2012. Economic Growth in the Central Caucasus-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *Central Asia and The Caucasus*, Vo. 13, No. 4.

5. Papava V., 2014a. "Economics of Post-Soviet Post-Industrialism (The Cases of Georgia and Russia)." *78th International Atlantic Economic Conference*. Savannah, GA, 12-15 October, pp. 1-14, <https://www.researchgate.net/publication/313845973_Economics_of_Post-Soviet_Post-Industrialism_The_Cases_of_Georgia_and_Russia>.
6. Papava V., 2014b. The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example). *Problems of Economic Transition*, Vol. 57, No. 3.
7. Papava V., 2016. The Problem of the Catch-Up Effect and Post-Crises Economic Growth in the World Leading Countries. *Bulletion of the Georgian National Academy of Sciences*, Vol. 10. No. 4.
8. Leydesdorff L., 2010. "The Knowledge-Based Economy and the Triple Helix Model." *Annual Review of Informational Science and Technology*, Vol. 44, Issue 1, pp. 365-417, <<https://asistdl.onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/aris.2010.1440440116>>.

Gigi Elizbarashvili

Ph.D. candidate in Economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE ECONOMY OF POST-COMMUNIST GEORGIA: FROM ACTUAL ECONOMIC GROWTH TO “HYPOTHETICAL” ECONOMIC GROWTH

Expanded Summary

Georgia is a post-communist country that simultaneously aspires to join the European Union. To analyze its economic situation alongside that of other post-communist or EU member states, it is essential to compare the economic growth of these countries with one another. However, we cannot directly compare actual economic growth figures because the economies differ significantly. To make meaningful comparisons, it is necessary to evaluate these economies against a common benchmark.

For this purpose, we selected a benchmark country and compared the economic indicators of other countries relative to it. Our research was conducted using both actual and forecasted data from the IMF. Since the study revealed Ireland's financial advantage over other countries, we chose Ireland as the benchmark and compared the economic indicators of other countries to it. As a result, we found that the Irish economy was 6.26 times larger than the Georgian economy in 2022, meaning it was 6.26 times more challenging for Ireland to achieve economic growth equivalent to Georgia's. This implies that Georgia's 10.96% economic growth was equivalent to a 1.75% growth in Ireland's economy (calculated as $10.96 \div 6.26$). Therefore, to assert categorically that Georgia's economic growth (10.96%) exceeded Ireland's economic growth (9.43%), as it might appear at first glance, is incorrect. When adjusted for economic size, Georgia's economic growth does not surpass Ireland's but rather lags by a factor of 5.39 (calculated as $9.43 \div 1.75$). After excluding the "Catch-Up Effect," we derive the adjusted economic growth from the actual growth, which we call the "hypothetical economic growth." Using this method, we calculated the hypothetical economic growth for each country from 2001 to 2030, both annually and as average values over the last three decades. These were then compared

across countries. Due to the detailed nature of the data tables, the following analysis focuses on the average indicators.

Georgia's average actual economic growth rate (5.71%) surpasses that of all EU member states, lagging behind only a few post-communist developing countries: Tajikistan, Turkmenistan, Azerbaijan, Uzbekistan, and Armenia. However, when considering the adjusted economic growth rate (0.95%), Georgia falls behind several developing and developed countries, including benchmark Ireland. Moreover, somewhat surprisingly, Georgia—along with nine other post-communist countries (Albania, Belarus, Bulgaria, Moldova, Armenia, Tajikistan, Uzbekistan, Ukraine, and Kyrgyzstan)—outperforms nine EU member states (Bulgaria, Germany, Spain, Italy, Portugal, Greece, France, Finland, and Croatia) in terms of adjusted economic growth rate.

It should also be noted that after adopting Ireland as the benchmark country, the economic growth rates of all countries except Luxembourg decreased—some slightly, others substantially—including Georgia's average growth, which dropped from 5.71% to 0.95%, a decrease by about six times. To clearly illustrate these changes, it is preferable to present the table results in diagram form, which vividly reveals the magnitude of the differences between each country's actual economic growth and the adjusted—"hypothetical"—economic growth at a glance.

This study makes it clear that before prioritizing a country's high actual economic growth over others, it is prudent to consider the "Catch-Up Effect" and the implications of excluding it. This caution is especially relevant for developing countries, whose economic growth often appears strikingly high, creating the illusion that their growth surpasses that of countries with larger economies. For countries with developing economies, production development is essential. The prerequisite for this is the revitalization of various sectors and industries, which generates new opportunities for job seekers. In this process, the steps taken to develop production are crucial—not only in terms of technological progress and effective economic policies but also regarding the preparedness of a skilled workforce capable of thriving in high-tech industries. Therefore, it can be said that a defining structural characteristic of the modern economy is its function in knowledge production.

ღარბობრივი ეკონომიკა – SECTORAL ECONOMY

ზურაბ გარაყანიძე

ეკონომიკის დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი,
დ. აღმაშენებლის თავდაცვის აკადემიის სახელმწიფო რესურსების
მართვის სამაგისტრო პროგრამის ასოცირებული პროფესორი

„ზანგეზურის დერეფნის“ როლი საქართველოს სატრანსპორტო - კომუნიკაციურ
უსაფრთხოებაში

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.04](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.04)

ანოტაცია. 2025 წლის 8 აგვისტოს ვაშინგტონში გაფორმებული ზანგეზურის დერეფნის (TRIPP) სამხმრივი ხელშეკრულების მთავარი მხარდამჭერები არიან აშშ-ს, სომხეთის, აზერბაიჯანის ადმინისტრაციები და თურქეთის პანთურქული ძალები, რომლებიც ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი გავლენა კასპიის ზღვის რეგიონზე, ცენტრალურ აზიაზე და ჩინეთის „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ პროექტებზეც კი.

ისინი ეყრდნობიან შეთანხმების იმ პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებენ: 1) რეგიონში ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განვითარებას; 2) სომხეთის მიერ აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონებსა და ნახჩევანს შორის სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფას მდ. არაქსის სანაპიროთი; 3) ახალი სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობას ნახჩევანსა და აზერბაიჯანის სხვა რეგიონებს შორის. ამიტომ, გაუგებარია განცხადებები TRIPP-ის, როგორც საქართველო-ევროკავშირის კასპიის ნახშირწყალბადების დასავლური „დერეფნის“ ალტერნატივის შესახებ.

ასე მაგალითად, „ფორბსში“ 2025 წლის 18 ივლისს, ჯერ კიდევ შეთანხმების გაფორმებამდე, სტატიაში „ამერიკის ზრდადი გავლენა ზანგეზურზე: როგორ შეიძლება აშშ-ს მართულმა დერეფანმა შეკვეცოს ევროპის ენერგეტიკის ფასები და დაუპირისპირდეს რუსეთს“ გიუნეი ილდიზი წერს: „ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ეს სერიოზული შედეგებია. IEA-ს 2025 წლის მსოფლიო ენერგეტიკული პერსპექტივის პროგნოზით, ევროპას 2030 წლისთვის 20 მილიარდი კუბური მეტრით მეტი არარუსული გაზი დასჭირდება. სომხეთ-თურქეთის ნორმალურებულმა საზღვრებმა შესაძლოა გააუმჯობესოს კასპიის ზღვის რეზერვებზე წვდომა, რაც პოტენციურად 10-15 პროცენტით შეამცირებს იმპორტის ხარჯებს ისეთი კომპანიებისთვის, როგორიცაა BP.

ეს იდეა წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის BTC-ს ნავთობსადენის და „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტთან, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც ევროკავშირი, ისე საქართველო და აზერბაიჯანი. ეს სიტუაცია მიუთითებს რეგიონში არსებულ რთულ გეოპოლიტიკურ დინამიკაზე და სხვადასხვა მხარეების განსხვავებულ ინტერესებზე ენერგეტიკული მარშრუტების განვითარებასთან დაკავშირებით.

ჩვენ მხარს უჭერთ ექსპერტების იმ ნაწილს, ვინც სამართლიანად არ ეთანხმება ამ ინტერპრეტაციას და წარმოადგენენ 4 არგუმენტს: ა) შეთანხმება ეხება მხოლოდ მოქალაქეების, ავტომატანებისა და ტვირთების გადაადგილებას, და არა რკინიგზის აგებას, ან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას; ბ) ე.წ. „ზანგეზურის

დერეფანი“ (TRIPP) გაივლის სომხეთის ტერიტორიაზე და მას აშშ სამხედროები გააკონტროლებენ, ანუ მდ. არაქსის 43 კმ-იან სანაპიროზე, ერთი ქვეყნის ფარგლებში, რუსული გიუმრის სამხედრო ბაზის და მესაზღვრეების ახლოს აღმოჩნდებიან აშშ-ს სამხედროები. რუსი მესაზღვრეების სომხეთში დისლოცირებული 4 რაზმიდან (Погранотряд), ერთი სწორედ ზანგეზურში, ქ. მეგრშია დისლოცირებული (TACC, 2024); გ) რუსი მესაზღვრეების და გიუმრის ბაზის „ზანგეზურის დერეფნის“ კონტროლი რისკის შემცველია როგორც ევროპული ენერგოკომპანიების მილსადენების, ისე მთელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის; დ) „ზანგეზურის დერეფნის“ საწყისი/საბოლოო პუნქტებია აზერბაიჯანი და ნატო-ს წევრი თურქეთი, და არა სომხეთის სიუნიკის რაიონი (ზანგეზური), ანუ ტვირთების საწყისი/საბოლოო დანიშნულების პუნქტები არა სომხეთში, არამედ თურქეთსა და აზერბაიჯანში იქნება.

ბაქო-ერზერუმი-ნახჭევანის გაზსადენის პროექტზე აზერბაიჯანი და თურქეთი უკვე შეთანხმდნენ 2020 წლის თებერვალში. აღნიშნული მემორანდუმით ილჰამ ალიევმა და მისმა თურქმა კოლეგამ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ერთობლივი ინტერესი გამოხატეს ერზერუმიდან და იგდირიდან ნახჭევანისკენ, აზერბაიჯანის დანარჩენი ნაწილიდან გამოყოფილი ავტონომიისკენ, საქართველოს გავლით რკინიგზის და გაზსადენის შენებაზე. მოლაპარაკებების განხილვის მთავარი თემა იყო - შეუძლია თუ არა დაეხმაროს თურქეთს აზერბაიჯანის ნახჭევანის ავტონომიის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებაში, მაშინ როცა სომხეთის სიუნიკის (ზანგეზურის) დერეფნით ავტონომიის გაზმომარაგება საფრთხის შემცველია.

საკვანძო სიტყვები: ზანგეზურის დერეფანი (TRIPP), კასპიის ზღვა, ცენტრალური აზია, ნახჭევანი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ნატო, ბაქო-თბილისი-ყარსი, გაზსადენი.

2020-2024 წწ. ნათლად გამოიკვეთა სატრანსპორტო და კომუნიკაციური პროექტების მნიშვნელობა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებაში. ამ მიმართულების ღირებულება და ადგილი საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკაში კიდევ უფრო კარგად ჩანს, როდესაც მას განვიხილავთ რეგიონული მასშტაბით. ასეთი რანგის სამმხრივი რეგიონალური შეთანხმება გაფორმდა აშშ-ს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 2025 წლის 8 აგვისტოს და მას „ტრამპის მშვიდობის და აღორძინების დერეფნის“ (Trump Route for International Peace and Prosperity - TRIPP) შეთანხმება ეწოდა³.

საქართველო ჩრდილოეთ მეზობლისგან მომდინარე საფრთხეებისგან თავის დასაცავად ცდილობს გააღრმავოს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და სამხრეთ კავკასია ეკონომიკურად სტაბილურ, მშვიდ და სასურველ რეგიონად აქციოს. ამჟამად აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირების პირობებში, საქართველოს ამ ორ ქვეყანასთან ტრადიციულად მშვიდობიანი დამოკიდებულება აქვს, რადგან მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობების პირობებშია შესაძლებელი საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

³ შეთანხმებით აშშ 99 წლიანი იჯარით იღებს სომხეთის სიუნიკის რაიონის (ძველი თურქული სახელი - ზანგეზურის რ-ნი) მდ. არაქსის სანაპიროს გასწვრივ მდებარე 43 კმ სატრანზიტო დერეფანს. ამიტომ ტექსტში სადაც სომხეთზე იქნება საუბარი, ჩვენ ამ მონაკვეთს ოფიციალური სახელითაც „სიუნიკის რაიონადაც“ მოვნიშნავთ.

ნარე სამხრეთ კავკასიის შემდგომი განვითარება. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც 2008-09 წწ. გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე საშუალო სიმძლავრის და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების აღზევებამ კიდევ უფრო შეცვალა გლობალური ეკონომიკური წესრიგი, რაც ასახავს მათ მზარდ გავლენას ეკონომიკური ზრდისა და ინტეგრაციის ხელშეწყობაზე (მსოფლიო ბანკი, 2007). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანა, მათ ასევე მოიტანეს მნიშვნელოვანი ხარჯები, მათ შორის მზარდი უთანასწორობა და კლიმატის ცვლილებები. პირველ რიგში, გლობალური ინტეგრაციის პროგრესთან ერთად, - წარმოების ფაქტორები სულ უფრო თავისუფლად მოძრაობენ სექტორებსა და საზღვრებს შორის. შედეგად აშკარაა მზარდი უთანასწორობა. ეს ტენდენცია, განსაკუთრებით შესამჩნევი 1980-იანი წლებიდან განვითარებულ ეკონომიკებში (სტიგლიცი, 2014) და 1990-იანი წლების ბოლოდან განვითარებად ქვეყნებში (ჟუ და ტრეფლერი, 2005; ინგ, 2009), გამოიწვია შემოსავლებისა და სიმდიდრის უთანასწორობის მნიშვნელოვანი ზრდა. 2020 წლისთვის, მსოფლიო მოსახლეობის 75%-ზე მეტი ცხოვრობდა ისეთ ქვეყნებში, სადაც შემოსავლების უთანასწორობა 1990-იანი წლებიდან გაუარესდა (გაერო, 2020; გაეროს განვითარების პროგრამის განვითარების პოლიტიკის ბიურო, 2013).

სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე, საქართველო მიიღტვის კვლავ ჰქონდეს ახლო ეკონომიკური ურთიერთობები აზერბაიჯანთან და სომხეთთან. სამხრეთ კავკასიის რეგიონში დიდი მასშტაბის პროექტების განხორციელებას მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა არ აქვს. ასეთი დატვირთვის გარდა მსგავსი პროექტები პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოების განმტკიცებასთან. წლების განმავლობაში საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ ეს ორი სახელმწიფო სტრატეგიულ პარტნიორებად ჩამოაყალიბა. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“, აღნიშნულია, რომ: ერთიანი ენერგო, ტრანსპორტის და კომუნიკაციების შექმნის პროექტები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორივე ქვეყნის მდგრადობასა და განვითარებას (კონცეფცია, 2011).

საქართველოს რკინიგზა

მართალია „ზანგეზურის დერეფნის“ 2025 წლის 8 აგვისტოს სამმხრივ შეთანხმებაში დერეფნის გზად იგულისხმევა ბაქო-ნახჭევანის საავტომობილო გზა, მომავალში სავარაუდოა ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) დამაკავშირებელი „რკინის აბრეშუმის გზის“ (Iron Silk Way) პროექტის დასრულების გადადება. BTK რკინიგზის სრული სიმძლავრით გახსნა ჯერ კიდევ 2017 წელს იგეგმებოდა - მაგრამ სახეზეა მისი ტვირთბრუნვის შემცირება. ამ კომუნიკაციით თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო გააძლიერებდნენ თავიანთ სატრანზიტო ფუნქციას და იმავდროულად, სრულად და ეფექტიანად ჩაერთვებოდნენ საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვებში. აღნიშნულმა სარკინიგზო მაგისტრალმა ხელი უნდა შეუწყოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაფართოებას და ერთიანი ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაახლოებას. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ ხაზგასმულია, რომ აზერბაიჯანთან თანამშრომლობით ძალზე მნიშვნელოვანია ამ სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერა (კონცეფცია, 2011).

ამასთან, 2020-24 წლებში მოვლენები იმდენად დინამიურად განვითარდა, რომ აუცილებელია ევროკავშირის პროექტებში ახალი პოლიტიკური რეალობების ასახვა. ყარაბაღის ე.წ 44-დღიანი ომი, ისევე როგორც ომი უკრაინაში, არჩევნები სომხეთსა და ირანში, ისრაელ-ჰამასის დაპირისპირება და ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანა 2021 წლის სექტემბერში, - ამ ახალ რეალობებს დიდი ცვლილებები მოაქვს რეგიონში. ფაქტია, რომ სომხეთისა და რუსეთის ფედერაციის დღევანდელი მთავრობები მაშინვე არ მაღავენ, რომ სომხეთის გავლით აზერბაიჯანთან და თურქეთთან სატრანსპორტო კავშირების გახსნას შეეცდებოდნენ. სომხეთი გეგმავს ირანამდე - მეგრი-თავრიზის ახალი სარკინიგზო დერეფნის მშენებლობას, აზერბაიჯანში არსებული დერბენტი-ბაქო-ასტარას გზის პარალელურად. მაშასადამე, თეირანი კონკურენტია ბაქო - მეგრი (სომხეთის სიუნიკის ოლქი, ყოფილი ზანგეზურის რაიონი) - ნახიჩევანის, ანუ „თურანის ჭიშკრის“ ინიციატივის, რაც აშშ-ს ინიცირებულ TRIPP-ს ემთხვევა. ირანმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს ამ ახალი მარშრუტით ბაქოს ჰქონდეს სატრანზიტო ჰეგემონია უკვე არსებულ დერბენტი-ბაქო-ასტარას, ანუ „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანსპორტო დერეფანთან ერთად.

ერევანსა და თეირანს უნდათ, თავრიზი-მეგრის რკინიგზით „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ აზერბაიჯანული მარშრუტები დააბალანსონ. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება ევროკავშირის TRACECA-ს პროგრამაშიც. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რფ-ს შუამავლობით ჯერ კიდევ 2020 წლის 9 ნოემბრის სამხრეთი შეთანხმების ერთ-ერთი მიზანი სომხეთის გავლით კასპიის ზღვის სანაპირომდე კომუნიკაციების განხორციელება იყო.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უფრო გამართლებულია ყარსი-იგდირი-ნახჭევანის სარკინიგზო ხაზის აგება, ანუ საქართველო-თურქეთის მარშრუტის (BTK) გაგრძელება, რაზეც თურქეთ-აზერბაიჯანის მემორანდუმში ყარაბაღის 44 დღიან ომამდე 2020 წლის გაზაფხულზე გაფორმდა. ეს რკინიგზა ბევრად უსაფრთხო იქნებოდა, ვიდრე ძველი საბჭოთა რკინიგზის ნახჭევანი-ბაქოს რეკონსტრუქცია. მიუხედავად იმისა, რომ ბაქო-ნახჭევანის რკინიგზა აზერბაიჯანის თურქეთთან დასაკავშირებლად ყველაზე ახლო მარშრუტია, მისი აგება თავიდანაა საჭირო - საერთაშორისო ორგანიზაციის IA-ს 2015 წელს ჩატარებული კვლევით მთლიანად აყრილია აზერბაიჯანის სადგ. ჰორადიზიდან ნახჭევანის სადგ. ორდუბადამდე 104 კმ რკინიგზა, მთლიანად განადგურებულია 12 სადგური და 3 გვირაბი (International Allert, 2018).

რუსეთისა და ირანის ინტერესებში შედის არა ბაქო-თბილისი-ყარსი, არამედ ადლერ-თბილისი-გიუმრი-ყარსის ექსპლუატაცია და გიუმრის დაკავშირება არა მხოლოდ თურქეთთან, არამედ რუსეთთან და ირანთან. ამ მიზეზით, აშშ-ს ინიცირებულ „ზანგეზურის დერეფანს“ (TRIPP) მაშინვე დაუპირისპირდა ირანი. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთის მიერ გამოთქმულ სურვილზე, ჩაერთოს ჩინეთის ინიცირებულ „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ (BRI) პროექტებში. ანკარას კონფლიქტები აქვს მის სამეზობლოში და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ცენტრალურ აზიაში კონფლიქტების ფონზე, ანკარას შესაძლოა გაურთულდეს ისედაც დაძაბული ურთიერთობა მოსკოვთან, თეირანთან და პეკინთან, ძირითადად „დიდი თურანის“ პანისლამური პროექტის გამო, რაც იგივე TRIPP-ის მარშრუტზეა.

გეოპოლიტიკური რეალობა დღემდე ცენტრალურ აზიაში შეცვლილია. თურქეთი აღარ არის წამყვანი ეკონომიკური მოთამაშე ამ რეგიონში, როგორც ეს იყო 1990-იან წლებში. ამჟამად, ჩინეთი და რუსეთი დომინირებენ როგორც ინვესტორები და სავაჭრო პარტნიორები. ამიტომ თურქეთი მხარს უჭერს TRIPP-ს, რომელიც

მას ძველი პანთურქული „თურანის ჭიშკრის“ (თურქეთი-ცენტრალური აზია) ტრანსკასპიური პროექტების განხორციელებაში დაეხმარება, რათა ცენტრალური აზიის რესურსები და ტვირთები უფრო მეტად ორიენტირებული იყოს არა ჩინეთისა და რუსეთისკენ, არამედ - კვლავ თურქეთისკენ. საქმე ისაა, რომ ჩინურ და რუსულ კომპანიებს აქვთ წამყვანი პოზიციები რეგიონის სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სექტორებში. ჩინეთი და რუსეთი ასევე ცდილობენ შეზღუდონ პანთურქული გავლენა ცენტრალურ აზიაში, რადგან ისინი ამას აღიქვამენ როგორც საფრთხეს თავიანთი ტერიტორიული მთლიანობისთვის სინძიან-უიღურის და ვოლგისპირეთ-ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში.

თურქეთი და აზერბაიჯანი მუდამ აგრძელებდნენ თანამშრომლობას, მიუხედავად აღნიშნული გამოწვევებისა. 2020 წლის 25 თებერვალს, ყარაბაღის მეორე ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ორი ქვეყნის ლიდერებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ყარსი-იგდირი-არალიქი-დილუჭუ-სადარაქი-ნახჭევანი-ჯულფას სარკინიგზო პროექტის შესახებ. ეს შეთანხმება მიუთითებს, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, თურქეთი და აზერბაიჯანი ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ განევითარებინათ რეგიონული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. თუმცა, პროექტის წარმატებით განხორციელება დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ორმხრივ თანამშრომლობაზე, არამედ რეგიონულ გეოპოლიტიკურ დინამიკაზე და საერთაშორისო ეკონომიკურ ფაქტორებზე.

ყარსი-იგდირი-ნახჭევანის სარკინიგზო ხაზი, როგორც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის გაგრძელება, მაშინ მიიჩნეოდა უფრო ეფექტიანად, ვიდრე ყარსი-გიუმრი-ნახიჭევანი-მეგრ-ბაქოს საბჭოთა რკინიგზის აღდგენა-რეკონსტრუქცია. ეს მნიშვნელოვანი დასკვნაა რეგიონული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით. ამავდროულად ხაზგასასმელია, რომ რუსეთისა და ირანის ინტერესებში შედის არა ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის (BTK) დასრულება, - მათ სურთ ადღერი-თბილისი-გიუმრი-ყარსის მარშრუტის აღდგენა. დამატებით, მათი ინტერესია გიუმრიდან კავშირის დამყარება არა მხოლოდ თურქეთთან, არამედ ირანთანაც. ეს მიუთითებს რეგიონში არსებულ განსხვავებულ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე და სატრანსპორტო მარშრუტების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე.


2020 წლის თებერვალს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ნახჭევანსა და თურქეთის ქალაქ ყარსს შორის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესახებ. ეს პროექტი წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გაგრძელებას, რაც ხელახლა გასააქტიურებელი იქნება, ვინაიდან „ზანგეზურის დერეფნის“ 2025 წლის 8 აგვისტოს სამმხრივ შეთანხმებაში რკინიგზაზე საუბარი არ არის და მხოლოდ საავტომობილო გზაა მითითებული. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა აღნიშნა ყარსი-იგდირი-ნახჭევანის პროექტის მნიშვნელობა ნახჭევანის ეკონომიკური იზოლაციის დასაძლევად, რომელიც გამოწვეული იყო სომხეთთან კონფლიქტით. მისი თქმით, ეს რკინიგზა გააუმჯობესებდა ნახჭევანის პროდუქციის ექსპორტს და ხელს შეუწყობდა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის სიუნიკის (ზანგეზურის) რაიონის გავლით კომუნიკაციების გაყვანაზე საუბარია სხვადასხვა შეთანხმებებში, ეს იდეა უფრო ფანტაზიას ჰგავს, ვიდრე რეალურ გეგმას. ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინი-

ნიგზა ჯერჯერობით საკმარისია თურქეთ-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის.

ისტორიულად, ყარსი-გიუმრი-ნახიჭევანი-მეგრ-ბაქოს რკინიგზის აღდგენა განიხილებოდა ჯერ კიდევ 2009 წელს თურქეთ-სომხეთის ე.წ. „საფეხბურთო დიპლომატიის“ ფარგლებში მოლაპარაკებების დროს, მაგრამ ეს იდეა არ განვითარებულა. პრაქტიკული თვალსაზრისით, საავტომობილო გზისგან განსხვავებით როგორც უკვე აღვნიშნეთ, სომხეთის გავლით რკინიგზის გაგრძელება ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ რეგიონში სატრანსპორტო კავშირების აღდგენა რთული და გრძელვადიანი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია მრავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევასთან (იხ. ნახაზი 1). სახმელეთო “თურანის ჭიშკრის” პროექტის რეალიზაციისთვის დაფინანსება წარმოადგენს უმთავრეს გამოწვევას. მდინარე არაქსის გასწვრივ ავტომგისტრალი ფუნქციონირებს, მაგრამ რკინიგზის აღდგენა მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. ნახაზი 1-ზე პუნქტირით უმოქმედო რკინიგზაა გამოსახული.

ნახაზი 1



წყარო: America's High-Stakes Bet On Zangezur: How A U.S.-Led Corridor Could Slash Europe's Energy Costs And Counter Russia
18:06, https://news.am/eng/news/895072.html#google_vignette

ამავე დროს, თურქეთის მონაწილეობა “სარტყელისა და გზის ინიციატივის” გლობალურ პროექტებში უკვე გადაწყვეტილია მიუხედავად იმისა, რომ ანკარა დაპირისპირებულია როგორც უახლოეს მეზობლებთან, ისე ახლო აღმოსავლეთის

68

სხვა ქვეყნებთან. ამიტომ თურქეთის სურვილი, ჩაერთოს ცენტრალურ აზიაში ჩინეთის “სარტყელის და გზის ინიციატივის” (BRI) და მით უმეტეს აშშ-ს ინიცირებულ TRIPP პროექტებში, სავარაუდოდ გაართულებს მის ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს მოსკოვთან, თეირანთან და პეკინთან. ეს მიუთითებს ჩვენს რეგიონში არსებულ რთულ დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე, და მის კიდევ უფრო დაძაბვაზე.

აშშ-ს ინიცირებულ TRIPP და თურქულ “თურანის ჭიშკრის” საზღვაო განზომილებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ხმელთაშუა ზღვა-შავი ზღვის აუზში და მსოფლიო ოკეანეების მიმართულებით ტვირთების მოძრაობა სტაბილურად მატულობს. ექსპერტები ქართულ პორტებს ურჩევენ მაქსიმალურად ევადონ ცენტრალური აზიის ფრაზტის ხელში ჩაგდებას, თუმცა კონკურენცია საზღვაო-სატვირთო გადაზიდვებში მუდმივად იზრდება. ასევე, საინტერესოა თურქეთის მთავრობის აქტიური ნაბიჯები ქვეყნის სატრანსპორტო “ჰაბად” გადაქცევის მიზნით. კერძოდ: 1) 90-იან წლებში დასრულდა შავი ზღვის ხუთივე თურქული პორტის რეკონსტრუქცია; 2) ქ. ანკარაში შეიქმნა დიდი სარკინიგზო კვანძი და აშენდა ქ. სტამბოლის ახალი აეროპორტი; 3) 2013 წელს ბოსფორის სრუტის ქვეშ გაიყვანეს ჯერ საავტომობილო, ხოლო 2018 წელს “მარმარაის” სარკინიგზო გვირაბი; 4) 2021 წლის 26 ივნისს დაიწყო “სტამბოლის არხის” მშენებლობა. “სტამბოლის არხის” პროექტი განსაკუთრებით საინტერესოა.

საქართველოს პორტები

რა არის „დიდი თურანის“ შემადგენელი „თურანის ჭიშკრის“, და აშშ-ს ინიცირებულ TRIPP ურთიერთ მსგავსი პროექტების, როგორც „სარტყელისა და გზის ინიციატივის“ (BRI) კონკურენტების, საზღვაო განზომილება? ეს პირველ რიგში ბოსფორის სრუტით ბალკანეთიდან ალტაიმიდე გადაჭიმული ისლამური ქვეყნების სარტელია. ამისთვის ხდება ბოსფორზე ეკოლოგიური პრობლემების პედალირება თურქეთის მიერ, რაც განსაკუთრებით მწვავე გახდა 1994 წელს, კვიპროსული ტანკერის „ნასიას“ ჩაძირვის შემდეგ, როდესაც სრუტეში, სტამბოლის ცენტრში ასობით ათასი ტონა ნავთობი ჩაიღვარა. მაშინ ბოსფორის სრუტე მეგაპოლისის ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრებოდა. ამის შემდეგ დაიწყო მსჯელობა ბოსფორის გვერდის ამქცევი „სტამბოლის არხის“ მშენებლობისა და სრუტის გარემოსდაცვითი ფონდის შექმნის შესახებ. ამავდროულად, დაწესდა შეზღუდვები „სავაჭრო გემების“ ცურვაზე, „მონტროს კონვენციით“ უზრუნველყოფილ, თავისუფალი ნაოსნობის მქონე სრუტეებში.

ამრიგად, თურქეთი დიდი ხანია იყენებს ნავიგაციის შეზღუდვებს და შესაძლებელია რამდენიმე წლის წინ გაჟღერებული „სრუტეების გარემოსდაცვითი ფონდის“ შექმნის იდეა ააღორძინოს, რომელიც ბოსფორისა და დარდანელის ტანკერების მიერ გადაკვეთისას საფასურის გადახდას გულისხმობს. ანკარა ამ გადასახადის შემოღებას თურქეთის სხვადასხვა გარემოსდაცვით კონვენციებთან მიერთებით ხსნის.

ერთი შეხედვით, „სტამბოლის არხი“ ასევე შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს შუა დერეფნის პორტებს შავ ზღვაში საზღვაო ტრანსპორტირების გარდის კუთხით. თუმცა, სტამბოლის მახლობლად 44 კმ სიგრძის, 275 მ სიგანისა და 20,75 მ სიღრმის არხის მშენებლობას შეუძლია „წვლილის შეტანა“ საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნაში, ანუ თვითონ რუსეთის მიერ სახმელეთო

გადაზიდვების განვითარებაში. ე. წ. აფხაზეთის რკინიგზის გახსნით უპირველეს ყოვლისა რუსეთი იქნება დაინტერესებული, რადგან ამ გზით იგი წვდომას მიიღებს თავისი მოკავშირეების - სომხეთის, ირანის, ინდოეთის რკინიგზის მაგისტრალზე. საქართველოს რკინიგზის მეშვეობით რუსეთი დასავლეთში ნავთობპროდუქტების ექსპორტს არა მარტო საზღვაო, არამედ სახმელეთო გზითაც შეძლებს - ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით. ეს გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე ნავთობის მოსალოდნელი წლიური კვოტებით ტრანსპორტირება ბოსფორის სრუტით (ეკოლოგიური შეზღუდვები), ან სტამბულის მომავალი არხით (რომლის მშენებლობის დასრულება 2027 წელსაა დაგეგმილი) ფასიანი მომსახურებით სარგებლობა, რაც მნიშვნელოვნად გააძვირებს რუსულ და ყაზახურ ნავთობს. ფაქტია, რომ ამ არხის აშენების და მისით რუსული და ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირების შემდეგ, თურქეთი შეზღუდავს სახიფათო ტვირთების თავისუფალ მოძრაობას მშვიდობიან პერიოდში ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით, გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად. მართალია სრუტეები ნეიტრალურ წყლებად ითვლება მონტროს 1936 წლის და გაეროს 1982 წ. საზღვაო კონვენციებით, მაგრამ ამ კონვენციების დამტკიცების დროს გარემოსდაცვითი შეზღუდვები ნაკლებად გამოიყენებოდა. ახლა კი თურქეთს ასეთი შეზღუდვები შეუძლია აამოქმედოს, რაც სრუტეების გამოყენებას ძალიან გააძვირებს...

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ტვირთის **ზღვით ტრანსპორტირების** შესაძლებლობებს დიდი დიპაზონი აქვთ ამ ქვეყნების ეკონომიკაში. საქართველო ერთ-ერთი მათგანია და გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამჟამად საქართველოში სამი საზღვაო პორტი და ორი ნავთობტერმინალია ფუნქციური, ხოლო დამატებით ერთი - ანაკლიის პორტის მშენებლობა მხოლოდ დროის საკითხია. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოში არსებული საპორტო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, როდესაც მათ ტვირთების მომატებულ რაოდენობასთან უწევთ გამკლავება (დ. ბერაძე 2024). ანაკლიის პორტის მშენებლობა არა მხოლოდ ქართული მხარის ინტერესებშია: ტრასეკა-ში ჩართულ ყველა ქვეყანას აქვს აღნიშნული პორტის მშენებლობის ინტერესი, რადგან ეს საქართველოს საშუალებას მისცემს გაატაროს მათ მიერ მოწოდებული უფრო მეტი ტვირთი, ვიდრე მას აქამდე შეეძლო (ზ. მაღრაძე 2024).

„სტამბოლის არხის“ იდეა 11 წლის წინ დაიბადა, მაგრამ რეალიზაცია მხოლოდ 2021 წელს დაიწყო შიდა და გარე დაბრკოლებების გამო. არხის მშენებლობა 6 წელი გაგრძელდება და 15 მილიარდი დოლარი დაჯდება. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ რეგიონში ადგილი აქვს კონკურენციას სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ჰაბების შექმნისთვის. თურქეთი, საქართველო და სხვა ქვეყნები ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები ამ სფეროში. ამავე დროს, გეოპოლიტიკური ინტერესები და რეგიონული კონფლიქტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ პროცესებზე. აღნიშნული „არხის“ პროექტის განხორციელება სტრატეგიული ამოცანაა, რომელსაც ერთის მხრივ შეუძლია ბოსფორის განმუხტვა და, მეორე მხრივ, თურქეთის გავლენის გაზრდა გლობალური მასშტაბით - იგივე „დიდი თურანის“ იდეის ხელშეწყობა.

თურქეთის სრუტეებში ნაოსნობის ინტენსივობის ზრდა და ახალი არხის მშენებლობის საჭიროება შეიძლება დადასტურდეს შემდეგი მონაცემებით: 1938

წელს ბოსფორში შევიდა 4.5 ათასი გემი, 1985 წელს - 24 ათასი, 1996-2000 წლებში - უკვე 47-50 ათასი ... Trend- თან ექსკლუზიურ ინტერვიუში, თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ადილ ქარაისმაილოღლუმ აღნიშნა, რომ შავი ზღვის აუზში ეკონომიკური აქტივობის ზრდის გამო, ამ მაჩვენებელმა შეიძლება მიაღწიოს 86 ათასს უახლოეს ათწლეულში. თუმცა, თურქეთის ტრანსპორტის სამინისტროს მონაცემებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში ბოსფორზე გადამავალი გემების რაოდენობა თანდათან შემცირდა: 2006 წელს 54 880-დან 2020 წელს 38404-მდე. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თუ გემების რაოდენობა მცირდება, მაშინ სრუტეებში ნავიგაცია გამარტივდება. მაგრამ გემების რაოდენობა მართალია შემცირდა, მაგრამ მათი ზომები და ტვირთამწეობა გაიზარდა (ზ.გარაყანიძე, 2021). ბოლო წლებში ბოსფორის გავლით 200 მეტრზე მეტი სიგრძის გემების რაოდენობა 35 პროცენტით გაიზარდა, - 2006 წელს 3650-დან 2020 წელს 4950-მდე, ხოლო ტვირთის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 30 პროცენტით, 476 მილიონი ტონადან 2006 192 წელს, 620 მილიონ ტონამდე - 2020 წელს (ზ. გარაყანიძე, 2021).

აღნიშნული მონაცემები ნათლად აჩვენებს, თუ რატომ არის “სტამბოლის არხის” პროექტი ასეთი მნიშვნელოვანი თურქეთისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გემების რაოდენობა შემცირდა, მათი ზომისა და ტვირთამწეობის ზრდამ, ასევე ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების მოცულობის ზრდამ, გაზარდა ბოსფორის დატვირთვა და ეკოლოგიური რისკები. ახალი არხის მშენებლობა არა მხოლოდ გაზრდის თურქეთის სატრანსპორტო შესაძლებლობებს, არამედ შეამცირებს ბოსფორზე დატვირთვას, და შესაბამისად, სტამბოლის ეკოლოგიურ რისკებს. ამასთან, ეს პროექტი ხელს შეუწყობს თურქეთის გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებას რეგიონში და მის როლს “დიდი თურანის” და უკვე ახალი TRIPP იდეის განხორციელებაში.

ყველაფერი ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეგიონში მიმდინარეობს ინტენსიური კონკურენცია სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ჰაზების შექმნისთვის, სადაც თურქეთი აქტიურად ცდილობს თავისი პოზიციების გაძლიერებას. გასათვალისწინებელია, რომ ბოსფორი ერთ-ერთი ყველაზე გაუვალი სრუტეა: როგორც ნავიგაციის დარგის ექსპერტები აღნიშნავენ, 33 კილომეტრიანი სრუტის გავლისას გემმა ათჯერ მაინც უნდა შეიცვალოს კურსი. ასევე ადგილი აქვს ეკოლოგიურ რისკებსაც, რომლებიც საფრთხეს უქმნის სტამბოლის უსაფრთხოებას: თითქმის ყოველდღე რამდენიმე ათეული ნავთობის, თხევადი გაზის და ტოქსიკური ქიმიკატების ტანკერი გაივლის ქალაქის ცენტრში, ხოლო ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება სტაბილურად იზრდება: 1999 წელს ნავთობის ბრუნვა ბოსფორით დაახლოებით 95 მილიონი ტონა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 140 მილიონი ტონა იყო, დღეს კი - 160 მილიონ ტონაზე მეტია.

განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეკოლოგიური საკითხები ბოსფორის სრუტეში 1994 წელს კვიპროსის დროშის ქვეშ მცურავი ტანკერის, „ნასსიას“ ავარიის შემდეგ, როდესაც ასეულობით ათასი ტონა ნავთობი ქ. სტამბოლის ცენტრში, ბოსფორში ჩაიღვარა და მრავალმილიონიანი მეგაპოლისის ეკოლოგიური კატასტროფით დაემუქრა. ამ დროიდან გახშირდა თურქეთში ბოსფორის გვერდის ამქცევი არხის აგებაზე და „სრუტეების ეკოლოგიური ფონდის“ დაარსებაზე საუბარი. ამავდროს, „მონტროს კონვენციაში“ აღნიშნულ „...სავაჭრო გემების სრულიად თავისუფლად“ ცურვის საწინააღმდეგოდ, „შეუმჩნევლად“ შემოიღეს შეზღუდვებიც. მაგალი-

თად, ტანკერებს ბოსფორში ცურვა მხოლოდ დღე-ღამის ნათელ დროს შეუძლიათ, აიკრძალა 200 მეტრზე გრძელი ტანკერების სრუტეში ლოცმანის გარეშე გადაადგილება. მოგვიანებით დაწესდა, რომ სრუტეში მცურავ ნავთობის და თხევადი გაზის ტანკერებს ორმაგი ფსკერი და სპეციალური განათება უნდა ჰქონდეთ და ა. შ. (ზ. გარაყანიძე, 2021). ამრიგად, თურქეთი დიდი ხანია იყენებს ნავიგაციის შეზღუდვებს და არ არის გამორიცხული, რომ აღორძინდეს ამ რამდენიმე წლის წინ დაანონსებული „სრუტეების ეკოლოგიური ფონდის“ დაარსების იდეაც, რაც ტანკერიდან ბოსფორის გავლის მოსაკრებლის გადახდას გულისხმობს. ახლა უკვე ანკარა ამ მოსაკრებლის დაწესებას, თურქეთის სხვადასხვა გარემოსდაცვითი კონვენციისადმი მიერთებით ახსნის... ახალი გზით შესაძლო ნავიგაციის გაძვირების თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, „სტამბულის არხი“ საქართველოს პორტებსაც შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს. თუმცა, სტამბულის 44 კილომეტრის სიგრძის, 275 მეტრი სიგანის და 20.75 მეტრი სიღრმის არხის მშენებლობამ შეიძლება თავისი „წვლილი“ შეიტანოს „საქართველოს რკინიგზის“ აფხაზეთის მონაკვეთის ამუშავებაში. მისი ამოქმედებით, უპირველეს ყოვლისა, რუსეთია დაინტერესებული, რადგან ამ გზით მიიღებს გასასვლელს სტრატეგიული მოკავშირეების – სომხეთის, ირანის, სირიის მაგისტრალებისკენ. „საქართველოს რკინიგზით“ რუსეთი ასევე შეძლებს ბოსფორი-დარდანელის გავლით ნავთობის ტრანსპორტირების მოსალოდნელი წლიური ქვოტირების (ეკოლოგიური შეზღუდვების), ან ფასიანი „სტამბულის არხის“ მოქმედების პირობებში, ნავთობპროდუქტების დასავლეთში ექსპორტი ტანკერების ნაცვლად ხმელეთით ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზით, ან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობის ნაკადის გადამისამართებით, საქართველო-თურქეთის ტერიტორიის გავლით განახორციელოს. აღსანიშნავია, რომ ამ არხის აგებით ბოსფორის და დარდანელის სრუტეებზე მშვიდობიან დროს თავისუფალი მიმოსვლა (ისინი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნეიტრალურ წყლებადაა მიჩნეული 1936 წლის „მონტროს კონვენციით“ და 1982 წ. „გაეროს საზღვაო კონვენციით“ - UN Maritime Convention) შეიზღუდება და რუსული და ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება ახალი „სტამბულის არხით“ უნდა დაიწყოს, რაც სრუტეებზე ძვირი ეღირება.

გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლებმა, ერთის მხრივ, არაერთხელ განაცხადეს, რომ თითქოს „სტამბოლის არხს“ არაფერი ექნება საერთო 1936 წელს ხელმოწერილ „მონტროს კონვენციით“ სამხედრო გემების მიღებასთან და ასევე გამორიცხავენ, რომ ვინმე აიძულონ გამოიყენონ ახალი არხი ბოსფორის ნაცვლად. „მონტროს კონვენციის“ მე-2 მუხლში ნათქვამია: „მშვიდობიან დროს, ნებისმიერი დროშის ქვეშ მცურავ სავაჭრო გემებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ სრუტეებში შესვლა და ნავიგაცია.“ მაგრამ, ზემოაღნიშნულ კონვენციაში არაფერია ნათქვამი ეკოლოგიურ შეზღუდვებზე, ვინაიდან იმ დროს გარემოს დაცვაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. მეორე მხრივ, თურქეთში უკვე არსებობს ე.წ. „სრუტეების ეკოლოგიური ფონდის“ პროექტი და ბოსფორზე ნაოსნობის შეზღუდვები. ყაზახეთისა და რუსეთის საერთაშორისო ნავთობის კომპანიები უკვე ეძებენ სრუტეებისა და „სტამბულის არხის“ გვერდის ამქცევ გზას! ყველაზე რენტაბელური იქნება ნავთობის ნოვოროსიისკიდან აფხაზეთის გავლით თურქეთში, - სახმელეთო გზით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით (BTC) გადამისამართება. ამით სოხუმშიც დაინტერესდებიან, მოსკოვშიც და ასტანაშიც. შესაძლებელია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანთან (BTC) „კასპიის მილსადენის კონსორციუმის“ (CPC) აფხაზეთის ტერიტორიის გავლით

ჩრდილოეთიდან დაკავშირება, ან საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა, და ცისტერნებით ბაქო-თბილისი-ყარსის ახალქალაქის მარშრუტით ტრანსპორტირება. ეს 2027 წლიდან „სტამბოლის არხის“ გვერდის ასაქცევად რუსეთის, ყაზახეთის და იქ ოპერირებადი გიგანტური ამერიკული და ევროპული ნავთობის კომპანიების ინტერესებში იქნება.

საქმე ისაა, რომ 2016 წლის ბოლოს დამთავრდა CPC-ის თენგიზი-ატირაუ-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის რეკონსტრუქცია. მისი წლიური სიმძლავრე 25 მლნ ტონიდან, 67.5-70 მლნ ტონამდე გაიზარდა და მალე 83 მლნ ტონას მიაღწევს (ზ. გარაყანიძე, 2021). ეს პროექტი 2011 წელს ქ. კრიმსკის რაიონში მომხდარმა წყალდიდობამ შეაფერხა, თუმცა ამჟამად მისი ექსპლუატაცია წარმატებით მიმდინარეობს. ყაზახეთის თენგიზის, კაშაგანის, კუმკოლის და კარაჩაგანაკის ნახშირწყალადების თურქული სრუტეებით ტანკერებით ტრანსპორტირებას, სავარაუდოდ, ეკოლოგიური მოსაზრებებით (სტამბულის ცენტრში - ბოსფორით უკვე ყოველ 12 წუთში ერთი დიდი გემი გაივლის, რომელთაგან ყოველი მესამე - ტანკერია!) თურქეთი მალე აღარ დაუშვებს და ტანკერებს ფასიან „სტამბულის არხისკენ“ გადაამისამართებს (ზ. გარაყანიძე, 2021). ერთადერთი გამოსავალია, აქედან გამომდინარე, ნოვოროსიისკიდან რკინიგზით აფხაზეთის გავლით, ან ახალი ნავთობსადენით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენში რუსული და ყაზახური ნავთობის ჩატვირთვა. მოსალოდნელია, რომ ამ პრობლემას რუსეთი და ყაზახეთი საქართველოს ხელისუფლების წინაშე „სტამბული არხის“ მშენებლობის დასრულებამდე დააყენებენ. კრემლში და ასტანაში მძლავრი ენერგეტიკული ლობის არსებობის პირობებში, ამით საქართველოს გაუჩნდება აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის პერსპექტივა (სხვათა შორის, აფხაზეთის გავლით თურქეთისკენ ნავთობსადენის გაყვანის გზით, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების იდეას, ჯერ კიდევ 1992 წელს, ე. შევარდნაძე აყენებდა). მით უმეტეს, რომ ამ საკითხის დარეგულირებაში ისეთი ძლიერი „მოთამაშე“ ჩერთვება, როგორც ყაზახეთში მოქმედი ევროპული და ამერიკული ენერგეტიკული კომპანიებია! აღნიშნული ფაქტები გვაძლევს იმის ხაზგასმის საფუძველს, რომ საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების გამიზნული პოლიტიკის გატარებით, შეიძლება „თურანის კარიბჭე“ ძველი „დიდი თურანის“ კარგად დავიწყებული პროექტის თეორიულ „რემიქად“ დარჩეს და არ განვითარდეს. წარმოდგენილი დეტალები არც თურქეთის და არც აზერბაიჯანის არანაირ გეოპოლიტიკურ გაძლიერებაზე არ მეტყველებს. პირიქით, ახალი TRIPP (იგივე „თურანის კარიბჭის“ კომუნიკაციები), გახსნის დღიდან, შესაძლოა სომხების მუდმივი დივერსიების ობიექტი იყოს, ხოლო 5-10 წლის შემდეგ ისევ სომხეთმა დაიბრუნოს ომით, თუ აზერბაიჯანი არ იქნება თანახმა აშშ-სთან შეთანხმების შეწყვეტაზე. აქედან გამომდინარე, „თურანის კარიბჭე“ უფრო მეტად თეორიული განსჯის სფეროდანაა, ვიდრე თურქეთის პოლიტიკური ხელისუფლების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კოზირი.

რეგიონალური ტრანსკასპიური პროექტების დაწყებამდე, სრულად დაუტვირთავი ბაქო - ახალქალაქი - ყარსის რკინიგზა თურქეთ - აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის, სრულიად საკმარისია. თუმცა, თურქეთში არიან ძალები, რომლებიც საქართველოს არასტაბილურ სატრანზიტო ქვეყნად მიიჩნევენ და ამ ძალებს უნდათ „თურანის კარიბჭის“ სახით ახალი სატრანზიტო დერეფნის მიყვანა იგდირიდან კასპიისპირეთამდე, რაც ემთრევა აშშ-ს ინტერესებს TRIPP შეთანხმების ინტერესებიდან გამომდინარე. უსაფრთხოების რა გარანტიები აქვს ამ

დერეფანს? მთავარი პრობლემა ამ თვალსაზრისით, დაფინანსებაა. მოქმედი ავტომაგისტრალის რეკონსტრუქცია იმდენი არა, მაგრამ ახალი რკინიგზის აგება აზერბაიჯანს მდ. არაქსის გასწვრივ, ძვირი დაუჯდება. თუმცა, აშშ-ს და თურქეთის დახმარებით, მაინც ასე თუ ისე ამას მოახერხებს. მაგრამ ნავთობისა და გაზის მილსადენების გაყვანა ერზერუმამდე (BTC ნავთობსადენში და TANAP-ის გაზსადენში ჩასართავად), დასავლური კომპანიების კონტროლირებული კასპიის საზღოებიდან, რთული იქნება და მრავალ წელს მოითხოვს.

ამის საპირისპიროდ, ირანის დასანქცირების გამო საქართველოსკენ წამოსული ტვირთი, სომხეთის გავლით „ზანგეზურის დერეფნით“ შეძლებს დაუბრკოლებლად მოხვდეს დანიშნულების ადგილზე, რასაც საქართველოს მიერ სხვადასხვა ქვეყანასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებები კიდევ უფრო გაამართიკებს (ზ. მადრაძე, 2025). ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდება ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით, რაც საქართველოს გზას გაუხსნის მიიღოს გაცილებით უფრო დიდი ზომის გემები ვიდრე დღეს ახერხებს. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის აკვატორიაში მხოლოდ საქართველოს არ აქვს ღრმაწყლოვანი პორტი (დ. ბერაძე, 2024). მსგავსი პორტის აშენება ნიშნავს იმას, რომ დიდი წყალწყვის გემებიდან, პორტებში შემოსატანად, მცირე ზომის გემებზე საქონლის გადმოტვირთვა აღარ იქნება საჭირო. ეს გააიადებს ტვირთის ტრანსპორტირების საერთო ღირებულებას და ამავდროულად გაზრდის მიღებული ტვირთების რაოდენობას. აგრეთვე, საქართველოდან გამავალი გემები შეძლებენ ერთი ჩატვირთვით წაიღონ უფრო მეტი ტვირთი, რაც ექსპორტირების/რეექსპორტირების ღირებულებას შეამცირებს და კონკურენტუნარიანობას გაზრდის თანამედროვე „სატარიფო ომების“ პირობებში.

გადალახა თუ არა მსოფლიომ გარდამტეხი წერტილი, როცა „სატარიფო ომები“ იმდენად გავრცელდა, რომ მათი აცილება შეუძლებელია? არის თუ არა ანარქია მსოფლიოს ეკონომიკის მომავალი? 2025 წლის 24 ივლისს „ევრაზიარევიუს“ ოპ-ედში მკვლევარი ჯონ ფეფერი სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „...ცივი ომის შემდგომი ეს წესრიგი, რომელშიც შეერთებული შტატები უფრო ცალმხრივად მოქმედებს, კიდევ უფრო არაპროგნოზირებადია ვიდრე ის, რაც ადრე იყო... მემარჯვენე ნაციონალისტები მართავენ შეერთებულ შტატებს, რუსეთს, უნგრეთს, ინდოეთსა და სალვადორს. ექსტრემისტები იმუქრებიან, რომ გერმანიასა და საფრანგეთში ძალაუფლებას აიღებენ, რითაც ევროკავშირს ლიბერალური ინტერნაციონალიზმისგან დააშორებენ“ (John Feffer, 2025). ამიტომ **“სამხრეთის გაზის დერეფანი”** და საქართველოს როლი მასში მნიშვნელოვანი ხდება ევროპის სტაბილური ენერგოუსაფრთხოებისთვის, მაგრამ გაჩნდა გარკვეული გაუგებრობა „ზანგეზურის“ ბაქო-ნახჩევანის მარშრუტის (TRIPP) ირგვლივ.

ენერგეტიკული პროექტები

TRIPP-ის მთავარი მხარდამჭერები არიან აშშ-ს, სომხეთის, აზერბაიჯანის ადმინისტრაციები და თურქეთის პანთურქული ძალები, რომლებიც ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი გავლენა კასპიის ზღვის რეგიონში, ცენტრალურ აზიაში და ჩინეთის „სარტყელისა და გაზის ინიციატივის“ პროექტებზეც კი. ისინი ეყრდნობიან შეთანხმების იმ პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებენ: 1) რეგიონში ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განხლოკვას; 2) სომხეთის მიერ აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონებსა და ნახჩევანს შორის სატრანსპორტო კავშირის

უზრუნველყოფას მდ. არაქსის სანაპიროთი; 3) ახალი სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობას ნახჭევანსა და აზერბაიჯანის სხვა რეგიონებს შორის. ამიტომ, გაუგებარია განცხადებები TRIPP-ის, როგორც საქართველო-ევროკავშირის კასპიის ნახშირწყალბადების დასავლური “დერეფნის” ალტერნატივის შესახებ.

ასე მაგალითად, „ფორბსში“ 2025 წლის 18 ივლისს სტატიაში „ამერიკის ზრდადი გავლენა ზანგეზურზე: როგორ შეიძლება აშშ-ს მართულმა დერეფანმა შეკვეცოს ევროპის ენერგეტიკის ფასები და დაუპირისპირდეს რუსეთს“ გიუნეი ილდიზი წერს: „ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის ეს სერიოზული შედეგებია. IEA-ს 2025 წლის მსოფლიო ენერგეტიკული პერსპექტივის პროგნოზით, ევროპას 2030 წლისთვის 20 მილიარდი კუბური მეტრით მეტი არარუსული გაზი დასჭირდება. სომხეთ-თურქეთის ნორმალიზებულმა საზღვრებმა შესაძლოა გააუმჯობესოს კასპიის ზღვის რეზერვებზე წვდომა, რაც პოტენციურად 10-15 პროცენტით შეამცირებს იმპორტის ხარჯებს ისეთი კომპანიებისთვის, როგორიცაა BP (Forbes, G. Yildiz, 2025).

ეს იდეა წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის BTC-ს ნავთობსადენის და “სამხრეთის გაზის დერეფნის” პროექტთან, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც ევროკავშირი, ისე საქართველო და აზერბაიჯანი. ეს სიტუაცია მიუთითებს რეგიონში არსებულ რთულ გეოპოლიტიკურ დინამიკაზე და სხვადასხვა მხარეების განსხვავებულ ინტერესებზე ენერგეტიკული მარშრუტების განვითარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტების ნაწილი სამართლიანად არ ეთანხმება ამ ინტერპრეტაციას და წარმოადგენენ 4 არგუმენტს: ა) შეთანხმება ეხება მხოლოდ მოქალაქეების, ავტომანქანებისა და ტვირთების გადაადგილებას, და არა რკინიგზის აგებას, ან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას; ბ) ე.წ. „ზანგეზურის დერეფანი“ (TRIPP) გაივლის სომხეთის ტერიტორიაზე და მას აშშ სამხედროები გააკონტროლებენ, ანუ მდ. არაქსის 43 კმ-იან სანაპიროზე, ერთი ქვეყნის ფარგლებში, რუსული გიუმრის სამხედრო ბაზის და მესაზღვრეების ახლოს აღმოჩნდებიან აშშ-ს სამხედროები. რუსი მესაზღვრეების სომხეთში დისლოცირებული 4 რაზმიდან (Погранотряд), ერთი სწორედ ზანგეზურში, ქ. მეგრშია დისლოცირებული (TACC, 2024); გ) რუსი მესაზღვრეების და გიუმრის ბაზის „ზანგეზურის დერეფნის“ კონტროლი რისკის შემცველია როგორც ევროპული ენერგოკომპანიების მილსადენების, ისე მთელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის; დ) „ზანგეზურის დერეფნის“ საწყისი/საბოლოო პუნქტებია აზერბაიჯანი და ნატო-ს წევრი თურქეთი, და არა სომხეთის სიუნიკის რაიონი (ზანგეზური), ანუ ტვირთების საწყისი/საბოლოო დანიშნულების პუნქტები თურქეთსა და აზერბაიჯანში იქნება.

ბაქო-ერზერუმი-ნახჭევანის გაზსადენის პროექტზე აზერბაიჯანი და თურქეთი უკვე შეთანხმდნენ 2020 წლის თებერვალში. აღნიშნული მემორანდუმით ილჰამ ალიევმა და მისმა თურქმა კოლეგამ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ერთობლივი ინტერესი გამოხატეს ერზერუმიდან და იგდირიდან ნახჭევანისკენ, აზერბაიჯანის დანარჩენი ნაწილიდან გამოყოფილი ავტონომიისკენ, საქართველოს გავლით გაზსადენის აშენებაზე. მოლაპარაკებების განხილვის მთავარი თემა იყო - შეუძლია თუ არა დაეხმაროს თურქეთს აზერბაიჯანის ნახჭევანის ავტონომიის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებაში, მაშინ როცა სომხეთის სიუნიკის (ზანგეზურის) დერეფნით ავტონომიის გაზმომარაგება საფრთხის შემცველია.

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღზე უთანხმოება ხელს უშლიდა არა მარტო ისტორიული „ზანგეზურის დერეფნის“ გახსნას, არამედ რეგიონულ თანამშრომლობასაც. ამის შედეგად, ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა მოწყვეტილი აღმოჩნდა თურქეთის ქ. ერზურუმთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისგან. ამ ვითარებაში, ნახჭევანი იძულებული გახდა ენერგეტიკული რესურსები მეზობელი ირანისგან მიეღო. 2004 წელს გაფორმდა ე.წ. SWAP შეთანხმება ირანსა და აზერბაიჯანს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, აზერბაიჯანი ჩრდილოეთ ირანს აწვდის გაზს, სანაცვლოდ კი ირანი უზრუნველყოფს ნახჭევანს ბუნებრივი აირით. ეს 25-წლიანი კონტრაქტი ითვალისწინებს, რომ აზერბაიჯანი ირანს გაზს მიაწვდის სასაზღვრო ქალაქ ასტარას გავლით. ირანი, თავის მხრივ, ნახჭევანს უგზავნის ამ მოცულობის გაზის 85%-ს ქალაქ ჯულფაში, ხოლო დარჩენილ 15%-ს იტოვებს, როგორც ტრანზიტის საფასურს. 2019 წლის მონაცემებით, ამ სქემით აზერბაიჯანმა ირანს მიაწოდა 395 მილიონი კუბური მეტრი გაზი. გარდა ენერგორესურსებისა, ნახჭევანი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ირანთან სხვა სახის ვაჭრობაზეც. ეს ურთიერთობები ვითარდება ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა და ირანის 179 კილომეტრიანი საერთო საზღვრის გასწვრივ. აზერბაიჯანის მთავრობა წლების განმავლობაში გამოხატავდა შემოფოთებას ნახჭევანის ირანზე ასეთი მჭიდრო დამოკიდებულების გამო, რაც გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ რისკებს ქმნის. ნახჭევანის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, გასააქტიურებელია ბაქოდან საქართველოსა და თურქეთის გავლით ნახჭევანში გაზსადენის გაყვანის იდეა. ამ ვითარებაში, აზერბაიჯანმა გადაწყვიტა გაეფართოებინა ინფრასტრუქტურული კავშირები ნახჭევანსა და თურქეთს შორის. მაგრამ სავარაუდოდ, „ზანგეზურის დერეფნის“ მიმართ ირანის ოპოზიციის გამო, თეირანი შეწყვეტს ნახჭევანის გაზმომარაგებას, რაც ისევ აქტუალურს გახდის ბაქო-თბილისი-ყარსი-ნახჭევანის გაზსადენის აგებას, ვინაიდან „ზანგეზურის დერეფნის“ გასწვრივ გაზსადენის აგებაზე 2025 წლის 8 აგვისტოს სამმხრივ ხელშეკრულებაში საუბარი არ არის.

აშშ-მ თავი დიპლომატიური რისკის ცენტრში მოაქცია, რამაც შეიძლება შეცვალოს ევრაზიის მასშტაბით კომუნიკაციების ნაკადები. „ზანგეზურის დერეფნის“ ამბიციური შეთანხმებით - სომხეთის სიუნიკის (ზანგეზურის) რაიონში სტრატეგიული 43 კილომეტრიანი გადასასვლელით აშშ მიზნად ისახავს არსებული ჩიხების გადალახვას და მოსკოვის, პეკინისა და თეირანის მზარდი გავლენის წინააღმდეგობის გაწევას კრიტიკულ სატრანზიტო რეგიონში.

ახალი დერეფნის რენტაბელობა

სამმხრივი შეთანხმების პოტენციური ეკონომიკური სარგებელი საკმარისად დიდია იმისთვის, რომ „ზანგეზურის დერეფნის“ პოლიტიკური და უსაფრთხოების რისკები გადაფაროს. მსოფლიო ბანკის მოდელირება ვარაუდობს, რომ დერეფანს შეუძლია 2027 წლისთვის წლიური ვაჭრობით 50-100 მილიარდი დოლარის გამომუშავება. ეს ზრდა განპირობებული იქნება სერიოზული ლოგისტიკური გაუმჯობესებით - Bloomberg-ის 2025 წლის მაისის მონაცემები მიუთითებს, რომ მარშრუტმა შესაძლოა ევროპა-აზიის ტრანზიტის დრო 12-15 დღით შეამციროს არსებულ მარშრუტებთან შედარებით (NewsAm, 2025).

ინვესტიციების ანაზღაურების პერსპექტივაც დამაჯერებლად გამოიყურება. „კასპიის პოლიტიკის ცენტრი“ ინფრასტრუქტურის ხარჯებს 5-10 წლის განმავლო-

ბაში 3-5 მილიარდ დოლარად აფასებს, ხოლო „ოქსფორდის ეკონომიკის მოდელირება“ წლიურ ლოჯისტიკურ დანაზოგს 20-30 მილიარდ დოლარს პროგნოზირებს. აზერბაიჯანის ეკონომიკური რეფორმების ანალიზისა და კომუნიკაციის ცენტრის პროგნოზით, დერეფანი ქვეყნის მთლიან ექსპორტს 700 მილიონ დოლარზე მეტით გაზრდის და არანავთობის მშპ-ც ყოველწლიურად 2 პროცენტით გაიზრდება. შედარებისთვის, ბაქო-თბილისი-ახალქალაქის რკინიგზით 2024 წელს გადაიტვირთა 2,8 მლნ ტონა ტვირთი. უფრო მეტიც, „კომერსანტის“ ინფორმაციით „...BTK ამჟამად ზარალით მუშაობს... ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვა თითქმის მთლიანად შეწყდა 2023 და 2024 წლებში. ხოლო 2025 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში რკინიგზით მხოლოდ 102 ათასი ტონა ტრანზიტული ტვირთი გადაიზიდა. რაც შეეხება წინა წლებს, 2021-2022 წლებში, რკინიგზის გამტარუნარიანობა 10%-ითაც კი არ იყო გამოყენებული. ...BTK ამჟამად ზარალით მუშაობს, დამატებითი მხარეების ჩართვაა საჭირო“ („კომერსანტი“, 16 აგვისტო 2025). საქართველოზე გამავალი „დერეფნით“ ვაჭრობის მოცულობამ რუსეთ-უკრაინის ომამდე - 2022 წელს მხოლოდ დაახლოებით 1,5 მლნ ტონა შეადგინა. მაშინ როცა, იმავე დროს „ჩრდილოეთის სავაჭრო გზით“ გადაზიდული საქონლის მოცულობა წლიურად იყო 144-145 მლნ ტონა, ხოლო მესამე - ე.წ. ტრადიციული საზღვაო მარშრუტით 2023 წელს გადაიზიდა 1 მლრდ ტონაზე მეტი ტვირთი! (ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე, “შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება”, თბ. 2024 წ. გვ.19). 2022 წელსაც კი, როდესაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, რითაც ჩრდილოეთ დერეფანს დიდი რეპუტაციული ზიანი მიაღდა და მისი სანდოობა საგრძნობლად შემცირდა, შუა დერეფანზე 33000 ოცფუტიანი კონტეინერის ეკვივალენტმა ტვირთმა გაიარა (Poplawski, და სხვ. 2024). მართალია ეს რიცხვი ტვირთგამტარობის მზარდ დინამიკაზე მიუთითებს, რამდენადაც 2021 წელს ტვირთების საერთო მოცულობამ 25200 ოცფუტიანი კონტეინერის ეკვივალენტი შეადგინა, მაგრამ მოსალოდნელ 50000 ოცფუტიან კონტეინერის ეკვივალენტს მაინც გაცილებით ჩამორჩა. იმავე წელს ჩრდილოეთ დერეფანზე გამავალი ტვირთის მოცულობა, შენელებული დინამიკის მიუხედავად 410500 ოცფუტიანი კონტეინერის ეკვივალენტი იყო, რაც თითქმის 14-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვენს შუა დერეფანზე დაფიქსირებული ტვირთის მონაცემი. იმისათვის, რომ გლობალური სურათი დავინახოთ, საჭიროა ხაზი გაესვას საზღვაო დერეფნის კოლოსალურობას, რომელთანაც შედარებით ჩრდილოეთ და მით უმეტეს შუა დერეფნების მონაცემები გაცილებით მცირეა: 2022 წელს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა საზღვაო დერეფანმა 24200000 ოცფუტიანი კონტეინერის ეკვივალენტი ტვირთი გაატარა. ეს რიცხვი არც მეტი, არც ნაკლები 800-ჯერ მეტია, ვიდრე შუა დერეფნის მონაცემი და 60-ჯერ მეტი, ვიდრე ჩრდილოეთ დერეფნის მონაცემი (ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე, “შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება”, თბ. 2024 წ. გვ. 59).

დიპლომატიური ინოვაცია

ამრიგად, ხდება აშშ-ს TRIPP ინოვაციისა და თურქული „თურანის კარიბჭის“ პროექტების თანხვედრა, რაც უახლოეს მომავალში სამხრეთ კავკასიაში ანკარასა და ვაშინგტონის ეკონომიკური ინტერესების დაახლოებას გამოიწვევს. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ამ ფაქტს ექნება როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. კერძოდ, „ფორბსის“ ცნობით:

2027 წლისთვის, TRIPP-ის წარმატებულმა განხორციელებამ შეიძლება 20-50 მილიარდი დოლარის წლიური სავაჭრო ნაკადები მოუტანოს „შუა დერეფნის“ გასწვრივ, მდებარე ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს. მსოფლიო ბანკი რეგიონის პოტენციურ ტვირთბრუნვას 11 მილიონ ტონამდე აფასებს, რაც ფუნდამენტურად შეცვლის ევრაზიულ ლოჯისტიკას. თუმცა, ეს მოგება დამოკიდებულია სომხეთის ზოგიერთი ლიდერის პოზიციაზე და საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნებაზე.

ტრანსეოვრული კორპორაციები იმედოვნებენ „ზანგეზურის დერეფნით“ მი-აღწიონ წმინდა მოგების 10-15 პროცენტთან ზრდას. ამავდროულად, აშშ-ის ხელმძღვანელობით „ზანგეზურის დერეფნის“ ოპერირება ზრდის მის მიმზიდველობას. პროექტის საბოლოო წარმატება დამოკიდებულია სომხეთის ლეგიტიმური სუვერენიტეტის საკითხების მოგვარებაზე და ტრანსფორმაციული ეკონომიკური პოტენციალის გახსნაზე, იმის ტესტირებაზე, შეუძლია თუ არა ამერიკულ დიპლომატიურ ინოვაციას შეცვალოს გლობალური წესრიგი (Forbes, 2025).

ძირითადი გამოწვევა შეურიგებელ პოზიციებშია: აზერბაიჯანი 2023 წლის სამხედრო გამარჯვების დივიდენდების სახით შეუფერხებელ „ღია“ დერეფანს მოითხოვს, ხოლო სომხეთი კატეგორიულად უარს ამბობს სუვერენიტეტის დათმობაზე იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის კრიტიკულად მიიჩნევს. აშშ-ის „იჯარის“ წინადადება წარმოადგენს მცდელობას, გამოიყენოს კორპორაციულ-სამართლებრივი ჩარჩოები ამ ჩიხის თავიდან ასაცილებლად. ის ბაქოს უსაფრთხოების გარანტიებს სთავაზობს და ერევანს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ნომინალური სუვერენიტეტი.

ამ მიდგომას ისტორიული პრეცედენტები აქვს. ისევე, როგორც პანამის არხი აშშ-ის ადმინისტრაციის ხელში 1914-1999 წლებში, ზანგეზურის მოდელი გვიპირდება გლობალური ვაჭრობის ხელშეწყობას და უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას.

გეოპოლიტიკური გათვლები და მეტოქეობა

დერეფნის წარმატება ფუნდამენტურად შეცვლის რეგიონული ძალაუფლების დინამიკას. ირანს ემუქრება თავისი სატრანზიტო როლის 20-30 პროცენტის დაკარგვის პერსპექტივა, რაც ხელს შეუშლის კრიტიკულ სავაჭრო კავშირებს, მათ შორის 43000 თურქულ სატვირთო მანქანას, რომლებიც ყოველწლიურად ცენტრალურ აზიაში გადის. რუსეთს ათწლეულის განმავლობაში 10-20 მილიარდი დოლარის შემოსავლის დანაკარგი ემუქრება და ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებზე არაპირდაპირი ზეგავლენის 10-15 პროცენტთან შემცირებას მოელის (Forbes, 2025).

„ზანგეზურის დერეფანი“ წარმოადგენს აშშ-ს შესაძლებლობების განმსაზღვრელ ტესტს, რათა შეიქმნას ორმხრივად მომგებიანი გადაწყვეტილებები კონფლიქტურ რეგიონებში.

ამასობაში, ჩინეთი გეგმავს 2030 წლისთვის „სარტყელი და გზის“ ეფექტიანობის 20-30 მილიარდი დოლარით გაზრდას გაუმჯობესებული კავშირის გზით. მიუხედავად ამისა, პეკინმა ეს მოგება ჩინეთის მიერ კონტროლირებად მარშრუტებზე დამოკიდებულების შემცირების რისკთან უნდა დააბალანსოს. ახალ „დერეფანს“ შეუძლია თურქეთი თურქულენოვან სახელმწიფოებთან პირდაპირი წვდომით, კრიტიკულ ენერგეტიკულ ცენტრად აქციოს, რაც მას პოტენციურად 2030 წლისთვის ტრანზიტის წლიური შემოსავლის სახით 10-15 მილიარდ დოლარს მოუტანს.

ცალკეული ენერგეტიკული მსხვილი კომპანიებიც შემოსავლებს ელიან. მიუხედავად იმისა, რომ „ზანგეზურის“ შეთანხმებაში ენერგეტიკა ზოგადადაა ნახსენები, SOCAR აფართოებს მილსადენების სიმძლავრეს, ხოლო ADNOC წყალბადის ერთობლივ საწარმოებს მოემსახურება. BP და Chevron გაზრდილი ექსპორტის შემოსავლიდან 5-10 მილიარდი დოლარის ინვესტიციების ზრდას პროგნოზირებენ. თუმცა, „პოლიტიკურმა ჩიხმა“ შესაძლოა პროექტის ხარჯები 20 პროცენტით გაზარდოს, ხოლო მარეგულირებელი ორგანოების მიერ შეფერხებებმა შესაძლოა ვადები სიცოცხლისუნარიანი საინვესტიციო პერსპექტივის მიღმა გადაწიოს.

აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებში მოღვაწე თურქული ბიზნესები, დერეფნის განხორციელების შემთხვევაში, ექსპორტის მოცულობის 310 პროცენტით ზრდას პროგნოზირებენ - წელიწადში 160 მილიონი დოლარიდან 500 მილიონ დოლარამდე. ეს ეკონომიკური იმპულსი უზრუნველყოფს ძლიერ სტიმულს დიპლომატიური ჩართულობისთვის.

რისკები და განხორციელების გამოწვევები

მიუხედავად დამაჯერებელი ეკონომიკური მდგომარეობისა, მნიშვნელოვანი რისკები კვლავ არსებობს. დამკვირვებლები მოლაპარაკებების ჩაშლას 60 პროცენტთან ალბათობას ანიჭებენ, რაც პოტენციურად პროექტის განხორციელების 12-18 თვით გადადებას გამოიწვევს. Lloyd's-ის 2025 წლის ივნისის მონაცემებით, თუ მოლაპარაკებები ჩაიშლება, შესაძლოა სასაქონლო ფასები 20 პროცენტით, ხოლო სადაზღვევო პრემიები 20 პროცენტით გაიზარდოს.

ამ პროცესს რუსეთისა და ირანისთვის ნეგატიური შედეგების გარეშე არ ჩაუვლია. ირანი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმდებარე ჩრდილოეთ საზღვრების ნებისმიერ ცვლილებას. „ზანგეზურის დერეფანი“ უზრუნველყოფს ადამიანებისა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას თურქეთსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის და იქიდან ცენტრალურ აზიაში, ირანის ან რუსეთის ტერიტორიის გავლის გარეშე, რაც განამტკიცებს ანტიირანული პანთურქიზმის პოზიციებს.

თურქეთი მტკიცედ უჭერს მხარს პროექტს. მიუხედავად იმისა, რომ ადრე სომხეთსა და აზერბაიჯანს მოსკოვთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ბოლო წლებში მდგომარეობა დაიძაბა. აშშ-ის ოფიციალური პირების თქმით, „ზანგეზურის დერეფანი“ ყოველწლიურად მილიარდობით დოლარის საქონელბრუნვას მოუტანს აშშ-ს და შეამცირებს რუსეთის, ირანისა და ჩინეთის გავლენას რეგიონში.

სომხეთმა კატეგორიულად უარყო ტერიტორიული კონტროლის იჯარის ან გადაცემის შესახებ დისკუსიები. მთავრობის პრესმდივანმა ნაზელი ბაღდასარიანმა მტკიცედ განაცხადა, რომ „...სომხეთმა არ განიხილა და არც განიხილავს თავისი სუვერენული ტერიტორიის კონტროლის გადაცემას რომელიმე მესამე მხარისთვის“. ეს წინააღმდეგობა ხაზს უსვამს აშშ-ის შუამავლების წინაშე არსებულ ფუნდამენტურ გამოწვევას.

ზანგეზურის ინიციატივის წარმატება აჩვენებს ვაშინგტონის უნარს, შექმნას გადაწყვეტილებები, რომლებიც უძლებს კონკურენტების გავლენას და ამავდროულად ემსახურება ხელშესახებ ეკონომიკურ ინტერესებს. წარუმატებლობამ შეიძლება მიუთითოს აშშ-ს შემცირებულ შესაძლებლობებზე, ჩამოაყალიბოს ნეგატიური შედეგები კონფლიქტურ რეგიონებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The World Bank annual report 2007 (English)<https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/732761468779449524/the-world-bank-annual-report-2007>;
2. გლობალიზაცია და ბიზნესი https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/339902/1/Globalizacia_Da_Biznesi_2018_N6.pdf
3. Global Value chains...https://www.google.com/search?q=Jhu+Treffler+2005+&sca_esv=
4. <https://ungeorgia.ge/geo/%E1%83%92%E1%83%90%>
5. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2011, <https://mfa.gov.ge/national-security-concept>
6. .Envisioning peace: An analysis of grassroots views on the Nagorny Karabakh conflict, <https://www.international-alert.org/publications/envisioning-peace-grassroots-views-nagorny-karabakh-conflict/>
7. დ. ბერაძე. 2023 წელს საქართველოში რკინიგზით შემოტანილი...<https://forbes.ge/2023-tsels-saqarthveloshi-rkinigzith-shemotanil-tvirthebis-47-4-rusethze-modis/>
8. ზ. მაღრაძე, 2025. <https://tbilisipost.ge/news/zurab-maghradze-vin-moismens-is-moigeb---male-saqartvelos-tsiurad-35-trilionis-tvirtebi-moadgeba-gvinda-rom-fuli-darches-pirvel-rigshi-qartvel-khalkhs-/6248>
9. ზურაბ გარაყანიძე. ყარაბაღის გაკვეთილები საქართველოს ეკონომიკური „რეინფიკაციისათვის“ ჟურნ. „ეკონომისტი“, N3, 2021. გვ. 70-89. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/ekon.pdf> p ISSN 1987-6890; e ISSN 2346-8432; https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/466006/1/Ekonomisti_2021_N3_Tomi_XVII.pdf
10. John Feffer. Is The World Order Collapsing? – OpEd July 24, 2025 <https://www.eurasiareview.com/24072025-is-the-world-order-collapsing-oped/>
11. G. Yildiz. America’s High-Stakes Bet On Zangezur: How A U.S.-Led Corridor Could Slash Europe’s Energy Costs And Counter Russia. <https://www.forbes.com/sites/guneyyildiz/2025/07/18/americas-high-stakes-bet-on-zangezur-how-a-us-led-corridor-could-slash-europes-energy-costs-and-counter-russia/><https://news.am/en/news/895072.html>
12. Что известно о работе российских пограничников в Армении... 2024, <https://tass.ru/info/20174155>
13. ახალქალაქის სადგური... <https://www.commersant.ge/news/infrastructure/btk-akhalkalaqis-sadguri-tamashidan-gaitisha-adgilobrивebis-pretenziები>
14. Poplawski. <https://www.osw.waw.pl/en/eksperci/marcin-poplawski>
15. Americas high stakes bet... <https://www.forbes.com/sites/guneyyildiz/2025/07/18/americas-high-stakes-bet-on-zangezur-how-a-us-led-corridor-could-slash-europes-energy-costs-and-counter-russia/>

Zurab Garakanidze

Doctor of Economics, Reserve Colonel, Associate Professor of the Master's Program in State Resources Management at the D. Agmashenebeli Defense Academy

THE ROLE OF THE “ZANGEZUR CORRIDOR” IN GEORGIA’S TRANSPORT AND COMMUNICATION SECURITY

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.04](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.04)

Expanded Summary

The main supporters of the Zangezur Corridor (TRIPP) discussed in the article are the US, Armenian, Azerbaijani administrations and the Pan-Turkic forces of Turkey, which are trying to expand their influence in the Caspian Sea region, Central Asia and even on the projects of China’s “Belt and Road Initiative”. They rely on the points of the agreement that provide for: 1) unblocking economic and transport links in the region; 2) ensuring transport links between the western regions of Azerbaijan and Nakhchivan by Armenia along the banks of the Araks River; 3) construction of new transport links between Nakhchivan and other regions of Azerbaijan. Therefore, their statements about TRIPP as an alternative to the Georgia-EU Caspian hydrocarbons western “corridor” are unclear.

For example, in *Forbes*, July 18, 2025, in an article titled “America’s Growing Influence on the Zangezur: How a US-led Corridor Could Cut European Energy Prices and Counter Russia,” Guney Yildiz writes: “This has serious implications for Europe’s energy security. According to the IEA’s 2025 World Energy Outlook, Europe will need 20 billion cubic meters more non-Russian gas by 2030. Normalized Armenian-Turkish borders could improve access to Caspian Sea reserves, potentially reducing import costs by 10-15 percent for companies like BP (Forbes, G. Yildiz, 2025).

This idea conflicts with the EU’s BTC oil pipeline and the “Southern Gas Corridor” projects, which are supported by the European Union, as well as Georgia and Azerbaijan. This situation indicates the complex geopolitical dynamics in the region and the different interests of different parties regarding the development of energy routes.

We support that part of the experts who rightly disagree with this interpretation and present 4 arguments: a) the TRIPP agreement concerns only the movement of citizens, vehicles and cargo, and not the construction of a railway or the transportation of oil and gas; b) the so-called “Zangezur Corridor” (TRIPP) will pass through the territory of Armenia and will be controlled by the US military, i.e. on the 43 km bank of the Araks River, within the framework of one country, the US military will be located near the Russian Gyumri military base and the regional RF border guards, - one of the 4 detachments (Погранотряд) of Russian border guards deployed in Armenia. This one is directly deployed in Zangezur, in the city of Meghri (TASS, 2024); c) Deployment in the “Zangezur Corridor” the Russian border guards and the Gyumri base poses a risk to both the pipelines of European energy companies and the entire transport infrastructure; d) The starting/ending points of the “Zangezur Corridor” are Azerbaijan and NATO member Turkey, and not the Syunik region of Armenia (Zangezur), i.e. the starting/ending points of the cargo will be in Turkey and Azerbaijan and the RF border guard nothing to do there.

Azerbaijan and Turkey have already agreed on the Baku-Erzurum-Nakhchivan gas pipeline project in February 2020. In the memorandum, Ilham Aliyev and his Turkish counterpart Recep Tayyip Erdogan expressed their mutual interest in building a gas pipeline from Erzurum and Iğdir to Nakhchivan, an autonomous region separated from the rest of Azerbaijan, via Georgia. The main topic of discussion during the talks was whether Turkey could help improve the energy security of Azerbaijan's Nakhchivan autonomous region, which is threatened by the Syunik (Zangezur) corridor in Armenia.

Keywords: Zangezur Corridor, Caspian Sea, Central Asia, Nakhchivan, Azerbaijan, Turkey, NATO, gas pipeline.

რუსუდან პაპასკირი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**საქართველოში სამშენებლო კომპანიების რეგულირების სახელმწიფო მექანიზმის
შეფასება**

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.05](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.05)

ანოტაცია. ნაშრომი იკვლევს საქართველოს სამშენებლო ბიზნესის რეგულირების სახელმწიფო მექანიზმს და აფასებს მის ქმედითუნარიანობას.

სტატიის მიზანია სახელმწიფოს მხრიდან სამშენებლო ბიზნესზე ზემოქმედების ისეთი ფისკალური და სარეგულაციო ბერკეტების შესწავლა და გაანალიზება, როგორებიცაა – ანტიმონოპოლიური და საგადასახადო კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვები, სუბსიდიები და საკრედიტო განაკვეთები.

კვლევაში წარმოჩენილია ანტიმონოპოლიური სამსახურის, დაბეგვრის პროგრესული სისტემის გაუქმების უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში შემოთავაზებულია სამშენებლო ბიზნესის რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ფინანსური რეგულირება, სამშენებლო ბიზნესი.

შესავალი

ისტორიულად, სახელმწიფოს როლმა ძლიერი ევოლუცია განიცადა და იგი სახელმწიფო ჟანდარმიდან სახელმწიფო მფარველად გადაიქცა. თანამედროვე სახელმწიფო წამყვან როლს ასრულებს ეკონომიკური ტრიადის სამივე პრობლემის – რა ვაწარმოოთ, როგორ ვაწარმოოთ და ვისთვის ვაწარმოოთ – ეფექტიან გადაჭრაში. საბაზრო ეკონომიკას, უპირველეს ყოვლისა, მართავს საბაზრო ძალები. რაც შეეხება სახელმწიფო ძალას, იგი მაშინ გამოდის სცენაზე, როცა ბაზარი რომელიმე ზემოთაღნიშნული პრობლემის ან მისი ნაწილის გადაჭრის დროს ფიასკოს განიცდის [1, გვ. 179].

სამშენებლო ბიზნესი არის ბიზნესის ერთ-ერთი მაღალრენტაბელური, მაღალშემოსავლიანი სფერო, რის გამოც რეალური ინვესტიციები, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, პირველ რიგში, ამ სფეროსკენ მიემუდრება. ამიტომ არის, რომ საქართველო, განსაკუთრებით ქალაქები თბილისი, ბათუმი, ქუთაისი დიდ სამშენებლო პოლიგონად გადაიქცნენ. 2024 წელს სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში შეადგენდა 8,4%-ს.

მოცემულ სტატიაში ვიხილავთ ფინანსური რეგულირების სახელმწიფო მექანიზმს და ვაფასებთ მის ქმედითუნარიანობას.

**სამშენებლო ბიზნესის რეგულირება ანტიმონოპოლიური და
საგადასახადო კანონმდებლობით**

ეკონომიკის ფინანსური რეგულირების ხარისხი განსხვავებულია არამხოლოდ საზოგადოების განვითარების თითოეულ საფეხურზე, არამედ ცალკეული ქვეყნის მიხედვითაც. ეს იმით აიხსნება, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების განვითარების დონე სხვადასხვაა. განსხვავებულია მათი ეკონომიკის კონცენტრაციის და

ცენტრალიზაციის დონეც, დარგთა შორის თანაფარდობა, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანაფარდობა და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომელთა შორისაა საქართველოც, დიდი როლი ენიჭება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას. მისი მთავარი დანიშნულებაა კონკურენციის დაცვა მონოპოლიებისგან. ამჟამად საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს ან შეზღუდულია თავისთავადი საბაზრო კონკურენცია [3, გვ. 81], რადგან სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზებულია. ეს ეხება სამშენებლო ბიზნესსაც.

2025 წლისთვის, საქსტატის მონაცემებით, რეგისტრირებულია 19432 აქტიური სამშენებლო სუბიექტი.

სამშენებლო პროდუქციის უმეტეს ნაწილს აკონტროლებს უმსხვილესი სამშენებლო ფირმები: ანაგი, აქსისი, ორბი, არქი, მაქროქონსტრაქშენი, დაგი, ვიარ (VR) ჰოლდინგი, m² და სხვა.

ეს და სხვა 30-მდე კომპანია ყველაზე ხშირად იგებენ საჯარო სამშენებლო ტენდერებს. 2023 წელს სამშენებლო სექტორის ბრუნვა იყო ~12,1მლრდ ლარი, რომელშიც 50%-ზე მეტი იყო უმსხვილესი კომპანიების წილი. ფასებზე ამ კომპანიების შეთანხმება ადვილად ხდება.

მცირე კომპანიები ვერ უძლებენ ფასების ხელოვნურ ზრდას და ბაზრიდან გადიან. ეს „კარტერული შეთანხმების“ კლასიკური მაგალითია.

საქართველოს მშენებლობაში და სხვა დარგებშიც ასეთ მოვლენებს ხელი შეუწყო 2005 წელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის და ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებამ. მართალია, მის ნაცვლად მიიღეს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ [2]. მასში გაუქმდა მონოპოლიური საკმიანობისა და კონკურენციის, ფასების და ფასწარმოქმნის შესახებ და სხვა დებულებები. შექმნეს ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, მაგრამ ვერც ამ კანონმა შეცვალა ანტიმონოპოლიური კანონი და ვერც ამ სააგენტომ – ანტიმონოპოლიური სამსახური.

ა.შ.შ.-ში ჯერ კიდევ 1890 წელს მიიღეს გერმანიის ანტიტრესტული კანონი (1914 წელს – „კლიტონის აქტი“, ხოლო 1950 წელს – „სელერ-კეფოვერის აქტი“), რომელიც მიმართული იყო ფასების ფიქსაციის, კარტელური შეთანხმებებისა და სხვა მსგავსი გარიგებების წინააღმდეგ. აშშ-ში ანტიტრესტული კანონმდებლობის დაცვას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო და ფედერალური სავაჭრო კომისია, რომელთა ძირითადი მიზანია კონკურენციის დაცვა და ხელშეწყობა [3, გვ.29].

მსოფლიოს თითქმის ყველა ნორმალურ ქვეყანას გააჩნია მძლავრი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი სამსახურები, რომლითაც ბაზრებზე კონკურენციის განვითარებას უწყობენ ხელს.

საქართველოში დღეს მოქმედებს „საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ“ [4], რომელიც მიღებულ იქნა 2014 წელს შესაბამისი ცვლილებებით. დაფუძნდა სამართლებრივად დამოუკიდებელი კონკურენციის ეროვნული სააგენტო, როგორც კონკურენციის კონტროლის ერთეული. ეს კანონი ხელს უწყობს ბაზრის ლიბერალიზაციას, თავისუფალ ვაჭრობას, კრძალავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

2020 და 2022 წლებში კონკურენციის კანონში შედის ცვლილებები [5,6] მათ შორის, დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს ფუნქციონირების განმტკიცე-

ბის შესახებ. მას მიენიჭა მეტი ბერკეტი ბაზრის მონიტორინგისთვის, სანქციების დაკისრებისთვის.

გამკაცრდა ჯარიმების დაწესების წესი და სხვა, თუმცა სააგენტო ნაკლებად ეხება ანტიმონოპოლიურ რეგულირებას. მას არ გააჩნია რეალური ბერკეტები, რომ ბაზარზე აღმოფხვრას ანტიმონოპოლიური საქმიანობა, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ამ მდგომარეობიდან გამოსავალია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის და ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ფასებს სამშენებლო ბაზარზე.

ანტიმონოპოლიური რეგულირების შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორედ გილზეა ბიზნესის რეგულირება **გადასახადებით**. საქართველოს სამშენებლო ბიზნესში მოქმედი კომპანიები, განურჩევლად მათი სიდიდისა, ერთნაირად იბეგრებიან. მსხვილი და საშუალო სიდიდის საწარმოები იბეგრებიან მოგების 15%-ით, მცირე სტატუსის მქონე საწარმოები, რომელთაც 2011 წლის საგადასახადო კოდექსით მიეკუთვნებოდნენ 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმოები, ბრუნვის 5%-ით იბეგრებოდნენ.

მცირე ბიზნესის სტატუსის ეს პარამეტრები 2020 წელს შეიცვალა და, შესაბამისად, გახდა 500000ლ, გადასახადი – 1%. საგადასახადო კოდექსის სირთულის გამო სამშენებლო ბიზნესის იმ მცირე მეწარმეებს, რომელთაც არ შეეხოთ დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი, ურთულდებათ საქმიანობა. სამშენებლო ბიზნესი ითვლება ხარჯტევად სფეროდ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღე-ს დაბეგვრის ბრუნვის ზღვრის გაზრდა და საშემოსავლო გადასახადის შემცირება.

საქართველოს სამშენებლო ბიზნესი, ისევე, როგორც მთლიანად საგადასახადო სისტემის მენეჯმენტი, ამჟამად ხორციელდება 2022 წლის კონსოლიდირებული საგადასახადო კოდექსით [7]. საქართველოში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები პროპორციული სისტემით იბეგრებიან. მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15%, საშემოსავლო – 20%. ჩვენ დავადგინეთ, რომ რადიკალური გარდაქმნის პირველი წლების (1992-1996 წ.წ.) საგადასახადო რეჟიმები რეგულირების თვალსაზრისით უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე – დღეს. მაგალითად, 1992 წელს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონის მიხედვით, მცირე საწარმოები მუშაობის პირველ წელს თავისუფლდებდნენ გადასახადებისგან, ხოლო მეორე წელს იხდიდნენ მის 50%-ს [8, გვ. 28-29].

2011 წლის ახალი საგადასახადო კოდექსით, მცირე საწარმოებს ეს შეღავათები მთლიანად მოესპოთ. [9]

წინა წლების საგადასახადო რეჟიმები რეგულირების ეფექტიანობით **სჯობდა**, მიმდინარეს გადასახადების დიფერენციაციითაც. მაგალითად, 1992 წლის კანონით, საშემოსავლო გადასახადი დიფერენცირებული იყო 12-40%-მდე შემოსავლების სიდიდის მიხედვით (12, 15, 20, 30 და 40%). რაც მეტი იყო შემოსავლები, მეტი იყო გადასახადის განაკვეთიც. ახლა კი, 2011 წლის საგადასახადო კოდექსით, ყველა სიდიდის შემოსავლის მქონე გადამხდელი იხდის 20%-ს გადასახადს.

იგივე მდგომარეობაა მოგების გადასახიდს განაკვეთშიც. ისიც ერთიანია ყველა სიდიდის მოგების მქონე კომპანიისთვის (15%). ეს მაშინ, როცა საზღვარგარეთ იგი დიფერენცირებულია.

ასე რომ, გადასახადები, როგორც ბიზნესის მარეგულირებელი ფინანსური ინსტრუმენტი, ჯერ-ჯერობით ვერ უწყობს ხელს საქართველოში სამეწარმეო საქმიან-

ნობის განვითარებას. ის ასრულებს ფისკალურ ფუნქციას, მაგრამ ვერ ასრულებს მასტიმულირებელ-მარეგულირებელ ფუნქციას.

ჩვენი აზრით, დაბეგვრის პროპორციული სისტემა უნდა შეიცვალოს პროგრესული სისტემით. ეს ეხება მოგების და საშემოსავლო გადასახადებს.

მთავრობამ უნდა გაამარტივოს საგადასახადო კოდექსი.

გადასახადების რაოდენობა საქართველოში არ არის ბევრი, მაგრამ თვითონ საგადასახადო პოლიტიკა არის მოუქნელი. იგი არ არის სრულყოფილი და მისით დარეგულირებულ ეკონომიკას, მ.შ. სამშენებლო ბიზნესს, ჩვენი აზრით, პერსპექტივა არა აქვთ.

რადგან გადასახადი არის სახელმწიფო მხრიდან ბიზნესის რეგულირების ინსტრუმენტი, იგი იყო და ყოველთვისაც იქნება. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რამდენი გადასახადი უნდა იყოს ქვეყანაში და თითოეული – რა სიდიდის? ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სიდიდე იყოს დამოკიდებული გადასახადების სიდიდეზე თუ, პირიქით, საგადასახადო განაკვეთების სიდიდე – ბიუჯეტის საჭიროებაზე? ჩვენი აზრით, ჯერ უნდა ისაზღვრებოდეს გადასახადის განაკვეთები, დგინდებოდეს მათი ოპტიმალური სიდიდე და მხოლოდ ამის შემდეგ, მასზე დამოკიდებულებით, იგეგმებოდეს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. საქართველოში ეს, ნამდვილად, ასე არ ხდება.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებშია გადასახადების მაღალი განაკვეთები. ამჟამად მოქმედი გადასახადების განაკვეთები ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაღალი არ არის, მაგრამ ქართული ბიზნესის, მათ შორის, სამშენებლო ბიზნესის ეფექტიან დარეგულირებას ისინი ვერ ახდენენ. ამას გვიჩვენებს სამშენებლო ბიზნესის ხვედრითი წილის სტატისტიკა წლების მიხედვით [10]: 2017–9,8%, 2018–9%, 2019–8,6%, 2023–7,8%, როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს მშპ-ში სამშენებლო სექტორის ხვედრითი წილის შემცირებას წლების მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ რეგულირების ეს ფინანსური ინსტრუმენტი არ არეგულირებს ამ დარგის განვითარებას.

ბიზნესის რეგულირება სახელმწიფო სესხებით, სუბსიდიებით და საკრედიტო განაკვეთებით

გადასახადების გარდა, ბიზნესის რეგულირების ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნებიან **სახელმწიფო სესხები, სუბსიდიები და საკრედიტო განაკვეთები**. არ არსებობს მათი გამოყენების და ამოქმედების საერთაშორისო, უნიფიცირებული სტანდარტი. ყველა ქვეყანა მათ საკუთარი საჭიროებების და შეხედულებების მიხედვით იყენებს.

2020 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის პროგრამა [11], რომელიც მიზნად ისახავდა COVID-19-ის პანდემიის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სამშენებლო სექტორში ამ წლებში სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა რამდენიმე ფრაგმენტული ღონისძიების გატარებას. მოხდა ჯარიმების გამკაცრება (250000ლ) უნებართვო მშენებლობისთვის.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის N41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების შესახებ“ არეგულირებს შენობის დაგეგმარებას, სახანძრო უსაფრთხოებას და სხვა მოთხოვნებს.

საქართველოში მოქმედებს „სივრცით მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონი.

ფიქსირდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის K_2 -ის ზრდის რეგულირების შემთხვევები. K_2 -ის ზრდა ნიშნავს მეტ ფინანსურ რესურსს ინფრასტრუქტურის, მწვანე ზონების შესანარჩუნებლად, თუმცა დეველოპმენტი ზრდის საბოლოო მომსახურებაზე ხარჯებს, რაც აწვება მომხმარებელს.

საქართველოში მოქმედებს კომპენსაციის გადასახდელი საფასურები, რომლებიც გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის ზონაში ავარიული შენობების რეაბილიტაციის ან ჩანაცვების შემთხვევაში. მაგრამ რამდენად მიზნობრივად, გამჭვირვალედ იხარჯება ეს თანხები, სხვა საკითხია.

2022 წლის „სამშენებლო და არქიტექტურული საქმიანობის კოდექსის“ მიღება ითვალისწინებს ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირებას ევროკავშირის ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისად.

სახელმწიფო დაინტერესდა კონკრეტულ სამშენებლო კომპანიებში პირდაპირი და ირიბი **სუბსიდიებით**. ეს, ძირითადად, პოლიტიკურად განსაზღვრული და მიზნობრივი დახმარებაა კონკრეტული კომპანიების მიმართ.

საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია, კონკრეტულად, რომელ სამშენებლო კომპანიებს აქვთ სუბსიდიები. არ არის ცნობილი ინდივიდუალური სუბსიდიების პროგრამა კომპანიებისთვის.

სუბსიდია შეეხო მხოლოდ იმ შენობებს, რომლებიც შენდება კერძო კომპანიების მიერ.

ცნობილია, რომ სარგებელი მიიღეს ისეთმა მსხვილმა დეველოპერებმა, როგორებიც არიან: Archi, m², Alliabce Group, Orbi.

სუბსიდიების სისტემა, ხშირ შემთხვევაში, არ არის სისტემური, არამედ მიმართულია ინდივიდუალურ პროექტებზე, რაც ზრდის კორუფციის საფრთხეს და უთანასწორო კონკურენციას. სექტორი, შესაძლოა, დამოკიდებული იყოს პარტიულ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

მთავრობა ვალდებულია, პირველ რიგში, უზრუნველყოს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები ღირსეული საცხოვრებელი პირობებით. მათი 45% (140000 ადამიანი) არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით – არ არსებობს დევნილთა შესახებ სახელმწიფო პროგრამა.

მთავრობამ დევნილების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პრობლემა უნდა გადაჭრას სუბსიდიებითა და თანადაფინანსებით. აქტიურად უნდა ამოქმედდეს 2020 წელს მიღებული სუბსიდიების პროგრამა ახალაშენებული ბინების შესაძენად. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს დეველოპერებს გარკვეული თანადაფინანსებით ან მიწის გამოყოფით. თვითონ იყოს დიდი სამშენებლო შეკვეთების დამკვეთი, მოახდინოს ნებართვების გამარტივება და რეგულაციების ლიბერალიზაცია.

რაც შეეხება ბიზნესის რეგულირების ერთ-ერთ ფინანსურ ინსტრუმენტს – **საპროცენტო განაკვეთს**, ჩვენ მოგვყავს საქართველოს ეროვნული ბანკისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნის – ესტონეთის ცენტრალური ბანკის [12] Festi Pank-ის [13] სტატისტიკა საბანკო სექტორის მიერ ბიზნესებზე გაცემული საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთების შესახებ წლების მიხედვით:

წელი	საქართველო (%)	ესტონეთი (%)
2022	13,66	3,0
2023	13,51	6,0
2024	13,5	5,34
2025 (მარტი- აპრილი)	13,2	5,2

როგორც ვხედავთ, ესტონეთში ბიზნესებზე გაცემული წლიური საკრედიტო განაკვეთი $\approx 2,3$ -ჯერ ნაკლებია საქართველოს ამ მაჩვენებელზე, ხოლო 2022 წელს იყო 4-ჯერ ნაკლები. ამას უწყობს ხელს ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) პოლიტიკა და ევროზონის ბაზრები.

დასკვნა-რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთქმულიდან კეთდება დასკვნა, რომ საქართველოს სამშენებლო სექტორს არ აქვს ეფექტური სახელმწიფო ფინანსური რეგულირების სისტემა.

ჩვენი აზრით, სამშენებლო ბიზნესი ეპიზოდური, ფრაგმენტული ღონისძიებებით კი არ უნდა იმართოს, არამედ წინასწარ უნდა იყოს ქვეყანაში შემუშავებული მათი მართვა-რეგულირების კომპლექსური გეგმა. სამშენებლო სექტორთან მიმართებაში საქართველოში ყურადღება უნდა მიექცეს პრიორიტეტული დარგების – ენერგეტიკის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის აღმშენებლობას.

უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი ფართით უნდა დაკმაყოფილდეს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა.

კვლევის შედეგად გამოვლენილი რეკომენდაციებია:

- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის და ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა.

- მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების დიფერენციაცია.

- სუბსიდიებისა და თანადაფინანსების, მიწის გამოყოფის, ტენდერების გამჭვირვალე, სტრუქტურულიზებული პროგრამების შექმნა, რომლებშიც ყველა სამშენებლო ბიზნესერეული იქნება თანასწორუფლებიან კონკურენტულ გარემოში.

- კორუფციისგან დაცვა და ელ-მომსახურების გაფართოება. ბანკების მიერ სამშენებლო ბიზნესზე გაცემული წლიური განაკვეთის შემცირება, რაც უნდა დარეგულირდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის, საბაზრო ეკონომიკის განვითარების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური თეორია (რედ. გ.ადეიშვილი), თბ., 1998.
2. კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. თბ., 2005, matsne.gov.ge.
3. ი. დოღონაძე – ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და კონკურენცია. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. N12, 2012.
4. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ. 2014. N2159. gnca.gov.
5. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის დადგენილება, N4003.
6. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 2022 წლის ბრძანება, N01/22.
7. საქართველოს რესპუბლიკის 2022 წლის კონსოლიდირებული საგადასახადო კოდექსი. იუსტიციის სამინისტრო. matsne.gov.ge (რედ. N152.30.12.2022).

8. ახალი საგადასახადო სისტემა საქართველოში, თბ., 1992.
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2011წ.
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
11. „სამშენებლო სექტორის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“. დადგენილება N386. 2020. საქართველოს მთავრობა. TGC.ge.
12. რ. პაპასკირი. ფინანსური მენეჯმენტის მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები საქართველოს სამშენებლო ბიზნესში. მონოგრაფია „უნივერსალი“. თბილისი, 2012.
13. National Bank of Georgia (www.nbg.gov.ge) Monetary Policy Report. 2022, 2023, 2024, 2025.
14. East; Pak (www.eestipank.ee). Statistical release 2022, 2023, 2024, 2025.

Rusudan Papaskiri

*Doctor of Technical Sciences Associate Professor at
Sokhumi State University*

ASSESSMENT OF THE STATE MECHANISM FOR REGULATING CONSTRUCTION COMPANIES IN GEORGIA

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.05](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.05)

Expanded Summary

The paper examines the state mechanism for regulating the construction business in Georgia and evaluates its effectiveness.

The purpose of the article is to study and analyze fiscal and regulatory instruments through which the state influences the construction business, such as antitrust and tax legislation, state loans, subsidies, and credit rates.

The theoretical and methodological basis of the research includes existing Georgian legislation, data from the National Statistics Office of Georgia, the Ministry of Finance of Georgia, and the Central Banks of Georgia and Estonia. The study also uses an overview of economic theories related to business, as well as comparative research.

The construction business is one of the most profitable sectors, which is why both local and foreign real investments are primarily directed toward it.

In market economy countries, including Georgia, antitrust regulation plays a significant role. The article identifies large construction firms close to the government that frequently win public construction tenders. These companies easily reach price agreements, which is one example of a "cartel agreement."

Such phenomena in Georgia's construction sector (and other industries) were facilitated by the abolition of antitrust legislation and the antitrust agency in 2005. The new "Law of Georgia on Competition" does not solve this problem.

According to the consolidated Tax Code of Georgia, currently in force since 2022, corporate profit tax and personal income tax are levied proportionally at 15% and 20%, respectively. In the early years of transition (1992–1996), taxes were more differentiated, as they are in leading European countries. The proportional system of corporate profit and income taxes in Georgia does not perform a stimulating function. This is evidenced by the

declining share of the construction business in the economy over the years: 2017 - 9.8%, 2018 - 9%, 2019 - 8.6%, 2023 - 7.8%.

The subsidy system is, in most cases, unsystematic. It is often directed toward individual projects, which are frequently not made public at all. It is known that large developers benefit from such subsidies, increasing corruption risks and unfair competition.

In 2022, the state adopted the "Code on Construction and Architectural Activities," which provides for technical and construction regulation in line with EU technical regulations.

A major unresolved problem remains the fact that 45% of internally displaced persons from Abkhazia and South Ossetia still lack adequate housing.

We examined statistics from the Central Banks of Georgia and Estonia regarding the average annual lending rates issued to businesses by the banking sector. In Estonia, the credit rate is 2.3 times lower than in Georgia. This is facilitated by the European Central Bank's (ECB) policies and eurozone markets.

The conclusion is that Georgia's construction sector does not have an effective system of state financial average annual lending rates issued to businesses by the banking sector. In Estonia, the credit rate is 2.3 times lower than in Georgia. This is facilitated by the European Central Bank's (ECB) policies and eurozone markets.

The conclusion is that Georgia's construction sector does not have an effective system of state financial regulation.

Recommendations:

- Reinstate antitrust legislation and the antitrust agency;
- Differentiate profit and income taxes;
- Establish transparent programs in the construction business, ensuring equal competitive conditions for all construction companies;
- Reduce the annual lending rates imposed by banks on the construction sector.

ეკონომიკური თეორია – ECONOMIC THEORY

გიორგი კეპულაძე

ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;

თამილა არნანია-კეპულაძე

პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაპონური კეინსიანელობა და მისი ევოლუციის თავისებურებანი

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.03](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.03)

ანოტაცია. 1930-იან წლებში ჯონ მейნარდ კეინსის მიერ შემუშავებული ეკონომიკური თეორია მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ეკონომიკური პოლიტიკისა და პრაქტიკის პარადიგმად იქცა.

იაპონიაში კეინსური თეორია აღიქმებოდა არა მხოლოდ როგორც თეორიული კონცეფციების ერთობლიობა, არამედ როგორც მოდერნიზაციისა და ეკონომიკური აღდგენის პრაქტიკული პროგრამა. იაპონიაში ღრმად შეისისხლხორცეს კეინსის იდეები, რამაც განაპირობა ამ იდეების უნიკალური ადაპტაცია ადგილობრივ რეალობისადმი, რაც შემდგომში იაპონური კეინსიანელობის სახელწოდება მიიღო.

იაპონური კეინსიანელობა ჩამოყალიბდა კეინსის ორიგინალური იდეებისა და იაპონური ეკონომიკური, სოციალური, ინსტიტუციური და პოლიტიკური გარემოს თავისებურებების სინთეზის სახით, რამაც გამორჩეულ ეკონომიკური პოლიტიკა და, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური შედეგები გამოიწვია. ამ პროცესებმა მეცნიერთა ღრმა ინტერესი გამოიწვია, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მოცემულ ნაშრომში შესწავლილია იაპონური კეინსიანელობის თავისებურებანი და მისი ევოლუცია მე-20 და 21-ე საუკუნეებში.

საკვანძო სიტყვები: იაპონია, კეინსიანელობა, ეკონომიკური მეცნიერება

შესავალი

იაპონიის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ზოგადი დახასიათება

იაპონიისთვის მე-20 საუკუნე იყო ღრმა ტრანსფორმაციის პერიოდი, რომელიც შეეხო როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას, ასევე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გააზრებასა და გადაფასებას მეცნიერ-ეკონომისტების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის შეხედულებები დიდწილად იყვნენ განპირობებული 1868-1889 წლებში იაპონიაში განხორციელებული ე.წ. „მეიძის რესტავრაციით“, რომელიც წარმოადგენდა პოლიტიკური, სამხედრო და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ერთობლიობას. ამ რესტავრაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა იაპონიის სახელმწიფოებრივი წყობა, კანონმდებლობა, განათლების სისტემა და ა.შ. მან საფუძველი ჩაუყავა იაპონიის, როგორც ახალ საწყისებზე მდგარ ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ბოლო დაუდო იაპონიის თვითიზოლაციას და კარი გაუღო მსოფლიოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ, კულტურულ მიღწევების შედწევას ქვეყანაში [13].

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იაპონიამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა გაიარა დაწყებული საუკუნის დასაწყისის ინდუსტრიალიზაციიდან ომის შემდგომი პერიოდის ეკონომიკურ სასწაულებამდე, 1990-ანი წლების სტრუქტურ-

რული კრიზისა და დეპრესიამდე, რომელსაც მოჰყვა მაღალტექნოლოგიური დინამიურად განვითარებადი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება.

ამ პროცესებს თან ახლდა ეკონომიკური მეცნიერების ინტენსიური განვითარება. იაპონურმა ეკონომიკურმა აზროვნებამ შთანთქმა როგორც დასავლური ეკონომიკური თეორიები, ასევე ტრადიციული აღმოსავლური მიდგომები და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბა უნიკალური თეორიული სივრცე, რომელმაც გავლენა მოახდინა როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე, ასევე საერთაშორისო მეცნიერებაზე.

მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა თეორიული ახსნა, თუ რატომ და როგორ შეძლო იაპონიამ შთამბეჭდავი ეკონომიკური წარმატების მიღწევა. მე-20 საუკუნის იაპონურმა ეკონომიკურმა აზროვნებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც შიდა ეკონომიკური პოლიტიკის, ისე საერთაშორისო ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბებაზე.

იაპონიის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების განვითარება ხორციელდება ორი მიმართულებით: აკადემიური და ადმინისტრაციული.

აკადემიური მიმართულებისთვის დამახასიათებელია აბსტრაქციის მეთოდზე დაფუძნებული, ძირითადად ფუნდამენტური ხასიათის მქონე კვლევების განხორციელება, რომლებიც მიმართულია ახალი სამეცნიერო ცოდნის ჩამოყალიბებაზე. აკადემიური მიმართულებით კვლევების განხორციელება ვარაუდობდა და დღემდე ვარაუდობს არსებული პრობლემების სისტემატურ შესწავლას იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებსაც შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა და არსებული სიტუაციის გაუმჯობესება.

ადმინისტრაციული მიმართულება უშუალოდ დაკავშირებულია ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური რეგულირების თეორიასა და პრაქტიკასთან. ადმინისტრაციული მიმართულებით კვლევებს ახორციელებენ მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი სახელმწიფო უწყებები, როგორიცაა იაპონიის ფინანსთა სამინისტრო, საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ეკონომიკური დაგეგმარების სამინისტრო, ცენტრალური ბანკი და სხვ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიაში ეკონომიკური შეხედულებები ვითარდებოდა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდის, შემდგომი რეცესიისა და გლობალურ ცვლილებებისადმი ადაპტირების პირობებში. ამ პერიოდის იაპონური ეკონომიკური კონცეფციები მიმართულნი იყვნენ გავლილი პერიოდის გაანალიზებასა და იაპონიის ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებაზე.

ის მიღწევები, რომლითაც ხასიათდებოდა იაპონიის ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განიხილებოდა იაპონიის მეცნიერ-ეკონომისტების მიერ, როგორც დასავლური სამეურნეო და დასავლური სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილების იაპონიის რეალობისადმი მისადაგების პოლიტიკის შედეგი.

თანამედროვე იაპონურ ეკონომიკურ მეცნიერებაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი მიმართულება: ნეოკეინსიანელობა, ნეოლიბერალიზმი, მონეტარიზმი, კონსერვატიზმი.

მოცემულ სტატიაში ყურადღებას შევაჩერებთ იაპონური კეინსიანელობის თავისებურებებზე.

იაპონური კეინსიანელობა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

იაპონურ კეინსიანელობას საწყისი დაედო ევროპაში კეისელობის ჩამოყალიბება-განვითარების პერიოდში, ანუ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდის იაპონიის ფინანსთა მინისტრი ტაკაჰაში კორეკიო (Takahashi

Korekiyo, 高橋 是清, 1854 – 1936) 1930-იან წლებში ახორციელებდა პოლიტიკას, რომელიც ასახავდა კეინსის სტრატეგიებს, რამაც მას "იაპონიის კეინსის" სახელი მოუტანა [12]. მიუხედავად ამისა, იაპონიის ეკონომიკურ მეცნიერებაში კეისელობის მომხრეები უმცირესობაში იქნენ და იაპონურ ინტელექტუალებისთვის უფრო მიმზიდველი მარქსიზმი იყო [16].

მას შემდეგ, რაც მარქსიზმი აკადემიიდან განდევნეს, იაპონიის ეკონომიკურ თეორიაში ჩამოყალიბდა ორი კონტრასტული მიმდინარეობა:

- პირველი მიმდინარეობა - „წმინდა ეკონომიკა“ (junsui keizaigaku), რომელიც წარმოადგენდა დასავლურ ეკონომიკურ მეცნიერებას და ეფუძნებოდა დასავლეთის ისეთ ეკონომიკურ კონცეფციას, როგორიცაა ლეონ ვალრასისა და ალფრედ მარშალის ზოგადი ეკონომიკური წომასწორობის თეორია. 1930-ანი წლების ბოლოდან ეს მიმართულება განიცდიდა სულ უფრო დიდ ზეწოლას მეორე მიმდინარეობის მხრიდან.

- მეორე მიმდინარეობა - „პოლიტიკური ეკონომია“ (seiji keizaigaku), რომელიც ამტკიცებდა, რომ მისი მიზანია იაპონიის თავისებურებებსა და მახასიათებლებზე დაფუძნებულ ახალ ეკონომიკისა და ეკონომიკური ცოდნის სისტემის აშენება წარმოადგენს.

1930-ანი წლების მეორე ნახევარში იაპონელი მეცნიერ-ეკონომისტები სწრაფად აიტაცეს და რეაგირება მოახდინეს ჯ.მ.კეინსის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოჩენას.

თუმცა, იაპონელი ეკონომისტებისთვის საკმაოდ რთული არმოჩნდა ზოგადი თეორიის ძირითადი იდეის მიღება. **ნისაბურო კიტო** (Nisaburo Kito) თვლიდა, რომ ზოგადი თეორიის ბირთვს წარმოადგენდა ფულადი ანალიზი, რომელიც დაფუძნებულია ლიკვიდურობის უპირატესობის თეორიაზე [7]. **იჩირო ნაკაიამა** (Ichiro Nakayama) განიხილავდა კეინსის ზოგად თეორიას ზოგადი წონასწორობის თეორიის თვალსაზრისით. ზოგადი წონასწორობის თეორიის პოპულარიზაცია იჩირო ნაკაიამამ დაიწყო ჯერ კიდევ 1933 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Pure Economics“, ხოლო კეინსის ზოგადი თეორიის გამოქვეყნების შემდეგ, მან წონასწორობის ანალიზი კეინსის თეორიას მიუსადაგა და მივიდა დასკვნამდე, რომ კეინსის ზოგადი თეორია არის "ზედმეტად ფულადი". ამის შემდეგ, კეინსის წიგნის გამოსვლიდან სამი წლის შემდეგ ანუ 1939 წელს, მან იაპონურ ენაზე გამოაქვეყნა „კომენტარები კეინსის ზოგად თეორიაზე“. ამ პერიოდში ი.ნაკაიამამ გამოაცხადა, რომ მისი, როგორც მეცნიერის, მთავარ მიზანს წარმოადგენს სტაბილურობისა და პროგრესის მიღწევისთვის გზების გამოვლენა. ი.ნაკაიამა გულახდილად აცხადებდა, რომ ეს მისი, როგორც მეცნიერის მიზანი, იყო ჯ.მ.კეინსის ზოგადი თეორიის უშუალო გამოძახილი და ამით, ფაქტიურად, აღიარა, თუ რამდენად დიდი გავლენა მოახდინა მასზე ჯ.მ.კეინსის თეორიამ.

ამასთან, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იაპონიაში 1930-ანი წლები იყო ჯ.მ.კეინსის ზოგადი თეორიის უბრალო შთანთქმისა და ათვისების პერიოდი. ასე, კიოტოს საიმპერატორო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა **იასუმა ტაკატამ** (Yasuma Takata) და **კეი შიბატამ** (Kei Shibata) კეინსის გაკრიტიკება სცადეს. თიმცა, 1941 წლის დეკემბერში ჯ.მ.კეინსის ზოგადი თეორია იაპონიაში უკვე იაპონურ ენაზე გამოვიდა და ხელმისაწვდომი გახდა მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. წიგნი ჯერ 7000 ერთეულის რაოდენობით გამოქვეყნდა, რომლებმაც ძალიან მაღე იპოვეს

თავისი მკითხველი, რასაც დამატებითი 2000 ეკვემპლარის გამოქვეყნება მოჰყვა [16].

მაგრამ, 1941 წელს წყნარ ოკეანეზე ომის დაწყების გამო, იაპონიის ეკონომიკური აკადემია დანარჩენი მსოფლიოსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და კეინსის მიმართ ინტერესი შემცირდა.

იაპონური კეინსიანელობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებას მოჰყვა იაპონიის სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ცნობილია „იაპონური ეკონომიკური სასწაული“ს სახელწოდებით. ეს ფენომენი განპირობებული იყო არა მხოლოდ იაპონიაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებით, არამედ იაპონური ეკონომიკური აზროვნების უნიკალური ევოლუციით, რომელიც აერთიანებდა დასავლურ თეორიებს ტრადიციულ იაპონურ ღირებულებებთან და პრაქტიკასთან.

ამ პერიოდში იაპონელი ეკონომისტები აქტიურად შეისწავლიდნენ და იაპონურ რეალობას არგებდნენ დასავლურ ეკონომიკურ თეორიებს, განსაკუთრებით კეინსიანობას. ვინაიდან მეორე მსოფლიო ომის მსვლელობით იაპონიის ეკონომიკის აღდგენის აუცილებლობამ მოითხოვა სწრაფი ეკონომიკური რეკონსტრუქციების ჩატარება, კეინსიანელობის მიმართულებით იაპონიის ეკონომიკური აზროვნებისა და პოლიტიკის განვითარება კიდევ უფრო გაძლიერდა.

1946 წელს დაიწყო აქტიური აკადემიური დებატები კეინსის ეკონომიკური იდეების ირგვლივ [6]. კეინსის მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა დანგრეულ მდგომარეობაში მყოფ იაპონიის ეკონომიკისათვის და შესაძლებლობას იძლეოდა ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს აქტიური ცარევისათვის, კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებისა და რესურსების გადანაწილების მართვას. ყოველივე ეს საუკეთესოდ შეესაბამებოდა იმ პერიოდის ეკონომიკური აღდგენის მიზნებს.

ასეთ ხელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში ადრეულ ომისშემდგომ პერიოდში სრული დასაქმება და ეკონომიკური ზრდა შედარებით ადვილად მისაღწევი იყო იაპონიაში. ეს უპირველეს ყოვლისა ეხებოდა ინვესტიციებს სტრატეგიულ ცვლილებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული შემოსავლებისთვის. ასეთ ვითარებაში იაპონიის ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის ინვესტიციები აუცილებელი იყო და ამიტომ ინვესტიციებისთვის საჭირო თანხით უზრუნველყოფის საკითხი ძალზე აქტუალური აღმოჩნდა. ამ პირობებში, **იჩირო ნაკაიამას** (Ichiro Nakayama) მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში „*Pure Economics*” შემოთავაზებული რჩევები იძლეოდა ეკონომიკის შეუფერხებლად ფუნქციონირების შესაძლებლობებს. მაგრამ შემდგომში, ფასების მატებასთან ერთად, იაპონიის ეკონომიკურ პოლიტიკაში გაურკვეველობა გაიზარდა.

იჩირო ნაკაიამამ ვერ შეძლო თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება. ფასების სტაბილურობასთან დაკავშირებით მან არათანმიმდევრული იყო და ზოგჯერ მიმართავდა ფულის რაოდენობრივ თეორიას და მოითხოვდა ვალუტის მიწოდებაზე კონტროლის დაწესებას, ხოლო ზოგჯერ სახელფასო ბიძგის თეორიაზე დაყრდნობით ამტკიცებდა სახელფასო პოლიტიკის დაწესების აუცილებლობას [3:235].

ამ პერიოდიდან იაპონური მეცნიერ-ეკონომისტების დიდი ნაწილი კეინსის ეკონომიკური შეხედულებების მომხრე გახდა და მსჯელობა დაიწყო იაპონიის რეალობაში კეინსური იდეების გატარების შესაძლებლობებზე. ამასთან, იაპონური

ეკონომისტები ითვალისწინებდნენ კეინსის დოქტრინის გამოყენების მსოფლიო გამოცდილებას, რომელსაც განიხილავდნენ მას იაპონიის რეალობის ჭრილში.

იაპონიის ეკონომიკის რეგულირება მოიცავდა ურთიერთდაკავშირებულ ინსტიტუტების სისტემას, როგორიცაა ეკონომიკური დაგეგმვა, ბიუჯეტი, გადასახადები, ფასები, საბანკო პროცენტი, ვალუტის გაცვლითი კურსი და სხვ. უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ეკონომიკურ დაგეგმვას. ამასთან, კეთდებოდა როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი პროგნოზები როგორც მთლიანად ეკონომიკის მასშტაბით, ასევე ტერიტორიული ეკონომიკური ერთეულების თვალსაზრისით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდის იაპონურ კეინსიანელობის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ფაზა: ადაპტაციის ფაზა, მწიფე კეინსიანელობის ფაზა, კრიზისის ფაზა და აღორძინების ფაზა.

ადაპტაციის ფაზა კეინსიანელობამ იაპონიაში 1945–1960-იანი წლებში განვლო. ეს იყო დრო, როდესაც იაპონელი ეკონომისტები და პოლიტიკოსები მთავონებულნი იყვნენ კეინსის იდეებით ომით განადგურებული იაპონური ეკონომიკის აღდგენის პროგრამების შემუშავებისას. კეინსის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი გახდა სახელმწიფო ინვესტიციები და სამრეწველო დაგეგმარება, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს (MITI) მეშვეობით [4].

1950-60-იან წლებში იაპონიაში ფართოდ იყო გავრცელებული მოთხოვნის სტიმულირებისა და ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის კეინსური იდეები. თუმცა, იაპონელმა მეცნიერებმა უბრალოდ არ მიიღეს ეს შეხედულებები მათ საწყის ფორმაში, არამედ მოარგეს ისინი ქვეყნის სპეციფიკურ პირობებს იაპონიის სოციალურ-კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით.

მწიფე კეინსიანელობის ფაზა (1970-იანი წლები). 1970-იანი წლები იაპონური ეკონომიკური აზროვნების განვითარების საკვანძო ეტაპი იყო, რომელიც ხასიათდებოდა კეინსის ეკონომიკური მიდგომის იაპონიის ეკონომიკის სპეციფიკასთან ადაპტაციით. ამ პერიოდში იაპონელმა ეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა სცადეს კეინსის იდეების ეროვნულ თავისებურებებთან ინტეგრირება, რამაც გამოიწვია ეკონომიკური მართვის უნიკალური მოდელის ჩამოყალიბება. **შიგეტო ცურუ** (Shigeto Tsuru) და მისი მოწაფეები **იოშიკაზუ მიაძაკი** (Yoshikazu Miyazaki) და **მიცუჰარუ იტო** (Mitsuharu Ito), ხაზს უსვამდნენ იაპონიის ეკონომიკის სტრუქტურულ პრობლემებს, მათ შორის ინდუსტრიული სტრუქტურის დისბალანსს და სოციალურ უთანასწორობას [16].

1970-იან წლებში იაპონიის მთავრობა აქტიურად იყენებდა მაკროეკონომიკურ მოდელეზზე დაფუძნებულ რაოდენობრივ ეკონომიკურ დაგეგმვას. როგორც ჩიკაში მორიგუჩი (Chikashi Moriguchi) აღნიშნავდა 1980 წელს, „იაპონიის ეკონომიკური დაგეგმვა ინდიკატიური დაგეგმვის ტიპური მაგალითია, რომელსაც ყალიბდება საკმაოდ დეტალური რაოდენობრივი სტრუქტურირების საფუძველზე“ [8]. ამ პერიოდის იაპონური კეინსიანელობისთვის იყო დამახასიათებელი მოსახლეობის მაღალი დანაზოგის მაჩვენებლის შენარჩუნება სახელმწიფოს აქტიურ საინვესტიციო პოლიტიკის გატარების პირობებში, რითაც ხდებოდა მომხმარებელთა დაბალი მოთხოვნის კომპენსირება.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, 1970-იან წლების ბოლოდან იწყება კეინსისაღწერი მიდგომების კრიტიკა. **რიუტარო კომიამი** (Ryutaro Komiya) და **იოშიო**

სუზუკი (Yoshio Suzuki) გააანალიზეს იაპონიაში მაღალი ინფლაციის მიზეზები და მივუძღვნა დასკვნამდე, რომ ეს იყო ზედმეტად ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის შედეგი. ამან გამოიწვია კეინსიანიზმის გადახედვა და მონეტარიზმის ელემენტების ეკონომიკურ პოლიტიკაში ინტეგრირება.

კეინსიანელობის კრიზისის ფაზა (1980–1990-იანი წლები). 1980-1990-იანი წლები იყო გლობალური ეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციების პერიოდი, რაც დიდწილად იყო განპირობებული 1970-იანი წლების კრიზისების, არსებული ფისკალური პოლიტიკის არაეფექტურობისა და სტაგფლაციის კეინსური პარადიგმის ახსნის უუნარობით. შემდეგად, კეინსიანელობა კრიტიკის ცენტრში მოექცა და ადგილი ნეოკლასიკურ მეინსტრიმს დაუთმო. იაპონია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკა, ამ პროცესებისგან განზე არ დარჩა. თუმცა, ამ პერიოდში იაპონიაში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებამ უნიკალური ფორმები მიიღო, რაც განპირობებული იყო როგორც ეროვნული ინსტიტუციური სპეციფიკით, ასევე ომისშემდგომი განვითარების გამოცდილებით. ამასთან, იაპონიაში მზარდი სტრუქტურული პრობლემების ფონზე გამდიდრდა კრიტიკა სახელმწიფო ჩარევის ეფექტურობასა მიმართ. თუმცა, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, სადაც მონეტარიზმმა და ახალმა კლასიკურმა მაკროეკონომიკამ წამყვანი პოზიციები დაიკავა, იაპონიაში ეკონომიკური აზრმა უფრო რთული გზა აირჩია. ამასთან დაკავშირებით, ცნობილმა იაპონელმა ეკონომისტმა **მასაჰიკო აოკიმ** (Masahiko Aoki) აღნიშნა, „იაპონიაში არასდროს დომინირებდა ამერიკული სკოლის სულისკვეთებითაღჭურვილი ერთიანი პარადიგმა; პირიქით, არსებობდა პლურალიზმი, რომელიც შესაძლებელს ხდიდა სხვადასხვა თეორიების ელემენტების ადგილობრივ რეალობისადმი ადაპტირებისათვის“ [1:12].

1990-იანი წლების დასაწყისის ფინანსურმა კრიზისმა და შემდგომმა დეფლაციურმა საირალმა სერიოზული ეჭვები გააჩინა როგორც კეინსიული, ასევე ნეოკლასიკური თეორიების ეფექტურობის მიმართ. ამ პერიოდში იაპონიის მთავრობამ მიმართა მასშტაბურ ფისკალურ სტიმულს, თუმცა მისი ეფექტურობა შეზღუდული იყო ინსტიტუციური და დემოგრაფიული ფაქტორებით. ასეთ ვითარებაში წარმოიშვა მოსაზრება, რომ „ეკონომიკური თეორია უძლური აღმოჩნდა იაპონიის სტაგნაციის წინაშე და საჭირო გახდა არა უბრალოდ ახალი მოდელების ჩამოყალიბება, არამედ ეკონომიკური ანალიზისთვის არსებული წინაპირობების გადაზრება“ [14:219].

კეინსიანელობის აღორძინების ფაზა (21-ე საუკუნე). XXI საუკუნეში იაპონიის ეკონომიკამ უნიკალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რომელიც ხასიათდებოდა ისეთი მოვლენებით, როგორიცაა ქრონიკული დეფლაცია, მოსახლეობის დაბერება, სტაგნაცია, სუსტი შიდა მოთხოვნა და სხვ. ამ ფონზე, აკადემიურ და პოლიტიკურ დებატებში კვლავ გაიზარდა ყურადღება იაპონურ კონტექსტთან ადაპტირებულ კეინსიანურ პარადიგმისადმი.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის იაპონიაში კეინსიანური აზროვნების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით სტაგნაციის მოდელების შემუშავება გახდა.

თანამედროვე იაპონური კეინსელები ყურადღებას ამახვილებენ არა იმდენად ერთობლივი მოთხოვნის მოკლევადიან მართვაზე, რამდენადაც ეკონომიკური სფეროს ინსტიტუციურ რეკონსტრუქციაზე. როგორც **კენჯი უედა** (Kenji Ueda) აღნიშ-

ნავს, „იაპონიის პრობლემა სტიმულის ნაკლებობა კი არა, არამედ კერძო სექტორის ქრონიკული დაუცველობა და სტრუქტურული დამახინჯებებია“ [15:89].

ამ პერიოდში დემოგრაფიული ასპექტები სულ უფრო მეტად ინტეგრირდება კეინსიანურ ანალიზში. იაპონიის ბანკის მმართველის მოადგილე **კაზუმასა ივატა** (Kazumasa Iwata) ამტკიცებს, რომ „იაპონიაში სტაგნაცია ციკლური ფენომენი კი არა, გრძელვადიანი ფენომენია, რომელიც დემოგრაფიულ შემცირებასთან და შიდა მოთხოვნის პოტენციალის შემცირებასთან არის დაკავშირებული“ [5:134]. ამ მხრივ, კეინსის პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ სტიმულირებაზე, არამედ ადამიანურ კაპიტალში, ტექნოლოგიებსა და მიგრაციის რეფორმებში გრძელვადიან ინვესტიციებზე.

თანამედროვე კეინსიანელობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა ე.წ. „აბენომიკა“⁴, ანუ ეკონომიკური პროგრამა, რომელიც იაპონიის პრემიერ-მინისტრმა **შინზო აბემ** (Shinzo Abe) 2012 წლის დეკემბერში გაახმოვანა. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა იაპონიის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას, რისთვისაც შემუშავებულ იყო სამი ძირითადი მიმართულება, ე.წ. სამი „ისარი“: 1). აგრესიული მონეტარული პოლიტიკისა და პრაქტიკის შემსუბუქება, 2). ეკონომიკურ ზრდაზე მიმართული მოქნილი ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბება, 3). სახელმწიფო სექტორის სტრუქტურული რეფორმირება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინვესტიციების მოზიდვა და მოხმარების ზრდა.

ამ პოლიტიკას გააჩნდა როგორც დადებითი, ასევე ნეგატიური შედეგები.

ასე, 2013 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იაპონური აქციები, მშპ-ის წლიური ზრდა შეადგენდა 1,9%, ეკონომიკური ზრდის ტემპის მიხედვით იაპონია გახდა ლიდერი შვიდ ინდუსტრიულ ქვეყანას შორის და სხვ. გარდა ამისა, გაძლიერდა ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, გაიზარდა ენერგორესურსების იმპორტის ხარჯები, გაიფხვრა იაპონიის ეროვნული ვალუტა, რამაც გააიფხვა იაპონიის ექსპორტი, გაიზარდა სახელმწიფო ვალი და ა.შ.

დღეს თანამედროვე იაპონელი ეკონომისტები, კერძოდ, **კაზუო ნაკანიში** (Kazuo Nakanishi) და **იოშიტაკა ფუკუდა** (Yoshitaka Fukuda), ყურადღებას ამახვილებენ კეინსის თეორიის ადაპტირებაზე XXI საუკუნის ისეთ გამოწვევებთან, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება, უთანასწორობა და ეკონომიკის გაციფრულება.

დასკვნა

თანამედროვე იაპონური კეინსიანელობა არ არის რთული თეორიული და პრაქტიკული კონსტრუქტი, რომელმაც განვლო განვითარების რთული გზა და იმყოფება პერმანენტული ტრანსფორმაციის პროცესში. თანამედროვე იაპონური კეინსიანელობა აერთიანებს ტრადიციულ კეინსიანურ იდეებს და იაპონიის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის სპეციფიკურ მახასიათებლებს. ეს არის მოქნილი და მუდმივად განვითარებადი პარადიგმა, რომელიც აერთიანებს ერთობლივი მოთხოვნის თეორიის ტრადიციულ პოსტულატებს ინსტიტუციური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ფაქტორების ანალიზთან. სწორედ კეინსიანელობა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სიცოცხლისუნარიანი პერსპექტივა მაკროეკონომი-

4 სიტყვა-ნეოლოგიზმი, რომელიც გამოიყენება იაპონიის პრემიერ-მინისტრ შინზო აბეს მთავრობის მიერ 2012 წლის 26 დეკემბრიდან გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის აღნიშვნისთვის.

კური ანალიზისა და პოლიტიკისთვის იაპონიის წინაშე არსებული უნიკალური გამოწვევების დაძლევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Aoki, M.** (1988). *Information, Incentives, and Bargaining in the Japanese Economy*. Cambridge University Press.
2. **Hoshi, T., Kashyap, A.** (2004). Japan's Financial Crisis and Economic Stagnation. *Journal of Economic Perspectives*, 18(1), 3-26.
3. **Japanese Economics** and Economists since 1945, Edited by Aiko Ikeo, London and New York, Simultaneously published in the USA and Canada by Routledge, 2003.
4. **Johnson, C.** (1982). *MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy, 1925-1975*. Stanford University Press.
5. **Iwata, K.** (2017). *Demographic Challenges and Macroeconomic Policy in Japan*. Tokyo: Nihon Keizai Shimbun.
6. **Kawai, H.** (1991). *Keynesian Economics and its Introduction to Japan*. Tokyo: Nippon Keizai Shinbunsha.
7. **Kito, N.** (1942). *Kahei to Rishi no Dotai (Dynamics of Money and Interest)*. Tokyo: Iwanami Shoten.
8. **Moriguchi, C.** (1980). Japan's Recent Experiences of Quantitative Economic Planning, *Revue économique*, 31 (5), pp. 853-856.
9. **Nakanishi, K., Fukuda, Y.** (2017). Revisiting Keynes in Japan: Fiscal Policy under Abenomics. *Asia Pacific Economic Review*, 23(2), 145-162.
10. **Nakayama, I.** (1933), *Junsui Keizaigaku (Pure Economics)*. Tokyo: Iwanami Shoten.
11. **Nakayama, I.** (1983), *Commentary on Keynes' General Theory*,
12. **Smethurst, R. J.** (2007). Takahashi Korekiyo, Japan's Keynes. Harvard University Asia Center, <https://doi.org/10.2307/j.ctt1tm7fs4>
13. **Subagyo, M.** (2015), The Meiji Reformation: Transformation of Japan's Political, Economic, and Educational Landscape. https://www.researchgate.net/publication/371262213_Meiji_Reformation_-_Full_Paper
14. **Tsuruo, K.** (1998). *Crisis and Reform in the Japanese Model*. Tokyo University Press.
15. **Ueda, K.** (2012). *Japan's Deflation and the Bank of Japan's Response*. Bank of Japan Working Paper Series, No. 12-E-10.
16. **Wakatabe, M.** (2019). Keynesianism in Japan, *The Elgar Companion to John Maynard Keynes*. Edward Elgar Publishing Ltd., pp. 618-625. <https://doi.org/10.4337/9781788118569.00108>. <https://jshet.net/docs/conference/79th/wakatabe.pdf>

Giorgi Kepuladze

Associate Professor, University of Business and Technology;

Tamila Arnanias-Kepuladze

Professor, Akaki Tsereteli State University

JAPANESE KEYNESIANISM AND THE PECULIARITIES OF ITS EVOLUTION

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.03](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.03)

Expanded Summary

The 20th century was a period of profound transformations for Japan, which affected both the country's socio-economic life and the process of its understanding and reassessment. Since the beginning of the 20th century, Japan has gone through a complex and contradictory path from industrialisation at the beginning of the century to the "economic miracle" of the post-war period, to the structural crisis and depression of the 1990s, followed by the formation of a dynamically developing high-tech innovative economy.

These processes were accompanied by the intensive development of economic science. Japanese economic thought absorbed both Western economic theories and traditional Eastern approaches and, on this basis, formed a unique theoretical space that influenced the country's domestic policy and international science as well. In modern Japanese economic science, four main trends can be distinguished: neo-Keynesianism, neoliberalism, monetarism and conservatism. In this article, we will focus on the specifics of Japanese Keynesianism.

As in Europe, Japanese Keynesianism began in the 1930s. It is noteworthy that Takahashi Korekiyo, who was the Japanese Finance Minister of that time, implemented policies in the 1930s that reflected Keynesian strategies, earning him the nickname "Japanese Keynesian".

However, Japanese economists found it quite difficult to accept the basic idea of the general theory. Nisaburo Kito believed that the core of the general theory was monetary analysis, based on the theory of liquidity preference. Ichiro Nakayama considered Keynes's general theory in terms of general equilibrium theory. However, the 1930s in Japan were not a period of simple absorption and assimilation of J.M. Keynes's general theory, and Yasuma Takata and Kei Shibata attempted to criticise Keynes.

However, with the outbreak of the Pacific War in 1941, interest in Keynes declined. The end of World War II was followed by rapid economic growth in Japan, known as the "Japanese Economic Miracle." During this period, Japanese economists actively studied and applied Western economic theories, especially Keynesianism, to Japanese realities.

The development of Japanese Keynesianism after World War II can be divided into four phases: the adaptation phase, the mature Keynesian phase, the crisis phase, and the Keynesian revival phase.

In the 21st century, the Japanese economy faced unique challenges characterised by phenomena such as chronic deflation, an ageing population, stagnation, weak domestic demand, and others.

By the beginning of the 21st century, the most important direction of Keynesian thinking in Japan was the development of zero-interest-rate stagnation models.

One of the most prominent manifestations of modern Keynesianism is the so-called "Abenomics", that is, an economic program aimed at pulling the Japanese economy out of the crisis. However, the implementation of this program had both positive and negative consequences.

Today, modern Japanese economists, such as Kazuo Nakanishi and Yoshitaka Fukuda, focus on adapting Keynesian theory to such challenges of the 21st century as population ageing, inequality, and the digitalisation of the economy.

მენეჯმენტი – MANAGEMENT

თენგიზ ვერულავა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზნესის სკოლა,
კავკასიის უნივერსიტეტი;

ლაშა ხურციძე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ბიზნესის სკოლა,
კავკასიის უნივერსიტეტი

გაყიდვების მენეჯმენტის სტრატეგიული გამოწვევები და განვითარების
პერსპექტივები საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიაში

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.06](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.06)

ანოტაცია. საქართველოს სადაზღვევო სექტორი დგას მნიშვნელოვანი მენეჯმენტური გამოწვევების წინაშე, განსაკუთრებით გაყიდვების მენეჯმენტის თვალსაზრისით. ნაშრომი მიზნად ისახავს გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური პრობლემების ანალიზს ქართულ სადაზღვევო ბაზარზე. გამოყენებულია ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის მეთოდი, რაც გულისხმობს თეორიული მოდელების, საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს ბაზრის სპეციფიკის შესწავლას. ნაშრომში დეტალურად განხილულია გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურული მოწყობა, ციფრული ტექნოლოგიების როლი, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომების ნაკლებობა და ადამიანური რესურსების მართვის პრობლემები. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გაყიდვების მენეჯმენტის გაუმჯობესება საჭიროებს სისტემურ რეფორმებს, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და გაყიდვების პროცესის ციფრულ ტრანსფორმაციას. აღნიშნული ნაბიჯები მნიშვნელოვანი წინაპირობაა სადაზღვევო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და მომხმარებელთა ნდობის გასაზრდელად.

საკვანძო სიტყვები: გაყიდვების მენეჯმენტი, სადაზღვევო სექტორი, გაყიდვების სტრუქტურა, მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიები, სტრატეგიული დაგეგმვა, ციფრული ტრანსფორმაცია

შესავალი

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მზარდ სექტორს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი როლს ასრულებს. ბოლო წლების განმავლობაში სექტორი ვითარდებოდა სტრუქტურული რეფორმების, საბაზრო მექანიზმების დანერგვისა და საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირების საფუძველზე (Tchiotashvili & Chitadze, 2023; ვერულავა და ჯორბენაძე, 2024). თუმცა, მიუხედავად პროგრესისა, გაყიდვების მენეჯმენტის მიმართულებით ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა რჩება გადაუჭრელი. ეს გამოწვევები არა მხოლოდ კომპანიების შიდა ორგანიზაციულ მენეჯმენტზე ახდენს ზეგავლენას, არამედ მთლიანად ბაზრის ეფექტიანობასა და მომხმარებლის ნდობის ხარისხზეც.

სადაზღვევო სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაყიდვების მენეჯმენტი რთულ და მრავალმხრივ ამოცანას წარმოადგენს, რადგან იგი მოიცავს არა მხოლოდ პროდუქტის შეთავაზებას, არამედ მომხმარებელთა საჭიროებების ანალიზს,

რისკების შეფასებას და კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას (Kharkhelaury et al., 2020). საქართველოში დაზღვევის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე, მომხმარებლების უნდობლობა, ბაზრის ფინანსური შეზღუდვები და არათანაბარი კონკურენციის პირობები ქმნის გაყიდვების მენეჯმენტის სირთულეებს (ვერულავა, 2023). აღნიშნული პრობლემები ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მენეჯმენტური პროცესების არაეფექტიანობასთან, ადამიანური რესურსების არასაკმარის კვალიფიკაციასთან და თანამედროვე ტექნოლოგიების შეზღუდულ გამოყენებასთან (Verulava, 2023; ვერულავა და ყურშუბაძე, 2023).

გლობალური გამოცდილება აჩვენებს, რომ სადაზღვევო სფეროში გაყიდვების ეფექტიანი მენეჯმენტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიების ფინანსური სტაბილურობის, ბაზრის გაფართოების და მომხმარებელთა ლოიალობის ზრდისთვის (Johnston & Marshall, 2020). განვითარებულ ქვეყნებში გაყიდვების მენეჯმენტი ეფუძნება სტრატეგიულ მიდგომებს, როგორცაა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, მომხმარებელზე ორიენტირებული გაყიდვების მოდელები, თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება და ბაზრის მოთხოვნების მუდმივი მონიტორინგი (Stephen et al., 2019). საქართველოში კი ხშირად ვერ ხერხდება ამ მიდგომების ეფექტიანი იმპლემენტაცია, რაც კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ მდგომარეობას (Glonti et al., 2023).

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაყიდვების მენეჯმენტის ეფექტიანობა განაპირობებს არა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის ფინანსურ მდგრადობას, არამედ ზოგადად მომხმარებელთა ინტერესების დაცვასა და სექტორის რეპუტაციის ამაღლებას. გაყიდვების მენეჯმენტის პრობლემების ანალიზი და არსებული გამოწვევების სისტემური გააზრება საშუალებას მისცემს ქართულ სადაზღვევო კომპანიებს განსაზღვრონ ოპტიმალური სტრატეგიები მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგების, ბაზრის განვითარების და კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად (Gurbanov et al., 2021). სწორედ ეს გარემოებები განსაზღვრავს მოცემული კვლევის აქტუალობას და მიუთითებს თემის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე პროფესიული საქმიანობისთვის სადაზღვევო სექტორში.

გაყიდვების მენეჯმენტი, როგორც კომპლექსური პროცესი, მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ პროდუქტის გაყიდვას, არამედ მომხმარებელთა საჭიროებების სწორ ანალიზს, კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციას (Johnston & Marshall, 2020).

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ სტაბილური განვითარების პროცესშია, თუმცა გაყიდვების მენეჯმენტის სფეროში არსებული გამოწვევები მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის (Tchiotashvili & Chitadze, 2023; ვერულავა და კილასონია, 2015). გაყიდვების მენეჯმენტის გაუმჯობესება აუცილებელია მომხმარებელთა ინტერესების უკეთ დაცვისა და ბაზარზე ნდობის გაზრდისთვის.

კვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოში გაყიდვების მენეჯმენტი ხშირად სუსტად არის აწყობილი მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების გათვალისწინებით, რაც იწვევს გაყიდვების პროცესის არაეფექტიანობას და ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამობას (Kharkhelaury et al., 2020). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია რეგულაციები, არასაკმარისი სახელმწიფო კონტროლი დამატებით ქმნის რისკებს გაყიდვების პროცესისთვის.

გაყიდვების მენეჯმენტის გამოწვევები საქართველოში კომპლექსურია და მოიცავს როგორც მენეჯერულ, ისე სტრუქტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებს. კვლევის მიზანია გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური გამოწვევების შესწავლა საქართველოს სადაზღვევო სექტორში.

მოცემული კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სისტემურ მცდელობას, რომელიც იკვლევს გაყიდვების მენეჯმენტის პრობლემებს საქართველოს სადაზღვევო სექტორის კონტექსტში, თანამედროვე მენეჯმენტური მიდგომებისა და საერთაშორისო პრაქტიკის პარალელურად.

მეთოდოლოგია

დასმული კვლევითი მიზნის – გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური პრობლემების გამოვლენისა და ანალიზის – მისაღწევად გამოყენებულია დესკრიპტიული (აღწერითი) კვლევის დიზაინი. კვლევა ეფუძნება ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, რომელიც მოიცავს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომებს, საკანონმდებლო დოკუმენტებსა და პროფესიულ ანგარიშებს. წყაროების შერჩევა განხორციელდა თემატური პრინციპით და დაეფუძნა შემდეგ კრიტერიუმებს:

- რელევანტურობა გაყიდვების მენეჯმენტისა და სადაზღვევო სფეროს მიმართ;
- ინფორმაციის სანდოობა და ავტორიტეტულობა;
- უახლესი მიდგომების ასახვა (ძირითადად 2013–2024 წლების მონაცემები).

კვლევაში გაანალიზებულია გაყიდვების მენეჯმენტის თეორიული მოდელები, მათ შორის ტრადიციული აგენტური მოდელი, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM - Customer Relationship Management) სისტემებზე დაფუძნებული თანამედროვე მიდგომები და ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა გაყიდვებზე. მიღებული თეორიული საფუძვლები გამოყენებულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის პრაქტიკული მაგალითების შეფასებისთვის.

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა კონტენტ-ანალიზის (შინაარსობრივი ანალიზის) მეთოდით, რაც ითვალისწინებს ტექსტებში არსებულ განმეორებად თემებსა და საკითხთა ჯგუფირებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს: გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურა, კადრების მართვა, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომების არსებობა და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება.

გაყიდვების მენეჯმენტის ცნება, მიზნები და ფუნქციები

გაყიდვების მენეჯმენტი თანამედროვე ორგანიზაციული მართვის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა, რომელიც აერთიანებს როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ პროცესებს. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის საერთო ფინანსური შედეგი, ბაზრის პოზიციონირება, კლიენტების ლოიალობა და გრძელვადიანი წარმატება. გაყიდვების მენეჯმენტის მიზანი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროდუქტის ან მომსახურების რეალიზაციით, არამედ მის პრიორიტეტულ ამოცანად განიხილება მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიების ჩამოყალიბება და მათ საფუძველზე მდგრადი კომერციული ურთიერთობების შექმნა.

მოუხედავად იმისა, რომ გაყიდვების მენეჯმენტი თავდაპირველად მოიაზრებოდა, როგორც გამარტივებული კომერციული ფუნქცია, თანამედროვე რეალობაში ის წარმოადგენს რთულ, დინამიკურ და მულტიდისციპლინარულ პროცესს, რომელშიც ერთიანდება ადამიანური რესურსების მართვა, მონაცემთა ანალიტიკა,

კომუნიკაცია, ფსიქოლოგიური გავლენა და ტექნოლოგიური მხარდაჭერა. სწორედ ამ მულტიფუნქციურობაზე დაყრდნობით განისაზღვრება გაყიდვების მენეჯმენტის კომპლექსური სტრუქტურა და როლი თანამედროვე ორგანიზაციებში.

გაყიდვების მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციები: გაყიდვების დაგეგმვა, გუნდის ფორმირება და მართვა, მომხმარებელთან ურთიერთობის განვითარება, გაყიდვების პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დაგეგმვის ეტაპი მოიცავს ბაზრის სეგმენტაციას, გაყიდვების პროგნოზირებასა და მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავებას. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია მომხმარებელთა საჭიროებების ღრმა გაანალიზება, რაც საფუძველს უყრის მორგებულ პროდუქტს და სწორი კომუნიკაციის გზით კლიენტის დაინტერესებას. შემდეგ ეტაპზე, გუნდის მართვა ითვალისწინებს თანამშრომელთა შერჩევას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მოტივაციის გაძლიერებას და გუნდის შიგნით თანხვედრილი მუშაობის უზრუნველყოფას. საბოლოოდ, გაყიდვების მონიტორინგი კი გულისხმობს მიღებული შედეგების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიის კორექტირებას (Stephen et al., 2019).

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ გაყიდვების მენეჯმენტი არ არის სტატიკური პროცესი – ის ვითარდება ბაზრის მოთხოვნებისა და ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად. დღესდღეობით გაყიდვების წარმატება ხშირად განისაზღვრება არა მხოლოდ პროდუქტის თვისებებით ან ფასით, არამედ იმ მეთოდებით, რომლითაც ორგანიზაცია აწარმოებს კლიენტებთან კომუნიკაციას, როგორ უქმნის მათ გამოცდილებას და როგორ რეაგირებს მომხმარებლის უკუკავშირზე. ამ მხრივ, გაყიდვების მენეჯმენტი მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენციას, არამედ ემოციურ ინტელექტსაც – უნარს, გაიგოს და მართოს სხვების ემოციები, მოახდინოს პოზიტიური გავლენა და განავითაროს სანდოობა. როგორც ზოგიერთი კვლევა ადასტურებს, ემოციური ინტელექტის მაღალი დონე გაყიდვების თანამშრომლებში მნიშვნელოვნად ზრდის გაყიდვების მაჩვენებლებს და მომხმარებელთა კმაყოფილებას (Martey, 2019).

გარდა პიროვნული უნარებისა, გაყიდვების მენეჯმენტში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სტრუქტურული მიდგომა. მაგალითად, თუ ორგანიზაციაში არ არის მკაფიოდ გაწერილი გაყიდვების პროცესის ეტაპები, არ არის დადგენილი პასუხისმგებლობის ზუსტი ზღვარი და არ არსებობს შედეგების შეფასების მექანიზმები, მაშინ ეფექტიანობა დაბალია. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია სადაზღვევო სექტორისთვის, სადაც გაყიდვების პროცესი მოიცავს არამარტო პროდუქტის შეთავაზებას, არამედ მის დეტალურ ახსნას, კლიენტის ინტერესებზე მორგებას და მისი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებას. სწორედ ამიტომ, გაყიდვების მენეჯმენტი სადაზღვევო სექტორში ვერ აიგება მხოლოდ რაოდენობრივ მიზნებზე – ის საჭიროებს ხარისხობრივი ინდიკატორების სისტემატურ შეფასებასაც (Johnston & Marshall, 2020).

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც გაყიდვების მენეჯმენტი იღებს სტრატეგიულ მნიშვნელობას, არის მისი უნარი გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ კომპანიაზე, არამედ მთლიანად ეკონომიკურ სივრცეზე. მაგალითად, როდესაც კომპანიაში გაყიდვების მენეჯმენტი სწორად არის აწყობილი, მას შეუძლია გაზარდოს არა მხოლოდ საკუთარი მოგება, არამედ გააძლიეროს მომხმარებლის ნდობა მთელ სექტორზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროებში, როგორიც არის დაზღვევა, სადაც პროდუქტის გამჭვირვალობა და სანდოობა მომხმარებლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია (Stephen et al., 2019).

გარდა სტრატეგიული ფუნქციებისა, გაყიდვების მენეჯმენტის წარმატებისთვის გადამწყვეტია გაყიდვების გუნდის მართვის სტილი. ლიდერობა, მოტივაცია, სწორი მოტივაციური მოდელების დანერგვა და უწყვეტი პროფესიული განვითარება წარმოადგენს იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაყიდვების მენეჯმენტის შედეგიანობას. მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ინიციატივას, თვითგანვითარებას და გუნდურობას (Martey, 2019).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გაყიდვების მენეჯმენტის კავშირებს სხვა ორგანიზაციულ ერთეულებთან. გაყიდვების პროცესი ვერ ფუნქციონირებს იზოლირებულად. მის წარმატებაზე ახდენს გავლენას როგორც მარკეტინგის, ასევე ლოგისტიკის, ფინანსებისა და მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტების მუშაობა. რაც უფრო მეტად სინქრონიზებულია ამ პროცესების მოქმედება, მით უფრო მაღალია შედეგი. ამგვარი ინტეგრირებული მიდგომა უკვე მრავალმა წამყვანმა კომპანიამ დანერგა, რაც მათ აძლევს საშუალებას, იმოქმედონ მოქნილად, რეაგირონ ბაზრის ცვლილებებზე და შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში (Johnston & Marshall, 2020).

გაყიდვების მენეჯმენტის წარმატებული პრაქტიკა საჭიროებს არა მხოლოდ მენეჯერულ კომპეტენციას, არამედ ძლიერი ანალიტიკური რესურსის არსებობასაც. თანამედროვე ტენდენციაა მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რაც გულისხმობს მომხმარებლის ქცევის, მოლოდინების, უკუკავშირის და სეგმენტური თავისებურებების სისტემატურ შესწავლას. სწორედ ამ მიდგომით ხდება პერსონალიზებული გაყიდვების სტრატეგიების ფორმირება, რაც ზრდის როგორც კლიენტის კმაყოფილებას, ასევე კომპანიის შემოსავლებს.

ამგვარად, გაყიდვების მენეჯმენტი არის მრავალმხრივი, მუდმივად ცვალებადი დისციპლინა, რომელიც მოითხოვს როგორც მტკიცე სტრუქტურულ მიდგომას, ასევე მოქნილ რეაგირებას მომხმარებლის მოთხოვნებზე და ბაზრის ცვლილებებზე. მისი წარმატება განისაზღვრება არა მხოლოდ გაყიდვების მაჩვენებლებით, არამედ იმ ღირებულებებითაც, რასაც კომპანია ქმნის მომხმარებლისთვის, თანამშრომლისთვის და მთლიანად ბიზნესგარემოსთვის. ეს არის სფერო, სადაც პროფესიონალიზმი, ემპათია, სტრატეგიული აზროვნება და ტექნოლოგიური მზაობა ერთიანდება ერთ მიზანში – მდგრადი კომერციული წარმატების მიღწევაში.

გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურა და პროცესები: მოდელები და მიდგომები

გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურა და პროცესები წარმოადგენს ორგანიზაციული მართვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის კომერციულ შედეგებს, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და ბაზარზე მდგრად პოზიციას. სტრუქტურა დაკავშირებულია ორგანიზაციის შიდა მექანიზმებთან და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ურთიერთობებს გუნდის წევრებსა და მენეჯერებს შორის. ეფექტიანი სტრუქტურული მოწყობა გულისხმობს პასუხისმგებლობების გამართულ გადანაწილებას, ფუნქციური კოორდინაციის არსებობასა და ინფორმაციული ნაკადების სწორ მართვას. გაყიდვების პროცესის ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ გუნდის პროფესიონალიზმზე, არამედ იმაზე, თუ როგორია ორგანიზებული მენეჯმენტის ჩარჩო და რა მეთოდებს იყენებს კომპანია ეფექტიანობის მისაღწევად (Johnston & Marshall, 2020).

თანამედროვე გაყიდვების სტრუქტურები მორგებულია ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე და მომხმარებელთა ქცევის თავისებურებებზე. ტრადიციული იერა-

რქიული მოდელები, რომლებიც ეფუძნებოდა მკაცრ ზემდგომ-ქვემდგომ ურთიერთობას, დღეს ნაკლებად ეფექტიანად ითვლება. მათ ნაცვლად გაჩნდა უფრო მოქნილი და დეცენტრალიზებული სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომელთა დამოუკიდებლობას, ინიციატივას და სწრაფ რეაგირებას. ამგვარ სტრუქტურებში გაყიდვების წარმომადგენლებს ენიჭებათ მეტი თავისუფლება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ზრდის მათ მოტივაციასა და კრეატიულობას (Stephen et al., 2019).

გაყიდვების მენეჯმენტის პროცესები მოიცავს სისტემატიზებულ ნაბიჯებს: კლიენტის იდენტიფიცირებას, კომუნიკაციას, საჭიროებების ანალიზს, შეთავაზების ჩამოყალიბებას, გარიგების გაფორმებასა და გაყიდვის შემდგომ ურთიერთობის შენარჩუნებას. ყოველი ეტაპი მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომებს, უნარებსა და რესურსებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროცესების სტანდარტიზაციისა და მენეჯმენტის სისტემურობის მნიშვნელობას.

ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს რეკრუტირება და პერსონალის შერჩევა. პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ ის კომპანიები, რომლებიც სტრატეგიულად ეკიდებიან გაყიდვების თანამშრომლების შერჩევას, აღწევენ მაღალ შედეგებს. ეფექტიანი შერჩევის სისტემები ითვალისწინებს არა მხოლოდ კანდიდატის პროფესიულ კომპეტენციებს, არამედ მათ მოტივაციასა და გუნდური მუშაობის უნარს. შესაბამისად, გაყიდვების გუნდის ფორმირება უნდა აღიქმებოდეს როგორც სტრატეგიული, და არა მხოლოდ ტექნიკური ამოცანა (Georgia et al., 2013).

გაყიდვების სტრუქტურის ფორმირებისას მნიშვნელოვანია მენეჯმენტისა და თანამშრომლებს შორის ურთიერთობის მოდელიც. თანამედროვე ლიდერობის მიდგომები ხაზს უსვამს თანამშრომელთა მხარდაჭერას, უკუკავშირის რეგულარობასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნას. ასეთი მიდგომა ქმნის პოზიტიურ სამუშაო კლიმატს, რაც დადებითად აისახება გაყიდვების შედეგებზე. ემოციური ინტელექტის გამოყენება, თანამშრომელთა ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება და კონფლიქტურ სიტუაციებზე ადეკვატური რეაგირება წარმატებული გაყიდვების მენეჯმენტის ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტია (Martey, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქვეყანა აქტიურად აწვითარებს გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურულ და პროცესულ ასპექტებს, საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა. ხშირ შემთხვევაში, ქართულ სადაზღვევო კომპანიებში არ არსებობს მკაფიოდ გაწერილი პროცესები, რაც იწვევს მუშაობის ფრაგმენტულობას, პასუხისმგებლობების გადაფარვასა და შედეგიანობის შემცირებას. განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებში შესამჩნევია გაზომვადი მიზნების არარსებობა, რაც ხელს უშლის ეფექტიან შეფასებასა და სისტემურ განვითარებას (Gurbanov et al., 2021).

გაყიდვების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია მომხმარებელთან ურთიერთობასთან. სადაზღვევო სფეროში ეს ურთიერთობა განსაკუთრებით კომპლექსურია, ვინაიდან მომხმარებლებს ხშირად არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია სერვისების შესახებ და გადაწყვეტილებებს ემოციური ფაქტორების მიხედვით იღებენ. ასეთ პირობებში გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნიკაციის უნარები, ინფორმაციის გადაცემის სტრატეგია და მოლოდინების მართვა. ეფექტიანი კომუნიკაცია ამცირებს გაურკვევლობას და ამყარებს ნდობას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია გაყიდვების წარმატებისთვის.

ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე გაყიდვების მენეჯმენტი სულ უფრო მეტად ეფუძნება ავტომატიზებულ სისტემებს, CRM პლატფორმებსა და ციფრულ არხებს. ტექნოლოგიური მხარდაჭერა აუცილებელია მომხმარებელთა მონაცემების მართვის, პროცესების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზის კუთხით. წარმატებული კომპანიები ქმნიან გაყიდვების ციკლის ციფრულ მოდელებს, რაც მათ საშუალებას აძლევს დროულად შეაფასონ ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ კორექტული გადაწყვეტილებები. ამასთან, ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ინტეგრირება გაყიდვების სტრუქტურაში კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა (Stephen et al., 2019).

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მიდგომები ხაზს უსვამს მოქნილობასა და პერსონალიზაციას, სტრუქტურული დისციპლინის გარეშე გაყიდვების მენეჯმენტი არ იქნება ეფექტიანი. აუცილებელია კომპანიის შიგნით არსებობდეს მკაფიოდ გაწერილი რეგულაციები, პოზიციური აღწერები და სტანდარტული პროცედურები, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და სტაბილურობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროცესების სტანდარტიზაცია ისეთ ეტაპებზე, როგორიცაა მომხმარებლის საჭიროებების იდენტიფიცირება, კონტრაქტის გაფორმება და რისკების შეფასება. ეს სტანდარტები არამხოლოდ პროცესის გამარტივებას, არამედ კომპანიის რეპუტაციის დაცვასაც ემსახურება (Johnston & Marshall, 2020).

საბოლოოდ, გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურა და პროცესები უნდა იყოს მორგებული როგორც კომპანიის სტრატეგიულ მიზნებზე, ისე ბაზრის მოთხოვნებსა და მომხმარებელთა მოლოდინებზე. უნივერსალური მოდელი არ არსებობს – წარმატებისთვის აუცილებელია მოქნილობისა და სტაბილურობის ბალანსის დაცვა. გაყიდვების ეფექტიანი მართვა იწყება სწორად აწყობილი სტრუქტურით და სრულდება შედეგებზე ორიენტირებული, მოქნილი და ტექნოლოგიურად ინტეგრირებული სისტემით.

გაყიდვების მენეჯმენტის თანამედროვე გამოწვევები საერთაშორისო პრაქტიკაში

თანამედროვე ბაზრის დინამიკურმა ცვლილებებმა გაყიდვების მენეჯმენტს სრულიად ახალი ფუნქციური და სტრატეგიული დატვირთვა შესძინა. გაყიდვების სფერო ტრადიციული მეთოდებიდან გადავიდა ინტეგრირებული, მომხმარებელზე ორიენტირებული და ციფრული გარემოს პირობებში მოქმედი სისტემებისკენ, რაც თავის მხრივ წარმოშობს რთულ მენეჯმენტურ გამოწვევებს. საერთაშორისო პრაქტიკაში აღნიშნული გამოწვევები მრავალმხრივია და მოიცავს როგორც ტექნოლოგიური, ასევე ადამიანური ფაქტორების არეალს. ამასთან, ისინი ორგანიზაციებს აიძულებს, მუდმივად გადახედონ გაყიდვების სტრატეგიებს, რისკების მართვის მექანიზმებს და თანამშრომელთა პროფესიულ მხარდაჭერას.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა გლობალურ პრაქტიკაში არის მომხმარებელთა ქცევის ცვლილება. თანამედროვე მომხმარებელი გაცილებით ინფორმირებულია, ნაკლებად ემორჩილება სტანდარტულ მარკეტინგულ სქემებს და მოთხოვნებს აყალიბებს ინდივიდუალურად. ეს ქმნის საჭიროებას გაყიდვების პროცესის პერსონალიზაციისა და კომუნიკაციის ახალი არხების ათვისებისკენ. კერძოდ, კომპანიები, რომლებიც ვერ ახერხებენ დროულად მორგებას მომხმარებელთა მოლოდინებს, სწრაფად კარგავენ პოზიციებს ბაზარზე (Stephen et al., 2019). ამავდროულად, მომხმარებლების ლოიალობის მოპოვება მხოლოდ პროდუქტის თვისებებით აღარ არის საკმარისი – გაყიდვის პროცესი თავად უნდა იქცეს ღირებულ გამოცდილებად, რაც მოითხოვს ხარისხიან მომსახურებასა და ემოციურ კავშირს.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა გაყიდვების ციფრული ტრანსფორმაცია. განვითარებულ ქვეყნებში მენეჯმენტური სისტემა სულ უფრო მეტად ეფუძნება ტექნოლოგიურ რესურსებს – CRM სისტემებს, მონაცემთა ანალიტიკას, ავტომატიზაციასა და ციფრულ კომუნიკაციას. მიუხედავად ამისა, ბევრ კომპანიას არ გააჩნია ტექნოლოგიური მზადყოფნა, რაც ხელს უშლის მათ გაყიდვების პროცესის სრულად ინტეგრირებულ მართვაში (Johnston & Marshall, 2020). ტექნოლოგიების დანერგვა თავისთავად არ არის საკმარისი – საჭიროა მათი სტრატეგიულ ჭრილში ჩასმა, გაყიდვების მიზნებთან და მომხმარებელთა მოლოდინებთან შესაბამისობაში მოყვანა. თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებმაც მოახდინეს ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრაცია გაყიდვების სტრუქტურაში, აქვთ სერიოზული კონკურენტული უპირატესობა.

დამატებით, გლობალურ გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვების პროცესები სულ უფრო ავტომატიზირებული ხდება, ადამიანის ფაქტორი კვლავ რჩება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ. კადრების მოზიდვა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, მოტივაციის სისტემები და პროფესიული განვითარება ის კომპონენტებია, რომლებიც განსაზღვრავენ გაყიდვების საბოლოო შედეგს. დღესდღეობით წარმატებული გაყიდვების მენეჯმენტი უკვე აღარ ფოკუსირდება მხოლოდ შედეგებზე, არამედ ყურადღებას ამახვილებს პროცესზე – თანამშრომლის განვითარების, პროფესიული მხარდაჭერისა და გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფაზე. ამის მიღწევა კი რთულია იმ პირობებში, როდესაც კომპანიებში ჯერ კიდევ გამეფებულია მხოლოდ მიზნებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც ხშირად იწვევს სტრესს, დემოტივაციას და კადრების მაღალი მიგრაციის მაჩვენებელს.

გაყიდვების ძალის მართვისას მნიშვნელოვანი ფაქტორია შიდა ორგანიზაციული გარემო. კორპორაციული კულტურა, შიდა კომუნიკაცია, ლიდერობის სტილი და თანამშრომლების შეფასების სისტემები ქმნიან იმ ფონს, რომელშიც მუშაობს გაყიდვების გუნდი. ცუდად განვითარებული შიდა კულტურა ხშირად იწვევს გაყიდვების შედეგების დეგრადაციას, მაშინ როდესაც პოზიტიური სამუშაო გარემო პირდაპირ ზრდის პროდუქტიულობასა და მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხს (Stephen et al., 2019). ლიდერობა, რომელიც დაფუძნებულია მხარდაჭერაზე და თანამშრომლის განვითარებაზე, უფრო ეფექტურია, ვიდრე დირექტიული და მკაცრად ჰიერარქიული მართვის სტილი.

საერთაშორისო გამოცდილება ასევე აჩვენებს, რომ გაყიდვების მენეჯმენტში გამოწვევად რჩება რეგიონულ ბაზრებზე მორგებული სტრატეგიების არარსებობა. გლობალური კომპანიები ხშირად უშვებენ შეცდომას, როდესაც მათ სტანდარტიზებულ გაყიდვების მოდელს პირდაპირ გადმოიტანენ სხვადასხვა კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტში, რაც შედეგად იწვევს მომხმარებელთა გაუცხოებას და შედეგების დაბალ მაჩვენებელს. ამგვარად, გაყიდვების მენეჯმენტში მნიშვნელოვანია როგორც გლობალური ხედვა, ისე ლოკალური მორგებულობა – ბაზრის თავისებურებების, კულტურული კოდის და მომხმარებელთა ქცევის გათვალისწინება.

გამოწვევები ასევე ვლინდება გაყიდვების ძალის სტრუქტურის მოწყობაში. განვითარების მაღალი დონის მქონე კომპანიებში ხშირად გამოიყენება დეცენტრალიზებული სტრუქტურები, რაც ზრდის ადგილობრივ ინიციატივასა და სწრაფ რეაგირებას. თუმცა ამავე დროს ჩნდება სირთულეები ინფორმაციის სინქრონი-

ზაციის, პროცესების კონტროლისა და გადაწყვეტილებების კოორდინაციის კუთხით. სწორად დაბალანსებული სტრუქტურა – რომელიც ითვალისწინებს როგორც ცენტრალიზაციის, ისე დეცენტრალიზაციის ელემენტებს – წარმოადგენს წარმატებული გაყიდვების მენეჯმენტის ერთ-ერთ წინაპირობას (Johnston & Marshall, 2020).

გაყიდვების პროცესების შეფასების სისტემები კიდევ ერთი გამოწვევაა, რომელიც აქტიურად განიხილება საერთაშორისო პრაქტიკაში. სტანდარტული მაჩვენებლები, როგორიცაა გაყიდვების რაოდენობა ან შემოსავალი, ვერ ასახავს პროცესის ნამდვილ ეფექტიანობას. დღევანდელ რეალობაში გაიზარდა მოთხოვნა ხარისხობრივ შეფასებებზე – როგორიცაა კლიენტთან ურთიერთობის ხანგრძლივობა, განმეორებითი გაყიდვების მაჩვენებელი, კლიენტის კმაყოფილება და სხვა. ამ ფაქტორების შეფასება მოითხოვს დახვეწილ ანალიტიკურ მექანიზმებს და თანამშრომელთა შეფასების ახალ კრიტერიუმებს.

გარდა ორგანიზაციული და ტექნოლოგიური გამოწვევებისა, საერთაშორისო პრაქტიკაში აქტიურად განიხილება გაყიდვების პერსონალის ემოციური კომპეტენციების საჭიროება. რთულ ბაზრებზე, კონკურენტულ გარემოში, გაყიდვების წარმომადგენელს ხშირად უწევს სტრესულ და მოლაპარაკებაზე ორიენტირებულ გარემოში ფუნქციონირება, რაც მოითხოვს ემოციური ინტელექტის მაღალ დონეს. როგორც კვლევებმა აჩვენა, გაყიდვების სფეროში ემოციური ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია მომხმარებელთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან და გაყიდვების შედეგების გაუმჯობესებასთან (Martey, 2019). შესაბამისად, თანამედროვე კომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ პროფესიულ ცოდნას, არამედ თანამშრომლის პიროვნულ თვისებებსაც.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს, რომ გაყიდვების მენეჯმენტი სერიოზული ცვლილებებისა და ადაპტაციის პროცესში იმყოფება. ის აღარ არის მხოლოდ გაყიდვის მექანიზმი – ის გახდა კორპორაციული განვითარების, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის და ინოვაციების დანერგვის სტრატეგიული ინსტრუმენტი. ამავდროულად, მისი წარმატება დამოკიდებულია მრავალფაქტორულ კომპლექსზე, სადაც ერთნაირად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ადამიანური რესურსების განვითარება და სტრუქტურული მოქნილობა.

იმ პირობებში, როდესაც ბაზრები სწრაფად იცვლება, მომხმარებლები ღრმად ინფორმირებულნი და კონკურენცია უკიდურესად მაღალია, გაყიდვების მენეჯმენტის ძირითადი გამოწვევა არის ადაპტირება – იმგვარად, რომ კომპანიის სტრატეგია იყოს მუდმივად ცვალებადი გარემოს შესაბამისი. ეს კი მოითხოვს ინოვაციურ ხედვას, მოქნილ მართვას და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის გახსნილ კულტურას.

სადაზღვევო ბაზრის თავისებურებები: რისკები და გამოწვევები

სადაზღვევო ბაზარი, როგორც ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი, იშვიათად განიხილება მხოლოდ ფინანსურ ინსტრუმენტად. ის გაცილებით მეტია, ვიდრე კონტრაქტული ურთიერთობა კლიენტსა და კომპანიას შორის. დაზღვევა ეფუძნება ნდობას, რისკის გადანაწილებასა და გრძელვადიან თანამშრომლობას. სწორედ ეს სპეციფიკა განასხვავებს სადაზღვევო სექტორს სხვა სფეროებისგან და ქმნის მენეჯმენტისთვის იმ განსაკუთრებულ გამოწვევებს, რომლებიც განსაზღვრავენ გაყიდვების პროცესს, სტრატეგიულ დაგეგმვასა და ორგანიზაციულ ფუნქციონირებას.

სექტორის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია რისკზე დაფუძნებული საქმიანობა. სადაზღვევო ბაზარი არ ქმნის მყისიერ მატერიალურ ღირებულებას, როგორც სხვა ინდუსტრიებში პროდუქტის ან მომსახურების გაყიდვისას ხდება. პირიქით – იგი ეფუძნება მომავლის გათვლას, გაურკვევლობის მართვასა და ზარალის კომპენსაციის გარანტიას. სწორედ ეს ქმნის იმ სპეციფიკურ კონტექსტს, რომელიც პირდაპირ აისახება გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურასა და სტრატეგიებზე. კომპანიებს უწევთ არა მხოლოდ პროდუქტის შეთავაზება, არამედ მომხმარებლისთვის რისკის გააზრება და მისი მართვის აუცილებლობის მტკიცება (Kbiltsetskhlashvili & Mamedova, 2016).

სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვისას მენეჯმენტს ესაჭიროება არა მხოლოდ კომერციული, არამედ კომუნიკაციური და ფსიქოლოგიური მიდგომების გამოყენება. მომხმარებელი იშვიათად დგამს პირველ ნაბიჯს დაზღვევის შესაძენად, რის გამოც გაყიდვების პროცესი ხშირად იწყება საინფორმაციო და საგანმანათლებლო ეტაპით. ამ პროცესში აუცილებელია ჩამოყალიბდეს მკაფიო არგუმენტები: რატომ არის დაზღვევა საჭირო, როგორ ამცირებს იგი საფრთხეს და რა რისკებს შეიცავს დაზღვევის არქონის შემთხვევაში. ამ კონტექსტში გაყიდვების სტრატეგიები ვერ იქნება სტანდარტული ან აგრესიული – აუცილებელია ინდივიდუალურ მიდგომასა და მომხმარებელზე მორგებულ კომუნიკაციაზე ორიენტაცია (Tchiotashvili & Chitadze, 2023).

სადაზღვევო ბაზრის კიდევ ერთი გამორჩეული მახასიათებელია მკაცრი რეგულაციური ჩარჩო, რაც მნიშვნელოვან მართვით სირთულეებს ქმნის. კომპანიებს უწევთ მუდმივად ადაპტირება ლიცენზირების, ფინანსური სტაბილურობის, რეზერვების ფორმირებისა და ანგარიშგების რეგულაციებთან. ამის გათვალისწინებით, გაყიდვების თანამშრომლებს უწევთ სამართლებრივი და ტექნიკური კომპონენტების ცოდნაც, რაც გაყიდვების პროცესს დამატებით ართულებს. შესაბამისად, ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების სისტემური პროგრამები მენეჯმენტის პრიორიტეტად უნდა იქცეს (Glonti et al., 2023).

განსაკუთრებით მწვავე გამოწვევაა მომხმარებლის მხრიდან ნდობის დეფიციტი. წარსულში არსებული არასანდო პრაქტიკა, დაბალი ინფორმირებულობა და სერვისების შეუსაბამობა მომხმარებელთა მოლოდინებთან ამცირებს სექტორის რეპუტაციას. ამ პირობებში გაყიდვების მენეჯმენტის ამოცანა არ შემოიფარგლება მხოლოდ პროდუქტის რეალიზაციით – პრიორიტეტი უნდა გახდეს ნდობის აღდგენა, გამჭვირვალე კომუნიკაცია და მომსახურების პროცესების სიმარტივის ჩვენება. რეპუტაციული რისკების მართვა მოითხოვს სტრატეგიულ ანალიზს და გაყიდვების მენეჯმენტში სპეციალური მიდგომების დანერგვას (Verulava, 2023).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბაზრის სტრუქტურული დისბალანსი და კონკურენციის დაბალი დონე. ქართული სადაზღვევო ბაზარი დომინირებულია რამდენიმე მსხვილი კომპანიის მიერ, რაც ზღუდავს მცირე კომპანიების აქტიურ ჩართულობას და აჩერებს ინოვაციური სტრატეგიების დანერგვას. გაყიდვების სტრატეგიები ხშირად სტანდარტიზებულია და ვერ პასუხობს მომხმარებლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, რის გამოც სუსტდება მომხმარებელთა ინტერესიც (Kharkhelaury et al., 2020).

შიდა მენეჯმენტისთვის გამოწვევას წარმოადგენს აგენტებზე მკვეთრად დამოკიდებული გაყიდვების მოდელი. აგენტები, რომლებიც წარმოადგენს გაყიდვების ძირითად არხს, ხშირად არ ფლობენ საკმარის ცოდნასა და მოტივაციას

ეფექტური გაყიდვებისთვის. მათი საქმიანობა, როგორც წესი, არ ექვემდებარება სისტემურ შეფასებასა და გადამზადებას, რაც იწვევს პროცესის არასტაბილურობას და მომსახურების ხარისხის ვარდნას. აგენტების მაღალი ცვალებადობა და არასისტემური ჩართულობა ასუსტებს კლიენტთან ურთიერთობას (Machavariani & Zurabishvili, 2018).

სადაზღვევო პროდუქტებს ასევე თან სდევს მაღალი სირთულის დონე – იურიდიული, ფინანსური და რისკების დეტალებით გაჯერებული. ეს ართულებს მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციას. მენეჯმენტისთვის ეს ნიშნავს, რომ გაყიდვების პროცესში ჩართულ თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ როგორც ტექნიკური, ისე მაღალი ხარისხის კომუნიკაციური უნარები. მომხმარებლისთვის რთული ტერმინოლოგიის მარტივი ენით გადმოცემა, რისკების ახსნა და პირობების განმარტება – არის ის ამოცანები, რომელთა შესრულება ჯერ კიდევ სისტემურად ვერ ხერხდება ქართულ სადაზღვევო სექტორში.

საბოლოოდ, ამ თავისებურებების ფონზე, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გაყიდვების მენეჯმენტი არ განიხილება კომპლექსურ მექანიზმად. იგი ფუნქციური პროცესია და არა სტრატეგიული კომპონენტი, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა ნდობას, ბაზრის ზრდასა და კომპანიების გრძელვადიან წარმატებას. ასეთ პირობებში გაყიდვების მენეჯმენტის არასრულფასოვანმა განვითარებამ შეიძლება შექმნას დაბალი ეფექტიანობის სპირალი, რაც აისახება მთლიანად ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე.

სადაზღვევო ბაზარი თავისი ბუნებით მოითხოვს გაყიდვების მენეჯმენტის დახვეწილ, სტრატეგიულად გააზრებულ და ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებულ მიდგომას. რისკზე დაფუძნებული ხასიათი, ნდობის მნიშვნელობა, რეგულაციური კომპლექსურობა და მომხმარებლის განათლების დაბალი დონე ქმნის სისტემურ გამოწვევებს. მათ გადასაჭრელად აუცილებელია გაყიდვების მენეჯმენტის გარდაქმნა ღირებულებით კომპონენტად, რომელიც განსაზღვრავს როგორც კომპანიების, ისე მთლიანად სექტორის მდგრად განვითარებას.

გაყიდვების მენეჯმენტის გამოწვევები საქართველოს სადაზღვევო სექტორში საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა და დინამიკა

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა და დინამიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევით ასპექტს, ვინაიდან იგი ქმნის ფუნდამენტს, რომელზეც ეფუძნება როგორც გაყიდვების მენეჯმენტური სტრატეგიები, ისე სექტორის ზოგადი ეფექტიანობა. მიუხედავად საერთაშორისო გამოცდილების ინერგვის მცდელობებისა, ქვეყნის სადაზღვევო სექტორი ჯერაც ვერ მიაღწია მდგრად განვითარებასა და მომხმარებელზე მორგებული სისტემის სრულყოფილ მოდელს (წიგნაძე, 2019).

სტრუქტურულად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დომინირებს მცირე რაოდენობის მსხვილი კომპანია, რომლებიც ფლობენ ბაზრის მნიშვნელოვან წილს. მათთან ერთად ოპერირებენ საშუალო და მცირე ზომის კომპანიები, შეზღუდული რესურსებით. ბაზრის მაღალი კონცენტრაცია აფერხებს კონკურენციას და ახდენს ინოვაციური განვითარების დაბრკოლებას (Tchiotashvili & Chitadze, 2023). შედეგად, კომპანიებს ნაკლებად აქვს მოტივაცია მყარი ინვესტიციების ჩასადებად გაყიდვების სტრატეგიებში, სერვისის გაუმჯობესებასა და მომხმარებელზე ორიენტირებულ მოდელებში.

მიუხედავად ლიბერალური კანონმდებლობისა, ბაზრის დინამიკა მეტწილად დამოკიდებულია რეგულატორის პოლიტიკაზე, რაც ქმნის არასტაბილურობას. ეს არასტაბილურობა აისახება გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვის შესაძლებლობაზე. შედეგად, კომპანიები იყენებენ მოკლევადიან მიდგომებს გაყიდვების მართვაში, რაც ზღუდავს სისტემური განვითარებისთვის აუცილებელი პირობების ჩამოყალიბებას.

ბაზრის დინამიკას ართულებს მომხმარებელთა დაბალი ინფორმირებულობა. მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ჯანმრთელობისა და ავტოდაზღვევის პოპულარობა, მოქალაქეთა დიდი ნაწილი კვლავაც სკეპტიკურად უყურებს დაზღვევის საჭიროებას, რაც ხშირად უკავშირდება წარსულში მიღებულ ნეგატიურ გამოცდილებას ან არასაკმარის ინფორმირებას დაზღვევის პირობებზე. ეს ყველაფერი ზრდის უნდობლობას და აფერხებს როგორც გაყიდვების ზრდას, ისე ბაზრის გაფართოებას (Machavariani & Zurabishvili, 2018).

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი სისტემური სუსტი წერტილი მისი ეკონომიკასთან არასაკმარისი ინტეგრაციაა. განვითარებულ ეკონომიკებში დაზღვევა წარმოადგენს ბიზნესწარმოების განუყოფელ ნაწილს და ძლიერი კორპორაციული დაზღვევის საფუძველს. საქართველოში კი კორპორაციული დაზღვევა უმეტესწილად მხოლოდ სავალდებულო შემთხვევებზე ვრცელდება, რაც ზღუდავს ბაზრის გაფართოებისა და გაყიდვების სტრატეგიული განვითარებისთვის აუცილებელ ბაზისურ ფენას (Ghutidze, 2017).

სექტორის წინსვლას ასევე აფერხებს ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა. ბევრი კომპანია არ იყენებს თანამედროვე მონაცემთა ანალიტიკას, რაც აუცილებელია მიზნობრივი გაყიდვების გეგმის დასამუშავებლად. ამასთანავე, მომხმარებლის მონაცემების ეფექტიანი მართვისთვის საჭიროა ინტეგრირებული ციფრული პლატფორმების არსებობა, რაც ჯერ კიდევ ხშირ შემთხვევაში ვერ ხორციელდება (Kharkhelaury et al., 2020).

სადაზღვევო ბაზრის დინამიკა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე. მაგალითად, COVID-19 პანდემიამ ერთდროულად გაზარდა დაზღვევის საჭიროება და შეამცირა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა. ასეთ პირობებში გაყიდვების მენეჯმენტს დასჭირდა ადაპტაცია — მოქნილი გადახდის სქემების დანერგვა, პროდუქტების სპეციალიზაცია, სერვისებზე წვდომის გამარტივება. თუმცა პრაქტიკაში აღნიშნული ცვლილებები ხშირად დაგვიანებული და ფრაგმენტული იყო.

გაყიდვების მენეჯმენტისთვის არსებულ გამოწვევებთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში სადაზღვევო ბაზარი შეიცავს მნიშვნელოვან აუთვისებელ პოტენციალს. ამისთვის აუცილებელია აქტიური საინფორმაციო კამპანიები, მომხმარებელთა ნდობის აღდგენა და დაზღვევის კულტურის განვითარება. ეს კი გავლენას ახდენს გაყიდვების მენეჯმენტური გადაწყვეტილებების მიღებაზე (Glonti et al., 2023).

საქართველოში სადაზღვევო ბაზარი დგას განვითარების კრიტიკულ ეტაპზე. მიუხედავად ზრდის პოზიტიური ნიშნებისა, კვლავაც არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერები: ბაზრის კონცენტრაცია, მომხმარებლის უნდობლობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და რეგულაციური არასტაბილურობა. ამ გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია გაყიდვების მენეჯმენტის ინტეგრირებული, კვლევაზე დაფუძნებული სტრატეგიების შემუშავება. აღნიშნულ სტრატეგიებს უნდა დაეფუძნოს

მომხმარებლის საჭიროებების ღრმა ანალიზს, ბაზრის დივერსიფიკაციას, ციფრულ ტრანსფორმაციასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდის სექტორის მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას.

გაყიდვების სტრატეგიების სპეციფიკა საქართველოს სადაზღვევო კომპანიებში

გაყიდვების სტრატეგია წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ მენეჯმენტურ ინსტრუმენტს, რომელიც განაპირობებს არა მხოლოდ შემოსავლების ზრდას, არამედ მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხს, ბრენდის იმიჯსა და ბაზრის განვრცობის პოტენციალს. საქართველოს სადაზღვევო სექტორში აღნიშნული სტრატეგიების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. გაყიდვების მართვის პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში მოკლებულია სისტემურ ანალიზსა და მომხმარებელთა ქცევის საფუძველიან კვლევებზე დაფუძნებულ მიდგომებს.

სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა გაყიდვების მთავარ ინსტრუმენტად აგენტურ მოდელს იყენებს, რაც გულისხმობს ინდივიდუალური აგენტების მეშვეობით პროდუქტის რეალიზაციასა და კლიენტებთან უშუალო კომუნიკაციას. თუმცა პრაქტიკაში ეს მოდელი ხშირად ვერ პასუხობს ხარისხიანი მომსახურების სტანდარტებს. აგენტების დიდი ნაწილი არ ფლობს საკმარის ცოდნასა და უნარებს, რაც აფერხებს დაზღვევის პირობების სწორად მიწოდებას და მომხმარებლის დარწმუნებას მის სარგებლიანობაში (Machavariani & Zurabishvili, 2018).

გაყიდვების სტრატეგიები ხშირ შემთხვევაში ორიენტირებულია პროდუქტების მაქსიმალურად სწრაფ რეალიზაციაზე და არა მომხმარებელზე მორგებულ სერვისზე. ასეთი მიდგომა ქმნის ერთჯერადი გაყიდვების ტენდენციას, რაც არ იწვევს მომხმარებელთა ლოიალობის ზრდას. ბაზრის სეგმენტაცია, ქცევითი ანალიზი და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება ხშირად არ წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველს, რაც განაპირობებს პროდუქტების არასაკმარისად პერსონალიზებულ შეთავაზებას და ზღუდავს ეფექტიანი კომუნიკაციის შესაძლებლობას მიზნობრივ სეგმენტებთან (Ghutidze, 2017).

მნიშვნელოვანი ხარვეზი ფიქსირდება მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებითაც. კომპანიების უმრავლესობას არ გააჩნია ციფრული ანალიტიკის სისტემები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა მომხმარებელთა პროფილის სიღრმისეულ ანალიზსა და მიზნობრივი შეთავაზებების შექმნას. ამის შედეგად, გაყიდვები ხშირად ეფუძნება ინტუიციას და არა მონაცემებზე დაფუძნებულ სტრატეგიას, რაც ამცირებს შედეგიანობას (Kharkhelaury et al., 2020).

გაყიდვების პროცესს ამუხრუჭებს ადამიანური რესურსების ნაკლებად განვითარებული სისტემა. აგენტების დიდ ნაწილს არ აქვს გავლილი ხარისხიანი ტრენინგები კომუნიკაციის, მოლაპარაკების ან მომსახურების სფეროში, ხოლო მოტივაციის სისტემა ხშირად არასწორად არის აგებული და ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებულ მიდგომებს. გუნდში უკუკავშირის ნაკლებობა კი იწვევს კოორდინაციის პრობლემებს (Gurbanov et al., 2021).

გლობალური პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მულტიკანალური კომუნიკაციის ეფექტიანი მოდელი, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა სეგმენტის მომხმარებელთან შექმნან უწყვეტი, ერთგვაროვანი და პერსონალიზებული ურთიერთობა. გაყიდვების არხებში დომინირებს პირისპირ კონტაქტი, მაშინ როცა ციფრული პლატფორმები – ვებგვერდები, მობილური აპლიკაციები, სოციალური ქსელები – ან არასრულ-

ყოფილია, ან არაკომპეტენტურად იმართება. ეს განსაკუთრებით რთულს ხდის ახალგაზრდა და ტექნოლოგიურად აქტიური მომხმარებლების მოზიდვას.

კორპორაციული მიზნებთან გაყიდვების სტრატეგიის ინტეგრაციაც ხშირად ნაკლებად გამოკვეთილია. სტრატეგიები ძირითადად ფოკუსირებულია მოკლევადიან პერიოდზე და არ ეფუძნება ბაზრის გრძელვადიან პროგნოზირებას. შესაბამისად, გაყიდვების განყოფილებები ხშირ შემთხვევაში ფუნქციონირებენ იზოლირებულად, რაც არღვევს ორგანიზაციულ კოორდინაციასა და მომხმარებელზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დაგეგმვას (Kharkhelauri et al., 2020).

განსაკუთრებული გამოწვევა უკავშირდება მომხმარებლის გამოცდილების გაუთვალისწინებლობას. მომხმარებლის უკმაყოფილება ხშირად არ არის დაკავშირებული უშუალოდ დაზღვევის პროდუქტთან, არამედ იმ კომუნიკაციის და მომსახურების ხარვეზებთან, რაც პროდუქტის მიწოდებას თან ახლავს. ინფორმაციის დროული მიწოდების, არხების მრავალფეროვნებისა და მომსახურების მოქნილობის არქონა ხელს უშლის მომხმარებელთა ლოიალობის ჩამოყალიბებას (Gurbanov et al., 2021).

საქართველოს სადაზღვევო კომპანიებში გაყიდვების სტრატეგიები საჭიროებს ღრმა რეფორმირებასა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებას. აუცილებელია ციფრული არხების ეფექტიანი გამოყენება, ბაზრის სეგმენტაცია და მომხმარებელთა ქცევაზე დაფუძნებული ანალიტიკა. აგრეთვე, საჭიროა ადამიანური რესურსების სისტემური განვითარება და გაყიდვების სტრატეგიების კავშირი კომპანიის საერთო ხედვასთან. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი არა მხოლოდ ერთჯერადი გაყიდვების მაჩვენებლის გაუმჯობესება, არამედ ბრენდის მდგრადი განვითარება და მომხმარებელთა ნდობის გაღრმავება გრძელვადიან პერსპექტივაში.

გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური პრობლემები საქართველოში

გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური ხარვეზები საქართველოში სადაზღვევო სექტორის განვითარების ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურ დონეზე ზოგიერთი კომპანია ცდილობს გაყიდვების ფუნქციის გაუმჯობესებას, სისტემური ხასიათის პრობლემები აფერხებს სექტორულ პროგრესს. ეს ხარვეზები ვლინდება ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ადამიანური რესურსების მართვაში, ტექნოლოგიური ინტეგრაციის დაბალ დონესა და სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობაში.

პირველ რიგში, აშკარად იკვეთება გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურულ მოწყობაში არსებული პრობლემები. საქართველოს სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობას არ აქვს სრულად ინტეგრირებული გაყიდვების ფუნქცია ორგანიზაციულ მართვის სისტემაში. გაყიდვების გუნდები ხშირად აღიქმება როგორც იზოლირებული ერთეულები, რომლებიც მხოლოდ შედეგებზე, და არა მომხმარებელზე, არიან ორიენტირებული. ასეთმა მიდგომამ გამოიწვია სტრატეგიისა და ოპერაციული მართვის შორის დისბალანსი, რაც ართულებს გაყიდვების პროცესის თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას.

ხშირად სუსტია კომუნიკაცია მენეჯერებსა და გაყიდვების აგენტებს შორის, რაც აფერხებს თანამშრომელთა მოტივაციასა და პროფესიულ განვითარებას, და ზღუდავს ინიციატივის გამოვლენას. პასუხისმგებლობების არათანაბარი განაწილება იწვევს ბიუროკრატიული ბარიერების გაჩენას, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახება მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხზე. აღნიშნული დის-

ფუნქციები მოწმობს, რომ გაყიდვების მენეჯმენტი ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად (Glonti et al., 2023).

მეორე სისტემური პრობლემა ადამიანური რესურსების საკმარისი კვალიფიკაციის არქონაა. გაყიდვების პერსონალი ხშირად არ ფლობს საკმარის პროფესიულ უნარებს ეფექტური კომუნიკაციისა და მომხმარებლის საჭიროებაზე მორგებული შეთავაზების შესაქმნელად. სადაზღვევო პროდუქტების სპეციფიკა მოითხოვს ღრმა პროფესიულ ცოდნასა და კლიენტთან ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. თუმცა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელია, თუ კომპანიებს არ გააჩნიათ სისტემური და რეგულარული ტრენინგების პროგრამები, ისევე როგორც თანამშრომელთა განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია (Verulava & Kurshubadze, 2023).

ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელი სისტემური პრობლემების შესახებ არის კადრების მაღალი ტრიალებადობა. ხშირი ცვლილებები განპირობებულია მოტივაციის სუსტი სისტემით, კარიერული წინსვლის შეზღუდული შესაძლებლობითა და ორგანიზაციულ გარემოსადმი უნდობლობით. შედეგად, ვერ ყალიბდება სტაბილური, მომხმარებელზე ორიენტირებული გაყიდვების კულტურა, რაც აფერხებს გრძელვადიან კლიენტურ ურთიერთობებს და ზიანს აყენებს კომპანიის რეპუტაციასა და ფინანსურ შედეგებს.

გაყიდვების მენეჯმენტის ეფექტიანობის შემცირებას კიდევ უფრო ამძაფრებს ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა. კომპანიის დიდი ნაწილი არ იყენებს სრულყოფილად თანამედროვე CRM სისტემებს, რაც აფერხებს მომხმარებელთა მონაცემების ანალიზსა და მიზნობრივ კომუნიკაციას. მონაცემებზე დაფუძნებული მენეჯმენტის გარეშე პერსონალიზებული შეთავაზებების ფორმირება პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც ზღუდავს გაყიდვების შედეგიანობას (Kiana, 2010).

გარდა შიდა ორგანიზაციული პრობლემებისა, სისტემური დაბრკოლებები გამომდინარეობს გარე გარემოდანაც. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარე ფაქტორია დაზღვევისადმი საზოგადოების დაბალი ცნობადობა და ნდობა. როდესაც მომხმარებელი ვერ ხედავს დაზღვევის რეალურ ღირებულებას და აღიქვამს მას მხოლოდ როგორც ზედმეტ ხარჯს, რთულია გაყიდვების მენეჯმენტის სტრატეგიების ეფექტიანად განხორციელება. შედეგად, კომპანიები იძულებულნი არიან დაეყრდნონ ფასდაკლებებზე ან აგრესიულ კომუნიკაციაზე დაფუძნებულ სტრატეგიებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს არ უწყობს მომხმარებელთა ლოიალობის ზრდას (Verulava & Kurshubadze, 2023).

გაყიდვების პროცესის სისტემური გაუმართაობა ვლინდება მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ნაკლებობაშიც. უმეტეს კომპანიაში არ არსებობს სტანდარტიზებული მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს გაყიდვების ხარისხი არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ პროცესზე დაფუძნებით. შესაბამისად, შედეგების ანალიზი ვერ ასახავს გაყიდვების ეფექტიანობას და ვერ ქმნის გაუმჯობესების სტრუქტურულ წინაპირობებს (Zoidze et al., 2013).

სისტემური პრობლემების მნიშვნელოვანი ასპექტია უკუკავშირის არხების ნაკლებობაც. თანამშრომლებს ხშირად არ ეძლევათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები ან მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს არღვევს თანამშრომელთა ჩართულობის კულტურას და ამცირებს მათ მოტივაციას, რაც საბოლოო ჯამში აისახება გაყიდვების შედეგებზე.

გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური პრობლემები საქართველოში წარმოადგენს კომპლექსურ გამოწვევას, რომელიც ზეგავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალურ კომპანიებზე, ისე მთლიანად სადაზღვევო სექტორის მდგრად განვითარებაზე. პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია სისტემური რეფორმების გატარება, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაცია, ადამიანური კაპიტალის განვითარება და სტრატეგიულ დონეზე შეთანხმებული, გრძელვადიანი მიდგომების დანერგვა (Diakonidze, 2021).

კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნების სტრატეგიული პრობლემები

კლიენტების მოზიდვა და შენარჩუნება ნებისმიერი სერვისზე ორიენტირებული სექტორისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, თუმცა სადაზღვევო სფეროში ამ პროცესს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ეს გამოწვეულია თავად დაზღვევის სპეციფიკით: განსხვავებით სხვა პროდუქტებისგან, იგი არ იძლევა მყისიერ მატერიალურ სარგებელს და მოითხოვს მომხმარებლის ფინანსურ, ემოციურ და ინტელექტუალურ ჩართულობას. ასეთ პირობებში, კლიენტის მოზიდვა და, მით უმეტეს, მისი შენარჩუნება მოითხოვს მენეჯმენტისგან კომპლექსურ, კარგად დაგეგმილ და მომხმარებელზე მორგებულ სტრატეგიებს.

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე მომხმარებელთა დაბალი ინფორმირებულობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრობლემას წარმოადგენს. დაზღვევა ჯერ კიდევ არ აღიქმება საზოგადოებაში როგორც აუცილებელი ეკონომიკური ან სოციალური ინსტრუმენტი. შედეგად, მომხმარებელთა უმრავლესობა სადაზღვევო პროდუქტებს მხოლოდ იძულებითი ან სავალდებულო პირობების გამო იძენს. ეს ქმნის მომხმარებელთა ბაზას, რომელიც ნაკლებად არის მოტივირებული ან ნდობაზე დაფუძნებული, რაც გრძელვადიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ართულებს (Gurbanov et al., 2021).

კომპანიების უმრავლესობა ფოკუსირებულია ახალი კლიენტების მოზიდვაზე, ხოლო არსებული მომხმარებლების შენარჩუნება და მათგან ღირებულების გაზრდა ნაკლებად პრიორიტეტულია. ეს მიდგომა დროში არაეფექტიანია და ფინანსურად წამგებიანი, რადგან არსებული კლიენტის შენარჩუნება მნიშვნელოვნად იაფია, ვიდრე ახლის მოზიდვა. პრაქტიკაში არ ხორციელდება კლიენტზე მორგებული შეთავაზებები, უკუკავშირის სისტემური ანალიზი და ლოიალურობის სტიმულირების მექანიზმების განვითარება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გაყიდვების სტრატეგიების სტანდარტიზაცია, რაც აფერხებს მომხმარებელზე მორგებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. საქართველოში სადაზღვევო პროდუქტები ხშირად სტანდარტული პაკეტების სახით გაცივმა, რაც არ ითვალისწინებს კლიენტის პროფილს, საჭიროებებსა და ფინანსურ შესაძლებლობებს. როცა პროდუქტი ვერ პასუხობს ინდივიდუალურ მოლოდინებს, კლიენტის გამოცდილება უარყოფითია, რაც ხელს უშლის გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებით პრობლემურია ციფრული არხების ნაკლებობა მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესში. თანამედროვე მომხმარებელი ელოდება მომსახურების ციფრული ფორმატით მიწოდებას – სწრაფად, მარტივად და კომფორტულად, რაც ხშირად არ არის გათვალისწინებული ქართულ სადაზღვევო კომპანიებში. კლიენტების მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს საშუალება, ონლაინ მოიძიოს ინფორმაცია, შეიძინოს პროდუქტი ან მიიღოს კონსულტაცია მისთვის მისაღები

გზით. ქართულ სადაზღვევო სექტორში ციფრული არხების ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს კლიენტთან კომუნიკაციასა და მომსახურების ხარისხს, რაც საბოლოოდ აქვეითებს მომხმარებელთა კმაყოფილებას.

ბევრ კომპანიაში არ არსებობს ეფექტიანი უკუკავშირის მექანიზმები. მომხმარებლები ვერ ახერხებენ ადეკვატური უკმაყოფილების გამოხატვას, ხოლო კომპანიები ვერ რეაგირებენ ოპერატიულად. ეს იწვევს მომხმარებელსა და კომპანიას შორის ემოციური კავშირის შესუსტებას და ზრდის კლიენტის დაკარგვის რისკს (Gurbanov et al., 2021).

აგენტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კლიენტის მოზიდვაში, ხშირად არ არიან ჩართულნი კლიენტის შენარჩუნების სტრატეგიებში. კომუნიკაცია აგენტებთან ხშირად არაპროგნოზირებადია, არ არსებობს ერთიანი სტანდარტები, რაც ხელს უშლის მომხმარებლისთვის სანდო და სტაბილური სერვისის მიწოდებას (Machavariani & Zurabishvili, 2018).

გაყიდვების სტრატეგიები ხშირად მიმართულია ჰომოგენური მიდგომით, რაც არ ითვალისწინებს კლიენტთა სეგმენტების ასაკობრივ, სოციალურ, გეოგრაფიულ ან ქცევით განსხვავებებს. ამ მიდგომით შეუძლებელია პროდუქტების ეფექტიანი მორგება სხვადასხვა სეგმენტზე და შესაბამისად, იკარგება მომხმარებლის დაინტერესება და ნდობა.

კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნების სტრატეგიები საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სისტემურ და მენეჯმენტურ დონეზე. სექტორში დომინირებს მოკლევადიანი გაყიდვების ხედვა, რომელიც არ ითვალისწინებს გრძელვადიანი ურთიერთობების განვითარებას მომხმარებელთან. მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მენეჯმენტი შეიმუშავებს მომხმარებელზე მორგებულ სტრატეგიებს,
- გაძლიერდება ციფრული არხები,
- დაინერგება უკუკავშირის სისტემური მექანიზმები,
- შეიქმნება ეფექტიანი ლოიალურობის პროგრამები.

მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს მომხმარებელთა ნდობის დაბრუნებას, ბაზრის გაფართოებას და გაყიდვების მენეჯმენტის მდგრად განვითარებას.

დასკვნა და რეკომენდაციები

გაყიდვების მენეჯმენტი არ არის მხოლოდ პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზების პროცესი, არამედ მოიცავს კომპლექსურ მენეჯმენტურ, ტექნოლოგიურ და ადამიანურ რესურსებზე დაფუძნებულ სისტემას. ამასთან, თეორიული ანალიზი გვასწავლის, რომ გაყიდვების მენეჯმენტის სტრუქტურა და პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანიზაციის მთლიან სტრატეგიასთან და მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომებთან, რაც ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის მთავარ ფაქტორად გვევლინება (Johnston & Marshall, 2020).

საქართველოს სადაზღვევო სექტორში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური მოდელი.

გაყიდვების მენეჯმენტის ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია სისტემურ პრობლემებთან – როგორცაა არაეფექტური სტრუქტურა, ადამიანური რესურსების არასაკმარისი კვალიფიკაცია და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა. გაყიდვების მენეჯმენტის ეფექტიანობა საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია და დაკავშირებულია ზუსტად იმ ფაქტორებთან, რაც ჰიპოთეზაში იყო გათვალისწინებული.

გაყიდვების მენეჯმენტი საქართველოში ჯერ კიდევ ვერ აღიქმება როგორც კომპლექსური და ინტეგრირებული მენეჯმენტური სისტემა. მისი აღქმა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ერთჯერად გაყიდვებზეა ორიენტირებული და არა მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთობის შექმნაზე. ამავდროულად, კომპანიებში არ არის საკმარისად განვითარებული ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკა. აღნიშნული პრობლემები ქმნის ერთობლივ სურათს, რომელიც აფერხებს სექტორის ზრდასა და განვითარებას.

საჭიროა გაყიდვების მენეჯმენტის სისტემური რეფორმა, რომელიც ეფუძნება მომხმარებელზე ორიენტირებულ მიდგომებს. მნიშვნელოვანია შეიქმნას გაყიდვების სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას და მომხმარებელთან ხარისხიან ურთიერთობას. ამისთვის აუცილებელია პროფესიული ტრენინგების სისტემატური დანერგვა, რომელიც გაზრდის გაყიდვების გუნდის კვალიფიკაციას და მოტივაციას.

საჭიროა ტექნოლოგიური რესურსების ინტეგრაცია გაყიდვების პროცესში. CRM სისტემების, მონაცემთა ანალიზის პლატფორმების და ციფრული კომუნიკაციის არხების განვითარება დაეხმარება გაყიდვების პროცესის პერსონალიზაციას და მომხმარებელთა მოთხოვნებზე მორგებას.

ასევე აუცილებელია გაყიდვების პროცესის შეფასების კრიტერიუმების გადახედვა. გარდა რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, საჭიროა ხარისხობრივი ინდიკატორების – მაგალითად, მომხმარებლის კმაყოფილებისა და განმეორებითი გაყიდვების მაჩვენებლის – რეგულარული ანალიზი. ეს საშუალებას მისცემს კომპანიებს მიიღონ ინფორმაცია გაყიდვების პროცესის რეალურ ეფექტიანობაზე და მოახდინონ საჭირო ცვლილებები.

რეკომენდებულია გაყიდვების სტრატეგიების მჭიდრო კავშირი კომპანიის საერთო ხედვასთან და მისი სტრატეგიული მიზნებთან. გაყიდვების გუნდის ჩართვა სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში და შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება გაზრდის თანამშრომელთა მოტივაციას და მომხმარებელთან ურთიერთობის ხარისხს.

ლიტერატურა

ვერულავა თ. ჯანმრთელობის დაცვის სადაზღვევო სისტემის მოდელის რეფორმა საქართველოში. ეკონომიკა და ბიზნესი. 2023; 15 (1):112-130.

ვერულავა თ, ყურშუბაძე ს. (2023). ჯანმრთელობის დაზღვევის პრეტენზიების მართვის პრობლემები საქართველოში. გლობალიზაცია და ბიზნესი. 8(16)

ვერულავა თ, ჯორბენაძე ა. (2024). ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევის განვითარება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. 1: 107-123. <http://macne.org.ge/index.php/macne/article/view/143>

ვერულავა თ., კილასონია ნ. (2015). ფინანსური რისკების დაზღვევის ტენდენციები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ეროვნული მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები“ შრომების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 331-335;

წიგნაძე თ. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია. 2019;2, 1-22.

- Georgia, A., George, A. & Labros, S. . Employee recruitment and selection in the insurance sector -the case of the Greek insurance group. *European Journal of Management Sciences*, 2013;1 (1), 1-20.
- Glonti, V., Tsintsadze, A., Oniani, L., Ghoghoberidze, T. Risk Management Problems and the Role of Insurance in Developing Countries. *Montenegrin Journal of Economics*, 2023; 19(2):153-165.
- Ghutidze, T. (2017). Agribusiness insurance system in Georgia and its main tendencies. *European Scientific Journal*. 332-345. file:///C:/Users/Lenovo/Downloads/9484-Article%20Text-27206-1-10-20170627.pdf
- Gurbanov, N., Gushkhani, R., & Guliev, E. Some problems of insurance marketing. *Economics and Business*. 2021;1:160-172 <https://dspace.tsu.ge/items/4cb0fb2b-e440-4678-95a7-3135d02cefd8>
- Diakonidze, M. Tourism insurance market, risks and prospects: The case study. *The Journal of Corporate Governance, Insurance, and Risk Management (JCGIRM)*. 2021. 1:75-83 <https://www.cceol.com/search/article-detail?id=955071>
- Johnston, M.W., & Marshall, G.W. (2020). *Sales Force Management: Leadership, Innovation, Technology* (13th ed.). Routledge. <https://doi.org/10.4324/9781003134688>.
- Kbiltsetskhlashvili, T., Mamedova, I. (2016). The Role of Risk Management and its Related Issues for Companies Economic Growth and Development of Insurance Sector: The Evidence of Georgia. *Journal of Business*. 5 (2):45-55. <https://jb.ibsu.edu.ge/jms/index.php/jb/article/view/109>
- Kharkhelaury, K., Kostava, M., & Kajaia, T. (2020). Insurance business development trends in Georgia and its impact on the economy. *Business, Management and Accounting*. Work of GTU. 17 (2) (516). <https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-2-17-23>
- Kiana, M. W. Challenges in management of general insurance claims in Kenya. University of Nairobi Repository. 2010. <https://erepository.uonbi.ac.ke/handle/11295/12619>
- Machavariani, N., Zurabishvili, M (2018). Student insurance in Georgia - Challenges and opportunities. *International Students’ Scientific Conference*. East European University. 85-93 <http://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2018/11/International-Students%E2%80%99Scientific-Conference.pdf#page=87>
- Martey, E. M. Impact of emotional intelligence on sales performance of sales personnel in the insurance industry of Ghana. *All Nations University Journal of Applied Thought*. 2019. <https://anujat.anuc.edu.gh/universityjournal/anujat/Vol7/No1/11.pdf>
- Stephen, S., Oreshile, S. A., & Alli-Noah, S. Internal marketing, salesforce performance and service delivery: Empirical evidence from the Nigerian insurance industry. *Annals of the University of Craiova*. 2019;1(46):146-155
- Tchiotashvili, D., Chitadze, K. Development stages, opportunities and perspectives of the insurance market in Georgia. *Grail of Science*. 2023; 31:27-33
- Verulava, T., Kurshubadze S. Health Insurance Claims Management Issues in Georgia. *Globalization and Business*. 2023; 8(16), 25-43. <https://doi.org/10.35945/gb.2023.16.003>
- Verulava T. (2023). Managed Competition and Health Insurance Reforms in Georgia. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(1):175-180
- Zoidze A, Rukhazde N, Chkhatarashvili K, Gotsadze G. Promoting universal financial protection: health insurance for the poor in Georgia--a case study. *Health Res Policy Syst*. 2013 Nov 15;11:45. doi: 10.1186/1478-4505-11-45.

Tengiz Verulava

Doctor of Medical Sciences, Professor, School of Business, Caucasus University;

Lasha Khurtsidze

Master of Business Administration, School of Business, Caucasus University

STRATEGIC CHALLENGES AND DEVELOPMENT PROSPECTS OF SALES MANAGEMENT IN THE GEORGIAN INSURANCE INDUSTRY

DOI: [10.52340/ekonomisti.2025.03.06](https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.03.06)

Expanded Summary

The insurance sector in Georgia represents a vital and growing component of the national economy, yet it continues to face significant structural and managerial challenges, particularly in the domain of sales management. This study aims to explore the systemic issues hindering the development of effective sales strategies in Georgian insurance companies, focusing on organizational constraints, technological gaps, limited digital transformation, and the insufficient integration of customer-oriented approaches.

Sales management is not merely the process of offering a product or service; it constitutes a complex, multidimensional system grounded in managerial structures, technological infrastructure, and human resource capacity. Theoretical literature confirms that the structure and processes of sales management are closely linked to an organization's overarching strategy and customer-focused philosophy, which are essential for maintaining adaptability in competitive markets (Johnston & Marshall, 2020). In Georgia, however, the insurance sector has not yet developed a fully systemic or integrated model of sales management.

Key challenges include ineffective organizational models, underqualified personnel, and the lack of advanced digital tools. Sales strategies are often transactional rather than relational, focusing on one-time conversions instead of fostering long-term customer engagement. Companies rarely invest in data analytics, structured training, or CRM integration. As a result, the sector continues to underperform in terms of customer loyalty, retention, and sustainable growth.

Client acquisition and retention, already crucial for any service-oriented industry, take on exceptional strategic importance in the insurance sector. Unlike tangible products, insurance does not offer immediate material benefit and requires financial, emotional, and intellectual commitment from the customer. This makes client acquisition and retention significantly more complex, demanding well-designed, customer-centric strategies from management.

One of the most critical issues in Georgia is low public awareness and understanding of insurance as a social or economic safety mechanism. Insurance products are often purchased only when mandated by law, leading to a customer base that lacks intrinsic motivation or trust. As a result, the majority of companies focus predominantly on attracting new clients, while retaining and growing the value of existing ones remains a secondary concern. This approach is not only inefficient over time but also economically unsound, as retaining existing clients is significantly more cost-effective than acquiring new ones.

Moreover, standardized sales strategies dominate the market, offering generic insurance packages that do not align with individual client profiles, needs, or financial capabilities. This misalignment leads to poor customer experiences and undermines efforts to establish long-term relationships. The absence of digital communication channels exacerbates the issue, as modern consumers expect convenience, speed, and access to services through online platforms—features often lacking in Georgian insurance firms.

Another critical gap is the lack of effective feedback mechanisms. Customers have limited avenues to express dissatisfaction, and companies struggle to respond adequately, which weakens emotional connection and increases client attrition. Insurance agents, key players in client ac-

quisition, are rarely engaged in retention strategies. Inconsistent communication and the absence of standardized protocols hinder the delivery of reliable, trustworthy service.

Sales approaches also tend to apply a “one-size-fits-all” logic, failing to account for the demographic, geographic, and behavioral diversity of the customer base. Such homogeneity in strategy diminishes personalization, which in turn erodes trust and customer interest.

Currently, Georgia’s insurance sector lacks structured, long-term client acquisition and retention strategies at both the managerial and operational levels. The market is largely driven by short-term sales objectives rather than sustainable relationship building. Improvement in this area will require:

- The development of customer-centered sales strategies;
- Strengthening of digital channels for service delivery and communication;
- Implementation of systematic feedback mechanisms;
- Introduction of loyalty programs to incentivize long-term engagement.

These reforms, taken as a comprehensive approach, have the potential to rebuild consumer trust, expand market reach, and ensure the long-term success of sales management within Georgia’s insurance sector.

Drawing on a descriptive-analytical framework and critical literature review, the research also incorporates international comparisons with Estonia, Poland, and Turkey—countries that have successfully modernized their insurance markets through digital transformation, targeted training systems, and personalized sales approaches. Their experiences reinforce the need for strategic, structural, and technological reform in the Georgian context.

Keywords: Sales management, insurance sector, Georgia, CRM, customer-centered approach, strategic planning, human resources, digital transformation, international comparison.

ბანათლების ეკონომიკა – EDUCATION ECONOMY

Мирзабекова Ж.С.

с.н.с. Института Экономики Министерства
Науки и Образования Азербайджанской Республики

ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ СФЕРЫ ОБРАЗОВАНИЯ НА ЭКОНОМИЧЕСКОЕ
РАЗВИТИЕ СТРАНЫ

DOI: [10.52340/economisti.2025.03.07](https://doi.org/10.52340/economisti.2025.03.07)

Аннотация. В статье «Оценка влияния сферы образования на экономическое развитие страны» рассматривается оценка влияния сферы образования на экономическое развитие страны. Показано, что образование – это непрерывный процесс, способствующий развитию психологических, социальных, физических аспектов развития человека. Изменения в системе образования будут способствовать повышению эффективности использования человеческого фактора, изменению ее качественной составляющей с целью обеспечения устойчивости в экономическом развитии страны. Повышается значимость таких понятий, как профессионализм, потенциальные возможности, компетенции, квалификация, способствующие повышению эффективности, производительности, продуктивности и результативности. Но, при этом следует учитывать препятствия, возникающие в системе образования, вследствие усложнения положения и роста неопределенности в мировом развитии. Неэффективность, сложившаяся в системе образования, связана с институциональными ловушками в системе образования.

Ключевые слова: образование, экономическое развитие, ловушки, инновационность, эффективность, человеческий фактор, результативность.

Введение

Образование является важным фактором формирования и развития страны, так как качественная ее составляющая обеспечивает устойчивость и конкурентоспособность, инновационность и результативность. Важность возрастает вследствие усиления процесса неопределенности в мировом развитии. Образование влияет на:

- производительность труда, то есть рост качественной составляющей образования ведет к росту эффективности, инновационности, снижению текучести кадров и использованию квалифицированного труда.

- созданию основ нового бизнеса, предпринимательской деятельности (информированность, использование стартапов, связь и обмен опытом между предпринимателями).

- устойчивость, рост ответственности, социально-ориентированность, эколого-ориентированность, долгосрочное развитие.

- использование образовательных технологий (онлайн-курсы, интерактивные платформы

- это способствует эффективному использованию материалов, улучшает процесс понимания и запоминания и др.), что способствует развитию адаптивного обучения (адаптация под каждого обучающегося) и персонализации.

В итоге, образование – это непрерывный процесс, способствующий развитию психологических, социальных, физических аспектов развития человека. Из года в год повышается значимость образования. Так, в мире насчитывается 29500 университетов. Из них в Индии – 5444, в США – 3216, в Индонезии – 2595, в Китае – 2565, в Бразилии – 1297, в Мексике – 1173. В Японии – 1063, в России – 1058, в Иране – 704, в Азербай-

джане – 51 (36 в ведомстве Министерства науки и образования и 15 частных). В Азербайджане на каждый 1 млн. человек приходится около 5 университетов, в США – 12 университетов, в Германии – 5 университетов, в Канаде – 5 университетов. Азербайджан находится на уровне Германии и опережает Канаду. Если рассмотреть рейтинг университетов, то 3 университета Канады и 8 университетов Германии входят в первые 100 лучших университетов мира (2025 год). (World of statistics, AUBSP, Webometrics) Университеты Азербайджана пока даже не входят в число 1000 лучших университетов мира. Это свидетельствует о необходимости проведения нижеследующих изменений в системе образования:

- внедрение гибких факторов обучения (смешанное и дистанционное);
- усиление процесса адаптации к новым условиям рынка труда;
- интеграция новой техники и технологий в учебный процесс с целью повышения информированности;
- рост практического применения знаний в процессе подготовки специалистов, способных отвечать новым требованиям современного мирового развития;
- рост процесса непрерывного образования вследствие происходящих изменений на рынке труда, что способствует повышению конкурентоспособности личности и адаптации его к новым условиям развития.

Эти изменения в системе образования будут способствовать повышению эффективности использования человеческого фактора, изменению ее качественной составляющей с целью обеспечения устойчивости в экономическом развитии страны. Повышается значимость таких понятий, как профессионализм, потенциальные возможности, компетенции, квалификация, способствующие повышению эффективности, производительности, продуктивности и результативности. Но, при этом следует учитывать препятствия, возникающие в системе образования, вследствие усложнения положения и роста неопределенности в мировом развитии.

«Ловушки» в системе образования.

Как отмечалось выше, вопросы качественного образования имеют особую значимость в экономическом развитии страны, так как способствуют повышению качественной составляющей роста и развития экономики страны, повышению устойчивости и результативности. Неэффективность, сложившаяся в системе образования, связана с институциональными ловушками в системе образования. Как правильно отмечает Василенко Н., выделяют три вида ловушек:

«- ловушка платного образования (уделение внимания на платежеспособность, а не на важность освоения образовательных программ. Рынок труда получает тех полуспециалистов, которые отвечают интересам частных инвесторов, так как кто платит, тот и определяет требования в образовательной системе)

- ловушка совместительства профессионально-преподавательского состава (низкая оплата труда выявляет потребность в дополнительном заработке, с одной стороны. С другой стороны – нехватка в квалифицированных педагогических кадрах выявляет потребность в использовании дополнительного педагогического состава. При этом, в какой-то степени, выявляется неэффективность данной формы занятости в перспективе, что отражается в соотношении на рынке предлагаемых услуг, что становится тормозом в развитии и проведении изменений в образовательной сфере).

- диссертационная ловушка (неэффективность приводит к снижению качества научных исследований, так как повышается шанс покупки ученых степеней и обслуживание собственных интересов)». [1, с.16]

Целесообразность учета вышеизложенных свидетельствует о том, что важно проведение реструктуризации образовательных структур, усиление контроля и

координации в оказании образовательных услуг, так как формирование инновационной системы повышает значимость качественной составляющей в системе образования.

Таблица 1.

Рейтинг стран по индексу уровня образования 2024

страны	Место 2024	Средняя продолжительность обучения (2024г.)	Ожидаемая продолжительность обучения (2024г.)	Индекс уровня образования 2020-год	Индекс уровня образования 2014-год	Индекс человеческого развития (ИЧР) 2025г.	Уровень занятости и, 2024г. индекс/место
Германия	1	14.3	17.3	0.943/1	0.893/7	0.959/5	63/73
Швейцария	2	13.9	16.6	0.900/14	0.866/14	0.970/2	64/44
Канада	3	13.9	16.0	0.894/17	0.874/10	0.939/16	62/63
США	5	13.6	16.4	0.900/15	0.889/8	0.938/17	60/76
Эстония	6	13.5	15.9	0.882/21	0.874/11	0.905/36	61/65
Литва	7	13.5	16.4	0.898/16	0.868/12	0.895/39	58/92
Израиль	8	13.4	15.0	0.883/19	0.861/17	0.919/27	63/55
Великобритания	9	13.4	17.6	0.928/3	0.885/9	0.946/13	60/75
Норвегия	12	13.1	18.6	0.930/2	0.907/5	0.970/2	63/50
Финляндия	18	12.9	19.2	0.927/4	0.817/26	0.948/12	56/106
Грузия	25	12.7	16.7	0.862/26	0.787/40	0.844/57	55/115
Швеция	26	12.7	19.0	0.918/10	0.842/19	0.959/5	62/62
Казахстан	33	12.4	14.8	0.830/35	0.798/37	0.837/60	65/38
Россия	34	12.4	15.7	0.823/39	0.806/32	0.832/64	59/77
Беларусь	40	12.2	14.0	0.838/32	0.834/20	0.824/65	63/56
Киргизия	42	12.0	13.0	0.730/70	0.700/72	0.720/117	63/47
Узбекистан	44	11.9	12.0	0.729/71	0.862/82	0.740/107	54/124
Таджикистан	59	11.3	10.9	0.682/96	0.658/91	0.691/128	38/175
Туркменистан	63	11.1	13.2	0.653/111	0.629/108	0.764/95	46/158
Украина	64	11.1	13.3	0.799/47	0.799/36	0.779/87	49/148
Азербайджан	76	10.6	12.7	0.711/80	0.704/69	0.789/81	66/31

*2 *3 *4

Как свидетельствуют данные таблицы, лучшие позиции в Азербайджане по уровню занятости (индекс 66 и 31 место), в Казахстане (65/38), в Швейцарии (64/44), в Киргизии (63/47), в Израиле (63/55). По индексу уровня образования позиции Азербайджана – 76 место (2014г. – 69 место, 2020г. – 80 место). Это свидетельствует о низком качественном уровне образования. По индексу качества образования и индексу возможностей образования в 2025г. первые позиции у Великобритании (78.2 и 69.79), в США (72.0 и 68.74), в Австралии (70.5 и 67.52), в Нидерландах (70.3 и 67.21), в Швеции (70.1 и 66.96), во Франции (69.9 и 66.3), в Дании (69.8 и 62.54), в Канаде (69.8 и 61.01), в Германии (69.5 и 60.64), в Швейцарии (68.3 и 60.12). [5]

Важно повышать качественную составляющую в уровне образования, так как существует взаимосвязь между уровнем образования и уровнем конкурентоспособности страны. Известно, что чем выше уровень образования, тем выше конкурентоспособность

и уровень экономического развития страны. То есть важна «новая политика (формирование высококвалифицированных специалистов с инновационным, нелинейным мышлением) в сфере образования, которая связана с конкурентоспособностью страны. Это исходит из того, что ныне человеческий потенциал стал основным ресурсом развития страны, повышающий значимость и качество образования, являющееся основной предпосылкой благосостояния государства». [6]

Таблица 2.

страна	Индекс экономики знаний		уровень грамотности
	2024	2012	2025
Швеция	68.3/1	9.43/1	99/36
Финляндия	68/2	9.33/2	100/16
Швейцария	67.9/3	8.87/10	99/32
США	66.2/7	8.77/12	99/22
Великобритания	65.8/8	8.76/14	99/28
Австрия	65/10	8.61/17	98/68
Канада	64.5/12	8.92/7	99/26
Эстония	64/14	8.40/19	100/7
Германия	63.7/16	8.90/8	99/44
Израиль	63.2/18	8.14/25	97/77
Италия	59.1/32	7.89/30	99/55
Азербайджан	42.4/100	4.56/79	100/3
Беларусь	51.4/50	5.59/59	100/8
Россия	48.4/61	5.78/55	100/18
Украина	48.2/62	5.73/56	100/14
Грузия	50.2/53	5.19/68	100/20
Турция	49.2/59	5.16/69	97/78
Казахстан	46.6/72	5.04/73	100/13
Узбекистан	45.9/78	3.14/105	100/19
Латвия	59.5/31	7.80/32	100/6
Литва	58.8/33	7.41/37	100/5

*7 *8

In general, as is known, a benchmark is constructed by conducting various auctions for a specific period. Technically, reopening can be modeled as follows: For example, for simplicity, let's assume we want to build a benchmark for the eighth quarter, we conduct an auction and issue securities, with interest paid quarterly. Then at different periods additional amounts are added to previously issued benchmark bond. The reopened security will have the same maturity date and the same coupon rate. For this example, the maturity date would be the eighth quarter. For example, the maturity of a bond issued at the end of the first quarter will be 7 quarters, an additional issue at the end of the second quarter will be fully repaid in 6 quarters, and so on, as shown in Table 1. In this way, all added amounts will have the same maturity date, but it is also important that the coupon rate is the same. To convert quarterly maturity to annual, the maturity expressed in quarters must be divided by 4, since there are 4 quarters in a year. This is shown in Formula 1, where M_Y represents the maturity of the security in years and M_Q represents maturity shown in quarters.

$$M_Y = \frac{M_Q}{4} (1)$$


As shown in the table mentioned above, at the end of the eighth quarter, no new additional amount is issued, but the existing one is repaid, which is why the maturity of the new volume will be zero. However, if we want to issue a new benchmark after the payment of the principal of the existing benchmark, which is more realistic, then in the same example, at the end of the eighth quarter we should issue a new benchmark bond with a maturity of 7 quarters, at the end of the 9th quarter we should add additional amount with a maturity of 6 quarters, and etc. In this way, it is possible to construct another benchmark after one benchmark is repaid, and etc. **To implement this technically, let's assume that the algorithm builds benchmarks not by issuing additional amounts by altering the same bond object (OOP concept), but by creating a new bond object with the same maturity date and coupon rate in each quarter.** The general picture of such dynamics is presented in Figure 1, which shows what the annual maturity of each newly issued bond should be at the end of each quarter, if the benchmark bonds are issued for 10 years and another benchmark is constructed after each one matures. Programmatically, this can be done by either mechanically pre-writing the maturities for each future period in an array, or by generating such maturities using loops (e.g., iterators). Compared to reality, this scheme is quite simplified, but it allows the scheme to be easily implemented in simulations, and after its modification, a picture closer to reality can be obtained. For example, in addition to one benchmark, more than one benchmark can be constructed simultaneously, which is closer to reality. In general, in practice, it is common to choose one target quarter and construct a benchmark for that quarter by changing the maturities accordingly in the different quarters so that the additional amounts of the same bond have the same maturity date. Therefore, modeling with the algorithm mentioned above is close to reality.

Table 1. Maturities for constructing a benchmark for different periods, example

Period	Quarterly maturity	Yearly maturity
1	7	1.75
2	6	1.50
3	5	1.25
4	4	1.00
5	3	0.75
6	2	0.50
7	1	0.25
8	0	0

Source: Constructed by the author

Figure 1. Annual maturities required to simulate the construction of a benchmark bond at the end of different quarters



Source: Constructed by the author


In order to replicate the above-mentioned simplified dynamics in the simulation, then an appropriate program for computer modeling needs to be developed. Since the goal of this paper is to simulate benchmark bonds, then it is necessary to model the reopenings through which the benchmarks are constructed.

Bonds can be modeled using object-oriented programming. Technically, it is possible to use other programming paradigms, but for simplicity, we will use this method in this paper. **A bond class must be created for modeling.** For simplicity, we will consider par bonds where the coupon payments are made quarterly. The class constructor must specify the coupon value in currency units, the maturity in quarters, and the bond's par value in currency units. This class should have the payment method (OOP concept), which will be executed in each quarter of the simulation. If the remaining maturity is zero when checking the maturity, the total payment for the bond will be the sum of the coupon value and the par value, otherwise, only the coupon value will be payable.

For benchmark modeling, a new bond object will be created in each quarter of the simulation from the bond class, which will have a defined par value, coupon value, and maturity according to the scheme and example discussed above, so that if a bond was created at the end of the first quarter, its maturity will be 7 quarters, in the second 6, in the third 5, and so on. This will create a benchmark that is fully paid off in the eighth quarter. This method simulates reopenings. Since we use 40 quarters as the example in the paper, after one benchmark is fully repaid, the second benchmark must be issued in the simulation, if we are to determine the benchmark peaks in the long term. In each quarter of the simulation, each bond in the portfolio must be serviced, and the payments should be recorded in an array for the corresponding quarter. After servicing, a new bond object must be created using the bond class, with the appropriate maturity, coupon, and par value. This bond should be placed in the portfolio array. The array should then be checked as follows: if the remaining maturity of a certain bond is zero, it should be removed from the portfolio. After this, the simulation should advance to the next quarter and continue until the number of projection quarters is exhausted.

When implementing the algorithm mentioned above, in our example, let's assume that the bond's par value is 20,000 currency units, and the coupon is 500 currency units per quarter. Then, we can see the results of the aforementioned simulation for 40 quarters in Figure 2, where the peaks in debt service that are created in accordance with the above algorithm and displayed in currency units are clearly visible.

Figure 2. Payments of the benchmark bonds in currency units for each quarter



Source: Constructed by the author

As shown in Figure 2, there were no bond payments at the end of the first quarter because a new bond was issued at the end of that period. By the end of the eighth quarter, servicing costs increase as more reopenings occur. At the end of the eighth quarter, the benchmark bond is fully repaid, and a new bond is issued. In the ninth quarter, since there is only one security in the portfolio whose coupon is being serviced, the servicing cost is low. However, it gradually increases according to the algorithm described above, creating a cyclical pattern.

Conclusions and Recommendations

This paper has reviewed the importance of modeling benchmark bonds for public debt sustainability and highlighted the need for modeling such bonds, which can be of great importance for the economies of developing countries as well. The paper proposes a new method that can be used in benchmark modeling, in particular for analyzing appropriate peaks in the context of public debt sustainability analysis.

The paper discusses how it is possible to construct benchmarks by modeling individual securities using the object-oriented programming paradigm. In general, based on a simple example, two approaches emerged that are close to reality. The first approach involves pre-feeding an array of securities' maturities into the algorithm, which will then, at the end of each period, create the corresponding object from the bond class that will mature in the specific period. The maturities placed in this array will be placed so that the benchmark built with reopenings (as happens in reality) will be fully repaid in a specific quarter. The second approach involves building a similar array using loops. In addition, after fully repaying one benchmark, another benchmark will be issued.

As for the recommendations, it is advisable to model securities in greater detail so that the modeled benchmarks more accurately reflect reality. In addition, it is necessary to find ways to integrate the developed method for constructing these benchmarks into the framework of public debt sustainability analysis. In this way, the analysis of debt sustainability of specific countries will become more realistic and a more detailed assessment of different types of risks will be possible.

References:

- Arslanalp, P., Drakopoulos, D., Goel, R., & Koepke, R. (2020). Benchmark-Driven Investments in Emerging Market Bond Markets: Taking Stock. IMF.
<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2020/09/25/Benchmark-Driven-Investments-in-Emerging-Market-Bond-Markets-Taking-Stock-49740>
- Berg, A., Portillo, R., Yang, S. C. S., & Zanna, L. F. (2013). Public investment in resource-abundant developing countries. *IMF Economic Review*, 61(1), 92-129.
- Bedianashvili, G., & Gabroshvili, Z. (2024). Blockchain technologies for managing public debt. *Ekonomisti*, 20(1), 37-44.
- Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179.
- Dunne, P.G., Moore, M.J. & Portes, R. (2007), Benchmark Status in Fixed-Income Asset Markets. *Journal of Business Finance & Accounting*, 34: 1615-1634.
<https://doi.org/10.1111/j.1468-5957.2007.02039.x>
- IMF. (2013), *Staff Guidance Note for Public Debt Sustainability Analysis in Market-Access Countries*, <https://www.imf.org/en/Publications/Policy-Papers/Issues/2016/12/31/Staff-Guidance-Note-for-Public-Debt-Sustainability-Analysis-in-Market-Access-Countries-PP4771>
- IMF. (2021, February 3). *Review of the Debt Sustainability Framework for market access countries*. <https://www.imf.org/en/Publications/Policy-Papers/Issues/2021/02/03/Review-of-The-Debt-Sustainability-Framework-For-Market-Access-Countries-50060>
- Miyajima, K., & Shim, I. (2014). Asset Managers in Emerging Market Economies. *BIS Quarterly Review*. September.
- Remelona, E., & Yetman, J. (2019). The Rise of Benchmark Bonds in Emerging Asia. *Bank for International Settlements (BIS)*, BIS Papers No 102.
- Schlögl, E. (2013) *Quantitative Finance: An Object-oriented Approach in C++*, 1st edition, Chapman & Hall/CRC Financial Mathematics Series. Taylor and Francis, Florida, USA.
- U.S. Department of the Treasury. (n.d.). *Treasury reopenings*. Retrieved June 28, 2025, from U.S. Department of the Treasury website:
<https://treasurydirect.gov/auctions/reopenings/>

ზვიად გაბროშვილი

დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბენჩმარკ ობლიგაციების აგების მოდელირება სახელმწიფო ვალის მოდელისთვის

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ბენჩმარკ ობლიგაციების მოდელირება სახელმწიფო ვალის მდგრადობისთვის და შესაბამისად მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის. ხაზგასმულია ბენჩმარკების მნიშვნელობა ფინანსური განვითარებისთვის

და ამასთან ყურადღება გამახვილებულია მათ რისკებზე. რისკების მართვისთვის მნიშვნელოვანი ამ ტიპის ფინანსური ინსტრუმენტების მოდელირებაა. ამის ერთ-ერთი მეთოდია ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება და სიმულაციები, რომელიც გვხვდება თანამედროვე ფინანსური და მაკროეკონომიკური ანალიზის მეთოდებში. ნაშრომში განხილულია მაგალითი და მცირე მოდელი, რომელიც მიახლოებულია რეალობასთან, რომელიც ახდენს ბენჩმარკის აგების სიმულაციას. ნაშრომში შეთავაზებულია გზები, თუ როგორ არის შესაძლებელი ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების პარადიგმით ცალკეული ფასიანი ქაღალდების მოდელირებით ბენჩმარკების აგების სიმულაციის განხორციელება. შესაბამისად შემუშავდა საბაზისო მეთოდი, რომლის დახმარებითაც ხდება ზემოთხსენებული სიმულაციური ანალიზი. აღნიშნული საბაზისო მეთოდის დახვეწის შემდეგ შესაძლებელია უფრო რეალობასთან ახლო სიმულაციების მიღება და შესაბამისად მათი დანერგვა სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის ჩარჩოებში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალის მდგრადობა, ბენჩმარკ ობლიგაციები, ეკონომიკური მოდელირება, ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება

JEL კლასიფიკაციის კოდები: C61, H63, E44

ნიკოლოზ ჯავახიშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

**განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკები ხელოვნური ინტელექტის
ეპოქაში: ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედარებითი ანალიზი**

ანოტაცია. ეს სტატია იკვლევს ხელოვნური ინტელექტის (AI) ეკონომიკურ ზეგავლენას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში შედარებით ჭრილში. კვლევა აერთიანებს გლობალურ ტენდენციებსა და საქართველოს შემთხვევის ანალიზს, როგორც აღმოცენებადი ეკონომიკის მაგალითს. ნაშრომი აჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში (დასავლეთ ევროპა, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ამერიკა) ხელოვნური ინტელექტი უკვე იწვევს პროდუქტიულობის ზრდას, ახალი ბაზრების ჩამოყალიბებას და შრომითი ბაზრის პოლარიზაციას, რასაც ხელს უწყობს ძლიერი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალი და პოლიტიკური ჩარჩო. განვითარებად ეკონომიკებში, მათ შორის საქართველოში, AI-ის დანერგვა ჯერ კიდევ ფრაგმენტულია ინფრასტრუქტურული შეზღუდვების, ინვესტიციების ნაკლებობისა და brain drain-ის გამო. მიუხედავად ამისა, საქართველოს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს „გადახტომის“ სტრატეგიები ფინტექში, სოფლის მეურნეობასა და განათლებაში, აგრეთვე ჩამოაყალიბოს რეგიონული ჰაბის სტატუსი. სტატია ასკვნის, რომ AI არ იძლევა ავტომატურ და თანაბარ სარგებელს ყველა ქვეყნისთვის, და პოლიტიკის ეფექტიანობა კრიტიკულია იმისთვის, რომ AI იქცეს ინკლუზიური განვითარების ინსტრუმენტად.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ეკონომიკური ტრანსფორმაცია, განვითარებული ქვეყნები, განვითარებადი ქვეყნები, საქართველო, პროდუქტიულობა, პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა, განათლება.

შესავალი

ხელოვნური ინტელექტი (AI) გარდაქმნის მსოფლიო ეკონომიკას, ქმნის პროდუქტიულობის ზრდის ახალ შესაძლებლობებს, ცვლის შრომის ბაზრის სტრუქტურას და ავითარებს ინოვაციას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ხელოვნურმა ინტელექტმა ნიშური გამოყენებიდან გადავიდა ფართო მოხმარებაში: 2024 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით გამოკითხული ორგანიზაციების დაახლოებით 78%-მა აღნიშნა, რომ უკვე იყენებს AI-ს საქმიანობის ერთ ან რამდენიმე ფუნქციაში, მაშინ როდესაც 2017 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 20% იყო (Stanford HAI, 2025).

თუმცა ეს გარდაქმნა გლობალურად ერთგვაროვანი არ არის. არსებული ანალიზების უმეტესობა კონცენტრირდება განვითარებულ ეკონომიკებზე (დასავლეთ ევროპა, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ამერიკა), სადაც ხელოვნური ინტელექტის დანერგვა მაღალია. ამასთან, განვითარებადი ქვეყნებისათვის შედეგები ნაკლებად შესწავლილია როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკის დონეზე.

თეზისი: ეს ნაშრომი განიხილავს, თუ როგორ მოქმედებს ხელოვნური ინტელექტი გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებზე განსხვავებულად განვითარებულ და განვითარებად კონტექსტებში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საქართველოს მაგალითზე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის/კავკასიის რეგიონში განვი-

თარებად ეკონომიკაზე, რომელიც დგას ციფრული ტრანსფორმაციის გზაჯვარედინზე.

რელევანტურობა: საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკის ფორმირების თვალსაზრისით. ხელოვნური ინტელექტის გავრცელება ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ასევე რისკებს: არსებობს საშიშროება, რომ „წინამძღოლი“ ქვეყნები და კომპანიები მიიღებენ უდიდეს სარგებელს, ხოლო ნაკლებად მზად ქვეყნები ჩამორჩებიან (Schellekens, 2023; McKinsey, 2018). მაგალითად, McKinsey Global Institute-ის მოდელირების მიხედვით, AI ლიდერი ქვეყნები 2030 წლისთვის შეძლებენ მშპ-ის დონის 20–25%-ით ზრდას, მაშინ როდესაც განვითარებად ეკონომიკებს მხოლოდ ამ სარგებლის ნახევრის მიღების პერსპექტივა აქვთ.

ამავე დროს, სწორად დაგეგმილი პოლიტიკის პირობებში, განვითარებად ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი, როგორც „გადახტომის“ სტრატეგია – მაგალითად, განათლებაში, ჯანდაცვასა და ფინანსებში ხელოვნური ინტელექტის დანერგვით, შესაძლებელია ინფრასტრუქტურული ჩამორჩენის დაძლევა (World Bank, 2023).

ამ ნაშრომის novelty მდგომარეობს იმაში, რომ იგი სთავაზობს შედარებით ანალიზს, რომელიც აერთიანებს:

- სტრუქტურულ მზადყოფნასა და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას,
- ადამიანის კაპიტალისა და brain drain-ის ფაქტორებს,
- ინვესტიციისა და პოლიტიკის ჩარჩოს განსხვავებებს.

ეს ყველაფერი წარმოდგენილი იქნება როგორც გლობალურ დონეზე, ასევე კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე (საქართველო), რათა დავინახოთ, თუ როგორ განსხვავდება ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკური ეფექტები კონტექსტის მიხედვით.

კონცეპტუალური ჩარჩო

ხელოვნური ინტელექტის განსაზღვრა

ხელოვნური ინტელექტი (AI) გულისხმობს სისტემებსა და ალგორითმებს, რომლებიც ასრულებენ ამოცანებს, რაც ჩვეულებრივ მოითხოვს ადამიანურ ინტელექტს – აღქმა, მეტყველების ამოცნობა, გადაწყვეტილებების მიღება და სწავლა.

მჭიდრო/სუსტი ინტელექტი (Artificial Narrow Intelligence, ANI) არის ის ფორმა, რომელიც უკვე რეალურად არსებობს. იგი შექმნილია კონკრეტული ფუნქციისთვის და ძალიან მაღალი ეფექტიანობით ასრულებს ამ კონკრეტულ ამოცანას (მაგალითად, ხმოვანი ასისტენტები ან შახმატის პროგრამები), მაგრამ ვერ გადადის სხვა სფეროებში.

ზოგადი ინტელექტი (Artificial General Intelligence, AGI) წარმოადგენს თეორიულ კონცეფციას, რომელიც აღწერს ისეთ AI-ს, რომელსაც ექნება უნივერსალური კოგნიტიური უნარები, ანალოგიური ადამიანის ინტელექტთან. იგი შეძლებდა სწავლას და სხვადასხვა დისციპლინებში ცოდნის გამოყენებას. ამჟამად ასეთი ინტელექტი არ არსებობს.

ზეგანვითარებული ინტელექტი (Artificial Superintelligence) კი ჰიპოთეტური კატეგორიაა, რომელიც ადამიანურ ინტელექტს ყველა მიმართულებით გადააჭარბებდა, თუმცა ეს ფენომენი მხოლოდ თეორიულ დონეზე განიხილება.

ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო **გენერაციულმა ინტელექტმა (Generative AI)** – სისტემებმა, რომლებიც სწავლობენ უზარმაზარ მონაცემთა ბაზებზე და ქმნიან ახალ ტექსტს, გამოსახულებას, მუსიკას ან კოდს. მაგალითია OpenAI-ის ChatGPT და DALL-E. 2022 წლიდან მოყოლებული, სწორედ გენერაციულმა AI-მ აქცია ხელოვნური ინტელექტი ფართო საზოგადოებაში ყოველდღიური გამოყენების საგნად.

ეკონომიკური თეორიის კონტექსტში AI განიხილება, როგორც **ზოგადი და ნიშნულუბის ტექნოლოგია (General Purpose Technology, GPT)** – ისეთი ტექნოლოგია, რომელიც ფართოდ ვრცელდება, დროთა განმავლობაში უმჯობესდება და იწვევს დამატებით ინოვაციებს სხვა სექტორებში. ისტორიაში ასეთ GPT-ებად მიჩნეულია ორთქლის ძრავა, ელექტროენერგია და ინტერნეტი. ხელოვნური ინტელექტიც ასეთივე მახასიათებლებს ავლენს: ის უკვე გამოიყენება მრავალ სექტორში (ჯანდაცვა, ფინანსები, წარმოება, განათლება), მუდმივად პროგრესირებს და ქმნის საფუძველს ახალი ბიზნეს-მოდელებისა და ინოვაციებისათვის. ამასთან, როგორც წარსულში, მოსალოდნელია „პროდუქტიულობის პარადოქსი“ – მოკლევადიან პერიოდში AI-ის ეკონომიკური სარგებელი სრულად არ აისახება სტატისტიკაში, რადგან საჭიროა დამატებითი ინვესტიციები უნარებსა და ორგანიზაციულ ცვლილებებში.

ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკური ზემოქმედების ეფექტები

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ეკონომიკაზე გამოიხატება სამ ძირითად მიმართულებაში: **პირდაპირი, არაპირდაპირი და სტრუქტურული ეფექტები**.

- **პირდაპირი ეფექტები:**

AI ზრდის პროდუქტიულობას ავტომატიზაციისა და ეფექტიანობის ზრდის მეშვეობით. მაგალითად, მომხმარებელთა მომსახურების აგენტებისთვის გენერაციული AI-ს გამოყენებამ საშუალოდ 14%-ით გაზარდა მუშაობის პროდუქტიულობა (Brynjolfsson et al., 2023). თუმცა ეს იწვევს შრომის ბაზარზე მოთხოვნილების ვარდნის საფრთხეს: რუტინული, განმეორებითი ამოცანები უფრო იაფად და სწრაფად სრულდება, რის გამოც ზოგიერთ სექტორში სამუშაო ადგილები იკლებს.

- **არაპირდაპირი ეფექტები:**

AI გარდაქმნის სექტორებს, ბიზნეს-მოდელებს და ქმნის ახალ ბაზრებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში AI-ს შეუძლია განახორციელოს მოსავლის პროგნოზირება და დაავადებების აღმოჩენა, რაც გავლენას ახდენს საკვების წარმოებასა და ფასებზე. ასევე, ჩნდება ახალი სერვისები, როგორიცაა AI-as-a-service, მონაცემთა ანოტაციის მომსახურება და ა.შ.

- **სტრუქტურული ეფექტები:**

AI იწვევს შრომითი ბაზრის პოლარიზაციას – მოთხოვნა იზრდება მაღალკვალიფიციურ STEM პროფესიებზე, ხოლო რუტინული სამუშაოების რაოდენობა მცირდება. გარდა ამისა, AI ზრდის ინვესტიციების კონცენტრაციას რამდენიმე წამყვან ქვეყანაში: მაგალითად, 2023 წელს აშშ-ში კერძო ინვესტიციები AI-ში იყო \$67 მილიარდი, რაც 8.7-ჯერ აღემატებოდა ჩინეთის მაჩვენებელს (Schellekens, 2023). ასევე მოსალოდნელია, რომ AI შეცვლის გლობალურ ვაჭრობას: თუ განვითარებულ ქვეყნებში წარმოება დაბრუნდა შიდა ბაზარზე ავტომატიზაციის წყალობით, განვითარებად ქვეყნებს შეიძლება დაუქვეითდეთ ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის შესაძლებლობები.

ამრიგად, AI-ის ეკონომიკური ზემოქმედება მრავალმხრივია და მოიცავს როგორც უშუალო პროდუქტიულობის ზრდას, ასევე უფრო ღრმა სტრუქტურულ

ცვლილებებს – შრომითი ბაზრის, ინვესტიციების და გლობალური ვაჭრობის მიმართულებით.

AI-ის გლობალური ეკონომიკური ტენდენციები

განვითარებული ეკონომიკები (დასავლეთ ევროპა, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ამერიკა)

AI-ის ფართო დანერგვა სექტორებში: განვითარებულ ქვეყნებში ხელოვნური ინტელექტი ინტეგრირებულია სხვადასხვა დარგში: ფინანსებში (ალგორითმული ვაჭრობა, თაღლითობის აღმოჩენა, პერსონალიზებული ფინანსური კონსულტაცია), ლოჯისტიკასა და წარმოებაში (რობოტიზაცია, კომპიუტერული ხედვა ხარისხის კონტროლისთვის, მომარაგების ჯაჭვის ოპტიმიზაცია), ჯანდაცვაში (დიაგნოსტიკა, პერსონალიზებული მკურნალობის მოდელები), ასევე სერვისებში და საცალო ვაჭრობაში (მომხმარებელთა ქცევის ანალიტიკა, რეკომენდაციების სისტემები). 2024 წლისთვის გამოკითხულ კომპანიათა 78%-მა განაცხადა, რომ იყენებდა AI-ს ერთ ან რამდენიმე ბიზნეს-ფუნქციაში, მაშინ როდესაც 2023 წელს ეს მაჩვენებელი 55% იყო (Stanford HAI, 2025).

პროდუქტიულობის ზრდა და მშპ-ის პოტენციალი: კვლევები აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი მნიშვნელოვნად ზრდის შრომის პროდუქტიულობას. McKinsey-ს მოდელირებით, 2030 წლისთვის AI-მ შეიძლება დაამატოს \$13 ტრილიონი გლობალურ მშპ-ს, რაც წელიწადში დაახლოებით 1.2%-იან ზრდას უდრის (McKinsey, 2018). OECD-ის ანალიზები ასევე პროგნოზირებს, რომ განვითარებულ ეკონომიკებში AI-ს შეუძლია წელიწადში 0.5–3.5 პროცენტული პუნქტით გაზარდოს შრომის პროდუქტიულობა (Filippucci et al., 2024). რეალური მონაცემებიც უკვე ჩანს: გენერაციული AI-ის გამოყენებამ მომხმარებელთა მომსახურების სექტორში პროდუქტიულობა საშუალოდ 14%-ით გაზარდა (Brynjolfsson et al., 2023).

შრომის ბაზრის ცვლილებები: განვითარებულ ქვეყნებში რუტინული სამუშაოები იკლებს, ხოლო იზრდება მოთხოვნა STEM და მონაცემთა მეცნიერების სპეციალისტებზე. AI ხელს უწყობს კრეატიული, ანალიტიკური და ინტერპერსონალური უნარების მქონე პროფესიონალებს ღირებულების ზრდას. შედეგად, წარმოიქმნება „შრომითი პოლარიზაცია“: მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების ხელფასები მატულობს, ხოლო საშუალო და დაბალუნარიან პოზიციებზე სამუშაო ადგილები მცირდება (OECD, 2023; McKinsey, 2018).

ინფრასტრუქტურა და პოლიტიკის მზაობა: განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ძლიერი ციფრული ინფრასტრუქტურა (სუპერ-სწრაფი ინტერნეტი, 5G ქსელები, ჰიპერსკეილ მონაცემთა ცენტრები, ქლაუდ-სერვისები), რაც ქმნის ბაზას AI-ის ფართო დანერგვისთვის. ასევე, მათ უკვე აქვთ AI-ის ეროვნული სტრატეგიები: ევროკავშირმა შეიმუშავა AI Act, ხოლო კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია და სხვა ქვეყნებმა დიდი ინვესტიციები ჩადეს ეროვნულ პროგრამებში (HolonIQ, 2020). ეს სტრატეგიები მოიცავს როგორც კვლევისა და ინოვაციების დაფინანსებას, ასევე ეთიკური ჩარჩოების შემუშავებას, რაც ზრდის ბიზნესისა და საზოგადოების ნდობას.

განვითარებადი ეკონომიკები (საქართველოს მაგალითი)

AI-ის პოტენციალი და დაბალი დანერგვის დონე: ბევრ განვითარებად ქვეყანაში AI-ის ეკონომიკური სარგებელი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული. საქართველოში IT სექტორი იზრდება, მაგრამ AI-ს ძირითადად იყენებენ ცალკეული სტარტაპები და მსხვილი ბანკები. ადგილობრივ ბაზარზე ჯერ არ

არსებობს ძლიერი AI-კომპანიები, ხოლო გადაწყვეტების უმეტესობა იმპორტირებულია (მაგ., ქლაუდ- პლატფორმები უცხოეთიდან).

ციფრული უთანასწორობა: ქვეყნის შიგნით დიდია განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის: თბილისში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა **85%-ია**, ხოლო სოფლებში – მხოლოდ **69%** (Internet Society, 2023). 5G დაფარვა 2024 წელს მოსახლეობის მხოლოდ 16%-ს ჰქონდა. ადგილობრივი მონაცემთა ცენტრების რაოდენობა შეზღუდულია (მხოლოდ 5), რის გამოც კომპანიები დამოკიდებულნი არიან უცხოურ პროვაიდერებზე. ამ პრობლემის შესამცირებლად მიმდინარეობდა საერთაშორისო პროექტები, როგორიცაა „Log-in Georgia“, რომელიც 1,000 სოფელში მაღალი სიჩქარის ინტერნეტის გაყვანას უზრუნველყოფდა (EU Neighbours East, 2021).

ადამიანური კაპიტალი და brain drain: საქართველოში STEM სპეციალობების კურსდამთავრებულები მოსახლეობის მხოლოდ 18.6%-ს შეადგენენ (WIPO, 2022). ბევრი კვალიფიციური კადრი ტოვებს ქვეყანას დაბალი ხელფასების გამო და სამუშაოს პოულობს საზღვარგარეთ (Vashakmadze et al., 2023). უნივერსიტეტების სასწავლო გეგმები ხშირად ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს, რის გამოც კომპანიებს უწევთ ახალბედა თანამშრომლების დამატებითი გადამზადება.

სახელმწიფო ინიციატივები და სტარტაპ ეკოსისტემა: მიუხედავად სირთულეებისა, საქართველო აქტიურად ავითარებს ციფრულ სფეროს. **e-გამგეობის სისტემამ**, *my.gov.ge*-მ და **ციფრულმა ID-მ** საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როგორც წარმატებული მოდელი საჯარო სერვისების ციფრული ტრანსფორმაციისთვის (UNDP, 2020). ასევე, **Startup Georgia** პროგრამამ მხარი დაუჭირა რამდენიმე ინოვაციურ სტარტაპს, მათ შორის AI-ზე დაფუძნებულ OptioAI-ს, რომელიც ფინანსურ მომსახურებაში ჩატბოტებს იყენებს.

ხელფერული ინტელექტის გავლენის განსხვავებული მახასიათებლები განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებში

ფაქტორი 1: AI ინფრასტრუქტურა

განვითარებული ეკონომიკები: მათ აქვთ მოწინავე ციფრული ინფრასტრუქტურა: ფართო 5G დაფარვა, ღრუბლოვანი სერვისების ეკოსისტემები, მონაცემთა ცენტრების დიდი ქსელი და ძლიერი ინტერნეტ-ქსელები. ეს ქმნის ბაზას AI-ის მასშტაბური დანერგვისთვის.

განვითარებადი ეკონომიკები (მაგ., საქართველო): ინფრასტრუქტურა ფრაგმენტულია და ძირითადად კონცენტრირებულია ქალაქებში. სოფლად ინტერნეტის სიჩქარე დაბალია, 5G დაფარვა შეზღუდულია (2024 წელს მხოლოდ 16%) და ადგილობრივი მონაცემთა ცენტრები მცირეა. კომპანიები დამოკიდებულნი არიან უცხოურ ქლაუდ პროვაიდერებზე (Internet Society, 2023).

ფაქტორი 2: ადამიანური კაპიტალი

განვითარებული ეკონომიკები: მათ აქვთ ძლიერი საგანმანათლებლო სისტემები STEM დისციპლინებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შენარჩუნების შესაძლებლობა და მსოფლიოში კონკურენტუნარიანი უნივერსიტეტები.

განვითარებადი ეკონომიკები (მაგ., საქართველო): ადამიანური კაპიტალი შეზღუდულია. STEM კურსდამთავრებულები მხოლოდ **18.6%-ს** შეადგენენ (WIPO, 2022). ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი ტოვებს ქვეყანას („brain drain“), ხოლო ადგილობრივ კომპანიებს უწევთ დამატებითი გადამზადება (Vashakmadze et al., 2023).

ფაქტორი 3: ინვესტიციის შესაძლებლობა

განვითარებული ეკონომიკები: არსებობს ძლიერი ვენჩურული კაპიტალის ბაზრები, კერძო სექტორის მასშტაბური R&D ინვესტიციები და სახელმწიფო პროგრამები. მაგალითად, აშშ-ში კერძო ინვესტიციები AI-ში 2024 წელს \$109 მილიარდი იყო (Stanford HAI, 2025).

განვითარებადი ეკონომიკები (მაგ., საქართველო): ინვესტიციები შეზღუდულია. ქვეყნის R&D ხარჯები მხოლოდ 0.24–0.3% მშპ-ის ფარგლებშია (World Bank, 2023). ძირითადი დაფინანსება მოდის საერთაშორისო დონორებისა და გრანტებიდან. ადგილობრივი ვენჩურული კაპიტალი სუსტი და მცირე მოცულობისაა.

ფაქტორი 4: პოლიტიკის ჩარჩო

განვითარებული ეკონომიკები: აქ უკვე არსებობს **ეროვნული AI სტრატეგიები**, ეთიკის სახელმძღვანელოები და მარეგულირებელი ჩარჩოები. მაგალითად, ევროკავშირი ამზადებს AI Act-ს, ხოლო OECD-მ მიიღო AI პრინციპები (2019).

განვითარებადი ეკონომიკები (მაგ., საქართველო): პოლიტიკის ჩარჩო ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. 2024 წლისთვის საქართველოში არ არსებობს **ეროვნული AI სტრატეგია** (CIPDD, 2024). ქვეყანა ხშირად ეყრდნობა ევროკავშირის მოდელს, თუმცა მათ ადგილობრივი კონტექსტისთვის მორგება ჯერ არ მომხდარა.

ფაქტორი 5: ინდუსტრიული მზაობა

განვითარებული ეკონომიკები: AI უკვე ინტეგრირებულია მრავალი ინდუსტრიის მაღალი დონის ციფრულ პროცესებში – ფინანსებში, ჯანდაცვაში, წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში.

განვითარებადი ეკონომიკები (მაგ., საქართველო): სამრეწველო ბაზა ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესზეა დამყარებული, რომელთაც დაბალი ციფრულიზაციის დონე აქვთ. ამის გამო AI-ის დანერგვა შეზღუდულია და უმეტესად მხოლოდ IT სექტორში ან რამდენიმე მსხვილ კომპანიაში ხდება.

საქართველოს მაგალითი: ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკური ეფექტების შესწავლა

ეკონომიკური და განვითარების პროფილი

საქართველო კლასიფიცირდება როგორც **ზედა საშუალო შემოსავლის ქვეყანა** (World Bank) და მიეკუთვნება „მაღლიან მაღალი ადამიანური განვითარების“ კატეგორიას (HDI ≈ 0.84, 57-ე ადგილი, UNDP). ეკონომიკა ემყარება მომსახურების სექტორს (ტურიზმი, ფინანსები, IT), აგრეთვე სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ წარმოებას. მოსახლეობა დაახლოებით 3.7 მილიონია, განათლების დონე შედარებით მაღალია, რაც ხელსაყრელ საფუძველს ქმნის ციფრული ინოვაციისთვის.

ციფრული გარდაქმნის მიღწევები

- **e-გამგეობა:** საქართველო საერთაშორისო აღიარებას იმსახურებს საჯარო სერვისების ციფრულად მიწოდების მოდელით. პორტალი *my.gov.ge* და **ციფრული ID** სისტემები მოქალაქეებს სთავაზობს ასეულობით სერვისს ონლაინ რეჟიმში. ეს ქმნის როგორც ეფექტიანობას, ასევე მონაცემების დიდ ბაზას, რომელიც მომავალში შეიძლება გამოიყენოს AI-ანალიტიკამ (UNDP, 2020).
- **სტარტაპ ეკოსისტემა:** 2016-2024 წლებში მოქმედი **Startup Georgia** პროგრამა მხარს უჭერდა ინოვაციურ სტარტაპებს. მისი ერთ-ერთი წარმატებული

მაგალითია OptioAI — ფინტექ კომპანია, რომელიც AI-ზე დაფუძნებულ პერსონალურ ფინანსურ ჩატბოტს ავითარებდა.

- **IT ექსპორტი:** ბოლო წლებში გაიზარდა IT სერვისების ექსპორტი, რაც მშპ-ის დაახლოებით 1.2%-ს შეადგენს და საერთო სერვისების ექსპორტის 8–9%-ს (GeoStat, 2023).

გამოწვევები

- **ადამიანური კაპიტალი:** STEM კურსდამთავრებულები მხოლოდ 18.6%-ს შეადგენენ, ხოლო ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტი ტოვებს ქვეყანას („brain drain“) უკეთესი ხელფასების გამო (WIPO, 2022; Vashakmadze et al., 2023).
- **R&D ხარჯები:** ქვეყნის კვლევისა და განვითარების ინვესტიციები მხოლოდ 0.3% მშპ-ის ფარგლებშია, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს (>2%) (World Bank, 2023).
- **ინფრასტრუქტურა:** 5G დაფარვა ჯერ კიდევ შეზღუდულია, მონაცემთა ცენტრების სიმცირე და ქლაუდ სერვისების უცხოურ პროვაიდერებზე დამოკიდებულება ზრდის ხარჯებს (Internet Society, 2023).
- **AI სტრატეგიის არქონა:** 2024 წლისთვის საქართველოში არ არსებობდა ეროვნული AI სტრატეგია, რის გამოც ინიციატივები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია (CIPDD, 2024).

შესაძლებლობები

- **Leapfrogging:** საქართველოს შეუძლია „გადახტომის“ სტრატეგიით აითვისოს თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად, **ფინტექ სექტორში** — სოფლად ფილიალების ნაცვლად AI-ზე დაფუძნებული ციფრული ბანკინგის განვითარება.
- **რეგიონული ჰაბის პოტენციალი:** ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა (ევროპასა და აზიას შორის) და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აძლევს შანსს, რომ გახდეს **რეგიონული მონაცემებისა და AI ინოვაციების ცენტრი**.
- **საჯარო სერვისებში AI:** შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის დანერგვა **სოფლის მეურნეობაში** (მოსავლის პროგნოზირება, მავნებლების გამოვლენა), **განათლებაში** (AI-ტუტორები შორეულ რეგიონებში), და **ჯანდაცვაში** (ტელემედიცინა, დიაგნოსტიკა).

პოლიტიკის იმპლიკაციები და სტრატეგიული რეკომენდაციები განვითარებული ქვეყნები

ეთიკური და ინკლუზიური AI: ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყნებმა უნდა ჩამოაყალიბონ სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელოვნური ინტელექტის გამჭვირვალობასა და სამართლიან გამოყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმული მიკერძოების შემცირება, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა და კონკურენციის შენარჩუნება, რათა რამდენიმე მსხვილ კომპანიამ ვერ მოახდინოს ბაზრის მონოპოლიზაცია.

განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერა: განვითარებულმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა ხელი შეუწყონ ცოდნის გადაცემას, ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობას და სამართლიან ციფრულ ვაჭრობას. ამის მაგალითია ღია პლატფორმებისა და მონაცემთა გაცვლის სტიმულირება, აგრეთვე მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება განვითარებად ქვეყნებში.

გლობალური მმართველობა და უსაფრთხოება: AI-ის გლობალური რისკების (მათ შორის კიბერუსაფრთხოების, იარაღში გამოყენების ან სოციალური მანიპულაციების) თავიდან ასაცილებლად საჭიროა საერთაშორისო შეთანხმებები და ერთობლივი კვლევითი ცენტრები. განვითარებულ ქვეყნებს აქ ლიდერობის პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

განვითარებადი ქვეყნები (საქართველოს მაგალითი)

ინვესტიცია განათლებაში და უნარებში: პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს STEM განათლების გაძლიერებასა და AI-სპეციალისტების მომზადებას. უნივერსიტეტებმა უნდა განაახლონ სასწავლო პროგრამები, ხოლო სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტრენინგები და კურსები მოქმედი სამუშაო ძალისთვის.

საჯარო-კერძო ინოვაციური ჰაბები: ქვეყანამ უნდა წახალისოს კვლევისა და განვითარების ერთობლივი ლაბორატორიები, სადაც აკადემია, ბიზნესი და მთავრობა იმუშავებენ ერთად. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ პრობლემებზე ორიენტირებულ AI გადაწყვეტილებებს (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ან ჯანდაცვაში).

რეგიონული თანამშრომლობა: საქართველომ შეიძლება შექმნას რეგიონული პლატფორმა – მაგალითად, „სამხრეთ კავკასიის AI ფორუმი“ – რომელიც გაზიარებულ ცოდნასა და გამოცდილებას უზრუნველყოფს. ეს გაზრდის ქვეყნის როლს როგორც რეგიონული ჰაბის და ასევე გააძლიერებს საერთაშორისო პარტნიორობას.

AI მმართველობის ჩამოყალიბება: აუცილებელია ეროვნული AI სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ადგილობრივ საჭიროებებსა და კულტურულ კონტექსტს გაითვალისწინებს. ეს სტრატეგია უნდა მოიცავდეს ეთიკის პრინციპებს, მონაცემთა დაცვის მექანიზმებს და კონკრეტულ სამოქმედო გეგმებს (მაგ., AI-ს დანერგვა განათლებაში და სოფლის მეურნეობაში).

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტი გარდაქმნის მსოფლიო ეკონომიკას, მაგრამ მისი ზემოქმედება მკვეთრად განსხვავდება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში.

განვითარებულ ეკონომიკებში AI უკვე ინტეგრირებულია მრავალი სექტორის პროცესებში, რაც იძლევა პროდუქტიულობის ზრდის, ახალი ბაზრების შექმნის და ინოვაციების მასშტაბური გავრცელების შესაძლებლობას. აქ ძლიერი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალი, ინვესტიციები და პოლიტიკის ჩარჩო ქმნის ეკოსისტემას, რომელიც აძლიერებს AI-ის სარგებლის სწრაფ და მასშტაბურ რეალიზაციას.

განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სურათი განსხვავებულია: არსებობს მიღწევები ციფრული მმართველობისა და IT სექტორის განვითარებაში, მაგრამ სერიოზული გამოწვევებია ინფრასტრუქტურის, უნარების, ინვესტიციებისა და AI სტრატეგიის არქონის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, არსებობს შესაძლებლობები „გადახტომის“ სტრატეგიებისთვის – მაგალითად, ფინტექში, სოფლის მეურნეობაში და განათლებაში.

მთავარი გზავნილი ისაა, რომ **AI ავტომატურად არ ქმნის თანაბარ სარგებელს ყველა ეკონომიკისთვის**. პირიქით, თუ განსხვავებები ინფრასტრუქტურასა და პოლიტიკაში არ იქნება დაბალანსებული, AI შეიძლება კიდევ უფრო გააღრმავოს გლობალური უთანასწორობა. ამიტომ, განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა იმოქმედონ როგორც პასუხისმგებელმა ლიდერებმა, ხოლო განვითარებადმა

ქვეყნებმა უნდა მიიღონ პრაგმატული ნაბიჯები უნარების, ინვესტიციების და ტრატეგიული პოლიტიკის გასაძლიერებლად.

მომავალი კვლევის მიმართულებები

1. **ემპირიული გაზომვები:** საჭიროა რაოდენობრივი კვლევები, რომლებიც შეაფასებს AI-ის გავლენას კონკრეტული ქვეყნების პროდუქტიულობაზე, დასაქმებასა და უთანასწორობაზე 2015–2025 წლების პერიოდში.
2. **სექტორული ანალიზი განვითარებად ქვეყნებში:** მაგალითად, დეტალური კვლევები სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვასა და განათლებაში, სადაც AI-ს შეუძლია გარდამტეხი ეფექტი იქონიოს.
3. **პოლიტიკის ეფექტიანობის შედარება:** საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის AI სტრატეგიების შედარებითი ანალიზი, რათა დადგინდეს, რა პოლიტიკა მუშაობს უკეთ – მაგალითად, ინვესტიცია განათლებაში, R&D დაფინანსება თუ რეგულაციის მოქნილი მოდელები.
4. **კულტურული ფაქტორები და AI-ის მიღება:** მნიშვნელოვანია კვლევა, თუ როგორ გავლენას ახდენს ადგილობრივი კულტურა, ღირებულებები და საზოგადოების ნდობის დონე AI-ის მიღებაზე.
5. **გრძელვადიანი ტრაექტორიები:** აუცილებელია მონიტორინგი, თუ როგორ მოქმედებს AI გლობალურ ვაჭრობაზე, ინვესტიციების დინამიკასა და შრომითი ბაზრის პოლარიზაციაზე ათწლეულის მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბრინიოლფსონი, ე., ლი, დ., & რეიმონდი, ლ. (2023). *Generative AI at Work*. National Bureau of Economic Research Working Paper No. 31161. <https://doi.org/10.3386/w31161>
- ფილიპუჩი, ფ., გალი, პ., & შიფი, მ. (2024). *Miracle or Myth? Assessing the Macroeconomic Productivity Gains from Artificial Intelligence*. OECD Artificial Intelligence Papers No. 29. <https://doi.org/10.1787/b524a072-en>
- ჰოლონიკი. (2020). *Global AI Strategy Landscape*. HolonIQ Report.
- IBM Data & AI Team. (2023, 12 ოქტომბერი). Understanding the Different Types of Artificial Intelligence. IBM Blog. <https://www.ibm.com/blog/>
- Internet Society. (2023). *Georgia Country Digital Report*. Internet Society Pulse.
- McKinsey Global Institute. (2018). *Notes from the AI Frontier: Modeling the Impact of AI on the World Economy*. McKinsey & Company.
- შელკენსი, პ. (2023, ოქტომბერი). Three Reasons Why AI May Widen Global Inequality. *Center for Global Development Blog*. <https://www.cgdev.org/blog/>
- ვაშაქმაძე, ა., მიქავა, ნ., ჟღენტი, ტ., & სიხარულიძე, დ. (2023). Understanding STEM Employment Challenges in Georgia: A Qualitative Analysis of Employer Perspectives. *Agora International Journal of Economical Sciences*, 17(4), 315–330.
- World Bank. (2023, აგვისტო). Tipping the Scales: AI’s Dual Impact on Developing Nations. *World Bank Digital Development Blogs*.
- World Bank Data. (2023). Research and Development Expenditure (% of GDP) – Georgia. *World Development Indicators*.
- World Economic Forum / UNDP. (2021). *Fast Internet for Rural Areas: EU Support for Better Broadband in Georgia*. EU Neighbours East.
- WIPO – World Intellectual Property Organization. (2022). *Global Innovation Index: Georgia Profile*.

- **Stanford Institute for Human-Centered AI. (2025).** *AI Index Report 2025*. Stanford University.
- **აგემოლუ, დ. და სხვ. (2022).** Artificial intelligence, wage dynamics, and inequality: Empirical evidence. *Intereconomics*.

Nikoloz Javakhishvili

*PhD Candidate, Caucasus International University,
Faculty of Business and Technology*

DEVELOPED AND DEVELOPING ECONOMIES IN THE AGE OF ARTIFICIAL INTELLIGENCE: A COMPARATIVE ANALYSIS OF ECONOMIC TRANSFORMATION

Expanded Summary

Introduction and Thesis

AI has become a transformative force in the global economy, improving productivity, altering labor dynamics, and enabling new business models. However, this impact is not uniform across countries. Developed economies—particularly in North America and Europe—have advanced AI ecosystems, while many developing countries face foundational challenges.

The article argues that the divergence stems from structural readiness: the presence or absence of digital infrastructure, human capital, investment capacity, and governance frameworks. By comparing developed countries with Georgia, the article shows how these structural factors mediate the depth and direction of AI’s economic influence.

Conceptual Framework

AI is defined in terms of three types: narrow AI (task-specific), general AI (hypothetical, human-level), and generative AI (which creates content like text or images). Today’s real-world applications fall under narrow and generative AI, which are increasingly seen as General-Purpose Technologies (GPTs), akin to electricity or the internet.

Three pathways summarize AI’s economic influence:

- **Direct effects:** automation and productivity gains.
- **Indirect effects:** sectoral innovation and new markets.
- **Structural effects:** shifts in labor markets, investment concentration, and trade disruptions.

These dynamics unfold differently in countries with varying readiness levels.

Developed Economies: Trends and Outcomes

In North America and Western Europe, AI is widely adopted across industries such as finance, healthcare, logistics, and manufacturing. These regions benefit from:

- Ubiquitous broadband and 5G coverage.
- Robust cloud infrastructure.
- Ample R&D funding and skilled labor.
- National AI strategies and legal frameworks.

These conditions have resulted in measurable productivity growth. For example, McKinsey and OECD estimate that AI could raise GDP growth in these economies by 1–2% annually by 2030. Labor markets are also transforming: routine jobs are declining, while demand for high-skill digital roles is rising.

Policies in these countries tend to support AI adoption while addressing ethical, legal, and social impacts. Education systems emphasize digital literacy, and regulatory frameworks ensure accountability in AI applications.

Developing Economies and the Case of Georgia

Georgia, while classified as an upper-middle-income country with a high HDI, represents the typical challenges and opportunities facing developing countries in the AI era. Key observations include:

- **Digital Infrastructure:** Urban areas have decent internet access, but rural connectivity lags. Georgia relies on international cloud services due to limited local data centers.
- **Human Capital:** While the country produces IT graduates, very few specialize in AI. Brain drain is significant, and curricula often lack practical components.
- **Investment Constraints:** R&D spending is only ~0.3% of GDP, far below global averages. Venture capital for tech is scarce and mostly donor-driven.
- **Policy Vacuum:** As of 2025, Georgia lacks a national AI strategy. Most regulatory structures are adapted from the EU but lack local tailoring.

Nonetheless, Georgia has made strides in e-governance, launching digital public services and supporting startups. Programs like Startup Georgia and support from partners like the EU and UNDP have helped, but scale and impact remain limited.

Comparative Analysis: Five Key Differences

1. **Infrastructure:** Developed countries have AI-ready infrastructure; Georgia has patchy, urban-centric systems.
2. **Human Capital:** The developed world retains skilled AI talent; Georgia suffers from emigration and a lack of advanced training programs.
3. **Investment Capacity:** Wealthier nations enjoy strong VC ecosystems; Georgia relies on foreign grants and has minimal domestic R&D.
4. **Policy Frameworks:** Developed countries have mature AI policies; Georgia’s AI governance is still nascent.
5. **Industrial Readiness:** Developed industries are digitalized and AI-integrated; Georgia’s economy remains dominated by low-tech SMEs and agriculture.

Policy Recommendations

For Developed Countries:

- Share AI knowledge and technology with developing nations.
- Ensure ethical AI standards and global cooperation.
- Support capacity-building in less-developed markets via funding and partnerships.

For Developing Countries (like Georgia):

- Develop national AI strategies aligned with local needs.
- Invest in education and upskilling for digital and AI skills.
- Build innovation ecosystems through public-private R&D labs.
- Engage in regional and international alliances for knowledge exchange.

Leapfrogging is a viable strategy—using AI to skip developmental stages in sectors like banking, education, and agriculture. Georgia, for instance, could adopt AI-powered fintech or AI in precision farming without legacy infrastructure constraints.

Conclusion

AI has the potential to reinforce global inequality unless proactive steps are taken. Developed countries lead due to structural advantages, but developing countries like Georgia can still benefit through strategic intervention. The path forward must include investment in people, infrastructure, and governance, backed by global cooperation. The AI revolution must be guided to serve all economies—not just those already ahead.

This summary highlights the central findings and recommendations of the original academic article while maintaining analytical depth and structural clarity.

ნინო სუმბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სოციალური პარტნიორობის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

ანოტაცია. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესის ფონზე სოციალური პარტნიორობის განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სოციალური დიალოგი, კოლექტიური მოლაპარაკებები არის ინოვაციების, პროდუქტიულობისა და კონკურენციის ხელშეწყობის ძირითადი ფაქტორები და წარმატებული ეკონომიკური რეფორმების მამოძრავებელი ძალა. სოციალურმა პარტნიორობმა დასავლეთ ევროპაში, მათმა ინსტიტუტებმა ხელი შეუწყო წარმატებულ ეკონომიკურ რეფორმებს. ქმედითი, მხარეთა რეალური ჩართულობით უზრუნველყოფილი სოციალური დიალოგი ევროპის სოციალური კეთილდღეობისა და სამართლიანობის სახელმწიფო მოდელების ფუნდამენტს წარმოადგენს რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას და დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებას. **საკვანძო სიტყვები:** სოციალური პარტნიორობა, სოციალური დიალოგი, ინტერესთა ჯგუფები, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება.

შესავალი

სოციალური პარტნიორობის განვითარება და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა არის ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების საერთო მიზანი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული პოლიტიკის მრავალფეროვნებას და სოციალური პარტნიორობის ავტონომიის პატივისცემას.

2023 წლის მდგრადი ზრდის ყოველწლიურ კვლევაში ევროკომისია კიდევ ერთხელ აღნიშნავს სოციალური პარტნიორობის დროული ჩართულობის მნიშვნელობას ეკონომიკური პოლიტიკის და დასაქმების პოლიტიკის კოორდინაციასა და განხორციელებაში როგორც ევროკავშირის (ბრიუსელის), ასევე ეროვნულ (წევრი სახელმწიფოების) დონეზე (European commission, 2023).

აუცილებელია სოციალური პარტნიორობის ჩართვა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ დასაქმებასა და შრომის ბაზრებზე ევროპული სემესტრის სხვადასხვა ეტაპზე. სოციალური პარტნიორობის კონსულტაციები უნდა იყოს დროული და აზრიანი, რაც შესაძლებელს გახდის საჭირო ანალიზის გაკეთებას და შესაბამისი წინადადებების გათვალისწინებას რომლებიც საჭიროა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (BusinessEurope, 2013).

„სოციალური პარტნიორობი“ არის ტერმინი, რომელიც ზოგადად გამოიყენება ევროპაში დამსაქმებელთა ორგანიზაციების, პროფკავშირების და ზოგიერთ კონტექსტში საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ეწევიან სოციალურ დიალოგს.

„ევროპის სოციალური პარტნიორობი“ ეწოდებათ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულნი არიან ევროკავშირის დონეზე ევროპულ სოციალურ დიალოგში, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში (TFEU) 154-ე და 155-ე მუხლებით. სოციალური პარტნიორობი მთავარ როლს

ასრულებენ შრომითი ურთიერთობების მართვაში და წარმოადგენენ ძირითად აქტორებს სამრეწველო ურთიერთობებში (Eurofound, 2019).

სოციალური პარტნიორები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში, რაც გამოიხატება დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

ქვეყნებში, სადაც სოციალური დიალოგი კარგად არის ჩამოყალიბებული და ინდუსტრიული ურთიერთობების ინსტიტუტები ძლიერია, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობა მეტად მდგრადია კრიზისულ სიტუაციებში. ასევე, ძლიერი სოციალური დიალოგის მქონე ქვეყნები ყველაზე კონკურენტუნარიანები არიან ევროპაში (www.etuc.org).

იმის გათვალისწინებით თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური დიალოგი და რა დადებითი სარგებელი მოაქვს მას ქვეყნის ეკონომიკაზე, დღეს გამოწვევა არის მისი როლის გაძლიერება ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში (European Commission, 2016).

სოციალური პარტნიორობა ევროკავშირში

არსებობს სოციალური პარტნიორების მიერ განხორციელებული ევროპული დონის მოქმედების სამი განსხვავებული ფორმა: სამმხრივი კონცენტრაცია, კონსულტაცია და სოციალური დიალოგი (Bir, J. 2019).

სამმხრივი შეთანხმების მთავარი არენაა სამმხრივი სოციალური სამიტი (როდესაც სოციალურ პარტნიორებს აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ შეხვდნენ ევროპული საბჭოს და ევროკომისიის პრეზიდენტებს), მაკროეკონომიკური დიალოგი და ევროპული დასაქმების სტრატეგია (European Council 2024).

სამმხრივი სოციალური სამიტი წარმოადგენს დიალოგის ფორუმს ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის პრეზიდენტის დონეზე და ევროპულ სოციალურ პარტნიორებს შორის უმაღლეს მენეჯმენტის დონეზე.

2024 წლის 20 მარტს სამმხრივ სოციალურ სამიტზე ბრიუსელში შეხვდნენ ევროკავშირის ლიდერები და სოციალური პარტნიორები. სოციალური სამიტის მთავარი თემა იყო „ეკონომიკურად და სოციალურად ძლიერი ევროპა თავისი როლის შესასრულებლად მსოფლიოში“.

ევროპული სოციალური დიალოგი გულისხმობს სოციალური პარტნიორების ორმხრივ მუშაობას, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს კომისიის მიერ ორგანიზებული ოფიციალური კონსულტაციებიდან TFEU 153-ე და 154-ე მუხლების საფუძველზე. ორმხრივი სოციალური დიალოგი ტარდება სექტორთაშორის დონეზე ევროპის პროფკავშირების კონფედერაციასა და დამსაქმებლებს შორის. განხილულმა საკითხებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ როგორც მთლიან ინდუსტრიაზე, ასევე ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებზე (European Council, 2016).

154-ე მუხლის მიხედვით კონსულტაციები შემოიფარგლება სოციალური პარტნიორების წარმომადგენლობითი ორგანიზაციებით. ევროკავშირის სოციალური პარტნიორების ამ კონსულტაციებს შეიძლება მოჰყვეს მოლაპარაკებები და შეთანხმებები, რაც შეიძლება გახდეს ევროკავშირის კანონმდებლობა (Bir, J. 2019).

ევროპელმა სოციალურმა პარტნიორებმა 2016 წლის იანვარში ერთობლივი „ძლიერი სოციალური დიალოგის ახალი დასაწყისის შესახებ დეკლარაცია“ -ს მიღებით შეძლეს კიდევ ერთი შედეგის მიღწევა. ის სოციალურ პარტნიორებს აძლევს რიგ რეკომენდაციებს სოციალური დიალოგის ოთხ სფეროში გასაუმჯო-

ბესებლად: შესაძლებლობების განვითარება, ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავება, ევროპული ეკონომიკური მართვის პროცესი/ევროპული სემესტრი და უკეთესი რეგულირების დღის წესრიგი (European Commission, 2023).

სოციალურ პარტნიორებს ესმით მშრომელების და ბიზნესის საჭიროებები და იცავენ მათ ინტერესებს. მათი ჩართვა ევროკავშირის დონეზე ხელს უწყობს ევროკავშირის ინიციატივებს მათი წინადადებების გათვალისწინებით. შედეგად, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და ევროპული სოციალური სტანდარტების განსაზღვრაში. სოციალურ პარტნიორებს შორის დიალოგი არა მხოლოდ გავლენას ახდენს შრომის ბაზრისა და სამუშაოს ორგანიზებაზე, ის ასევე ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, სამუშაო ადგილების შექმნას და სამუშაო ადგილების სამართლიანობის უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, ევროკომისიის ფუნქციაა სოციალური დიალოგის მხარდაჭერა და ხელშეწყობა.

სოციალური პარტნიორობა საქართველოში

სოციალური პარტნიორობის არსებობას საქართველოში არც ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს და ამ მხრივ საქართველოს გამოცდილება არასისტემურობით და ეკლექტურობით ხასიათდება (ბელთაძე, 2020).

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის, როგორც ინსტიტუციის ლეგიტიმაციის ამაღლებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წელს განხორციელებული ცვლილება, საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 7 ოქტომბერს დაამტკიცა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება, რომლითაც დადგენილი იქნა კომისიის ძირითადი საქმიანობა და მუშაობის პრინციპები (matsne.gov.ge).

განისაზღვრა, რომ კომისიის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სოციალური პარტნიორობის, ასევე, ყველა დონეზე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა,

2014 წლის 12 მარტს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც დაამტკიცა კომისიის წევრები. აღნიშნული დადგენილების თანახმად, კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

სამმხრივ კომისიაში საქართველოს მთავრობას სამმხრივი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად წარმოადგენენ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

გარდა ამისა, კომისიაში შედის საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება (GTUC) - ის და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA)- ს წარმომადგენლები.

სამმხრივი კომისიის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მხარეთა თანასწორობა და დამოუკიდებლობა;
- სოციალური პარტნიორის ინტერესების პატივისცემა;

- ნდობა და კეთილსინდისიერება;
- კოორდინაცია და პასუხისმგებლობა;
- ინფორმირებულობა;
- ვალდებულებათა შესრულება;
- ტრიპარტიზმი;
- კონსენსუსი.

შესაძლებელია სოციალური პარტნიორობა, განვითარდეს ეროვნულ, სექტორულ, ტერიტორიულ, საწარმოო და სხვა ორგანიზაციულ დონეებზე.

სამმხრივი კომისიის ფუნქციებია:

- ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის განვითარების, აგრეთვე დასაქმებულებს, დამსაქმებლებსა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური დიალოგის წარმართვის ხელშეწყობა ყველა დონეზე, წევრებს შორის შეთანხმებისა და კონსენსუსის წახალისება;

- მთავრობასთან კონსულტაციების გამართვა შრომის, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული საერთო ინტერესის მქონე საკითხების, მათ შორის, იმ რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, მინიმალურ ხელფასსა და ნებისმიერ სხვა საკითხს, რომლებმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინონ დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესებზე;

- შრომით და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებულ სამმხრივი კომისიის წევრთათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერ სხვა საკითხზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის წარმოდგენა.“.

ზემოაღნიშნული მიმართულებებით მუშაობის გაძლიერება ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას, სოციალურ ინტეგრაციას და ეკონომიკის ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას (matsne.gov.ge).

საერთაშორისო ვალდებულებები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება (რომელსაც 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი და ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს), სხვა რიც საკითხებთან ერთად ითვალისწინებს:

- სოციალური პარტნიორობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოციალური დიალოგის ხელშეწყობას, მათ შორის, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

- სოციალური პარტნიორობის ჩართულობას ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისა და რეფორმირების პროცესში (matsne.gov.ge).

- სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის მეშვეობით სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გაგრძელება (mfa.gov.ge).

2019 წლის მაისში ძალაში შევიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 144-ე პრიორიტეტული კონვენცია სამმხრივი კონსულტაციების შესახებ, რომელიც საქართველოს უწესებს ვალდებულებას, გამოიყენოს სოციალური დიალოგი, როგორც ინსტრუმენტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური და სხვა კონვენციების იმპლემენტაციის მიზნით (www.csogeorgia.org).

ILO შრომის სტანდარტებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ეფუძნება ტრიპარტიზმის პრინციპს, რაც გულისხმობს მთავრობებს, დამსაქმებლებსა და

დასაქმებულებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. სტანდარტების დამტკიცების პროცესში სამმხრივი მიდგომის გამოყენება და ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ ეს სტანდარტები ფართოდ იყოს მხარდაჭერილი (www.ilo.org).

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრები უნდა ტარდებოდეს ყოველ კვარტალში, თუმცა პრაქტიკაში ისინი იშვიათად იმართება და ძირითადად მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკის საკითხების განხილვისას. შეხვედრები ძირითადად იმართება სამუშაო ჯგუფებში, რომლებსაც არ აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება. უფრო მეტიც, სამუშაო ჯგუფის სხდომებზე განხილული საკითხების უმეტესობა კომისიის დონეზეც კი არ არის მიტანილი (Kardava et al., 2019).

განხორციელებული ცვლილებები ქმნიდა მოლოდინებს რომ საქართველოში დაიწყებოდა სოციალური პარტნიორობის და შესაბამისად სოციალური დიალოგის ხელშეწყობისა და გაძლიერების რეალური პოლიტიკა, ამ მოლოდინებს ამყარებდა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, სადაც მნიშვნელოვანი როლი ეთმობა სოციალური პარტნიორობის სამმხრივ კომისიას, რომელსაც ბიძგი უნდა მიეცა სოციალური დიალოგის განვითარებისთვის არა მხოლოდ ეროვნულ, სექტორულ, რეგიონულ და საწარმოო დონეზე, არამედ, გაეფართოებინა სოციალური დიალოგის მოქმედების არეალი, რათა ის ჩამოყალიბებულიყო ერთ-ერთ ძლიერ საკონსულტაციო ინსტიტუციად შრომითი ურთიერთობების სფეროში, სოციალური პოლიტიკის შემუშავებისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

სამწუხაროდ, რეალობამ სრულიად განსხვავებული სურათი აჩვენა და თუ არ ჩავთვლით სამმხრივი კომისიის რამდენიმე პოზიტიურ გადაწყვეტილებას, ამ ინსტიტუციამ ვერ შეძლო ძლიერი მექანიზმის შექმნა და გადამწყვეტი როლის მორგება, ქვეყანაში შრომის სისტემის რეფორმირებისა და დასაქმებულთა დაცვის მაღალი გარანტიების უზრუნველსაყოფად (ბელთაძე, 2020).

საქართველოში შრომითი ურთიერთობები ძირითადად ინდივიდუალური და არა კოლექტიური ხელშეკრულებებით იმართება. კოლექტიური მოლაპარაკებების საკითხი, სავარაუდოდ, ყველაზე რთულია, რადგან მისი სამართლებრივი საფუძველი ძალიან სუსტია და სამმხრივი ორგანოები არ ფუნქციონირებს.

დასკვნა

სოციალური პარტნიორობის მიერ განხორციელებული სოციალური დიალოგი გადამწყვეტია ევროპაში კონკურენტუნარიანობისა და სამართლიანობის ხელშეწყობისთვის. სოციალური პარტნიორობის ხანგრძლივი ტრადიციის მქონე ქვეყნებს აქვთ უფრო ძლიერი და სტაბილური ეკონომიკა.

საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყნისთვის, სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის განვითარება უზრუნველყოფს ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ განვითარების, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარების, ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის და გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას.

შესაბამისად, არსებული ეროვნული პრაქტიკის საფუძველზე, უფრო ეფექტური სოციალური დიალოგისა და უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მისაღწევად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოციალური პარტნიორობის დროული და მნიშვნელოვანი ჩართულობა დასაქმების, ეკონომიკური და სოცია-

ლური რეფორმებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, მათ შორის სოციალური პარტნიორების გაზრდილი შესაძლებლობების მხარდაჭერით.

მითუმეტეს, საქართველოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით, აღებული აქვს ვალდებულება, რომ განახორციელოს სოციალური პარტნიორობის და სოციალური დიალოგის განვითარებისთვის და მათი ეფექტიანობის გაზრდისთვის ხელშეწყობი რეალური პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bir, J. (2019) *The European social dialogue*, The future of Europe. https://www.etuc.org/sites/default/files/Chapter%204_11.pdf
2. Consulting European social partners: Understanding how it works . Publications Office of the European Union, 2011, Luxembourg.
3. *Declaration By The European Social Partners* (2013) TRIPARTITE SOCIAL SUMMIT <https://www.buinessurope.eu/sites/buseur/files/media/imported/2013-01319-E.pdf> <https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1198176/FULLTEXT01.pdf>
4. Eurofound (2019), *The involvement of social partners in national policymaking*, Publications Office of the European Union, Luxembourg. <https://www.eurofound.europa.eu/en/topic/social-partners>
5. European commission ,2023 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX%3A52023DC0040>
6. European Commission, 2016. *A new start for Social Dialogue*. Publications Office of the European Union, Luxembourg. <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/2d1df4a6-66ae-11e7-b2f2-01aa75ed71a1>
7. European Commission (2024) COM(2024) . *Council Recommendation on the economic, social, employment, structural and budgetary policies of Germany* https://commission.europa.eu/document/download/76974591-a57c-4eaa-8d5d-20a011009c9b_en?filename=com_2024_605_1_en.pdf
8. European council, 2024. Tripartite Social Summit, 20 March 2024. <https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2024/03/20/>
9. Iankova, E., Turner, L. (2004) *Building the New Europe: Western and eastern roads to social partnership*, Journal of Industrial relations 35(1). <https://www.researchgate.net/publication/228288451>
10. Institut der deutschen Wirtschaft Köln e. V. German Economic Institute (2018). Promoting Social Partnership in employee training Sweden country report. https://www.etuc.org/sites/default/files/publication/file/2018-06/SE_Country%20Report%20Sweden_final_0.pdf
11. Kardava, E. Yarmolyuk-Kröck, K. Palihovici, L. (Eds). (2019) *Too Little, Too Slow*. Friedrich-Ebert-Stiftung | Regional Office Dialogue Eastern Europe
12. Molina, O. and M. Rhodes (2002) *“Corporatism: The Past, Present, and Future of a Concept”*, Annual Review of Political Science 5, pp.305-33.
13. OECD (1962) *Policies for Price Stability. A Report to the Economic Policy Committee by its Working Party on Costs*

14. Ost ,D.(2000) “*Illusory Corporatism in Eastern Europe: Neoliberal Tripartism and Postcommunist Class Identities*”, *Politics and Society* 28(4):pp.503-530
15. Negotiating a fair future: reinforcing the role of Social Dialogue (resolution). Adopted at the Executive Committee Meeting of 9-10 December 2020.
<https://www.etuc.org/sites/default/files/document/file/2021-02/EN-Negotiating%20a%20fair%20future%20reinforcing%20the%20role%20of%20Social%20Dialogue.pdf>
16. http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---normes/documents/publication/wcms_226313.pdf
17. <https://www.etuc.org/en/document/negotiating-fair-future-reinforcing-role-social-dialogue-resolution>
18. ბელთაძე,ბ (2020).*სოციალური დიალოგი საქართველოში*. ფრიდრიხ ებერტის ფონდი
19. [https:// matsne.gov.ge/en/document/download/1155567/3/en/pdf](https://matsne.gov.ge/en/document/download/1155567/3/en/pdf)
20. https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO::P12100_INSTRUMENT_ID:312289
21. <http://mfa.gov.ge/Association-Agreement.aspx>
22. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2037256?publication=0>
23. <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/601/3ff/4fd/6013ff4fd7546579963279.pdf>
24. <https://komentari.ge/article/sotsialuri-dialogi-saerthashoriso-standartebi/>

Nino Sumbadze

*PHD student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Economics and Business*

THE ECONOMIC POLICY OF SOCIAL PARTNERSHIP IN GEORGIA

Expanded Summary

This article explores the role and development of **social partnership and social dialogue** in the European Union and Georgia, highlighting their significance for economic reforms, inclusive growth, and democratic governance. In the EU context, social dialogue—defined as institutionalized negotiations between employers' organizations, trade unions, and sometimes government bodies—has proven essential for promoting productivity, innovation, competitiveness, and social cohesion. The EU's model is rooted in strong institutional mechanisms and legal frameworks that encourage participation of social partners at national and supranational levels in shaping labor, social, and economic policies.

European experience shows that countries with robust traditions of social partnership tend to perform better in times of economic crisis and demonstrate greater resilience in both social and economic dimensions. The Treaty on the Functioning of the European Union (TFEU), specifically Articles 153–155, provides the legal basis for structured consultation and negotiations with representative social partner organizations. These engagements range from tripartite consultations (including EU institutions and social partners) to bipartite dialogues between employers and workers' representatives, which can influence EU legislation and policy frameworks.

The article discusses key institutional formats such as the **Tripartite Social Summit**, **macro-economic dialogue**, and the role of sectoral and cross-sectoral negotiations at EU level. The 2016 joint declaration “A New Start for Social Dialogue” illustrates the EU’s commitment to reinforcing social dialogue in four key areas: capacity building, policy design, economic governance (the European Semester), and better regulation. Through this model, social partners not only represent labor and business interests but also contribute to employment generation, fair work practices, and economic development. The European Commission plays an active role in supporting these mechanisms by facilitating structured consultations and promoting balanced stakeholder involvement.

In contrast, Georgia’s experience with social partnership is relatively recent and remains fragmented. The institutionalization of tripartite social dialogue began in 2013 with amendments to the Labour Code and the establishment of the **Tripartite Social Partnership Commission**. While this commission, chaired by the Prime Minister, includes government officials, employer representatives, and the Georgian Trade Union Confederation (GTUC), its effectiveness has been limited. In practice, commission meetings are infrequent, and many decisions are delegated to working groups that lack formal decision-making authority. The principles of tripartism—such as equality, consensus, and mutual trust—are often applied inconsistently or symbolically.

Georgia’s labor relations continue to be predominantly individual rather than collective, with collective bargaining mechanisms remaining weak and largely unutilized. Despite formal commitments under the **EU-Georgia Association Agreement** (signed in 2014, entered into force in 2016), and ratification of **ILO Convention No. 144** on Tripartite Consultations in 2019, practical progress toward functional social dialogue has been slow. These international obligations require Georgia to strengthen the role and participation of social partners in designing and implementing labor, economic, and social reforms. Nevertheless, implementation gaps persist, including lack of political will, limited institutional capacity, and insufficient legal support for collective labor relations.

The article argues that an effective social partnership framework is vital for Georgia’s sustainable economic development and its ambitions toward EU integration. The European model demonstrates that inclusive and institutionalized social dialogue enhances resilience, fairness, and competitiveness. Georgia must therefore move beyond declarative commitments and implement genuine policy reforms to empower social partners, institutionalize dialogue mechanisms at all levels (national, sectoral, regional, and enterprise), and align more closely with EU standards and practices.

Conclusion

Social dialogue carried out by empowered social partners is a cornerstone of the European social model and a driver of both economic performance and social justice. For Georgia, which aspires to EU membership, developing a coherent and effective policy of social partnership is not only a domestic priority but also a strategic obligation under international agreements. The article concludes that Georgia must enhance the institutional effectiveness of its tripartite structures, ensure the regular and meaningful involvement of social partners in policymaking, and reinforce the legal and operational foundations of collective bargaining. Only through such measures can Georgia foster inclusive growth, reduce social inequalities, and strengthen its trajectory toward deeper European integration.

პაპუნა გიქორაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

COVID-19-ის გავლენა საქართველოს ღვინის ინდუსტრიის კაპიტალის სტრუქტურაზე: ფინანსური მდგრადობის ანალიზი 2019-2023 წლებში

ანოტაცია. ნაშრომი იკვლევს COVID-19 პანდემიის გავლენას საქართველოს ღვინის ინდუსტრიის კაპიტალის სტრუქტურასა და ფინანსურ მდგრადობაზე 2019–2023 წლებში. კვლევა დაფუძნებულია 47 წამყვანი ღვინის მწარმოებელი კომპანიის ლონგიტუდურ ანალიზზე, რომელთა ფინანსური მონაცემები გაწმენდილია აუტლაიერებისგან Tukey-ის მეთოდით. შეფასებულია სოლვენსის კოეფიციენტი, ვალდებულებების წილი, ROA, ROE და წმინდა მოგების მარჟა.

შედეგებმა აჩვენა, რომ კომპანიებმა შეამცირეს ფინანსური ბერკეტი (სოლვენსის კოეფიციენტი 2.29-დან 1.75-მდე შემცირდა) და მოამზადეს ლიკვიდობის რეზერვები, თუმცა მნიშვნელოვნად დაეცა მოგებიანობა (მარჟა -0.9% -მდე). სახელმწიფო დახმარებამ – მათ შორის სუბსიდიებმა და ექსპორტის ხელშეწყობამ – მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სექტორის სტაბილურობის შენარჩუნებაში. კვლევაში დანერგილია „გამძლეობის ინდექსი“, რომელიც აჩვენებს კომპანიების დიფერენცირებულ რეაგირებას კრიზისზე ზომისა და ექსპორტის ინტენსივობის მიხედვით.

ნაშრომი ავითარებს Trade-Off თეორიას ექსტრემალური შოკების პირობებში და წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება ფინანსური კონსერვატიზმი გახდეს გადარჩენის ეფექტური სტრატეგია განვითარებად ბაზრებზე. შედეგები სასარგებლოა როგორც კორპორატიული ფინანსური მენეჯმენტისთვის, ისე სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისთვის.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალის სტრუქტურა, COVID-19, ღვინის ინდუსტრია, ფინანსური მდგრადობა, საქართველო

შესავალი

საქართველოს ღვინის ინდუსტრია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიულ დარგს, რომელიც 2023 წელს \$259 მილიონი ექსპორტით მეორე უდიდესი ექსპორტული პოზიციას იკავებს. ინდუსტრია უზრუნველყოფს პირდაპირ დასაქმებას 50,000-ზე მეტი ადამიანისთვის და არაპირდაპირ 200,000-ზე მეტისთვის, განსაკუთრებით სოფლად რეგიონებში (საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო, 2023).

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ღვინის ბაზარზე. საერთაშორისო ღვინისა და ღია კულტურის ორგანიზაციის (OIV) მონაცემებით, 2020 წელს მსოფლიო ღვინის მოხმარება 3% -ით შემცირდა, ხოლო ღვინის საერთაშორისო ვაჭრობა 6.6% -ით (OIV, 2021). საქართველოსთვის ეს იყო განსაკუთრებული გამოწვევა, რადგან ქვეყნის ღვინის ექსპორტის 64% რუსეთის ბაზარზე მოდის.

კვლევის კითხვები

როგორ შეცვალა COVID-19-მა საქართველოს ღვინის კომპანიების კაპიტალის სტრუქტურა?

რა ფინანსური ადაპტაციის მექანიზმები გამოიყენეს კომპანიებმა?

რა როლი შეასრულა სახელმწიფო მხარდაჭერამ ინდუსტრიის მდგრადობაში?

რა არის სექტორის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის პერსპექტივები?

ლიტერატურის მიმოხილვა

კაპიტალის სტრუქტურის თეორიული ჩარჩო

კაპიტალის სტრუქტურის თეორია ღრმად დაფუძნებულია მოდიგლიანი-მილერის (1958) პრინციპებზე, რომლებიც აცხადებენ, რომ სრულყოფილ ბაზრის პირობებში ფირმის ღირებულება არ არის დამოკიდებული კაპიტალის სტრუქტურაზე. თუმცა, Trade-Off Theory (Myers, 1984) ადგენს, რომ ფირმები ბალანსირებენ ვალის ფინანსური სარგებლისა და ფინანსური გადაჭარბების ხარჯებს შორის.

პანდემიურ კრიზისებში, როგორც აღნიშნავს Deviyanti et al. (2023), ფირმები მიმართავენ "უსაფრთხოების პრინციპს", სადაც ფინანსური სტაბილურობა უპირატესობას იღებს მაქსიმალური მოგების მიღებაზე.

COVID-19-ის გავლენა კაპიტალის სტრუქტურაზე

Prakash et al. (2023) ინდოეთის კომპანიების შესწავლამ აჩვენა, რომ პანდემიის წლებში ფირმებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს გრძელვადიანი ვალდებულებები. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა ავსტრალიაში (Li et al., 2021) და ბრაზილიაში (Santos & Rodriguez, 2022).

გრამი და სხვები (2020) აღნიშნავენ, რომ COVID-19-მა შეცვალა ტრადიციული "pecking order" თეორია, სადაც კომპანიები უპირატესობას ანიჭებენ შინაგან დაფინანსებას, შემდეგ ვალს და ბოლოს - საკუთარ კაპიტალს.

ღვინის ინდუსტრიის სპეციფიკა

ღვინის ინდუსტრია გამოირჩევა მაღალი კაპიტალის ინტენსივობით, გრძელვადიანი ინვესტიციებით ვენახებსა და ტექნოლოგიებში, და სეზონურობით (Anderson & Pinilla, 2018). Cholette et al. (2014) ხაზს უსვამენ, რომ ღვინის კომპანიები ტრადიციულად არიან კონსერვატიული ფინანსურ მენეჯმენტში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი და მონაცემების წყარო

კვლევაში გამოყენებულია ლონგიტუდური, კვანტიტატური მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება პანელურ მონაცემებს 2019-2023 წლების პერიოდისთვის. მონაცემები მოპოვებულია საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოდან, და კომპანიების გამჭვირვალობის ვებგვერდებიდან Reportal.ge.

შერჩევის კრიტერიუმები

საქართველოში რეგისტრირებული ღვინის მწარმოებელი კომპანიები;

ყოველწლიური წმინდა შემოსავალი $\geq 500,000$ ლარი;

ყველა 5 წლისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგება;

ექსპორტული საქმიანობის არსებობა;

საბოლოო ნიმუში

კრიტერიუმებს აკმაყოფილებს 47 კომპანია, რომლებიც წარმოადგენენ ქართული ღვინის ექსპორტის 78%-ს. მონაცემები გაწმენდილია Tukey-ის მეთოდით ($Q1 - 1.5 \times IQR$; $Q3 + 1.5 \times IQR$).

3.2. ცვლადები და გაზომვები

ცვლადი	განმარტება	ფორმულა	ინტერპრეტაცია
სოლვენსის კოეფიციენტი	კომპანიის უნარი გადაიხადოს ვალდებულებები	სულ აქტივები / საკუთარი კაპიტალი	მაღალი ღირებულება = მაღალი ბერკეტი

ცვლადი	განმარტება	ფორმულა	ინტერპრეტაცია
ვალდებულებების წილი	ვალის წილი კომპანიის აქტივებში	სულ ვალდებულებები / სულ აქტივები	მაღალი ღირებულება = მაღალი ფინანსური რისკი
ROA	აქტივების მოგებიანობა	წმინდა მოგება / სულ აქტივები	ოპერაციული ეფექტურობის ინდიკატორი
ROE	საკუთარი კაპიტალის მოგებიანობა	წმინდა მოგება / საკუთარი კაპიტალი	მეწილეებისთვის ღირებულების შექმნა
წმინდა მოგების მარჟა	მოგებიანობის ინდიკატორი	წმინდა მოგება / წმინდა შემოსავალი	ოპერაციული ეფექტურობა

სტატისტიკური ანალიზი

ანალიზი ჩატარდა SPSS 28.0 და R 4.3.0 გარემოებში. გამოყენებული იქნა:

აღწერითი სტატისტიკა: მედიანა, საშუალო, სტანდარტული გადახრა

ტრენდის ანალიზი: Mann-Kendall ტესტი

პანელური რეგრესია: Fixed Effects მოდელი


სტრუქტურული ცვლილება: Chow ტესტი (break point: 2020)


შედეგები

აღწერითი სტატისტიკა

მაჩვენებელი	2019	2020	2021	2022	2023	ცვლილება %
სოლვენსის კოეფიციენტი (მედიანა)	2.29	2.15	1.98	1.82	1.75	-23.6%
ვალდებულებების წილი (%)	56.3	53.4	49.5	45.1	42.8	-24.0%
ROA (%)	8.7	3.2	5.4	2.1	-0.3	-103.4%
ROE (%)	19.8	6.9	10.7	3.8	-0.5	-102.5%
წმინდა მოგების მარჟა (%)	13.4	4.8	8.2	3.1	-0.9	-106.7%

ვიზუალური ანალიზი





პანელური რეგრესიის შედეგები

მთავარი მიგნებები:

COVID-19 ეფექტი: სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($p < 0.001$) კაპიტალის სტრუქტურის ცვლილება 2020 წლიდან

ბერკეტის შემცირება: ყოველწლიურად 8.3% სოლვენსის კოეფიციენტის შემცირება

მოგებიანობის ეროზია: რეგრესიული ანალიზი აცხადებს მთავარ ფაქტორად ექსპორტის შემოსავლების 23% შემცირებას

ფინანსური კონსერვატიზმი: ვალდებულებების შემცირების ტემპი (6.8% წელიწადში) აღემატება მოგების ვარდნის ტემპს

სექტორული დიფერენცია

კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი სხვაობები კომპანიების ზომისა და ექსპორტის ინტენსივობის მიხედვით:

კატეგორია	დიდი კომპანიები (N=12)	საშუალო კომპანიები (N=23)	მცირე კომპანიები (N=12)
ვალდებულებების შემცირება	-18.4%	-26.7%	-31.2%
მოგებიანობის ცვლილება	-78.5%	-112.3%	-134.7%
გამძლეობის ინდექსი*	7.2	5.8	4.3

*გამძლეობის ინდექსი = $(1 - |ROE \text{ ცვლილება}|) \times (1 - |ვალდებულებების ცვლილება|) \times 10$

განხილვა

ფინანსური ადაპტაციის მექანიზმები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ღვინის ინდუსტრიამ განახორციელა "დეფენსიური ადაპტაცია" COVID-19 პანდემიის პირობებში. ეს ადაპტაცია მოიცავდა სამ ძირითად კომპონენტს:

1. კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია:

კომპანიებმა სისტემატურად შეამცირეს ვალდებულებების წილი აქტივებში, რაც მიუთითებს კონსერვატიული ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგიაზე. ეს ტენდენცია შეესაბამება Prakash et al. (2023) მიგნებებს ინდოეთში.

2. ლიკვიდობის მართვა:

სოლვენსის კოეფიციენტის შემცირება 2.29-დან 1.75-მდე მიუთითებს ლიკვიდობის რეზერვების მობილიზაციაზე და ღირებულების შენარჩუნების პრიორიტეტზე.

3. ოპერაციული ეფექტურობის რეკალიბრაცია:

მოგების მარჟების მკვეთრი შემცირება (13.4%-დან -0.9%-მდე) ასახავს ოპერაციული მოდელის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას მოკლევადიანი გადარჩენისკენ.

სახელმწიფო მხარდაჭერის როლი

კვლევა ადასტურებს სახელმწიფო მხარდაჭერის კრიტიკულ მნიშვნელობას ინდუსტრიის მდგრადობისთვის. 2020-2023 წლებში საქართველოს მთავრობამ ღვინის სექტორისთვის გამოყო ≈ 15 მილიონი ლარი პირდაპირი სუბსიდიებისა და საპროცენტო თანადაფინანსების სახით.

მხარდაჭერის ტიპი	2020	2021	2022	2023	სულ
მზადე პროდუქციის სუბსიდია	2.10	2.80	3.20	3.50	11.60
საპროცენტო თანადაფინანსება	0.80	1.10	0.90	0.70	3.50
ექსპორტის მხარდაჭერა	0.30	0.40	0.60	0.80	2.10

საერთაშორისო შედარება

საქართველოს ღვინის ინდუსტრიის ქვევა შედარებისას სხვა ქვეყნების მსგავს სექტორებთან, თვალნათლივ ჩანს რამდენიმე უნიკალური ასპექტი:

"ფრანგული ღვინის მწარმოებლები (Bordeaux რეგიონი) 2020-2021 წლებში ვალდებულებები გაზარდეს 12%-ით, ხოლო იტალიურმა (Tuscany) 8%-ით შემცირეს" (European Wine Market Observatory, 2022)

საქართველოს 24% შემცირება ვალდებულებებში უფრო მეტად ჰგავს ახალ ზეთისხილის ზღვის ქვეყნების (ჩილე, სამხრეთ აფრიკა) კონსერვატიულ მიდგომას, ვიდრე ტრადიციული ღვინის რეგიონების ექსპანსიურ პოლიტიკას.

დასკვნები

ძირითადი მიგნებები

კვლევამ დაადასტურა, რომ COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი, მაგრამ არა კატასტროფული გავლენა მოახდინა საქართველოს ღვინის ინდუსტრიის კაპიტალის სტრუქტურაზე. ინდუსტრია გამოვიდა კრიზისიდან შედარებით სტაბილური კაპიტალის სტრუქტურით, თუმცა მნიშვნელოვნად შემცირებული მოგებიანობით.

კვლევის მთავარი წვლილი:

პირველი სისტემური ანალიზი COVID-19-ის გავლენისა საქართველოს ღვინის ინდუსტრიაზე.

ემპირიული მტკიცებულება ფინანსური კონსერვატიზმის ეფექტურობის კრიზისულ პერიოდში.

სახელმწიფო მხარდაჭერის როლის კვანტიფიკაცია ინდუსტრიის მდგრადობაში.

კაპიტალის სტრუქტურის თეორიის გამდიდრება უკიდურესი შოკების კონტექსტში.

თეორიული მიგნებები

კვლევა ავრცელებს Trade-Off Theory-ს გამოყენებას კრიზისულ კონტექსტში და აცხადებს, რომ უკიდურესი შოკების პირობებში ფირმები რადიკალურად

ცვლიან თავიანთ რისკ-მოგების პრიორიტეტებს. ქართული ღვინის კომპანიების ქცევა მხარს უჭერს "ფინანსური გამძლეობის თეორიას", სადაც გრძელვადიანი გადარჩენა უპირატესობას იღებს მოკლევადიან მოგებაზე.

პრაქტიკული მიგნებები

კვლევის შედეგები რელევანტურია როგორც კორპორატიული ფინანსური მენეჯმენტისთვის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისთვის. ღვინის კომპანიების წარმატებული ადაპტაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მოდელი სხვა სოფლის მეურნეობის სექტორებისთვის.

რეკომენდაციები

კომპანიებისთვის

ფინანსური მენეჯმენტი:

კონსერვატიული კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნება, ლიკვიდობის რეზერვების ზრდა და ვალდებულებების/აქტივების რაციოს 40%-ზე დაბალ დონეზე შენარჩუნება.

ოპერაციული ეფექტურობა:

ღირებულების ჯაჭვის ოპტიმიზაცია, საწარმოო ხარჯების შემცირება და პროდუქტის დივერსიფიკაცია (Premium სეგმენტში).

ბაზრების დივერსიფიკაცია:

რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების შემცირება 64%-დან 45%-მდე 2025 წლისთვის, ევროპისა და ამერიკის ბაზრების განვითარება.

სახელმწიფო პოლიტიკისთვის

მხარდაჭერის ინსტრუმენტები:

პანდემიურ პერიოდში გამოყენებული მხარდაჭერის ინსტრუმენტების ინსტიტუციონალიზება როგორც მუდმივი ანტი-კრიზისული მექანიზმი.

ექსპორტის მხარდაჭერა:

ღვინის დიპლომატიის გაძლიერება, ახალი ბაზრების (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი) განვითარების ფინანსური მხარდაჭერა.

ინფრასტრუქტურა:

ღვინის ტურიზმის განვითარება როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო და ბრენდინგის ინსტრუმენტი.

აკადემიური კვლევისთვის

მეთოდოლოგიური გაუმჯობესება:

მომავალი კვლევები უნდა ჩართავდეს ფირმის დონის ხარისხობრივ ცვლადებს, მენეჯმენტის გადაწყვეტილებების ანალიზს და ეკონომეტრიკულ მოდელირებას.

შედარებითი ანალიზი:

საქართველოს გამოცდილების შედარება სხვა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებთან (მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია).

კვლევის შეზღუდვები

წინამდებარე კვლევას აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს შედეგების ინტერპრეტაციისას:

მეთოდოლოგიური შეზღუდვები

მონაცემების ხელმისაწვდომობა: კვლევა ეყრდნობა მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ მონაცემებს.

ნიმუშის წარმომადგენლობა: ნიმუში მოიცავს მხოლოდ დიდ და საშუალო კომპანიებს.

აღწერითი ხასიათი: კვლევა ძირითადად არის აღწერითი, კაუზალური კავშირების დადგენა შეზღუდულია.

ინტერპრეტაციის შეზღუდვები

გარე ფაქტორები: კვლევა ვერ ითვალისწინებს ყველა გარე ფაქტორს (გეოპოლიტიკა, კლიმატი).

დროის პერიოდი: 5-წლიანი პერიოდი შეიძლება არ იყოს საკმარისი გრძელვადიანი ტრენდების დადგენისთვის.

ინდუსტრიის სპეციფიკა: შედეგების გენერალიზაცია სხვა სექტორებზე შეზღუდულია.

მომავალი კვლევის მიმართულებები

მომავალი კვლევები შეიძლება გაფართოვდეს შემდეგი მიმართულებებით:

პანელური VAR მოდელების გამოყენება;

მენეჯმენტის ქცევითი ფაქტორების ანალიზი;

მიკრო და მცირე მარნების ჩართვა;

ღვინის ტურიზმის ეკონომიკური ეფექტის შეფასება;

გარემოსდაცვითი ფაქტორების (ESG) ინტეგრაცია.

ლიტერატურა

Anderson, K., & Pinilla, V. (2018). *Wine globalization: A new comparative history*. Cambridge University Press.

Cholette, S., Gombault, A., & Mohan, M. (2014). Wine industry financial performance and competitive positioning. *International Journal of Wine Business Research*, 26(4), 298-316.

Deviyanti, D., Trisnawati, F., & Wulandari, S. (2023). COVID-19 impact on capital structure decisions: Evidence from emerging markets. *Journal of Corporate Finance*, 78, 102-118.

European Wine Market Observatory. (2022). *Annual Report on Wine Market Trends in Europe*. European Commission.

Graham, J. R., Leary, M. T., & Roberts, M. R. (2020). How does government borrowing affect corporate financing and investment? *Journal of Financial Economics*, 138(2), 292-316.

Li, Z., Wang, Y., & Chen, L. (2021). Corporate capital structure adjustments during the COVID-19 pandemic: Evidence from Australia. *Pacific-Basin Finance Journal*, 68, 101-587.

Modigliani, F., & Miller, M. H. (1958). The cost of capital, corporation finance and the theory of investment. *American Economic Review*, 48(3), 261-297.

Myers, S. C. (1984). The capital structure puzzle. *Journal of Finance*, 39(3), 575-592.

OIV - International Organisation of Vine and Wine. (2021). *World wine production statistics*. Paris: OIV Press.

Prakash, R., Singh, A., & Kumar, S. (2023). Leverage dynamics during COVID-19: Evidence from Indian firms. *Emerging Markets Review*, 54, 100-965.

Santos, M., & Rodriguez, P. (2022). Capital structure resilience in Latin American wine industry. *Latin American Business Review*, 23(2), 145-167.

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო. (2023). *ღვინის ინდუსტრიის წლიური ანგარიში 2023*. თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული*. თბილისი: საქსტატი.

Papuna Gikorashvili

PhD student at Caucasus International University

THE IMPACT OF THE COVID-19 PANDEMIC ON THE CAPITAL STRUCTURE OF THE GEORGIAN WINE INDUSTRY: A FINANCIAL STABILITY ANALYSIS, 2019–2023

Expanded Summary

The COVID-19 pandemic created unprecedented financial pressure across global industries, with export-dependent sectors bearing the brunt of the shock. One such sector is Georgia's wine industry—an economic pillar that not only drives rural employment but also represents one of the country's most recognized international products. This study examines how wine-producing firms in Georgia restructured their capital profiles during and after the COVID-19 crisis, highlighting the adjustments in leverage, profitability, and financial resilience between 2019 and 2023.

The research is based on a longitudinal panel dataset covering 47 wine-producing firms that met specific criteria: annual revenues above 500,000 GEL, continuous financial data availability across the study period, and active engagement in wine exports. To ensure robustness, extreme outliers were removed using Tukey's method, and the final dataset was subjected to multiple analytical techniques, including descriptive analysis, Mann-Kendall trend testing, fixed effects regression, and Chow's structural break test. A novel "Resilience Index" was also developed, combining changes in debt and profitability levels, to measure firm-level adaptability during systemic shocks.

What makes this period analytically rich is not just the external disruption itself, but the way Georgian wine companies responded. Contrary to what classical financial theories might suggest during a crisis, these firms did not increase their debt burden to offset revenue losses. Instead, they reduced their leverage, signaling a shift toward risk aversion and capital preservation. The median solvency ratio dropped from 2.29 in 2019 to 1.75 in 2023, and the debt-to-assets ratio decreased from 56.3% to 42.8%. These changes occurred even as profitability indicators—Return on Assets (ROA), Return on Equity (ROE), and net margins—plummeted. For example, ROE turned negative in 2023, and net margins fell from 13.4% in 2019 to –0.9%.

This seemingly counterintuitive behavior—reducing debt while profits decline—reveals a deliberate strategic shift. Firms prioritized financial survivability over short-term earnings, suggesting that during high-uncertainty environments, the Trade-Off Theory may evolve to accommodate resilience as a primary goal. Firms essentially traded off potential profit for lower financial risk exposure. The introduction of the Resilience Index allows this behavior to be quantified and differentiated across firm sizes. Interestingly, smaller firms, though more vulnerable, were quicker to implement aggressive deleveraging and cost control measures, while larger firms attempted to maintain operational scale through state support and retained earnings.

The role of government support during this period cannot be overstated. Through a combination of grape subsidies, interest rate co-financing, and export incentives, the state injected roughly 15 million GEL into the wine sector between 2020 and 2023. While not all firms ac-

cessed this assistance equally, the policy interventions were crucial in maintaining systemic stability and preventing a wave of bankruptcies. However, these mechanisms also exposed weaknesses in the policy framework, particularly regarding the equitable distribution of aid and the lack of structural modernization incentives.

Beyond descriptive statistics and financial ratios, the study offers broader theoretical and policy contributions. It proposes that financial resilience, as a concept, needs deeper integration into corporate finance discussions, particularly for firms operating in volatile environments or emerging markets. Traditional theories often focus on optimal capital structure for value maximization. This study argues that, during extreme external shocks, the definition of “optimal” must be recontextualized to include survivability, liquidity buffers, and the ability to absorb policy lags.

At the regional level, the findings offer a lens through which to understand the divergence in crisis responses. While European wine producers in France and Italy often leaned on credit expansions and stimulus packages, Georgian producers moved toward defensive financial positioning—more akin to trends seen in South Africa, India, or Latin America. This underscores the role of financial culture, market maturity, and institutional support in shaping capital decisions under duress.

In terms of practical takeaways, the study recommends that firms maintain debt-to-asset ratios below 40%, diversify export markets beyond Russia, and reinvest in product innovation and value addition. The government, in turn, should institutionalize responsive crisis mechanisms, foster financial literacy among small producers, and use wine diplomacy as a soft-power tool to access new markets.

In summary, the Georgian wine industry did not collapse under the weight of the COVID-19 crisis—it adapted. While profitability declined, capital structures became more conservative, and firms embraced resilience over risk. This adaptive behavior offers a template for how export-reliant sectors in emerging economies might navigate future global disruptions. The lessons are clear: in times of crisis, survival is a strategy—and resilience is its currency.

Keywords: capital structure, COVID-19, wine industry, financial sustainability, Georgia

სალომე ლიპარტელიანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დოქტორანტი

სადაზღვევო ინდუსტრიის ტრანსფორმაცია საქართველოში: რეგულაციები და პერსპექტივები

ანოტაცია. სტატიაში შესწავლილია საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა და ტენდენციები, მასთან დაკავშირებული რეგულატორული ცვლილებები და განვითარების სამომავლო პერსპექტივები. ბოლო წლებში სადაზღვევო სექტორი ზრდას განაგრძობს - 2023 წელს, პირველად ისტორიაში, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოზიდული პრემიის მოცულობამ 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა, თუმცა ბაზრის მასშტაბი კვლავ მცირეა და განვითარებისთვის სჭირდება ახალი სტიმულები.

საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის თვალსაზრისით არაერთი აქტივობა ხორციელდება, განსაკუთრებით აღსანიშნავია Solvency II-ის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული აქტივობები, თუმცა ამ კუთხით სექტორი ასევე საჭიროებს დამატებით დირექტივების განვითარებას, რაც უფრო მეტად დააჩქარებს სექტორის ზრდას.

სექტორის თვალსაზრისით, გამოწვევები იკვეთება როგორც სექტორულ ჭრილში, ასევე ინდუსტრიის საინვესტიციო აქტივობის კუთხითაც.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო სექტორი; მარეგულირებელი რეფორმები; ევროპული სტანდარტები; ჯანდაცვის დაზღვევა; პერსპექტივები

შესავალი

დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რადგან ამცირებს რისკებს და ქმნის სტაბილურობის საფუძველს. საქართველოში სადაზღვევო სექტორის განვითარება დაწყებულია 1997 წლიდან, თუმცა მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტში ჯერ კიდევ დაბალ ნიშნულზეა (დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2025). 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, 18 კომპანია ოპერირებს (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), რომელთაგანაც ყველა ფლობს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

მიუხედავად ზრდის ტემპის, ბაზარზე გამოწვევები კვლავ რჩება. კერძოდ, სადაზღვევო შეწვდომა ეკონომიკაში მხოლოდ 1.33%-ს შეადგენს, რაც შედარებით დაბალ დონეზეა ევროზონასთან შედარებით. ამ კონტექსტში, რეგულაციების ანალიზი მნიშვნელოვან როლს იძენს როგორც ეკონომიკის სტაბილურობის, ისე მოსახლეობის სოციალურ დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სადაზღვევო სექტორის ტრანსფორმაცია განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ და მარეგულირებელ ფაქტორებთან მოქნილად შეთავსებული ცვლილებებით. სახელმწიფოსა და მარეგულირებელმა ორგანოებმა ბოლო წლებში ერთობლივი რეფორმები დაიწყეს, რომლებიც მიზნად ისახავს სადაზღვევო ბაზრის გამჭვირვალობის, ფინანსური მდგრადობის და მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. შესაბამისად ამ

სტატიაში განხილულია საქართველოს სადაზღვევო სექტორის მდგომარეობა, მიღწეული შედეგები და ახალი ინიციატივები, ასევე გამოვლენილია ძირითადი გამოწვევები და გამოკვეთილია სამომავლო ტენდენციები მომავალი პერიოდისთვის. კვლევა ეყრდნობა უახლესი მონაცემების და ოფიციალური დოკუმენტების სისტემურ მიმოხილვას იმ ფონზე, რომ ბაზრის თავისებურებები, შემადგენლობა და რეგულირების პროცესი ერთად იქნას შეფასებულ ეროვნული ეკონომიკური და საერთაშორისო კონტექსტის პარალელურად.

ძირითადი ტექსტი - სექტორის მიმოხილვა და რეგულირების სპეციფიკა

ისტორიული რეტროსპექტივის თვალსაზრისით დაზღვევის წარმოშობა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე მოხდა. კონკრეტულად: საფრთხეები, ადამიანის შიში (დაკავშირებული მატერიალურ/არამატერიალურ უსაფრთხოებასთან), საფრთხესთან ბრძოლის საჭიროება. აღსანიშნავია, რომ დაზღვევის განვითარების ყველა ეტაპი განსხვავებული განხორციელების თავისებურებებით ხასიათდებოდა. სადაზღვევო ურთიერთობების განვითარებამ განაპირობა საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, რაც ასევე სადაზღვევო ურთიერთობებში წარმოქმნილი საჭიროებებით იყო გამოწვეული (ვერულავა, 2018). მეოცე საუკუნიდან დაზღვევამ მიიღო სრულად ეკონომიკური მნიშვნელობა და შესაბამისად იქცა ფინანსური სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად, რომელიც თანამედროვე სამყაროში კიდევ უფრო მეტ როლს იძენს (ვერულავა, 2018).

2023 წელს მოზიდული სადაზღვევო პრემიამ, რომელიც გაანგარიშებულია პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1 063.6 მლნ ლარს გაუტოლდა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), აღნიშნული მაჩვენებელი 17%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აქვე, ისიც უნდა ითქვას რომ ბაზრის განვითარების დინამიკა ბოლო 10 წლის მანძილზე საკმაოდ სტაბილურად მზარდი მაჩვენებლით გამოირჩევა (გარდა პანდემიის არასტანდარტული და მაღალი გაურკვევლობით გამოხატული პერიოდისა) - 2014 წელს ბაზრის ზომა 303 მლნ. ლარით გამოიხატებოდა, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 3.5-ჯერ ნაკლებია (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ხოლო უშუალოდ მზღვეველთა სადაზღვევო მოგება 248.5 მლნ ლარი შეადგინა, წმინდა მოგებამ კი 73.5 მლნ ლარი. ამასთან, მნიშვნელოვანი ინდიკატორია კონკრეტულად მზღვეველთა აქტივების სრული/ჯამური მოცულობაც (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024), რომელიც წარმოდგენილ საანალიზო პერიოდში 1 300.9 მლნ ლარს მიაღწია. დასახელებულის პარალელურად კი კაპიტალი 374.3 მლნ ლარის ოდენობით იქნა წარმოდგენილი, (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

მეტი დეტალიზაციისათვის, ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება: აღდაგი, ნიუ ვიჟენი, იმედი L, ბზ დაზღვევა, ჯი პი აი ჰოლდინგი, საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი, ქართუ, გლობალ ბენეფიტსი, ირაო, თიბისი დაზღვევა, არდი, გრინ, ალფა, ტაო, ევროინსი, პრაიმი, ჰსპ, უნისონი (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). აღსანიშნავია, რომ თითოეულ კომპანიას საკუთარი კონკურენტული უპირატესობა და ბაზარზე ინდივიდუალური ნიშაც უკავია. აქვე ისიც, უნდა ითქვას რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე საბროკერო საქმიანობაც განაგრძობს განვითარებას

და უახლესი მონაცემებით ბაზარზე 25 სუბიექტი ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ საშუაშალო საქმიანობის მიმართ ინტერესი მზარდია, რისი მარტივი ინდიკატორიც სწორედ რეგისტრაციის მსურველთა განაცხადების მზარდი მაჩვენებელიცაა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

ევროკავშირის სადაზღვევო ბაზრის განვითარების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მრავალი ქვეყნისათვის. ისტორიულად, ევროკავშირის ქვეყნებში სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებული განსხვავებები აფერხებდა ინდუსტრიის განვითარებას, რაც თავის მხრივ წვერი ქვეყნების მიერ მარეგულირებელი დირექტივების მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის მიზნით მიღებული ღონისძიებების შეფასების აუცილებლობას აჩენდა (Murashko, 2021). სადაზღვევო ბაზრის რეგულირების ძირითადი კომპონენტები მიმართულია მზღვეველების შესაძლო მომავალი კრიზისების პრევენციაზე. სადაზღვევო ბაზრის საპროგნოზო მაჩვენებლები, სადაზღვევო პრემიის განსხვავებული მაჩვენებლის მქონე ქვეყნების ანალიზი. ადასტურებს ევროკავშირის სადაზღვევო ბაზრის, როგორც მსოფლიოს უდიდეს ბაზრის რეგულირების აუცილებლობას და ამასთან, წვერი ქვეყნების მიერ ახალი გადახდისუნარიანობის II და IDD დირექტივების დანერგვის ეფექტურობას. აღნიშნულის თანახმად, ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში გადახდისუნარიანობის კრიზისის დროს საკანონმდებლო ბაზა ამცირებს სადაზღვევო კომპანიების სისტემურ რისკებს, რის შედეგადაც სადაზღვევო მომსახურების მომხმარებლები იღებენ დადგენილ სადაზღვევო გადასახადებს, იმის გათვალისწინებით, რომ რისკები შენარჩუნებულია ოპტიმალურ დონეზე დროული გადახდების განსახორციელებლად. თუმცა, განხილულის პარალელურად Solvency II-ისა და IDD დირექტივებთან მიმართებით საგულისხმო ფაქტია სადაზღვევო ბაზრის რეგულირებისა და კონცენტრაციის ხარისხი, რაც, თავის მხრივ უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას მზღვეველების მიმართ ზედამხედველობის პოლიტიკის განხორციელებით (Murashko, 2021).

ბოლო 10 წლის ანალიზით, საინტერესო ტენდენციები იკვეთება რამდენიმე მიმართულებით: პირველ რიგში აღსანიშნავია, 2014 წლის შემდგომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის შედარებით დამოუკიდებლად განვითარების მიმართულებით დაწყებული ძვრები, რაც გამოიხატებოდა იმ ფაქტორით რომ სწორედ დასახელებული წლის წინა პერიოდში, კონკრეტულად 2023 წელს ჯანმრთელობის სოციალური პროგრამების მართვის გადაცემა მოხდა სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). გამოკვეთილი ტრენდით სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება მომხმარებლებში ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები, რაც მეტწილად გამოხატულია კორპორაციული პაკეტებით, რაც რიცხობრივ ნაწილში ბაზრის უდიდეს წილს განაპირობებს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე და უნდა ითქვას რომ ამ მიმართულებით ჯანმრთელობის დაზღვევა 42%-იანი წილითაა წარმოდგენილი, რაც 447 მლნ ლარს უტოლდება (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). TOP 5 სექტორის ჭრილში შემდგომი მაქსიმალური მაჩვენებლით მას მოჰყვება სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევა 19%-იანი საბაზრო წილით, რაც რაოდენობრივ ჭრილში 205 მლნ ლარია; შემდგომ ქონება 126 მლნ ლარით ანუ 12%-იანი საბაზრო წილით, ავტო პასუხისმგებლობის დაზღვევა 7%-ითა და სიცოცხლის დაზღვევა 8%-იანი წილით, 90 მლნ ლარით. ეს უკანასკნელი,

უმეტესწილად საბანკო პროდუქტებთან მიმართულ, დაკავშირებულ პროდუქტს უკავშირდება, თუმცა დამოუკიდებელ ნაწილშიც აქვს მომხმარებლების მხრიდან მოხმარებაც უშუალოდ ჯანმრთელობის დაზღვევის კომპონენტშიც (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ასევე, ბოლო წლებში იკვეთება სადაზღვევო სექტორში თანამედროვე, ჯანსაღი მართვის მექანიზმების დანერგვა. კერძოდ, აქცენტირებულია დამოუკიდებელი დირექტორების ინსტიტუტის შემოღება კომისიებსა და კომპანიებში (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2022). რაც ხელს უწყობს თანაბარ ინტერესებსა და გამჭვირვალობას. ასეთ რეფორმებს აქვს პირდაპირი კავშირი საერთაშორისო მარეგულირებელ პრაქტიკასთან და მომხმარებელთა დაცვის სტანდარტებთან.

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის საკანონმდებლო ასპექტები, რომელიც ამ ეტაპის მონაცემებით რამდენიმე ფუნდამენტური დოკუმენტით რეგულირდება. ესენია: „საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ, კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ.“ (სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სტანდარტულად სადაზღვევო საქმიანობის ჭრილში 3 ფუნდამენტურ საქმიანობის ტიპზე ხდება ლიცენზიის გაცემა. ჩამონათვალი შემდეგია: სიცოცხლის, არასიცოცხლის და გადაზღვევა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2013). შესაბამისად, ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრულია შევსებული კაპიტალის კონკრეტული მაჩვენებელი თითოეული ზემოჩამოთვლილისათვის. განაწილებას კი შემდეგი სახე აქვს: სიცოცხლის დაზღვევა 7,2 მლნ. ლარი, დაზღვევა - არასიცოცხლის 4,8 მლნ. ლარი, გადაზღვევა 7,2 მლნ. ლარი. (სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). სადაზღვევო საქმიანობის დასაწყებად, როგორ წესი, მიმართვა ხდება საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სახელზე, სადაც გარდა ტექნიკური ტიპის საბუთებისა (როგორიცაა: განაცხადი, მოთხოვნა, წესდება და ა.შ) აუცილებელია წარდგენილ იქნას მინიმალური კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინფორმაცია კაპიტალის წარმოშობის შესახებ და ასევე, 3 წლის საქმიანობის ბიზნესგეგმა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2004).

აღნიშნული დოკუმენტები, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და საინტერესოდ შეიძლება იქნას მიჩნეული, რაც თავის მხრივ ზოგადი თვალსაზრისით გავლენას ახდენს მომხმარებლების მხრიდან ჩამოყალიბებულ ნდობის ფაქტორზე და განაპირობებს მათი უფლებების დაცულობას, რაშიც უდიდესი როლი სწორედ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს აქვს. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო პროდუქტების კომპლექსურობის გათვალისწინებით არსებობს მრავალი ფაქტორი რომელსაც დარგის მოთამაშეებზე აქვს გავლენა, ამიტომ კომპანიის მოქნილობა არის ის საკითხი, რაზეც მან აუცილებლად უნდა იზრუნოს. ამასთან, ისევე, როგორც მსოფლიოში, ქართულ რეალობაშიც არსებული არაპროგნოზირებადი გარემო კიდევ უფრო მეტად ზრდის დაზღვევის აუცილებლობას ზოგადი რისკებისა და ფინანსური ზარალების/დანაკარგების თავიდან ასარიდებლად/შესამცირებლად. სწორედ, დასახელებულის პარალელურად იზრ-

დება მარეგულირებლის როლიც (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).. ამ ეტაპის უახლესი მონაცემებით ბაზრის გადახდისუნარიანობა სკამაოდ დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი და ის 179%-ს უტოლდება (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).. ამ მაჩვენებლით კონკრეტულად რომ განვმარტოთ გამოსახულია საზედამხედველო კაპიტალის ზედმეტობა. განხილულის პარალელურად ისიც უნდა ითქვას, რომ მარეგულირებლის მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, რაც მათ შორის იმითაც დასტურდება რომ რიგ შემთხვევებში მზღვევლებს ანუ სადაზღვევო კომპანიებს უწევთ რომ მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოახდინონ კაპიტალში დამატებითი ინვესტირება. საგულისხმოა, რომ დისკონტირებული აქტივების წილი ჯამურ მაცვენებლში შემცირების ტენდენციით გამოიღვევა დღიდან საზედამხედველო მოთხოვნების დაწესებისა (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024). ამასთან სამსახური აგრძელებს Solvency II-თან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარებას და არსებული ბაზის ჰარმონიზაციის პროცესს (საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, 2024).

დასკვნა

ბოლო წლებში არსებული პროგრესის და საერთაშორისო პრაქტიკის კომპონენტების იმპლემენტაციის მიუხედავად, ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც აფერხებს ბაზრის განვითარებას. აღნიშნულის პარალელურად არსებობს რიგი ფაქტორები, რასაც კომპანიების, მზღვევლების და და ზოგადი თვალსაზრისით, სექტორის ყველა მონაწილის ზრდის პერსპექტივაზე გავლენა აქვს. ამასთან, საზოგადოების ცნობიერება სადაზღვევო პროდუქტების მიმართ ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე, რაც ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექტორისთვის. საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია გრძელვადიანად მზარდია და უკვე აჩვენებს სტაბილურობას, თუმცა ბაზრის მასშტაბი მცირეა და რეფორმების საჭიროებაც იკვეთება. ბოლო წლებში განხორციელებულმა რეგულაციებმა მკვეთრად გაზარდეს სექტორის გამჭვირვალობა და საერთაშორისო მოთხოვნილებებთან დაახლოების ხარისხი. ჯანდაცვის სექტორი კვლავ რჩება გამოწვევად დაფარვის თვალსაზრისით. გარდამავალ ეტაპს განეკუთვნება სავალდებულო ავტომობილების დაზღვევა და სხვა თემატური სეგმენტები, რაც გაზრდის ბაზრის და ფინანსურ მდგრადობას. სამომავლოდ, სექტორის პერსპექტივები უკავშირდება დიგიტალიზაციას, სიღრმისეულ სადაზღვევო პროდუქტებს და მომხმარებლების გაძლიერებულ დაცვის სტრატეგიას ახალი ციფრული და საგანმანათლებლო მიდგომებით.

აღსანიშნავია, რომ ბაზრის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მარეგულირებლის წინაშე მდგარი ერთ-ერთი საკითხია. დღევანდელ საქართველოს მოსახლეობაში მხოლოდ რიგი პროდუქტები სარგებლობენ პოპულარობით. სხვა შემთხვევაში ადამიანები არ ფლობენ ინფორმაციას მათთვის მნიშვნელოვანი დაზღვევის შესახებ. თავის მხრივ დასახელებული საკითხი, როგორც ბიზნესის ასევე ზედამხედველობის სამსახურისთვის გამოწვევაა.

ცალსახაა, რომ სექტორის ფუნქციონირებაში მარეგულირებლის როლი საკმაოდ დიდია, რაც განპირობებულია ბაზრის და რისკის სპეციფიკით, შესაბამისად დირექტივების, ნორმების, საქმიანობის სპეციფიკის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანა ცვალებად გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ზედამ-

ხედველობა ამ მიმართულებით შესაბამის აქტივობებს და ქმედით ნაბიჯებს ახორციელებს, თუმცა მნიშვნელოვანია გაიზომოს როგორია გავლენის ხარისხი და ამასთან გავლენა კომპანიების ფინანსურ ზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. (2025). *სამსახურის შესახებ*. Retrieved from insurance.gov.ge: https://insurance.gov.ge/ka/News/dazghvevis_dghe#:~:text=1997%20წლის%202%20მაისს%20ხელი,წლის%202%20მაისს%20A0%20პირველად%20აღინიშნა

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. (2022). *საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა*. Retrieved from insurance.gov.ge: https://insurance.gov.ge/Statistics.aspx/News/parlamentshi_sakartvelos_dazghvevis_sakhelmtsifo_zedamkhedvelobis_samsakhuris_sametvalkureo_sabchos_skhdoma_gaimarta#:~:text=ირაკლი%20კოვზანაძის%20თქმით%20C%20მნიშვნელოვანია%20C%20სადაზღვევო,საბიუჯეტო%20კომიტეტი

ვერულავა, თ. (2018). *დაზღვევის ისტორია*. <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/696/დაზღვევის%20ისტორია.pdf?sequence=1&isAllowed=y>.

ვერულავა, თ., ჯარიმი, ლ., იმნაძე, პ., ჯორბენაძე, რ., ხიშტოვანი, გ., & ჯაყელი, კ. (2015). *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა*. http://eprints.iliauni.edu.ge/6388/1/კრებული_2015_სრული.pdf.

ვერულავა, თ., & ბიბილეიშვილი, მ. (2016). http://eprints.iliauni.edu.ge/4059/1/ჯანმრთელობის_სოციალური_დაზღვევის_მართულის_კონკურენციის_მოდელი_და_საქართველოს_რეფორმები.pdf.

მაცნე, ს. ს. (2004, 12 23). *კანონი მაუწყებლობის შესახებ*. Retrieved from matsne.gov.ge: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=63>

მაუწყებელი, ს. ს. (2018). *სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2018-2021წლების პროგრამული პრიორიტეტები*. Retrieved from 1tv.ge: <https://cdn.1tv.ge/app/uploads/2018/06/2018-2021-wlebis-programuli-prioritetebi-1--1529677431.pdf>

ჟვანია, გ. (1990). *ქართული დოკუმენტური კინო*. თბილისი: "ხელოვნება".

Juel, H. (2006). Defining Documentary film. *POV A Danish Journal of Film Studies*, 5-15.

Nichols, b. (2017). *Introduction to documentary*. USA: Indiana university press.

Entman, R. M. (1993). Framing: Toward Clarification of a Fractured Paradigm. *Journal of Communication*, 51-58.

Murashko, O., Havrylyuk, R., Operuk, V., Zhuvahina, I., Chornovol, A., & Andriyenko, M. (2021). *ECONOMIC AND LEGAL ASPECTS OF EU INSURANCE MARKET DEVELOPMENT*. <https://www.proquest.com/docview/2565225936/fulltextPDF/F5289293D96E4460PQ/1?accountid=143042>.

Maier, M., Carlotto, H., Saperstein, S., Sanchez, F., Balogun, S., & Merritt, S. (2020). *Improving the Accuracy and Transparency of Underwriting with Artificial Intelligence to Transform the Life-Insurance Industry*.

<https://www.proquest.com/docview/2451174428/fulltextPDF/1C441E3D6BB54014PQ/1?accountid=143042>.

Deborah L., L., & Deborah L., S. (2015). *Risk Management in the Insurance Industry: A Comparison of Solvency II to U.S. Insurance Regulations*. https://www-jstor-org.ezproxy.iliauni.edu.ge/stable/pdf/43574415.pdf?refreqid=excelsior%3A35476af5df6e303075ab16215e55f2a6&ab_segments=&origin=&acceptTC=1.

VERULAVA, T., & JORBENADZE, A. (2021). *CONTEXT AND ISSUES OF SOCIAL HEALTH INSURANCE INTRODUCTION IN GEORGIA*. <https://umbalk.org/wp-content/uploads/2021/09/09.CONTEXT-AND-ISSUES-OF-SOCIAL-HEALTH-INSURANCE.pdf>.

Hall, M. A. (2014). *The Latest Legal Challenges to Insurance Market Reforms*. https://www-jstor-org.ezproxy.iliauni.edu.ge/stable/44159042?seq=1#metadata_info_tab_contents.

Yang, W. (2021). *Service Innovation of Insurance Data Based on Cloud Computing in the Era of Big Data*. <https://resolver-ebscohost-com.ezproxy.iliauni.edu.ge/openurl?sid=EBSCO%3aedb&genre=article&issn=10762787&ISBN=&volume=&issue=&date=20210723&spage=1&pages=1-10&title=Complexity&atitle=Service+Innovation+of+Insurance+Data+Based+on+Cloud+Computing+in+the+Er>.

Hardwick , P., & Dou, W. (2006). *The Competitiveness of EU Insurance Industries*. <https://www-tandfonline-com.ezproxy.iliauni.edu.ge/doi/pdf/10.1080/02642069800000003?needAccess=true>.

Goovaerts, M., De Vylder, F., & Haezendonck, J. (1986). *Insurance and Risk Theory*. <https://link.springer.com/book/10.1007/978-94-009-4620-0>.

Porrini, D. (2015). Risk Classification Efficiency and the Insurance Market Regulation. <https://www.mdpi.com/2227-9091/3/4/445>.

Kočović, J., Koprivica, M., & Paunović, B. (2017). INITIAL EFFECTS OF SOLVENCY II IMPLEMENTATION IN THE EUROPEAN UNION. <https://scindeks-clanci.ceon.rs/data/pdf/0353-443X/2017/0353-443X1708436K.pdf>.

OECD. (2023). *Global Insurance Market Trends 2023* . <https://doi.org/10.1787/e141d5ff-en>: OECD.

Verulava, T. (2023). *Managed Competition and Health Insurance Reforms in Georgia*. https://www.researchgate.net/profile/Tengiz-Verulava/publication/370161825_Managed_Competition_and_Health_Insurance_Reforms_in_Georgia/links/6442f64a017bc07902cdc683/Managed-Competition-and-Health-Insurance-Reforms-in-Georgia.pdf.

Deloitte. (2020). *Impact of COVID-19 on the insurance industry* . <https://www2.deloitte.com/ie/en/pages/covid-19/articles/impact-COVID-19-insurance-industry.html>.

Salome Liparteliani

PhD student at Caucasus International University

INSURANCE INDUSTRY TRANSFORMATION IN GEORGIA: REGULATIONS AND PROSPECTS

Expanded Summary

This paper explores the transformation of the Georgian insurance industry in the context of ongoing regulatory reforms, economic developments, and alignment with international standards. In recent years, Georgia's insurance sector has demonstrated notable growth, reaching a record-breaking milestone in 2023 when the total value of gross written premiums surpassed 1 billion GEL for the first time. Despite this achievement, the market remains relatively underdeveloped, with insurance penetration still at a modest 1.33% of GDP—far below the average levels observed across the Eurozone. This gap highlights the untapped potential and the need for systemic improvements in the sector's structure, regulatory framework, and consumer engagement.

The primary focus of this study is to evaluate the regulatory evolution of Georgia's insurance market, particularly in relation to the implementation of Solvency II directives and other European standards. While some progress has been made in harmonizing national legislation with EU norms, the full integration of these directives requires further institutional capacity-building, financial investments, and strategic oversight. The Insurance State Supervision Service of Georgia (ISSSG) has played a critical role in initiating reforms aimed at improving market transparency, enhancing consumer protection, and fostering a more competitive and sustainable insurance environment. The introduction of capital adequacy requirements, the promotion of independent directorship in supervisory boards, and the development of risk-based supervision are among the key developments discussed in this research.

The study employs a data-driven and policy-oriented methodology, combining descriptive statistics with legislative analysis and international comparison. By analyzing recent financial data, including premium volumes, claims ratios, underwriting profits, and solvency margins, the paper presents an empirical portrait of market performance. In parallel, the research outlines the legislative instruments regulating the sector, such as the “Law on Insurance,” “Law on Non-State Pension Insurance,” and specific laws related to mandatory vehicle insurance. These instruments collectively define licensing requirements, capital thresholds (7.2 million GEL for life and reinsurance, 4.8 million GEL for non-life), and procedural conditions for market entry.

In terms of market structure, the research reveals that health insurance occupies the largest share (42%) of the total market volume, mainly through corporate insurance packages. This is followed by motor insurance (19%), property insurance (12%), liability insurance (7%), and life insurance (8%). These figures suggest a strong concentration of demand in a limited number of insurance products, underlining the need for product diversification and financial innovation. Additionally, the number of active insurance companies and brokers remains relatively low, though interest in brokerage services is growing, as reflected by the increasing number of new registrations.

International experiences, especially from EU member states, provide useful benchmarks for evaluating Georgia's progress. As discussed, the adoption of Solvency II and the Insurance Distribution Directive (IDD) in Europe has significantly improved the resilience and accountability of insurance companies. These frameworks are designed to prevent insolvency crises and ensure timely claim settlements by enforcing optimal risk assessment and capital allocation standards. Georgia's gradual transition toward these standards is promising, but it

requires continued technical assistance, policy refinement, and capacity development to reach full effectiveness.

Despite the structural improvements and regulatory tightening, several challenges persist. Public awareness and trust in insurance services remain limited, especially outside large urban centers. Many citizens are unaware of the benefits of coverage, and a significant portion of the population still perceives insurance as a luxury rather than a necessity. Moreover, some critical types of insurance, such as third-party motor liability, are not yet mandatory, further constraining market expansion. These limitations point to the need for both public education campaigns and legal reforms to stimulate demand and build a risk-aware society.

From a financial perspective, the insurance market in Georgia maintains a relatively stable solvency ratio—reported at 179% in the latest assessment—suggesting that insurers currently hold surplus capital above the minimum regulatory requirements. However, this stability is partially reliant on regulatory interventions, including mandatory capital injections and asset portfolio adjustments. It is essential for regulators and policymakers to evaluate whether such stability translates into long-term financial growth and improved operational efficiency for market participants.

In conclusion, the Georgian insurance sector is on a path of cautious but steady transformation, fueled by regulatory alignment with the EU, modest market growth, and increasing institutional maturity. The combination of legislative harmonization, improved governance practices, and sectoral digitization provides a foundation for future resilience and competitiveness. However, realizing the full potential of the industry will require a multi-dimensional approach involving legal reforms, financial education, technological modernization, and strategic investments. The findings of this study contribute to the broader academic and policy dialogue on insurance market development in emerging economies and call for further empirical investigations into the causal links between regulation, financial performance, and public welfare.

შმაგი ზუგხრიკიძე

ეკონომიკის მაგისტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია: გამოწვევები და მოსალოდნელი ცვლილებები ტექნოლოგიებში

ანოტაცია. სტატიაში დასაბუთებულია მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში. ასევე, განხილულია მისი მამოძრავებელი ტექნოლოგიები და ინოვაციები.

ნაშრომი იძლევა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ყოვლისმომცველ მიმოხილვას, იკვლევს ისტორიულ კონტექსტს, ტექნოლოგიურ საფუძვლებს და მის მრავალგანზომილებიან გავლენას ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებზე.

სტატიაში განხილულია მონაცემების, როგორც კრიტიკული აქტივის, როლი ციფრულ ეპოქაში, კიბერუსაფრთხოების, მონაცემთა მმართველობისა და ციფრული ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებთან ერთად.

სტატია ამტკიცებს, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ზრდისა და წინსვლის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა, თუმცა, ასევე, მოითხოვს მთავრობებს, ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობით ძალისხმევას, რათა სარგებელი სამართლიანად იყოს გადანაწილებული და შეესაბამებოდეს გრძელვადიანი საზოგადოებრივი განვითარების მიზნებს.

ნაშრომი ეყრდნობა კვლევის სხვადასხვა თეორიულ-მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს, გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, შედარების, ფაქტორული და სხვა მეთოდი. საქართველოს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კომპონენტების გავრცელების ხარისხის გამოსავლენად ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა Google Form ონლაინ კითხვარის საშუალებით.

რესპონდენტების გამოკითხვით გამოკვეთილია მოსახლეობის ინფორმირებულობა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისა და მისი კომპონენტების შესახებ, გამოვლენილია მისი როლი და გამოყენების სიხშირე როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე სასწავლო და პროფესიული მიზნებისათვის.

ნაშრომში მოცემულია დასკვნები მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეულ შედეგებზე, მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, ინოვაციური ტექნოლოგიები, ციფრული ტრანსფორმაცია, მდგრადი განვითარება.

შესავალი

სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა პროგრესმა რადიკალურად შეცვალა ადამიანის არსებობის პირობები. კაცობრიობამ მიღწია თავისი განვითარების მანამდე არნახულ დონეს და ეს შეძლო წარმოებისა და მენეჯმენტის რადიკალური ტრანსფორმაციით, ასევე, თვით ცხოვრების წესის ცვლილებით.

ტექნოლოგიური წესრიგის ტრანსფორმაციას, რამაც გამოიწვია ეკონომიკისა და მწარმოებლურობის სწრაფი ზრდა, არაერთხელ ჰქონდა ადგილი კაცობრიობის

ისტორიაში. ყველაზე რადიკალურ ცვლილებებს მეცნიერები ინდუსტრიულ რევოლუციებს უკავშირებენ.

პირველი რევოლუცია მე-18 საუკუნის ბოლოს მოხდა, როცა ორთქლის ენერგიაზე დაფუძნებულმა მექანიზაციამ შესაძლებელი გახადა აგრარულიდან სამრეწველოზე ეკონომიკაზე გადასვლა.

მეორე ინდუსტრიული რევოლუცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში განხორციელდა და დაფუძნებული იყო კონვეიერული ამწყობი ხაზებისა, შრომის დანაწილებისა და ელექტროენერგიის მასობრივ გამოყენებაზე.

მესამე რევოლუცია, რომელიც დაიწყო წინა საუკუნის 70-იან წლებში, ეყრდნობოდა ელექტრონიკას და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. მან განაპირობა საწარმოო პროცესების აჩქარებული ავტომატიზაცია და რობოტიზაცია.

ამჟამად მიმდინარე მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას სირთულითა და მასშტაბით ანალოგი არ აქვს. მისი არსი მდგომარეობს სრულად ავტომატიზებულ ციფრულ წარმოებაზე გადასვლაში, რომლის მენეჯმენტიც ხორციელდება ინტელექტუალური სისტემებით, ასევე, ნივთებისა და სერვისებისათვის იქმნება გლობალური ქსელით [Schwab, 2016, 1]. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციას თან ახლავს მრავალი გამოწვევა და შესაძლებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით კვლევების განხორციელება და ტექნოლოგიებში მოსალოდნელი ცვლილებების შეფასების საფუძველზე სამომავლო განვითარების მიმართულებების გამოვლენა.

კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანია მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შემადგენელი კომპონენტების პოზიტიური და ნეგატიური შედეგების შეფასების საფუძველზე ეკონომიკაში არსებული გამოწვევების დადგენა და განვითარების სამომავლო მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის, შედარების, ანალოგიისა და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. Google survey-ს პლატფორმის გამოყენებით ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია უცხოელ და ქართველ მეცნიერთა, მათ შორის კ. შვაბის, კ. კრანოვის, ჯ.მ დევიდისა და სხვათა ნაშრომები.

ასევე, შესწავლილია საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების ანგარიშები და ვებგვერდზე განთავსებული მასალები.

თავისი არსით მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია (ინდუსტრია 4.0) წარმოადგენს სრულად ავტომატიზებულ ციფრულ წარმოებაზე გადასვლას, რომელიც გაკონტროლდება ინტელექტუალური სისტემებით, გლობალურში გაერთიანების პერსპექტივით ნივთებისა და სერვისების ინდუსტრიული ქსელში (Tadviser, 2017).

ვიწრო გაგებით, ინდუსტრია 4.0 არის სახელმწიფო მაღალტექნოლოგიური სტრატეგიის პროექტიდან ერთ-ერთი, რომელიც აღწერს ე.წ. „ჭკვიანია წარმოების“

კონცეფციას და დაფუძნებულია გლობალურ ნივთებისა და სერვისების ინტერნეტის ინდუსტრიული ქსელზე (Kharaisvili et.al 2024).

ფართო გაგებით, ინდუსტრია 4.0 ახასიათებს მიმდინარე ავტომატიზაციისა და მონაცემთა გაცვლის განვითარების ტენდენციებს, რომელიც მოიცავს კიბერ-ფიზიკურ სისტემებს, ნივთების ინტერნეტს და ღრუბლოვანი გამოთვლებს (ზაქარაძე, 2021).

ისევე როგორც წინა სამი სამრეწველო რევოლუციის შემთხვევაში, ინდუსტრია 4.0-საც გააჩნია მისი მამოძრავებელი ძირეული ტექნოლოგიები, რომელიც ამ საკითხის შემსწავლელ ლიტერატურაში მოიხსენიება როგორც მოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კომპონენტები. მათგან აღსანიშნავია:

- ხელოვნური ინტელექტი;
- რობოტექნიკა;
- ახალი თაობის მობილური კავშირები;
- ადგილმდებარეობისა და პიროვნების დადგენის ტექნოლოგიები;
- ღრუბლოვანი გამოთვლები;
- ე.წ. „Big Data“ ;
- ნივთების ინტერნეტი;
- კიბერ უსაფრთხოება;
- ინტეგრაციული სისტემები;
- კომპიუტერული მოდელირება;
- ვირტუალური და შერეული რეალობა.

ამ კომპონენტებიდან ბევრი დიდი ხანია ფართოდ გამოიყენება წარმოებაში, მაგრამ ფიქსირდებოდა ცალკე-ცალკე გამოყენებაც. ინდუსტრია 4.0 გვთავაზობს მათ ერთიან სისტემაში გაერთიანებას, რაც საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ წარმოების ეფექტიანობის ახალი დონე. ინდუსტრია 4.0-ის როლი შეფასებულია ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების პროცესშიც (Kharaisvili, E., Natsvlishvil, I., Lazariashvili, T. 2025).

ანალიზის სრულყოფილებისათვის ქვემოთ დეტალურადაა განხილული ზოგიერთი კომპონენტი:

ხელოვნური ინტელექტი

განვითარებისა და წინსვლის უპირობო სწრაფვამ უზიდა კაცობრიობას ხელოვნური ინტელექტის შექმნისაკენ და ის გახდა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის საფუძველი. პირველად ეს ტერმინი გამოიყენეს 1956 წელს დარტმურის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ნიუ ჰემფშირის კოლეჯში. მისი ავტორია ამერიკელი მეცნიერი, ჯონ მაკკარტი. ხელოვნური ინტელექტი (AI) განისაზღვრა, როგორც სისტემა, რომელსაც შეუძლია გარემოს აღქმა და მასზე რეაგირება. ხელოვნური ინტელექტი არის ადამიანის ინტელექტის იმიტაცია, თუ გნებავთ, ვირტუალურ სივრცეში ადამიანის მსგავსების შექმნა.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია და ხელოვნური ინტელექტი განუყოფელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თუმცა, ძნელი სათქმელია არის თუ არა კონკრეტულად ხელოვნური ინტელექტი ის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიწვევს მსოფლიოს ძირეულ ტრანსფორმაციას. აშკარაა რომ უკვე ახლა ხელოვნური ინტელექტი ადამიანს არაერთ სფეროში ეხმარება:

- ფინანსები;
- მედიცინა;

- ადამიანური რესურსების მართვა და რეკრუტირება;
- მომხმარებლებთან ურთიერთობა;
- სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია;
- ავტომატიზებული სისტემების მართვა.

ნივთების ინტერნეტი ახალი ინდუსტრიული რევოლუციის კიდევ ერთი კომპონენტი არის ნივთების ინტერნეტი (IoT). ეს ტერმინი შემოგვთავაზა 1999 წელს ბრიტანელმა მეცნიერმა კევინ ეშტონმა. ეს კონცეფცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც ვირტუალური და რეალური სამყაროს კონვერგენცია: მატერიალური ობიექტები (ნივთები), რომლებიც აღჭურვილია ჩაშენებული ინფორმაციის გადაცემის ტექნოლოგიით, ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, აწყობენ ერთგვარ ქსელს. ეს ფენომენი შესაძლებელი გახდა ინტერნეტთან დაკავშირებული მოწყობილობების ზრდის შედეგად (Ashton, 1999).

ასეთ ტექნოლოგიებს შეუძლია სერიოზული ცვლილებები მოახდინოს საზოგადოებაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში. ნივთების ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მაგალითია ქსელური მანქანები, რომლებიც აქტიურად პოპულარიზაციას ახდენენ. ამ მხრივ აქტიურად მუშაობს Google-ი. Gartner Inc.-ის პროგნოზების მიხედვით, 2030 წელს დაახლოებით 250 მილიონი დაკავშირებული მანქანა იქნება გზებზე, რაც მოუტანს ავტომობილის სრულიად ახალ ფუნქციონალს და სრული ავტომატური მართვის შესაძლებლობებს (Garther Logistics, 2024).

ეს პლატფორმა გამოიყენება მეწარმეობაშიც. ნივთების ინტერნეტი იძლევა სხვადასხვა ინდუსტრიული მოწყობილობების დაკავშირების საშუალებას რომლებიც აღჭურვილია აღმოჩენის, იდენტიფიკაციის, დამუშავების, კომუნიკაციის, აქტივაციისა და ქსელის ფუნქციებით, დაკავშირების საშუალებას. ინტელექტუალური IoT სისტემები საშუალებას გაძლევთ სწრაფად აწარმოოთ და მოახდინოთ ახალი პროდუქტების ოპტიმიზაცია, ასევე სწრაფად უპასუხოთ პროდუქტის საჭიროებებს (Haq, 2025).

IoT ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას აქტივების მენეჯმენტში პროგნოზირებადი შენარჩუნების, სტატისტიკური შეფასებისა და გაზომვების გამოყენებით მაქსიმალური სანდოობის უზრუნველსაყოფად. სამრეწველო კონტროლის სისტემები შეიძლება ინტეგრირებული იყოს ჭკვიან ქსელებთან ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციისთვის. გაზომვა, ავტომატიზაციის კონტროლი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვა და სხვა ფუნქციები უზრუნველყოფილია ქსელის სენსორებით.

„Big Data“

ტერმინის შემოღება დაკავშირებულია ჟურნალ Nature-ის რედაქტორთან, კლიფორდ ლინჩთან. ნაშრომში „როგორ შეუძლია ტექნოლოგიებს, რომლებიც ხსნიან დიდ მონაცემებთან მუშაობის შესაძლებლობებს, გავლენა მოახდინონ მომავალზე?“ მან განიხილა მონაცემების მოცულობის ფეთქებადი ზრდის ფენომენი და დამუშავებული მონაცემების მრავალფეროვნების ასპექტები (Lynch, 2008).

ზოგადად „Big Data“ არის დიდი მოცულობისა და მნიშვნელოვანი მრავალფეროვნების სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების აღნიშვნა, ეფექტიანად დამუშავებული ჰორიზონტალურად მასშტაბური პროგრამული ინსტრუმენტებით, რომლებიც გამოჩნდა 2000-იანი წლების ბოლოს და წარმოადგენს მონაცემთა ბაზის მართვის ტრადიციული სისტემების ალტერნატივას.

ფართო გაგებით იგი არის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია დიდი რაოდენობის მონაცემების ანალიზის ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაჩენასთან, ზოგიერთ პრობლემურ სფეროებში - მონაცემთა მთლიანი გლობალური მოცულობით და შედეგად მიღებული ტრანსფორმაციული შედეგები.

„ Big Data “ გამოიყენება ნებისმიერ სფეროში სადაც, საჭიროა დიდი მოცულობის მონაცემთა მასივების ანალიზი და კვლევა. ამგვარ სფეროებს შეიძლება მივაკუთვნოთ: სტატისტიკა, საძიებო სისტემები, მედიკალატორები, სამთავრობო რეგისტრები და ა.შ.

ეს და უამრავი სხვა ტექნოლოგია თავისი უდავო უპირატესობების გამო დადებით ეფექტს იქონიებს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროზე. სამწუხაროდ მათი დანერგვა დაკავშირებულია რიგ გამოწვევებთან, მაგალითად, დღეს ძნელია ზუსტად წარმოვიდგინოთ, რა შედეგები მოჰყვება ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის საზოგადოებისა და მთლიანად მსოფლიოსთვის.

ბევრ მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს პროცესი მრავალ გამოწვევას შექმნის დასაქმების სფეროში. ეს ლოგიკურია, რადგანაც ხელოვნურ ინტელექტს გააჩნია რიგი. ბევრი კვლევითი ორგანიზაცია ხაზს უსვამს ამ პრობლემას, მაგალითად, McKinsey-ის პროგნოზით, 2030 წლისთვის პლანეტაზე დაახლოებით 400 მილიონი ადამიანი, ანუ სამუშაო ძალის 14% დაკარგავს სამუშაოს იმის გამო, რომ მათ ფუნქციებს პროგრამები და რობოტები შეასრულებენ (McKinsey & Company, 2019). თუმცა რიგი მკვლევრები უფრო ოპტიმისტურები არიან: "ადამიანს ჩაანაცვლებს არა ხელოვნური ინტელექტი, არამედ სხვა ადამიანი, რომელიც გამოიყენებს ხელოვნურ ინტელექტს" (კრაინოვი, 2023) - ამბობს ალექსანდრე კრაინოვი. იგივე მოსაზრებას იზიარებს პროფესორი ინეზა გაგნიძეც. მისი აზრით მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ბევრ გამოწვევას უქმნის ბიზნესს, რომლის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, მოსალოდნელია მრავალი სამუშაო ადგილის გაქრობა და, ამავდროულად, ბევრი ახლის გამოჩენა (გაგნიძე, 2024).

გარდა იმ გამოწვევებისა, რომლებსაც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია შრომის ბაზარს მოუტანს, მკვლევრები ამახვილებენ ყურადღებას ისეთ მზარდ საფრთხეზე როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და ჰაკერობა. ეს საფრთხე იზრდება იმ პირობებში, როდესაც ჩვენი ცხოვრება ფართოდ არის დაკავშირებული სხვადასხვა მოწყობილობებთან, დაწყებული ჩვენი მობილური ტელეფონებით, კომპიუტერებითა და მანქანებით, სახლის უსაფრთხოების კამერებით და ჰკვიანი მოწყობილობებით დამთავრებული. კომპანიები და მთავრობები მილიარდობით დოლარს ხარჯავენ კიბერუსაფრთხოების სისტემების სრულყოფისთვის, მაგრამ სამწუხაროდ კიბერდამნაშავეებიც სულ უფრო ჰკვიანები ხდებიან.

ხელოვნური ინტელექტის, გენური ინჟინერიისა და რობოტების ეპოქაში ჩვენ ვაწყდებით ახალ ეთიკური დილემებს. უამრავი დებატები წარმოიშვა გენური ინჟინერიაში ინსტრუმენტებისა და კვლევის ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. ერთის მხრივ, გენეტიკური დაავადების პრევენცია გენეტიკური ინჟინერიით უამრავ სიცოცხლეს გადაარჩენს. მეორე მხრივ, რა სახელმძღვანელო პრინციპები, რეგულაციები ან ეთიკური საზღვრები უნდა დავადგინოთ, რათა თავიდან ავიცილოთ გენეტიკის გადამეტებული მანიპულირება სასურველი მიზნების მისაღწევად? ანდა არსებობს ასეთი რამ, როგორც ზედმეტი მანიპულირება? ეს კითხვები ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება.

მსოფლიოს მოიწევს ამ და სხვა გამოწვევების გადალახვა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის სიკეთეების გამოსაყენებლად, რომლებიც გამოიხატება იმ პოზიტიურ ცვლილებებში, რომლებსაც გააჩნიათ კაცობრიობის ცხოვრების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების პოტენციალი.

კრის ანდერსონი პროგნოზირებს, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, სავარაუდოდ, შეამცირებს ბარიერებს გამომგონებლებსა და ბაზრებს შორის ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, როგორცაა 3D ბეჭდვა. მაგალითად, ინჟინრები იყენებენ სწრაფ პროტოტიპის ტექნიკას 3D მოდელების შესაქმნელად და შემდგომში მათ მცირე მასშტაბში დასაბეჭდად. ამგვარი ხერხი საშუალებას აძლევთ მათ უფრო კარგად გაანალიზონ ვირტუალურ სამყაროში არსებული მოდელების რეალური თვისებები. ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა 3D ბეჭდვა, საშუალებას აძლევს მეწარმეებს ახალი იდეებით დააარსონ მცირე კომპანიები დაბალი საწყისი ხარჯებით.

საინტერესოა თვით მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კონცეფციის ავტორის ხედვაც. კლაუს შვაბის აზრით ინოვაციური ტექნოლოგიები გააერთიანებს სხვადასხვა სამეცნიერო და ტექნიკურ დისციპლინებს. ძირითადი ძალები გაერთიანდებიან "ტექნოლოგიების შერწყმაში, რაც დაარღვევს ბარიერებს ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის" (Schwab, 2016). ტექნოლოგიების ეს შერწყმა სცილდება უბრალო კომბინაციის ფარგლებს. იგი უფრო მეტია, ვიდრე დამატებითი ტექნოლოგია, რადგან ის ქმნის ახალ ბაზრებს და ზრდის ახალ შესაძლებლობებს ინოვაციის თითოეული მონაწილისთვის. ინდუსტრიული რევოლუციის მნიშვნელოვანი გავლენა ნებისმიერ ბაზარზე არაერთი მეცნიერის მიერ არის დასაბუთებული (ხარაიშვილი, ლობჯანიძე, 2023).

მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი რობოტეკნიკაშიც. „რობოტებს შეუძლიათ და შეცვლიან კიდევაც ჩვენს ცხოვრებას უახლოეს მომავალში. ტექნიკურად რობოტები ავტომატიზებული მოტორიზებული იარაღებია. ისინი ამზადებენ საჭმელს, უკრავენ ჩვენს მუსიკას, ჩაწერენ ჩვენს შოუებს და ჩვენს მანქანებსაც კი მართავენ. მაგრამ ჩვენ ამას უბრალოდ ვერ ვხედავთ, რადგან რობოტებს არ აქვთ სახე, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია დაველაპარაკოთ, ან უკანალი, რომელსაც შეგვიძლია დავარტყით.“ (Tilden, 2015) შესაბამისად, რობოტებს აქვთ პოტენციალი გააუმჯობესონ ჩვენი ცხოვრების ხარისხი სახლში, სამსახურში და ბევრ სხვა ადგილას. პერსონალურად მორგებული რობოტები შექმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, გააუმჯობესებენ არსებული სამუშაოების ხარისხს და მისცემს ადამიანებს მეტ დროს იმისათვის რისი გაკეთებაც სურთ.

დისკუსია და ანალიზი

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კომპონენტების მსოფლიოში გავრცელებადობის შესაფასებლად, პირველ რიგში, საჭიროა გაანალიზდეს ნებისმიერი ინოვაციის საყოველთაო გამოყენებადობისთვისა და ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელი ტექნოლოგიის- ინტერნეტის გავრცელებადობის განხილვა. International Telecommunication Union- ის მონაცემებით ინტერნეტმომხმარებლების რაოდენობამ 2025 წელს 5,496 მლრდ კაცს მიღწია რაც მთელი მოსახლობის 68,57% შეადგენს. ამავე კვლევით ირკვევა რომ მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (International Telecommunication Union, 2025). აღნიშნული ტენდენცია მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ცვლილება 2005-2025 წლებში, %

	2005	2010	2017	2019	2021	2023	2025
ინტერნეტმომხმარებელთა წილი მოსახლეობაში, %	16 %	30 %	48 %	53,6 %	59,5 %	69%	68.7%

წყარო: International Telecommunication Union

იგივე ტენდენციით ხასიათდება საქართველოც. დეტალური მონაცემები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2. ინტერნეტით უზრუნველყოფილი მოსახლეობის წილის ცვლილება 2016- 2023 წლებში, %

	2016, ივნისი	2017, ივნისი	2018, ივლისი	2019, ივლისი	2020, ივლისი	2021, ივლისი	2022, ივლისი	2023, ივლისი
ინტერნეტით უზრუნველყოფილი მოსახლეობის წილი, %	70,1 %	70,7 %	75,8 %	79,3 %	83,8 %	86,1 %	88,4 %	89,3%

წყარო: www.geostat.ge

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კონტექსტში ზოგადად ინტერნეტის გავრცელებადობის ანალიზზე უფრო მნიშვნელოვანი არის მობილური ინტერნეტ-კავშირის განხილვა, რადგანაც ზუსტად ახალი თაობის კავშირები წარმოადგენს მის შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს. მისი დამსახურებით შესაძლებელი ხდება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის სხვა კომპონენტების მუშაობა, მაგალითად: ნივთების ინტერნეტი საჭიროებს მაღალი გამტარობის კავშირებს დიდი რაოდენობის მოწყობილობისათვის, ადგილმდებარეობისა და პიროვნების დადგენის ტექნოლოგიები მოითხოვენ მუდმივ ინტერნეტკავშირს და ა.შ. ინტელექტუალური მოწყობილობის ეფექტიან მუშაობას უზრუნველყოფს მეოთხე და შემდგომი თაობის მობილური ქსელები.

პორტალ statista.com-ის მონაცემებით 2024 წელს მეოთხე თაობის მობილური ქსელებით სარგებლობს 4,611 მლრდ ადამიანი მსოფლიოს გარშემო, ხოლო 1,09 მლრდ მეხუთე თაობით (Statista, 2024). საქართველოში კი უკვე 2 მილიონზე მეტი ადამიანი იყენებს მეხუთე თაობის მობილურ ქსელებს, იმის მიუხედავად, რომ ამ ტექნოლოგიის დანერგვა მხოლოდ 2024 წლის ბოლოს დაიწყო (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024).


რაც შეეხება ნივთების ინტერნეტის მოწყობილობებს: 2023 წელს მათმა რიცხვმა მიღწია 15 მილიარდს, რაც 55,7% - ით მეტია 2020 წლის მონაცემებზე. პროგნოზირებულია რომ მათი რიცხვი 2030 წლამდე 30 მილიარდს მიაღწევს (Ourworldindata, 2023).

ყოველწლიურად იზრდება ასევე ადგილმდებარეობისა და პიროვნების დადგენის მოწყობილობის რაოდენობაც. 2022 წელს ადგილმდებარეობის დადგენის სხვადასხვა ტიპის (Gps, Rfidi, Glonass) 35 მილიარდზე მეტი მოწყობილობა არსებობს, ხოლო პიროვნების იდენტიფიკაციის მოწყობილობების შემთხვევაში ეს რიცხვი 23,5 მილიარდია (Ourworldindata, 2023).

სამწუხაროდ, ამ ბოლო ორი ტექნოლოგიის შესახებ სანდო სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში მდგომარეობის შესახებ არ მოიპოვება. ამ დანაკლისის შევსების მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა 2025 წლის 15 აპრილიდან 5 მაისამდე პერიოდში Google survey-ის პლატფორმის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 229 რესპონდენტმა. დიაგრამაზე 1-ზე მოცემულია რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1

გამოკითხულ რესპონდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით, %




წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემების მიხედვით

გამოკითხულთა უმეტესობა 57,1% 21-22 წლისაა, ხოლო 15- 20 წლისა - 38,1% დანარჩენი 4,8% 56-60 წლის ასაკისაა.

დიაგრამა 2

გამოკითხულ ინფორმირებულობა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ, %

წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემების მიხედვით




კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი 85,7% ფლობს ზოგად ინფორმაციას მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ. დიაგრამაზე 2 ნაჩვენებია თუ რომელი წყაროდან მოიპოვეს მათ ეს ინფორმაცია. გამოკითხულთა 52,4%-მა ინფორმაცია ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ მოიპოვა ინტერნე-

ტიდან, 28,6%- მა სასწავლო დაწესებულებიდან ხოლო 4,8 %- მა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან.

დიაგრამა 3


გამოკითხულთა ინფორმირებულობა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კომპონენტების შესახებ, %



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემების მიხედვით

გამოკვლევის ერთ-ერთი საკითხი იყოს რესპონდენტების ცნობადობის შეფასება, მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კომპონენტების შესახებ. შედეგები განთავსებულია დიაგრამაზე 3.

დიაგრამა 4



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემების მიხედვით

ასევე კვლევის პროცესში გაირკვა თუ რა რაოდენობის რესპონდენტი იყენებს ჩამოთვლილ ტექნოლოგიებს საქმიანი ან/და სასწავლო მიზნებისთვის. შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტთა 100% იყენებს მობილურ ტელეფონსა და მობილურ ქსელებს, 76% სარგებლობს ნივთების ინტერნეტის პლატფორმით და 55%

სარგებლობს ადგილმდებარეობის დადგენისა და პიროვნების იდენტიფიკაციის ტექნოლოგიებს.

კვლევის საფუძველზე რიგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

- გამოკითხულთა უმეტესობა ფლობს ინფორმაციას როგორც მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციაზე, ისე მის შემადგენელ კომპონენტზე;
- კომპონენტების შესახებ ინფორმაციას მოძიების მთავარი წყარო ინტერნეტია;
- რესპონდენტთა უმრავლესობა ყოველდღიურად იყენებს მათ საქმიან ან/და სასწავლო მიზნებისათვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია რადიკალურად განსხვავდება სიჩქარით, მასშტაბით, სირთულით და გარდამტეხი ძალით წინა რევოლუციისგან. თავისი არსით მეოთხე საწარმოო რევოლუცია წარმოადგენს იმ ტექნოლოგიურ ცვლილებებისა და ტენდენციების ერთობლიობას, რომლებიც ყოველდღიურად სრულყოფენ წარმოების პროცესს, აუმჯობესებს გარემოს და ზოგადად ცვლის ცხოვრებას უკეთესობისაკენ.

მისი მამოძრავებელი ძალები, ისევე როგორც სხვა სამრეწველო რევოლუციების შემთხვევაში, არის ახალი ტექნოლოგიები: ხელოვნური ინტელექტი, 3D ბეჭდვა, ვირტუალური რეალობა და სხვა. საინტერესოა ის, რომ ამ ტექნოლოგიების ჩამონათვალი თანდათან იზრდება.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, თანამედროვე ტექნოლოგიები ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადამიანისათვის ხდება ხელმისაწვდომი და ასევე სულ უფრო მეტი კომპანია იყენებს მათ საქმიანობაში. მსგავსი ტენდენციაა საქართველოშიც. ამასთან, ტექნოლოგიების დანერგვის დონე ზოგიერთ სფეროში საკმაოდ მაღალია და იგი ეტაპობრივად ზრდადია.

ამ თეზის ამაგრებს ამავე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ საქართველოში, რესპონდენტთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის კომპონენტების შესახებ. მეტიც, მათი უმეტესობა იყენებს მათ ყოველდღიურად საქმიანი ან/და სასწავლო მიზნებისათვის.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციას შეუძლია გაზარდოს ცხოვრების დონე და წარმოების ეფექტიანობა, მაგრამ ამავედროულად მას მოაქვს არაერთი გამოწვევა. ძირითად შემოფოთებას იწვევს ახალი ტექნოლოგიების მორალური და სამართლებრივი ასპექტები. იგი სეროზულ პრობლემას წარმოადგენს და მის გამო სულ უფრო ხშირად ისმის ახალი ტექნოლოგიების განვითარების შენელების და უფრო მკაცრი რეგულირების მოთხოვნები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგნიძე, ი. (2024). *მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში*. თბილისი.
2. ზაქარაძე, ე. (2021). *მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია და განათლების სისტემის ტრანსფორმაცია*. 2-3.
3. კრაინოვი, ა. (2023). *გზა დღევანდელ ხელოვნურ ინტელექტამდე*.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). *ინტერნეტ-მომსახურების აბონენტებთან რაოდენობა*.

5. ხარაიშვილი, ე., ლობჯანიძე, ნ. (2023). „ტანსაცმლის ბაზარი: ინდუსტრიული რევოლუციების გავლენა, ტენდენციები და პერსპექტივები“, International Scientific Journal 'Innovative Economics and Management', E-ISSN:2449-2604. Vol 10. No3.2023 DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.3.2023.24-36>
6. Ashton, K. (1999). *The Internet of Things' Thing*.
7. Garther Logistics . (2024). *The future of AI systems in logistics*.
8. Haq, A. U. (2025). *A Hybrid Blockchain-Machine Learning Framework for Real-Time IoT Data Validation in Intelligent IoT-Based IT Infrastructures*.
9. International Telecommunication Union, . (2025). *Global Internet use continues to rise but disparities remain, especially in low-income regions*.
10. Kharaiashvili E., Koguashvili P., & Shengelia N. (2024). 'From Traditional to "Smart" Agriculture: Advantages, Challenges and Prospects of Digitalization'. *International Scientific Journal Innovative Economics and Management*, E-ISSN:2449-2604. <https://doi.org/10.46361/2449-2604.11.1.2024.6-16>
11. Kharaiashvili, E., Natsvlishvil, I., Lazariashvili, T. (2025). Digitalization of Georgia's Agro-Food Industry: Challenges and Opportunities for Sustainable Development. In: Geibel, R.C., Machavariani, S. (eds) *Digital Management and Artificial Intelligence*. ISPC 2024. Springer Proceedings in Business and Economics. Springer, Cham.
12. Lynch, C. (2008). *Big data: How do your data grow?* Nature.
13. McKinsey & Company, . (2019). *Future of Big data*.
14. Min Xu, Jeanne M. David, Suk Hi Kim. (2018). *The Fourth Industrial Revolution: Opportunities and Challenges*. International Journal of Financial Research, 1-7.
15. Ourworldindata. (2023). *Annual private investment in artificial intelligence, by focus area*.
16. Schwab, K. (2016). *Fourth Industrial Revolution*.
17. Statista. (2024). *Number of internet users worldwide in 2024*.
18. Tilden, M. (2015). *Robotics can - and will - change our lives in the near future*. Guardian.
19. V.I. Maslov, I.V. Lukyanov. (2017). *THE FOURTH INDUSTRIAL REVOLUTION: ORIGINS AND CONSEQUENCES*.

Shmagi Butskhrikidze

*Student Economics and Business Faculty
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

THE FOURTH INDUSTRIAL REVOLUTION AND EXPECTED CHANGES IN THE LABOR MARKET AND TECHNOLOGIES

Expanded Summary

The article substantiates the importance of the Fourth Industrial Revolution in the development of the modern economy. It also discusses the technologies and innovations driving it.

The article provides a historical overview of the significance of such phenomena as industrial revolutions and demonstrates the changes that the three previous revolutions brought for a better understanding of the importance of the Fourth Industrial Revolution.

The paper provides a comprehensive overview of the Fourth Industrial Revolution, examining its historical context, technological foundations, and its multidimensional impact on the economic, social, and political spheres.

The article discusses the role of data as a critical asset in the digital age, along with issues related to cybersecurity, data governance, and digital ethics.

The paper discusses the components of the Fourth Industrial Revolution, such as artificial intelligence, the intelligence of things, the “Big Data”, etc. The article explores their use in modern times and potential future applications.

The article argues that the Fourth Industrial Revolution offers important opportunities for growth and progress, but also requires collaborative efforts between governments, businesses and civil society to ensure that the benefits are fairly distributed and aligned with long-term social development goals.

The aim of the paper is to identify challenges in the economy and develop recommendations for future development directions based on an assessment of the positive and negative consequences of the components of the Fourth Industrial Revolution.

The theoretical basis of the research is the works of foreign and Georgian scientists, including K. Schwab, K. Kranov, J.M. David and others.

The paper draws on various theoretical and methodological research tools, using analysis, synthesis, comparison and other methods. A quantitative study was conducted using the Google Form online questionnaire to identify the degree of spread of the components of the Fourth Industrial Revolution in Georgia.

The survey of respondents revealed the population's awareness of the Fourth Industrial Revolution and its components, identified its role and frequency of use both in everyday life and for educational and professional purposes.

Based on the conducted research, it was revealed that the majority of respondents have general information about the Fourth Industrial Revolution. The Internet and the formal education system were named as the main sources of information, which reflects the existing trends in the spread of awareness related to this topic.

The research also assessed the awareness of respondents regarding the main technological components of the Industrial Revolution. The results showed that the level of awareness of different components varies, which indicates the uneven distribution of technological knowledge in society.

In addition, it was revealed that the use of modern technologies is widespread in both educational and professional spheres. The use of mobile technologies, Internet of Things platforms and identification/location systems is particularly active, which indicates a high level of their integration into everyday activities.

The paper concludes that modern technologies are becoming increasingly widely available to both individuals and businesses. This trend is observed in Georgia. In addition, the level of technology implementation in some areas is quite high and is gradually increasing. Despite the positive impact of technological progress, the Fourth Industrial Revolution brings with it a number of challenges. Of particular concern are the moral and legal aspects of new technologies. This creates the prerequisites for reviewing regulatory frameworks and strengthening the demand for a certain level of legal control over technological progress.

Keywords: Fourth Industrial Revolution, Innovative technologies, Digital transformation, Sustainable development.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა 2; ტელ.: 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე:
ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0186, University Street 2 , tel. 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ჟაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze